საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

ტ. XXII

82

ქუთაისი 1960



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

Y 8449

ტ. XXII



ქუთაისი 1960

საredaქციო კოლეგია

დოც. ლ. ჭელიძე (რედაქტორი)
დოც. კ. აფრიდონიძე
დოც. დ. გიწაძე
დოც. ა. ებრალიძე
დოც. ვ. ირემაძე
დოც. გ. კოკოჩაშვილი
დოც. კ. მეძველია
დოც. ი. სალიანძე
დოც. ვ. სულავა
პროფ. შ. ჩხარტიშვილი
დოც. ქ. ძოწენიძე

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ ВЫСШЕГО И СРЕДНЕГО СПЕЦИАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Кутаисский Государственный Педагогический Институт им. А. Цулукидзе

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

Т. XXII

КУТАИСИ 1968

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доц. Л. А. Челидзе (редактор)
Доц. К. Г. Апридонидзе
Доц. Д. О. Гецадзе
Доц. К. С. Дзоценидзе
Доц. В. А. Иремадзе
Доц. Г. В. Кокочашвили
Доц. К. Н. Медзвелия
Доц. И. А. Сагинадзе
Доц. В. А. Сулава
Проф. Ш. Н. Чхартишвили
Доц. А. Е. Эбралидзе

სარჩევი

გვერდი

1. ნ. ჩიქობავა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში . . . . . 1— 44

2. გ. სანაძე, საქართველოში სიმინდის წარმოებაზე დანახარჯების საკითხისათვის . . . . . 45— 56

3. შ. ჩხარტიშვილი, უშუალო გამოცდილების პრობლემა ვუნდტის ფსიქოლოგიაში . . . . 57— 80

4. ნ. მაისურაძე, ზოვი რამ ქართული და რუსული ლიტერატურის ურთიერთობიდან . . . . . 81— 91

5. კ. აფრიდონიძე, რუსეთის მისიის წარმატების ზოგიერთი მომენტისათვის თურქეთში 1832—1833 წ.წ. . . . . 93—102

6. ა. ებრალიძე, საქართველოს კოლმეურნე გლეხობის შრომითი საქმიანობა სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წ.წ.) . . . . . 103—112

7. ქ. ძოწენიძე, თურმეობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში . . . . . 113—117

8. პ. ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი . . . . . 119—124

9. დ. მაჭავარიანი, ვნებითის -ენ სუფიქსის გენეზისისათვის . . . . . 125—134

10. ნ. კუბლაშვილი, კლუბების საკითხისათვის საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაში . . . . 135—150

11. ო. გიორგაძე, დავით ყიფიანის შეხედულებანი გრამატიკისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე . . . . . 151—160

12. პ. სირბილაძე, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის მოტივები . . . . . 161—170

გვერდი

13. ქ. კილასონია, რუსეთის თვითმპყრობელობის კოლტიკა ა. ი. პოლეტაევის შემოქმედებაში . . 171—176

14. თ. ნიგარაძე, ესთეტიკური აღზრდა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა სწავლებისას . . . . 177—186

15. გ. ჟვანია, თავადურ-სალონური ყარგონი ი. ა. კრილოვის „სულების ფოსტის“ მიხედვით . . . . 187—202

16. ლ. ჭელიძე, ვ. ბრეგვაძე, ახალი ბუნებრივი ადსორბენტი — ჩუნეშის ბენტონიტური თიხა . 203—216

17. ი. სალინაძე, ქუთაისის მიდამოების ბარემული სამშენი კირქვების გეოლოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათება . . . . . 217—230

18. ნ. მანგალაძე, მიკროელემენტების გავლენა სიმინდის სხვადასხვა ჯიშში C ვიტამინის შემცველობაზე და ზოგიერთი ფერმენტის აქტივობაზე 231—239

19. დ. ხეცურიანი, კოლხური ხოხბის ბიოეკოლოგიის ზოგიერთი საკითხისათვის . . . . . 241—249

20. ჰ. ქაშიბაძე, მოვალეობის შეგნების განვითარება წინარესასკოლო ასაკში . . . . . 251—260

21. რ. ბერიშვილი, Konjunktiv-ი გერმანულ ენაში და მისი შესატყვისი ფორმები ქართულში . . 261—276

22. გ. ხაჟალია, მრუდწირული ოთხკუთხედების მართკუთხედზე კონფორმული ასახვის შესახებ . 277—293

23. გ. ხაჟალია, კონფორმულ ასახვათა თეორიის ზოგიერთი მიახლოვებითი ფორმულისა და მათი გამოყენების შესახებ ჰიდროდინამიკის ზოგიერთ ბოტყელ ამოცანებში . . . . . 295—317

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

24. შ. აბრამიძე, ალ. წერეთელი. ძველი რომი, ტ. I 319—321

ОГЛАВЛЕНИЕ

	стр.
1. Н. Чикобава, Революционный комитет Грузии и борьба за утверждение Советской власти в Грузии	1— 44
2. Г. Санадзе, К вопросу издержек производства кукурузы в Грузии	45— 56
3. Ш. Чхартишвили, Проблема непосредственного опыта в психологии Вундта	57— 80
4. Н. Майсурадзе, Кое-что о взаимоотношениях грузинской и русской литературы	81— 91
5. К. Апридонидзе, О некоторых моментах успеха миссии России в Турции в 1832—1833 г.г.	93—102
6. А. Эбралидзе, Трудовая деятельность колхозного крестьянства Грузии в Великой Отечественной войне (1941—1945 г.г.) СССР	103—112
7. К. Дзоценидзе, Одна особенность II результативного в верхнеимеретском говоре	113—117
8. П. Джаджанидзе, Некоторые вопросы аджарского диалекта	119—124
9. Д. Мачавариани, К генезису суффикса страдательного залога -ებ -ен	125—134
10. Н. Кублашвили, К вопросу о клубах в французской революции 1848 г.	135—150
11. О. Гиоргадзе, Взгляды Д. Кипиани по вопросам грамматики и литературного языка	151—160
12. П. Сирбиладзе, Мотивы поведения ребенка дошкольного возраста	161—170

стр.

13. К. Киласония, Критика самодержавной России в творчестве А. И. Полежаева . . . . . 171—176

14. Т. Нижарадзе, Эстетическое воспитание при изучении произведении А. Казбеги . . . . 177—186

15. Р. Жвания, Салонно-дворянский жаргон в „Почте духов" И. А. Крылова . . . . . 187—202

16. Л. Челидзе, В. Брегвадзе, Чунешская бентонитовая глина — новый природный адсорбент . . . . . 203—216

17. И. Сагинадзе, Геолого-петрографическая характеристика баремских строительных известняков Кутаисского района . . . . . 217—230

18. Н. Мангаладзе, Влияние микроэлементов на содержание витамина С и активности некоторых ферментов в разных сортах кукурузы . 231—239

19. Д. Хецуриани, К некоторым вопросам биоекологии колхидского фазана . . . . . 241—249

20. П. Кашибадзе, Развитие сознания долга в дошкольном возрасте . . . . . 251—260

21. Р. Беритшвили, Konjunktiv в немецком языке и соответствующие ему формы в грузинском языке . . . . . 261—276

22. Г. Хажалия, О конформном отображении криволинейных четырехугольников на прямоугольник . . . . . 277—293

23. Г. Хажалия, О некоторых приближенных формулах теории конформных отображений и их применениях к некоторым плоским задачам гидродинамики . . . . . 295—317

Критика и библиография

24. Ш. Абрамидзе, Рецензия, Ал. Церетели. Древний Рим, т. I . . . . . 319—321

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ნ. ჩიძოგავა

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში*

1

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავისი მასშტაბით მსოფლიო ისტორიაში მომხდარ რევოლუციათა შორის ყველაზე გრანდიოზული იყო. მან ბოლო მოუღო ექსპლოატატორული კლასების ბატონობას რუსეთში და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის დაღუპვისა და სოციალისტური წყობილების დამკვიდრების ერა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ დიდ სამრეწველო ცენტრებში და საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალურმა მსვლელობამ ცენტრიდან პერიფერიებისაკენ მძლავრი ბიძგი მისცა მასების რევოლუციური მოძრაობის გაშლას მთელ ქვეყანაში. განაპირა მხარეების კონტრრევოლუციური ძალები შეეცადნენ გამიჯნოდნენ ოქტომბრის რევოლუციას. ამიერკავკასიაში ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები — მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკები და სხვ.

1917 წ. 11 ნოემბერს ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიული პარტიების გაერთიანებულმა თათბირმა რუსეთის თეთრგვარდიული ძალებისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლების მონაწილეობით გადადგა პირველი ნაბიჯი საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოსაშორებლად და შექმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. ამ უკანასკნელმა 1917 წ. 15 ნოემბერს თავი გამოაცხადა ამიერკავკასიის უმაღლეს ხელისუფლებად, კავშირი შეკრა ყუბან-დონის, თერგისა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ

* სადისერტაციო შრომა. იბეჭდება შემოკლებით.

თეთრგვარდიულ ძალებთან და შეუდგა რუსეთისაგან ამიერკავკასიის სრული ჩამოშორების საქმის განხორციელებას.

ამიერკავკასიის კომისარიატში თავი იჩინა შინაგანმა უთანხმოებამ მენშევიკებსა, დაშნაკებსა და მუსავატელებს შორის. ამის შედეგად ამიერკავკასია დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკებად. წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა ამ რესპუბლიკების განვითარება წარმართეს ბურჟუაზიული გზით.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საგარეო პოლიტიკაში გეზი აიღო იმპერიალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ. მაგრამ რამდენადაც „დამოუკიდებელი“ საქართველო სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენდა სუსტ ქვეყანას, იგი დამოკიდებული აღმოჩნდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე. საქართველოში თავისუფლად პარპაშობდნენ თურქი დამპყრობლები. მათთან ერთად საქართველოში გამოჩნდნენ იმპერიალისტური გერმანიის ჯარები. გერმანელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს საქართველოს ეკონომიური ძარცვა — გაჰქონდათ მარგანეცი, ხე-ტყე, თამბაქო, მატყლი, პური. გერმანიის სამხედრო ხელისუფალნი უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში, ეხმარებოდნენ მენშევიკებს რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელ იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“ [1]...

იმპერიალისტურ ომში გერმანიის დამარცხებისა და საქართველოდან გერმანიის ჯარების წასვლის შემდეგ საქართველოში შემოვიდნენ ინგლისის ჯარები, რომლებმაც მოახდინეს მისი ფაქტიური ოკუპაცია.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა იყო მსოფლიო და შინაგანი ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ჩრახვათა ერთგული გამტარებელი. მისი საგარეო პოლიტიკის ღერძს წარმოადგენდა ანტისაბჭოთა ღონისძიებათა ფართო სისტემა.

მენშევიკური მთავრობის მტრულმა დამოკიდებულებამ საბჭოთა რუსეთთან კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველოს სა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 7—8.

ხალხო მეურნეობა. სამრეწველო საწარმოების და რკინიგზების მუშაობაში სრული დეზორგანიზაცია შეიტანა დონბასის ქვანახშირის, ბაქოს ნავთისა, რუსეთის ნედლეულისა და ბაზრისაგან მოწყვეტამ. საწარმოების უმეტესმა ნაწილმა შეწყვიტა მუშაობა, ხოლო დანარჩენებმა მკვეთრად შეზღუდეს წარმოება.

მძიმე სამეურნეო მდგომარეობამ, მენშევიკური მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკამ გამოიწვია მასობრივი მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით სურსათის ნაკლებობა. საწარმოების დახურვისა და წარმოების შეზღუდვის, უმუშევრობის ზრდისა და სასურსათო კრიზისის შედეგად მშრომელთა მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდისა და ხელფასის ზრდის დინამიკის ურთიერთშეფარდება ცხადყოფს, რომ 1919 წლის სექტემბრისათვის 1914 წელთან შედარებით მოსახლეობა 3,5-ჯერ ცუდად ცხოვრობდა[1].

მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა იწვევდა მშრომელთა მზარდ უკმაყოფილებას და რევოლუციური მოძრაობის ზრდას. მის სათავეში იდგა ბოლშევიკური პარტია, რომელმაც თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თანდათან მოიკრიბა ძალები. 1917 წლის ბოლოსათვის ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდნენ თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში და სხვ.[2]. ბოლშევიკური ორგანიზაციები, ეყრდნობოდნენ რა ჩვენი პარტიის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას, მოხერხებულად ახამებდნენ არალეგალურ მუშაობას ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენებასთან, დაკავშირებული იყვნენ მასებთან და სათავეში ედგნენ მათ.

მენშევიკური მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. 1918 წლის 18 თებერვალს მენშევიკური მთავრობის განკარგულებით თბილისში დახვრეტილ იქნა მუშათა საპროტესტო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო ბოლშევიკების მიერ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური სეიმის გახსნასთან დაკავშირებით. ამ ბარბაროსული აქტით მენშევიკები ფიქრობდნენ აღმავლობის გზაზე შემდგარ მუშათა რევოლუციური მოძრაობის ძირშივე ჩაკვლას. მაგრამ, პირიქით, მუშათა დახვრეტამ ახალი რევოლუციური აზვირთება გამოიწვია, რომელიც ედებოდა სხვადასხვა ქალაქებს.

---

[1] ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში (1918—1920 წ. წ.). „საისტორიო მოამბე", ტ. 7, 1953 წ., გვ. 105, დოკ. 865.

[2] იხ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისი, 1957, გვ. 388.

1919 წელი აღინიშნა თბილისის საქალაქო თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა დიდი გაფიცვით, რომელიც თვენახევარს გაგრძელდა და თავისი სიმტკიცითა და ორგანიზებულობით საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

მუშა-მოსამსახურეთა კვალდაკვალ მოძრაობაში მოვიდნენ გლეხები. ბოლშევიკების მხრივ გაშლილი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად სწრაფად მიმდინარეობდა მენშევიკების გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლების პროცესი. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა. სწორედ ამ „ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია“ [1].

1918 წელს გლეხთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ლეჩხუმში, დუშეთის მაზრაში, სამხრეთ ოსეთში, თბილისის, გორის, შორაპნის, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში.

1919 წელს რევოლუციური მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, ბოლშევიკებმა შეძლეს შეიარაღებული აჯანყების მომზადება. მაგრამ პროვოკატორის ჩარევის შედეგად აჯანყების შტაბი დაპატიმრებულ იქნა და საქმეც ჩაიშალა.

რევოლუციური მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა 1920 წელს. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ ხელი მოკიდა შეიარაღებული აჯანყების ხელახლა მომზადების საქმეს. საბჭოთა რუსეთში წითელი არმიის ძლევამოსილმა გამარჯვებებმა თეთრგვარდიელებზე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ აზერბაიჯანსა და სომხეთში ხელსაყრელი პირობები შექმნეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოში.

რეპრესიებმა ვერ შეაფერხეს რევოლუციის განვითარება, მთავრობის ღონისძიებათა საპასუხოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა და თბილისის კომიტეტებმა და პროფკავშირების მუშათა ცენტრის კომუნისტურმა ფრაქციამ 1920 წ. 16 დეკემბერს გამოაქვეყნეს მოწოდება მშრომელთა ფართო მასებისადმი, რომელშიც ფარდა ახადეს მენშევიკების პოლიტიკას [2].

---

[1] ი. ბ. სტალინი, ტ. 4, გვ. 65.

[2] იხ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში (1917—1921). „საისტორიო მოამბე“, ტ. 8, 1955 წ., გვ. 265, დოკ. 215.

მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. სურსათის ნაკლებობა კატასტროფულ ხასიათს ღებულობდა, სამეურნეო ნგრევა გრძელდებოდა. ქალაქებში აღარ იყო პური, არ იყო სინათლე, არ იყო პირველი საჭიროების საგნები. ამავე დროს რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან მოდიოდა ცნობები საბჭოთა რესპუბლიკების ახალ გამარჯვებათა შესახებ. ასეთ ვითარებაში მენშევიკური მთავრობის რეპრესიები ვერავის აშინებდა. ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. ხალხი გრძნობდა, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო საქართველო გამოეყვანა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი მოაქციეს მენშევიკებმა.

საერთო რევოლუციური კრიზისის ვითარებაში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გადადგა ახალი პროვოკაციული ნაბიჯი — მისმა ჯარებმა მოახდინეს სომხეთსა და საქართველოს შორის მდებარე ნეიტრალური ზონის ოკუპაცია, სადაც დაამყარეს ტერორისტული დიქტატურა. გააფთრებამდე მისულმა ნეიტრალური ზონის მოსახლეობამ ერთ-ერთ რაიონში — ლორეში — 1921 წ. 11 თებერვალს ღამით აღმართა აჯანყების დროშა და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. აჯანყებულებს შეუერთდნენ მენშევიკური ჯარის ნაწილები. აჯანყება მოედო გორის, დუშეთის, ბორჩალოს, რაჭის, ლეჩხუმის მაზრებს და ა. შ.

1921 წ. 16 თებერვალს აჯანყების ალში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკველია, ა. ნაზარეტიანი და სხვ. რევოლუციური კომიტეტი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას და ბრძოლას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელეებთან. აჯანყებულებს საქმე ჰქონდათ ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელსაც რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საკმაო გამოცდილება და იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეების მხარდაჭერისა და ყოველმხრივი დახმარების გარანტია ჰქონდა. ასეთ პირობებში საქართველოს კომუნისტურ პარტიას და რევოლუციურ კომიტეტს ისღა დარჩათ, რომ გამოეყენებინათ ხელსაყრელი ვითარება — აზერბაიჯანსა და სომხეთში წითელი არმიის ნაწილების ყოფნა. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინმა, როგორც რსფსრ მთავრობის თავმჯდომარემ, იმ დღესვე გასცა სათანადო განკარგულება. 17 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები, შეუერთდნენ აჯანყებულთა რაზმებს. წითელი არმიის ნაწილების გამოჩენას საქართველოს მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები. სამაზრო ცენტრებსა და სოფლებში მშრომელები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამხობდნენ მენშევიკური ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და ქმნიდნენ რევოლუციურ კომიტეტებს.

აჯანყებულთა რაზმები და წითელი არმიის ნაწილები ძლევამოსილად მიიწევდნენ თბილისისაკენ. მენშევიკური მთავრობის ჯარისკაცები არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენდნენ ბრძოლაში. ბევრი მათგანი იარაღს ყრიდა და შინ მიდიოდა ან კიდევ უერთდებოდა წითელ არმიას. მენშევიკების ყოველი ცდა — დაეარაზმათ ქართველი ხალხი წითელი არმიის წინააღმდეგ, უშედეგოდ დამთავრდა.

შეიარაღებული აჯანყების დაწყებამ და წითელი არმიის შემოსვლამ საქართველოში თავზარი დასცა თბილისში თავმოყრილ რეაქციულ ძალებს. კონტრრევოლუციის უკანასკნელი სიმაგრე ამიერკავკასიაში შეირყა. ყველა, ვინც გამოექცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და თავს აფარებდა თბილისში, გარბოდა ბათუმის მიმართულებით. 24 თებერვალს ღამით თბილისი დატოვეს მენშევიკური მთავრობის წევრებმა. მათ თან წაიღეს დაწესებულებათა საქმეები, გაძარცვეს მთავრობის სალარო, ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გაიტაცეს ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ნივთები, ხელოვნების იშვიათი ნიმუშები, წაიყვანეს დაპატიმრებული კომუნისტები, საბჭოთა რუსეთის მისიის თანამშრომლები და სხვ.

25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები აჯანყებულთა რაზმებთან ერთად შემოვიდნენ ქ. თბილისში. ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ ცნობაში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ქართველი „დამფუძნებლების“ ხელისუფლება. ახლა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასიაში შეიკვრება ძმური საბჭოთა რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ძმური კავშირი, შეწყდება ნაციონალური მტრობა კავკასიის ერებს შორის. საბჭოების ოჯახს შეუერთდება ახალი საბჭოთა რესპუბლიკა... სალამი წითელ თბილისს“ [1].

[1] გაზ. „პრავდა“ № 146, 1921 წ. 2 მარტი.

შეიარაღებული აჯანყება ედებოდა ახალ-ახალ რაიონებს. 1 მარტს აჯანყებულებმა გორში შექმნეს რევოლუციური კომიტეტი და დაუკავშირდნენ მეთერთმეტე არმიის სარდლობას. 4 მარტს აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებმაც შექმნეს აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გაათავისუფლეს სოხუმი. 7 მარტს გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რევოლუციური კომიტეტის შექმნის შესახებ სამხრეთ ოსეთში. იმავე დღეს წითელი არმიის ნაწილებმა გადალახეს სურამის უღელტეხილი და გაათავისუფლეს სოფელი და სადგური წიფა. ბორჯომში წითელი არმიის მოახლოვებისთანავე ხე-ტყის, მინის და საგზაო სახელოსნოების მუშებმა შექმნეს რევოლუციური კომიტეტი და ხელში აიღეს ძალაუფლება. 8 მარტს განთავისუფლებულ იქნა ახალციხე და მარელისი.

მიუხედავად არა ერთი გაფრთხილებისა, მენშევიკური მთავრობა განაგრძობდა წინააღმდეგობას. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ მენშევიკები ამზადებდნენ ახალ გამცემლობას — ანტანტასთან შეთანხმებით ნებას აძლევდნენ თურქეთს მოეხდინა ბათუმის, აგრეთვე ახალციხისა და ოზურგეთის მაზრების ოკუპაცია. ამ გზით მათ სურდათ გამოეწვიათ საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ომი და საბაბი მიეცათ იმპერიალისტური ქვეყნებისათვის, ჩარეულიყვნენ საქმეში.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ხმა აღიმაღლა ამ ახალი გამცემლობის წინააღმდეგ. 1921 წ. 8 მარტს მან რადიოთი აცნობა მთელ მსოფლიოს მენშევიკურ მთავრობასა და ანტანტას შორის ბათუმის საკითხზე ფარული მოლაპარაკების ფაქტი. ამასთან ერთად მხილებულ იქნა მენშევიკური მთავრობის ცდა — ბათუმის ოკუპაცია გაემართლებინა აჭარის თვითგამორკვევის შესახებ ფარისევლური განცხადებით. რევოლუციური კომიტეტი მიუთითებდა, რომ აჭარელი ხალხის თვითგამორკვევა წარმოადგენდა მის პრინციპს, რომელიც დაუყოვნებლივ იქნებოდა რეალიზებული. აცხადებდა რა გადამწყვეტ პროტესტს, რევოლუციური კომიტეტი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ ყოველგვარი ძალა, რომელიც ბათუმს დაესხმოდა, შეხვდებოდა მისი შეიარაღებული ძალების მხრივ მედგარ წინააღმდეგობას [1].

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, მენშევიკები ფარულად შეუთანხმდნენ თურქეთს და 11 მარტს ბათუმში შევიდნენ თურქეთის

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი" № 7, 1921 წ. 9 მარტი.

ჯარის ნაწილები. მაშინ რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო ზომები ბათუმის სასწრაფოდ გათავისუფლებისათვის — წითელი არმიის ნაწილებმა მიიღეს ბრძანება, მოკლე ვადაში გაეთავისუფლებინათ ბათუმი.

წითელი არმიის ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას ყველა მიმართულებით. 10 მარტს გაათავისუფლეს ქუთაისი. ქუთაისიდან ბათუმისაკენ უკანდახევის დროს მენშევიკებმა თან წაიყვანეს ხუთასამდე პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტების წევრები, სცემეს ვანო სტურუას და მიხა ჩოდრიშვილს, წაძებით მოკლეს ძველი რევოლუციონერები ივანოვი და მარდალეიშვილი და დანაშაულებრივი კვალის დასაფარავად ცეცხლი წაუკიდეს მათ ცხედრებს.

მსხვერპლი, რომლის გაღება კიდევ უხდებოდა ქართველ ხალხს და წითელ არმიას, მენშევიკური მთავრობის უაზრო მოქმედების შედეგი იყო. სისხლისღვრის შემდგომ გაგრძელებას რევოლუციური კომიტეტი სწორედ ასე აფასებდა. ამ აზრს იზიარებდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მენშევიკურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ინტელიგენციის ინიციატივით ქუთაისში გაემგზავრა დელეგაცია. მისი მიზანი იყო მენშევიკური მთავრობის დარწმუნება წინააღმდეგობის შეწყვეტის გონივრულობაში. დელეგაციამ მიზანს ვერ მიაღწია. მარტის პირველი ნახევარი გადიოდა და საომარი მოქმედება ისევ გრძელდებოდა. გამორიცხული არ იყო, რომ ასეთ ვითარებას იმპერიალისტური ქვეყნები გამოიყენებდნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩასარევად. საბჭოთა რესპუბლიკების და განსაკუთრებით საქართველოს ინტერესები მოითხოვდა ომის მდგომარეობის სასწრაფოდ ლიკვიდაციას. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით საქმეში ჩაერია რუსეთის საბჭოთა მთავრობა. საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე. მას დავალებული ჰქონდა მოეწყო მეომარ მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრა შეთანხმების მიღწევის მიზნით.

1921 წ. 12 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ა. ენუქიძის შუამდგომლობა მენშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ [1]. ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა ვ. ი. ლენინის მითითებიდან, რომე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 12, ფ. 4.

ლიც მოცემული იყო მის წერილში ს. ორჯონიკიძისადმი 1921 წ. 2 მარტს. მასში ნათქვამი იყო: „უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი“ [1]. შეთანხმების მიღწევა მენშევიკურ მთავრობასთან, ჯერ ერთი, გამოიწვევდა სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მეორე, იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს გამოაცლიდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარ საბაბს, მესამე, მენშევიკები კიდევაც რომ შესულიყვნენ რევოლუციურ მთავრობაში, ისინი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ მის პოლიტიკაზე, მეოთხე, მშვიდობის დამყარება კიდევ უფრო განამტკიცებდა რევოლუციურ ხელისუფლებას, აამაღლებდა კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მთავრობის ავტორიტეტს.

მიიღო რა მოლაპარაკების მოწყობაზე საქართველოს რევოლუციური ხელისუფლების თანხმობა, ა. ენუქიძე დაუკავშირდა რადიოთი მენშევიკურ მთავრობას. აქაც მიღწეულ იქნა თანხმობა. მოლაპარაკება გაიმართა ქ. ქუთაისში 17 და 18 მარტს. ა. ენუქიძის გარდა მას დაესწრნენ მ. ორახელაშვილი, როგორც საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი და ა. სვანაძე, როგორც რსფსრ მეორე წარმომადგენელი. მენშევიკური მთავრობის მხრიდან — გ. ლორთქიფანიძე.

მოლაპარაკება დამთავრდა შეთანხმების მიღწევით. შეთანხმების ძალით დაუყოვნებლივ წყდებოდა სამხედრო მოქმედება წითელი არმიის ნაწილებსა და მენშევიკურ ჯარებს შორის. მენშევიკური მთავრობა დაშლიდა თავის ფრონტს, საშუალებას მისცემდა წითელ არმიას შესულიყო ბათუმის ოლქში და დაეკავებინა მისი სამხრეთი საზღვრები. 25 მარტამდე იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში ეკავათ მენშევიკური მთავრობის ჯარებს, რჩებოდა მენშევიკების ადმინისტრაცია; ამას გარდა შეთანხმება ითვალისწინებდა მენშევიკური ჯარებისა და გვარდიის დემობილიზაციას, ამნისტიას და სხვ. [2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 189—190.

[2] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში — საქ. სსრ ორსმცსა), ფ. 281, ს. 3, ფ. 8.

მაგრამ შეთანხმების რეალიზაციის საქმემ სრულიად სხვა მიმართულება მიიღო. მენშევიკურმა მთავრობამ არ დაუცადა ქუთაისის მოლაპარაკების შედეგებს და 17 მარტს ღამით იტალიის გემით საზღვარგარეთ გაიქცა. პატიმრობიდან განთავისუფლებული კომუნისტების ინიციატივით ჩამოყალიბებულ იქნა ბათუმის რევოლუციური კომიტეტი ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წინაშე დადგა სერიოზული ამოცანა — აჭარიდან განედევნა თურქეთის ჯარის ნაწილები. ამ მიზნით ბათუმში დაიწყო კომუნისტების მობილიზაცია. ერთდროულად გაიშალა ფართო პროპაგანდა მენშევიკური ჯარის ნაწილებში, რომ მათაც აქტიური მონაწილეობა მიეღოთ აჭარის განთავისუფლებაში თურქეთის ჯარებისაგან. თურქ დამპყრობლებისადმი საერთო სიძულვილმა ერთ მძლავრ ძალად შეკრა ქართველი და აჭარელი ხალხის საუკეთესო შვილები. ისინი გადავიდნენ შეტევაზე, გატეხეს თურქების წინააღმდეგობა და 1921 წლის 18 მარტს ბათუმი გაათავისუფლეს თურქ დამპყრობთაგან. იმავე დღეს, საღამოს, ბათუმში შემოვიდნენ წითელი არმიის ცხენოსანი რაზმები, რომლებმაც გადალახეს გოდერძის უღელტეხილი და მიეშველნენ თავიანთ თანამოძმეებს.

21 მარტისათვის ბათუმი გაიწმინდა უკანასკნელი თურქი ჯარისკაცებისაგან. ამ დროისათვის დამთავრდა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება და დაიდო ხელშეკრულება. თურქებმა სამუდამოდ აიღეს ხელი ბათუმსა და საერთოდ აჭარის ტერიტორიის მიმართ პრეტენზიაზე.

საქართველოში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. თავდადებულმა ბრძოლამ, დიდი ოქტომბრის ძლევამოსილ დროშისადმი ერთგულებამ, წითელი არმიის დახმარებამ ქართველ ხალხს მოუტანა ისტორიული გამარჯვება.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, ამ გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელთა გმირულმა ბრძოლამ ცხადყო, რომ საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებს, საბჭოთა მთავრობას. „ჩვენ ჩინებულად ვიცით, — ამბობდა ლენინი 1921 წლის 28 თებერვალს, — რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ, მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება ეს ვარაუდი, — ესაა ვარაუდი

მშრომელი მასებისა“ [1]... ქართველმა მშრომელმა ხალხმა სავსებით გაუმართლა ეს ვარაუდი ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკურ პარტიას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მშრომელი მასები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე — მხარი დაუჭირეს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას. სწორედ ამან უზრუნველყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში.

2

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ საქართველოს მუშათა კლასისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები. ამ ამოცანათა შორის ერთ-ერთ პირველი რიგის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ძველი, მენშევიკურ-ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და ახალი, სოციალისტური სახელმწიფო აპარატის შექმნა.

ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის გადაჭრისათვის საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს გააჩნდათ რიგი ხელსაყრელი პირობები: რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მდიდარი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა, საბჭოთა რუსეთის მხრივ პოლიტიკური და სამხედრო დახმარება, ანტანტის იმპერიალისტური ქვეყნებისაგან უახლოეს მომავალში თავდასხმის საფრთხის არარსებობა, რაც იმის შედეგი იყო, რომ რუსეთში დამარცხების შემდეგ ეს ქვეყნები ფრთხილად იქცეოდნენ და სხვ.

ამასთან ერთად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შეიარაღებული იყვნენ ვ. ი. ლენინის ისტორიული მითითებებით. ვ. ი. ლენინი, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს კავკასიაში მოვლენათა განვითარებას, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებს მიუთითებდა, რომ საჭიროა ამიერკავკასიელმა კომუნისტებმა „შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“ [2].

ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, ეყრდნო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 177.
[2] იქვე, გვ. 397.

ბოდნენ რა რესპუბლიკის ხელსაყრელ საშინაო და საგარეო ვითარებას და შემოქმედებითად იყენებდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მდიდარ გამოცდილებას, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები შეუდგნენ ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მსხვრევას და ახალი, სოციალისტური სახელმწიფო აპარატის შექმნას.

ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ დიდ, სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის შექმნა. რევოლუციური კომიტეტი წარმოადგენდა შეიარაღებული აჯანყების ორგანოს და რევოლუციურ ხელისუფლებას, რომელიც მუშაობდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. 1921 წლის 6 მარტს რევოლუციური კომიტეტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო და განმკარგულებელი ორგანო. ამ დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე შედგენილ იქნა საქართველოს მთავრობა. შეიქმნა საგარეო საქმეთა, განათლების, სამხედრო-საზღვაო, სასურსათო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფოსტა-ტელეგრაფის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, იუსტიციის, ფინანსთა, ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საგანგებო კომისია და სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალი[1]. ამ ისტორიული აქტით დამსხვრეულ იქნა მენშევიკურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ცენტრალური აპარატი და შეიქმნა ახალი, საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური აპარატი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად იწოდებოდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტად. 1921 წ. 21 აპრილს მიღებულ იქნა დეკრეტი საქ. სსრ რევოლუციური კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ[2]. დეკრეტით რევოლუციური კომიტეტი ცხადდებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და საკონტროლო ორგანოდ, რომელიც ანგარიშვალდებული იყო საქართველოს საბჭოების ყრილობის წინაშე. რევოლუციური კომიტეტი თავისი ინიციატივით და

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 27, ფ. 1.
[2] იქვე, ს. 202, ფ. 84.

სახალხო კომისრების წარმოდგენით ღებულობდა დეკრეტებს, აწყობდა სახალხო კომისარიატებს და სხვა უმაღლეს დაწესებულებებს. მისი წევრები ინიშნებოდნენ სახალხო კომისრებად, ასრულებდნენ ცალკე მინდობილობებს. სახალხო კომისარიატებს განაგებდნენ კოლეგიები, რომელთა თავმჯდომარეებად ინიშნებოდნენ სახალხო კომისრები. სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის დავის საკითხს წყვეტდა რევოლუციური კომიტეტი. რევოლუციური კომიტეტი გადაწყვეტილებებს აფორმებდა დეკრეტების, ბრძანებებისა და დადგენილებების სახით, რომლებიც დგებოდა ქართულ და რუსულ ენებზე.

მაზრებსა, ქალაქებსა და თემებში ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც აღმოცენდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის პროცესში. 1921 წ. 8 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა დროებითი დებულება მაზრის, ქალაქის და თემის რევოლუციური კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ[1]. დებულების მიხედვით რევოლუციური კომიტეტი იქმნებოდა სოფელში. თუ მცხოვრებთა რიცხვი აღემატებოდა სამასს, თუ მცხოვრებთა რიცხვი ამაზე ნაკლები იყო, მაშინ სოფელი ერთიანდებოდა მეზობელ სოფელთან და იქმნებოდა საერთო სათემო რევოლუციური კომიტეტი. თემის რევოლუციური კომიტეტი ახორციელებდა უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებებს, ამყარებდა რევოლუციურ წესრიგს, ზრუნავდა მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მშრომელთა ფართო ფენებს აბამდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის საქმეს ემსახურებოდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ მენშევიკური დამფუძნებელი კრების დათხოვნა, რომელიც წარმოადგენდა ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს. მან საქართველო ხელში ჩაუგდო პოლიტიკურ სპეკულანტებს და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. თავისი ანტიხალხური პოლიტიკით დამფუძნებელმა კრებამ ხალხის ფართო მასების თვალში ყოველგვარი წონა დაკარგა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მთლიანად პარალიზებული აღმოჩნდა. გამოდიოდა რა აქედან, 1921 წლის 24 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა იგი დაითხოვა[2].

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 57—61.

[2] იქვე, ფ. 16.

1921 წ. 26 თებერვალს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაითხოვა მენშევიკური არმია და სახალხო გვარდია, რომელიც წარმოადგენდა ბურჟუაზიის ბატონობის იარაღს[1]. ამის პარალელურად დაიწყო წითელი არმიის ქართული ნაწილების ჩამოყალიბება.

საქართველოში წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა ვ. ი. ლენინს მიაჩნდა რა ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად, 1921 წ. 2 მარტს წერდა ს. ორჯონიკიძეს: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია"[2]. ვ. ი. ლენინის მითითებათა განსახორციელებლად საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. გადაწყდა წითელი არმიის ქართული ნაწილების მოწყობა იმ პრინციპების შესაბამისად, რა პრინციპებსაც ეყრდნობოდა წითელი არმია რუსეთში. არმიის გასამტკიცებლად მობილიზებულ იქნენ პარტიული მუშაკები, გაიხსნა მეთაურთა მოსამზადებელი კურსები, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა სამხედრო ფიცის ტექსტი, მიღებულ იქნა ღონისძიებანი არმიაში გაწვეულთა ოჯახების უზრუნველსაყოფად და სხვ.

იმპერიალისტურ ქვეყნებში ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რაც მიმართული იყო რუსეთის წითელი არმიის საქართველოში დარჩენის წინააღმდეგ, დღის წესრიგში დაისვა წითელი არმიის ქართული ნაწილების შემდგომი გაძლიერების ამოცანა. „აბსოლუტურად აუცილებელია, — წერდა ვ. ი. ლენინი ს. ორჯონიკიძეს, — რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ (რომლის მოწვევა განზრახული იყო 1922 წ. თებერვლისათვის. ნ. ჩ.) მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს... თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2—3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია"[3]. საქართველოს საბჭოთა ყრილობამ, ს. ორჯონიკიძის მოხსენების გამო,

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 3.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 189.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 226.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად, მიიღო დადგენილება წითელი არმიის ქართული ნაწილების გაძლიერებისა და რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შემდგომი დარჩენის შესახებ საქართველოში. ამ დადგენილებამ გზა გადაუღობა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს მოეწყოთ ინტერვენცია საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

1921 წ. 22 მარტს ლიკვიდირებულ იქნა ძველი სასამართლო დაწესებულებანი — სენატის სასამართლო პალატა საპროკურორო ნაწილით, უდიდეს და საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა თანამდებობანი, სამხედრო სასამართლო, დაშლილ იქნა მენშევიკური მთავრობის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კანონთა გადამსინჯველი კომისია, სასამართლო პალატასთან არსებული ძველი, დარჩენილ საქმეთა საგამომძიებლო კომისია, გაუქმებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონები [1] და ა. შ. იმავე წლის 30 ივლისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა დებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო სასამართლოთა შესახებ [2]. შემოღებულ იქნა სახალხო მოსამართლეთა არჩევნები, მიღებულ იქნა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულება, ჩამოყალიბებულ იქნა პროკურატურა, დაარსდა რევოლუციური ტრიბუნალი. საბჭოთა სასამართლო ორგანოები საგანგებო კომისიასთან ერთად მტკიცედ იდგნენ რევოლუციის ინტერესების სადარაჯოზე.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მოსპო ხალხისათვის საძულველი ძველი პოლიციური აპარატი, რომელიც ფაქტიურად ხელუხლებლად დატოვეს მენშევიკებმა და შექმნა მუშათა და გლეხთა მილიცია, რომელსაც მიენდო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად [3].

1921 წ. 15 აპრილს გამოიცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორებისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ [4]. სარწმუნოება გამოცხადდა თვითეული მოქალაქის პირად საქმედ. სკოლებში აიკრძალა საღვთო სჯულის სწავლება. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის უფლება ჩამოერთვა ყველა სარწმუნეობის სამღვდელოებას და გადაეცა სამოქალაქო ორგანოებს.

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 13.

[2] იქვე. ფ. 162—163.

[3] იქვე. ფ. 1.

[4] იქვე. ს. 12, ფ. 74.

1921 წ. 8 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ემბლემების — ღერბისა და დროშის გაუქმების შესახებ და დამტკიცებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი ღერბი და დროშა.

საბჭოთა საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება 1921 წ. 21 მაისს. გამოდიოდა რა მხარეთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარებიდან, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ ორ საბჭოთა რესპუბლიკას შორის სამხედრო და სამეურნეო კავშირს. მხარეებმა პირობა დასდეს, რომ მათ მიერ აღებულ ვალდებულებებს საფუძვლად დაედებოდა მუშათა და გლეხთა ერთიანობის პრინციპი. ის ფაქტი, რომ რევოლუციამდე საქართველო წარმოადგენდა მეფის რუსეთის ნაწილს, არავითარ ვალდებულებას არ აკისრებდა მას. გათვალისწინებული იყო ზოგიერთი სამეურნეო ორგანოს, სამხედრო საქმისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანება. გაერთიანებულ ორგანოებზე კონტროლს განახორციელებდა რუსეთის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც თავის წარმომადგენელს გაგზავნიდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა[1].

ამ ხელშეკრულების დადებამ განამტკიცა საბჭოთა საქართველოს ძლიერება და უზრუნველყო იგი იმპერიალისტურ ქვეყნებზე მოსალოდნელ დამოკიდებულებისაგან.

ამრიგად, საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დროის მოკლე მონაკვეთში საფუძვლიანად დაამსხვრიეს მენშევიკურ-ბურჟუაზიული სახელმწიფო და შექმნეს ახალი, სოციალისტური სახელმწიფო. ახალი სახელმწიფო აპარატი უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებდა არა მარტო დამხობილი კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვის, არამედ სოციალისტური მშენებლობის საქმეშიაც. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამ შემოქმედებით მუშაობაში არ გაეჩნდათ გარკვეული ნაკლოვანებანი. ასეთი ნაკლოვანებანი იყო და ხშირად მათ სერიოზული ხასიათი ჰქონდათ.

---

[1] სსრკ შექმნა. დოკუმენტების კრებული, მოსკოვი, 1949, გვ. 257—258 (რუს.).

განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტების მუშაობას იმის გამო, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში აღმოცენდნენ ნაჩქარევად და ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სათანადო კადრების გამონახვა. ამის შედეგად მათ შემადგენლობაში აქა-იქ მოხვდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, ვერ იმსახურებდნენ ნდობას.

ნაკლოვანებათა წინააღმდეგ სათანადო ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. 1921 წ. 8 მაისს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სახალხო კომისრებს დაავალა კომისარიატების აპარატები გაეწმინდათ მესაბოტაჟეებისაგან, ბეჭდვითი ორგანოები ვალდებული გახადა ემხილებინათ ნაკლოვანებანი, ადგილებზე მიაველინა ცენტრალური კომიტეტების წევრები პარტიული კონფერენციების მაღალ-იდეურ დონეზე ჩასატარებლად [1].

შეცდომებისა და ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის ივლისის პლენუმმა. რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ი. ბ. სტალინმა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ი. ბ. სტალინის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ [2]. ეს მოხსენება წარმოადგენდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ამოცანების გაშლილ ანალიზს, რომელშიაც დაგმობილი იყო ნაციონალ-უკლონიზმი და დასახული იყო შემდგომი მუშაობის პროგრამა.

შრომის დისციპლინის ამაღლების მიზნით 1921 წ. 14 ივლისს მიღებულ იქნა დეკრეტი დისციპლინარული და ადმინისტრაციული სასჯელის დაწესების შესახებ [3], ხოლო უფრო გვიან, ნოემბერში, შეიქმნა სახალხო-დისციპლინარული სასამართლოები [4]. განსაკუთრებული მუშაობა ჩატარდა სახელმწიფო აპარატის შტატების შესამცირებლად და ზედმეტი ხარჯების გაწევის სალიკვიდაციოდ.

ყურადღება მიექცა ეკონომიური ხასიათის სახალხო კომისარიატების მუშაობაში არსებულ შეუთანხმებლობას. ასეთი მდგომარე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 2, ფ. 39.

[2] იხ. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. 5, გვ. 96—109.

[3] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 155.

[4] იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 227, 1921 წ. 3 დეკემბერი.

* * *

საქართველოში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა აჭარისათვის ავტონომიის მიცემა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე 1921 წ. 20 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მისალმება გაუგზავნა ბათუმის რევოლუციურ კომიტეტს, რომელშიაც აცხადებდა, რომ აჭარა მიიღებდა ავტონომიას[1]. იგივე დაპირება საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გაიმეორა თავის მიმართვაში აჭარის მშრომელებისადმი[2].

აჭარისათვის ავტონომიის მიცემას თითქოს არაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ პრაქტიკულად საკითხის გადაჭრა გაჭიანურდა ნაციონალ-უკლონისტების მოქმედების შედეგად.

სწორედ ამ ხანებში საქართველოში ჩამოვიდა ი. ბ. სტალინი. მან ყოველმხრივ შეისწავლა მდგომარეობა ამიერკავკასიასა და საქართველოში და მონაწილეობა მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში. პლენუმმა სხვა საკითხებს შორის განიხილა აჭარაში შექმნილი მდგომარეობაც და გადაჭრით დაგმო ნაციონალ-უკლონიზმი. 1921 წ. 6 ივლისს ი. ბ. სტალინი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის კრებაზე კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. დაგმო რა ნაციონალ-უკლონიზმი, ი. ბ. სტალინმა დააყენა ნაციონალიზმის გველეშაპის გასრესის ამოცანა[3].

მოვლენათა ასეთ შემობრუნებამ საზღვარი დაუდო აჭარის საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებას. 1921 წ. 14 ივლისს ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადების დეკრეტის პროექტი, ხოლო 16 ივლისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა იგი[4]. დეკრეტით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრად გამოცხადდა ქ. ბათუმი, დაწესდა მართვა-გამგეობის ორგანოები და განსაზღვრულ იქნა იმ საკითხების წრე, რომლებიც ექვემდებარებოდნენ აჭარის ხელისუფლების კომპენტენციას.

ამრიგად, აჭარის საკითხი გადაჭრილ იქნა ლენინური ნაციონა-

---

[1] გაზ. „უწყებები" № 2, 1921 წ. 21 მარტი.

[2] გაზ. „უწყებები" № 5. 1921 წ. 25 მარტი.

[3] იხ. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 96—109.

[4] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 152—153.

ლური პოლიტიკის საფუძველზე. ამ საკითხის სწორად გადაჭრამ დააჩქარა მთელი რიგი სხვა გადაუდებელი ამოცანების განხორციელება — ბატონყმური ურთიერთობისა და მემამულური მიწათმფლობელების ნაშთების ძირფესვიანად ამოძირკვა, ღარიბ გლეხთა ყრილობის მოწვევა და ხალხის ერთგული წითელი მეჯლისის შექმნა, მიწის საკითხის გადაჭრა, საბჭოთა არჩევნების ჩატარება და სხვ.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დღის წესრიგში დააყენა სამხრეთ ოსეთის საკითხის გადაჭრა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პროცესში, 1921 წ. 25 თებერვალს, რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა (ვლადიკავკაზში) მშრომელთა მრავალჯერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გამოყოფის შესახებ ცენტრით ქ. ცხინვალში და შექმნა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი[1]. 1921 წ. 26 მარტს სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი შეუდგა მოვალეობის შესრულებას და თავისი ძალაუფლება გაავრცელა სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე. ამასთან ერთად მან აღძრა შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ[2].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა სამხრეთ ოსეთს. 1921 წ. 12 მარტს ოსეთის სოფლების აღსადგენად გაღებულ იქნა ერთი მილიარდი მანეთი (მაშინ არსებული კურსით) და მიღებულ იქნა ზომები ოსეთის საჭიროებისათვის სააღმშენებლო მასალების გაცემის შესახებ[3]. 19 მარტს შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სამხრეთ ოსეთის აღდგენისათვის გაღებული სახსრების განაწილებისა და სწორად გახარჯვისათვის ხელმძღვანელობის გაწევა[4]. 1921 წ. 24 აგვისტოს წინადადება მიეცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გაეძლიერებინა სამხრეთ ოსეთში აღდგენითი სამუშაოების ტემპები, ხოლო აგვისტოს ბოლო რიცხვებში სამხრეთ ოსეთს გამოეყო და-

---

[1] სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სტალინირი, დოკ. 125, გვ. 194—195 (რუს.).

[2] იქვე, დოკ. 130, გვ. 199.

[3] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 23, ფ. 13.

[4] იქვე, ფ. 1.

მატებითი სახსრები და გადაწყდა მისთვის ხე-ტყის სახერხი ქარხნების გადაცემა[1].

1921 წ. 17 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი. მან პრინციპულად სწორად სცნო ქ. ცხინვალის გამოცხადება სამხრეთ ოსეთის ცენტრად[2].

1921 წ. 12 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნისა და მისი ადმინისტრაციულ ცენტრად ქ. ცხინვალის დაწესების შესახებ. 1922 წ. 20 აპრილს საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში[3].

* * *

ამრიგად, 1922 წლის დამდეგისათვის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე გადაიჭრა აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები. მაგრამ ნაციონალური საკითხის ლენინური პოლიტიკის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლა საქართველოში ამით არ დამთავრებულა. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის საქართველოს ხალხის მომზადება. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნაციონალური საკითხის ლენინური პოლიტიკის გამარჯვება წარმოადგენდა ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის შექმნისათვის ნაყოფიერი ნიადაგის მომზადებას საქართველოში. ჰქონდათ რა საკუთარი შეგნებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთ ფედერატიულ სახელმწიფოდ გაერთიანების დიდი ისტორიული მნიშვნელობა, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მტკიცედ დადგნენ ლენინის თვალსაზრისზე. ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის დახმარე-

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 23, ფ. 133.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 5, ფ. 184.

[3] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 284, ს. 21, ფ. 3.

ბით საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააცამტვერეს ნაციონალ-უკლონიზმი, უვნებელყვეს ანტისაბჭოთა პარტიების მტრული საქმიანობა და თავიანთი სერიოზული წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დიდ საქმეში.

3

საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მიერ ძალაუფლების ხელში აღება დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი. „ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — და, მაშასადამე, 1917 წლის 25 ოქტომბერს ჩვენს მიერ რუსეთში დაწყებულ სოციალისტურ რევოლუციაშიც, — პროლეტარიატისა და მის ხელმძღვანელობაში მყოფი უღარიბესი გლეხობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დადებითი ანუ შემოქმედებითი მუშაობა იმ ახალ ორგანიზაციულ ურთიერთობათა უაღრესად რთული და მოქნილი ქსელის მოსაგვარებლად, რომელნიც მოიცავენ ათეულ მილიონობით ადამიანთა არსებობისათვის საჭირო პროდუქტების გეგმაშეწონილ წარმოებას და განაწილებას“ [1].

ვ. ი. ლენინმა, განუწყვეტლივ ადევნებდა რა თვალყურს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური კომიტეტის მოღვაწეობას, ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს, მათ შორის საქართველოს კომუნისტურ პარტიას და რევოლუციურ კომიტეტს, მისცა მთელი რიგი მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ გაეშალათ ამ მიმართულებით მუშაობა.

პირველი და მთავარი, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, იყო ის, რომ რუსეთის გამოცდილება საქართველოში გამოეყენებინათ შემოქმედებითად, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინი წერდა ს. ორჯონიკიძეს: „გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარ წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობელობაზე იქნება დამყარებული“ [2]. 1921 წ. 14 აპრილს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა საქართველოს,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 281.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 190.

სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებს, რომ საჭიროა ამიერკავკასიის კომუნისტებმა „შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“ [1].

მეორე, ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა გატარების დროს საქართველოს კომუნისტებს არ დაეწყოთ ხელაღებით გადასვლა სოციალიზმზე, არ მოეხდინათ ყოველგვარი საწარმოების ნაციონალიზაცია. „უნდა შევიგნოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ არა თუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა“ [2].

მესამე, ვ. ი. ლენინი კავკასიელ კომუნისტებისაგან მოითხოვდა მაქსიმალურად გამოეყენებინათ თავიანთი რესპუბლიკების პირობები, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ეკონომიურად არ იყვნენ მოწყვეტილი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. „ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდენით, — წერდა ვ. ი. ლენინი კავკასიელ კომუნისტებს, — კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან საქონელცვლას და არ იძუნწოთ: დაე, ათეულ მილიონობით უძვირფასესი სამთო პროდუქტი ხვდეს მას“ [3].

დასასრულ ვ. ი. ლენინი, ანგარიშს უწევდა რა იმ გარემოებას, რომ კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური იყვნენ, ვიდრე რუსეთი, მოითხოვდა გლეხობის მდგომარეობის ერთბაშად გაუმჯობესებას, ელექტროფიკაციისა და მორწყვითი სამუშაოების დაწყებას მხარის ასაღორძინებლად [4].

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა რუსეთის გამოცდილებით და შეიარაღებული იყვნენ ვ. ი. ლენინის პროგრამული მითითებებით, შეუდგნენ პირველ სოციალისტურ გარდაქმნების ჩატარებას.

1921 წ. 7 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.
[2] იქვე, გვ. 189.
[3] იქვე, გვ. 399.
[4] იხ. იქვე, გვ. 399—400.

წინადადება მისცა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, დაემუშავებინა მასალები მსხვილი მრეწველობისა და საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ[1]. 8 მარტს კი გამოიცა დეკრეტი კახეთის რკინიგზის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზაცია შეეხო რკინიგზის ხაზს სადგ. ნავთლუღიდან თელავამდე და წნორისწყლამდე, რომლის საერთო სიგრძე შეადგენდა 160 ვერსს[2].

მრეწველობის და საერთოდ საწარმოთა მუშაობის რეგულირებისა, ხელმძღვანელობისა და სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელებისათვის შექმნილ იქნა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მითითების შესაბამისად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა მრეწველობის ნაციონალიზაციის ჩასატარებლად მოსამზადებელ მუშაობას. ამ მიზნით დაიწყო სამრეწველო დაწესებულებებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა საწყობებისა და სავაჭრო დაწესებულებების აღწერა, რომელსაც აწარმოებდნენ თბილისში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცენტრალური ორგანოები, ხოლო ადგილებზე — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ადგილობრივი ორგანოები — ეკონომიური განყოფილებანი. რამდენადაც ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული, თუ რა სიდიდის საწარმოებს შეეხებოდა ნაციონალიზაცია, აღწერა შეეხო მრავალ საწარმოს. აღწერა ხშირ შემთხვევაში გადაიქცა სამრეწველო საწარმოების, საწყობებისა და მაღაზიების რეკვიზიციად. ეს იმით აიხსნებოდა, რომ აღსაწერ ობიექტების მეპატრონეთა ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, მეორე ნაწილი ადგილზე დარჩა, მაგრამ აირჩია განზე დგომა, მესამე ნაწილმა ფულის კურსის კატასტროფულად დაცემის გამო ვერ გამონახა სახსრები და თავი მიანება მუშაობას. გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი რეკვიზიციისა და კონფისკაციის შესახებ, რომელშიც განმარტა რეკვიზიციისა და კონფისკაციის არსი, მიუთითა ობიექტების სიდიდეზე, რომელსაც შეეხებოდა აღნიშნული ღონისძიება და განსაზღვრა ის ორგანოები, რომლებსაც ჰქონდათ უფლება გაეტარებინათ აღნიშნული ღონისძიება[3].

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 30, ფ. 10.

[2] იქვე, ს. 202, ფ. 5.

[3] იქვე, ს. 202, ფ. 9, 12.

1921 წ. 13 მაისს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ტოროშელიძის ხელმოწერით დაშვებულ იქნა ახსნა-განმარტებითი ბარათი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ[1]. ბარათში განმარტებული იყო, რომ წვრილი საწარმოები დატოვებული იქნებოდნენ მფლობელთა განკარგულებაში და მათ ნაციონალიზაცია არ შეეხებოდათ, მოცემული იყო ის კრიტერიუმი, თუ რა მონაცემები დასდებოდა საფუძვლად საწარმოების კლასიფიკაციას მათი სიდიდის მიხედვით. ბარათი განმარტავდა, რომ საქართველოს პირობებში მსხვილად უნდა ჩათვლილიყო ისეთი საწარმო, რომელშიაც მუშაობდა არანაკლებ 50 მუშა, თუ საწარმოში არ იყო დადგმული მექანიკური ძრავი, და 25 მუშა — თუ მას გააჩნდა ასეთი[2]. ამას გარდა მსხვილ საწარმოთა სიაში შეიძლებოდა შეტანილიყო ისეთი სამრეწველო ობიექტებიც, რომლებსაც მიუხედავად მუშახელის რაოდენობის და მექანიკური დანადგარის არსებობა-არარსებობისა მაღალი წარმადობა ჰქონდათ, კერძოდ, 1920 წელს გამოუშვეს არანაკლებ 20 მილიონი მანეთის პროდუქცია (1921 წ. 13 მაისის კურსით).

ნაციონალიზაცია მიჩნეული იყო დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებად. ამიტომ მისი გატარება შეიძლებოდა მხოლოდ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით.

აღნიშნულ ახსნა-განმარტებითი ბარათის სულისკვეთებით იქნა შემუშავებული მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის საწარმოების ნაციონალიზაციის პროექტი. იგი 1921 წ. 21 მაისს განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მან ნაციონალიზაციას დაუქვემდებარა ყველა საწარმო, რომელშიაც მუშაობდა 20-ზე მეტი მუშა მექანიკური ძრავის უქონლობისა და 10-ზე მეტი მუშა — ასეთი დანადგარის არსებობის დროს[3]. 1921 წ. 13 ივნისს პროექტი განიხილა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა და დაამტკიცა იგი. ასე გაჩნდა „სამომღებლო და გადამმუშავებელი წარმოების დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი № 42[4].

---

[1] მრეწველობის ნაციონალიზაცია საქართველოში (დოკუმენტები). „საისტორიო მოამბე“ ტ. 9, 1956 წ., გვ. 263—270, დოკ. 8.

[2] შემდეგში, ნაციონალიზაციის დროს ეს შეფარდება შეცვლილ იქნა.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 2, ფ. 36.

[4] საქ სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 124.

აღნიშნული დეკრეტით სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა ყველა სამრეწველო საწარმო, თუ ა) დეკრეტის გამოცემის დროისათვის, ან 1920 წლისათვის, ან მისი ნორმალური მოქმედების უკანასკნელ წელს მასში მუშაობდა არანაკლებ 20 მუშახელისა მექანიკური ძრავის უქონლობის, ან 10 მუშახელისა ასეთი ძრავის არსებობის დროს; ბ) მიუხედავად მუშახელის რაოდენობისა, თუ საწარმოში იყო არანაკლებ 25 ძალიანი მექანიკური ძრავი; გ) საწარმოს მიერ 1920 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულება უდრიდა არანაკლებ 20 მილიონ მანეთს. ნაციონალიზაციას ექვემდებარებოდა აღნიშნული საწარმოები მთელი თავისი კაპიტალით, საწარმოებით, ნედლეულის მარაგით, საქონლით და სხვა ფასეულობით.

ნაციონალიზაცია არ ეხებოდა საწარმოებს, რომლებიც ეკუთვნოდა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ან კონცესიის წესით გადაცემული იყო უცხოელ ქვეშევრდომებისათვის.

მფლობელებს, რომელთა საწარმოებს არ ეხებოდა ნაციონალიზაცია, უფლება ეძლეოდათ განეგრძოთ მუშაობა. ნებადართული იყო აგრეთვე ახალი საწარმოთა შექმნა კერძო პირების მიერ, თუ ეს საწარმოები ჩაითვლებოდნენ წვრილად.

ასეთი იყო იმ ძირითადი საკანონმდებლო აქტის შინაარსი, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოში საწარმოების ნაციონალიზაციას და რომელმაც დიდი როლი შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური საფუძვლის შექმნაში საქართველოში.

1921 წ. 30 ივნისს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ყველა იმ საწარმოს ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც დეკრეტის ძალით ექვემდებარებოდა ნაციონალიზაციას და რომელთა ნაციონალიზაციის შესახებ სპეციალური კომისიისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება არსებობდა. ამასთან ნაციონალიზებული საწარმოების მუშა-მოსამსახურენი დატოვებულ იქნენ ადგილზე და ჩაირიცხნენ სახელმწიფოს სამსახურში [1].

1921 წ. 16 ივლისს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით ჩატარდა ელექტროსადგურების ნაციონალიზაცია [2].

---

[1] მრეწველობის ნაციონალიზაცია საქართველოში (დოკუმენტები). „საისტორიო მოამბე", ტ. 9, 1956 წ., გვ. 295—298, დოკ. 23.

[2] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 128.

1921 წ. 5 ივლისის დეკრეტით ნაციონალიზებულ იქნა ყველა სტამბა და ლითოგრაფია, რომელიც ადრე არ ყოფილა ნაციონალიზებული და არ ეკუთვნოდა კოოპერაციულ ორგანიზაციებს[1]. 6 ივლისს მოხდა იმ ნავთსაცავების ნაციონალიზაცია, რომელთა მოცულობა თვითეულ მფლობელზე არ იყო ათას ფუთზე ნაკლები და არ შეადგენდა კოოპერაციული ორგანიზაციების საკუთრებას[2].

1921 წ. 26 აგვისტოს გამოცხადდა სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია. სახელმწიფოს ხელში გადავიდა ყველა სანაოსნო საწარმო, ნავთსადგური, სავაჭრო ფლოტის საწარმოები, უძრავ-მოძრავი ქონება, ფულადი საშუალებანი და სხვ.[3].

საწარმოების ნაციონალიზაცია გრძელდებოდა მთელი 1921 წლის განმავლობაში. ზოგიერთი საწარმო, მაგალითად, არვანტიდის თუნუქის ქარხანა ბათუმში, ბარიტის ქარხანა ჭუთაისის მახრაში, აბრეშუმის ძაფსართავი ქარხანა ხონში, თამბაქოს ფაბრიკა ბათუმში ნაციონალიზებულ იქნა 1922 წელს.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა ჰიათურის მარგანეცის მრეწველობას. 1913 წელს ჰიათურიდან გატანილ იქნა 66 მილ. ფუთი მარგანეცი, რაც შეადგენდა მარგანეცის მსოფლიო მოპოვების 39,6 პროცენტს[4]. იმპერიალისტური ომის წლებში მარგანეცის ამოღება მკვეთრად დაეცა. მენშევიკურმა მთავრობამ მარგანეცის მრეწველობა მთლიანად კერძო მრეწველებს ჩაუგდო ხელთ. ამ უკანასკნელებმა 1918 წელს ჩაძოაყალიბეს „ჰიათურის მარგანეცის მრეწველთა სააქციო საზოგადოება". იმავე ხანებში შეიქმნა „ჰიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება" („ჩემო"), რომელსაც მთავრობამ მიანდო მარგანეცის მთელი ექსპორტის საქმე და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მას. თავის მხრივ საზოგადოება აფინანსებდა მენშევიკების სისხლიან ავანტურებს. მენშევიკების ბატონობის დროს კიდევ უფრო შემცირდა მარგანეცის ამოღება და 1920 წლისათვის იგი შეადგენდა ომამდელი დონის ერთ მერვედს. ამავე წლებში მარგანეცის მრეწველობაზე დასაქმებული მუშახელის რაოდენობა შემცირდა 13-ჯერ[5].

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს 202, ფ. 138.

[2] იქვე, ფ. 143.

[3] გაზ. „კომუნისტი" № 162, 1921 წ. 16 სექტემბერი.

[4] იხ. მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა პირველი ყრილობა. სტენოგრ. ანგარიში, 1922 წ., გვ. 101.

[5] იხ. ნ. მ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, 1958 წ., გვ. 106.

1921 წელსაც არ წასულა საქმე წინ. მომხმარებელთა უყოლობის გამო ჰიათურასა და ფოთში დაგროვდა დიდძალი ამოღებული მარგანეცი. ამის შედეგად 1921 წელს მარგანეცის ამოღება არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ორჯერ განიხილა მარგანეცის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი და მისი გატარება დაავალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მარგანეცის მრეწველობის ნაციონალიზაცია არ მომხდარა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დასჯერდა მხოლოდ ზოგიერთ ღონისძიებათა ჩატარებას. კერძოდ, გაუქმებულ იქნა შავი ქვის მრეწველთა საბჭო და მარგანეცის მრეწველობის ხელმძღვანელობა დაევალა სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო კომიტეტის მარგანეცის მრეწველობის სამმართველოს. თვით მარგანეცის მრეწველობის სათავეში დაყენებულ იქნა მმართველი კოლეგია. საზოგადოება „ჩემო“ შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ შეიცვალა მისი წესდება. გაუქმებულად გამოცხადდა მრეწველებთან ადრე დადებული ხელშეკრულებანი და სხვ.

რაც შეეხება ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს, მისი ნაციონალიზაცია ჩატარდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მენშევიკების ბატონობის დროს ქვანახშირის ამოღება საგრძნობლად გაიზარდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ დონბასის ქვანახშირისა და ბაქოს ნავთის შემოუტანლობით გამოწვეული სათბობის დანაკლისი მენშევიკებს სურდათ ამ გზით შეევსოთ, მაგრამ ეს ამოღება ატარებდა მტაცებლურ ხასიათს: არ იყო დაცული ექსპლოატაციის წესები, არ ხდებოდა გვირაბების გამაგრება, გახშირდა ჩამონგრევის შემთხვევები მაღაროებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყურადღება მიექცა მაღაროების წესრიგში მოყვანას. უწინარეს ყოვლისა, მიღებულ იქნა ზომები ნგრევის შესაჩერებლად. საამისოდ ჩატარდა გასამაგრებელი სამუშაოები, შეწყდა მტაცებლური ექსპლოატაცია. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ქვანახშირის ამოღება, რომლის ტემპი თანდათან ძლიერდებოდა.

სათანადო ყურადღება მიექცა ძირულის (შროშის) ცეცხლგამძლე თიხისა და აგურის ქარხანას, რომელიც ნაციონალიზებულ იქნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. უწინარეს ყოვლისა, რევოლუციურმა ხელისუფლებამ ხელი მოკიდა ქარხნის აღდგენას, ხოლო 1921 წლის მაის-ივნისის თვიდან ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა.

1921 წ. აგვისტოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზემო ავ-

ჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობის შესახებ. იმავე წლის ნოემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სახსრების დაშვების შესახებ ჰიდროელსადგურის მშენებლობისათვის და საჭიროდ ცნო ამ მშენებლობის დაკვრითი მშენებლობად გამოცხადება. 1921 წლის ნოემბერში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა რუსეთის საბჭოთა მთავრობას აღმოეჩინა სამრეწველო დახმარება. მალე ქართველ ხალხს მოუვიდა რუსეთის მუშათა კლასის პირველი საჩუქარი — მაუდის ფაბრიკა, რომელიც დაიდგა ქუთაისში [1].

რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო ზომები საფინანსო საქმეების წესრიგში მოსაყვანად. 1921 წ. 27 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება ბანკების საწყობებიდან და სალაროებიდან ფულის გაცემის წესის შესახებ [2], შექმნილ იქნა ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელმაც თავის ხელში აიღო საფინანსო საქმეთა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა, აკრძალულ იქნა ძვირფასი ლითონების თავისუფალი ოპერაციები, მიღებულ იქნა ღონისძიება სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

* * *

საქართველო უაღრესად გლეხურ ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. გლეხობის უმრავლესობა სიღატაკეში ცხოვრობდა. პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით რევოლუციის წინახანებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა საშუალოდ 0,24 ნათესი, ან 0,34 დესეტინა სახნავი მიწა. ეს რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო იმ რაოდენობაზე, რომელიც მოდიოდა შიდა რუსეთის მოსახლეობის ერთ სულზე [3]. ტექნიკური ჩამორჩენილობის შედეგად მეტად დაბალი იყო მოსაელიანობა. სუსტად იყო განვითარებული მეცხოველეობა. გლეხთა უმრავლესობას სტანჯავდა მიწის სიმცირე. ეს იმ დროს, როდესაც მემამულე თავად-აზნაურებს გააჩნდათ მიწის შედარებით დიდი მასივები და იჯარით აძლევდნენ გლეხებს.

გლეხთა მდგომარეობაში არსებითი ცვლილება არ შეუტანია

[1] იხ. გაზ „კომუნისტი", № 178, 1921 წ. 6 ოქტომბერი.

[2] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 32, ფ. 21.

[3] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ტ II. თბილისი, 1956 წ., გვ. 914.

მენშევიკურ მთავრობას. მას არ მოუხდენია მემამულეთა მიწების ნაციონალიზაცია. ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის კანონი ითვალისწინებდა სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო-მფლობელთათვის ნორმის ზევით ჩამორთმეული მიწებიდან საადგილმამულო ფონდის შექმნას, საიდანაც გლეხები მიიღებდნენ მიწას. მიწის ნორმა, რომელიც შემდეგში დაუტოვეს მიწათმფლობელს, იმდენად დიდი იყო, რომ საადგილმამულო ფონდში ძალიან მცირე რაოდენობის მიწა ჩაირიცხა. „თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი წვრილმიწათმფლობელთა წოდებას წარმოადგენდა... მას საკუთრებით, ან თითქმის საკუთრებით არაფერი არ დაუკარგავთ, რამდენადაც ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს ამგვარ ნორმაზე ნაკლები მამული ჰქონდა“ [1].

გლეხთა მძლავრი რევოლუციური მოძრაობა და აჯანყებათა მძაფრი ხასიათი მენშევიკების ბატონობის წლებში უმთავრესად სწორედ აგრარული რეფორმის გლეხობისათვის არახელსაყრელობით აიხსნებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას, ბუნებრივია, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეჭრა მიწის საკითხი გლეხობის სასარგებლოდ. ამას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მიწის საკითხზე ბოლშევიკური პროგრამის განხორციელება გააფართოებდა და განამტკიცებდა საზოგადოებრივ საკუთრებას, გააძლიერებდა პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიურ საფუძვლებს, შექმნიდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის უმნიშვნელოვანეს წინამძღვრებს; მეორე, გააუმჯობესებდა გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობას, გამოიყვანდა მას ქრონიკული სიღატაკიდან; მესამე, განამტკიცებდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირს — პროლეტარიატის დიქტატურის ამ უმაღლეს პრინციპს, გაადვილებდა პროლეტარიატის მხრივ გლეხობისადმი სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას, განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიწის საკითხი პირველად განიხილა 1921 წ. 26 თებერვალს. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „მიწაზე საკუთრების საკითხი ამჟამად არ დაისვას. გამოიცეს დეკრეტი არამშრომელთა მიწების მშრომელთათვის გადაცემის შესახებ, რისთვისაც შეიქმნას მიწის კომიტეტი (დეკრე-

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბილისი, 1956 წ., გვ. 930—931.

ტის რედაქტირება დაევალოს ამხ. ორახელაშვილს)"[1]. ოქმიდან არა ჩანს, თუ რატომ თქვა უარი რევოლუციურმა კომიტეტმა მიწის საკუთრების საკითხის განხილვაზე, მით უმეტეს, არსებობდა ამ საკითხის სწრაფად გადაჭრის მაგალითი რუსეთში საბჭოთა მეორე ყრილობის დეკრეტის სახით.

უფრო გვიან მამია ორახელაშვილი აცხადებდა, რომ მიწის საკითხის ევოლუციური გზით გადაჭრის კურსი აღებულ იქნა იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში დაემთხვა თესვის პერიოდს და გლეხების მიერ „მიწის თვითნებურად დატაცება" ხელს შეუშლიდა თესვის მიმდინარეობასო[2]. მაგრამ ევოლუციური კურსიდან რევოლუციურ კომიტეტს ხელი არ აუღია არც შემდეგ, როცა მოსავალი უკვე აღებული იყო.

1921 წ. 14 მარტს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც იუწყებოდა რა მიწის შესახებ ბურჟუაზიული კანონმდებლობის აუცილებლად შეცვლაზე, გაფრთხილებას იძლეოდა სათანადო კანონის გამოცემამდე ხელუხლებლად ყოფილიყო დაცული ყოფილი მთავრობის და ყოფილი მემამულეების ყოველგვარი ქონება. ამასთან ადგილობრივ რევოლუციურ კომიტეტებს დაევალათ მიეღოთ ზომები აღნიშნული ქონების დატაცების შესაჩერებლად, თუ კი ადგილი ჰქონდა მსგავს მოვლენებს[3]. რამდენიმე დღის შემდეგ, 1921 წ. 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება, რომ აგრარული რეფორმა გადაიჭრებოდა იმგვარად, როგორც ეს გადაიჭრა საბჭოთა რუსეთშიო[4]. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ბრძანება და განცხადება მიზნად ისახავდა გლეხთა დამშვიდებას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მოელოდნენ მიწის შესახებ მათთვის სასარგებლო კანონის გამოცემას. გლეხთა ასეთ განწყობილებაში არაფერი იყო მოულოდნელი. მათ კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში ეს საკითხი გადაიჭრა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე და ფიქრობდნენ, იგივე განმეორდებოდა საქართველოშიაც. როცა ეს ასე არ მოხდა, მათ იწყეს ყოფილი მთავრობისა და ყოფილი მემამულეების ქონების „თვითნებურად დატაცება".

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 13, ფ. 10.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, ს. 199, ფ. 41.

[3] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 11, ფ. 22.

[4] გაზ. „კომუნისტი", № 16, 1921 წ. 22 მარტი.

მხოლოდ 1921 წ. 9 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც დათარიღებული იყო 6 აპრილით [1].

დეკრეტით გამოცხადდა მიწების ნაციონალიზაცია, აიკრძალა მისი ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ან სხვა სახით სხვაზე გადაცემა. მემამულეთა მიწების კონფისკაციას ადგილებზე ახდენდნენ ღარიბ გლეხთა კომიტეტები მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ან მაზრის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. კომიტეტებივე განსაზღვრავდნენ იმ მიწების რაოდენობას, რომელიც უნდა ჩამორთმეოდა მიწათმფლობელთ და დადგენილი ნორმის მიხედვით გადასცემდნენ გლეხებს. მსხვილი მამულები, რომლებზედაც გაშენებული იყო დიდმნიშვნელოვანი პლანტაციები, სანერგეები, ბაღები და სხვა, რჩებოდა სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში საჩვენებელ სახალხო მამულების მოსაწყობად. გათვალისწინებული იყო წამახალისებელი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების და სხვ. შესაქმნელად. წიაღის სიმდიდრენი გადადიოდა სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში.

მიწით სარგებლობის უფლება ენიჭებოდა ყველა მოქალაქეს, რომელიც კი მას დაამუშავებდა საკუთარი შრომით და ოჯახის წევრების დახმარებით. ჩამორთმეული მიწების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უსასყიდლოდ გადადიოდა ან სახელმწიფოს ხელში, ან თემის განკარგულებაში. ხელმოკლე გლეხებს, რომლებმაც მიწა შეისყიდეს მენშევიკების დროს, სახელმწიფო უკან უბრუნებდა ფულს, ხოლო მიწა რჩებოდა მათს განკარგულებაში.

ამრიგად, საქართველოს გლეხობამ, რომელმაც არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, მიიღო მისთვის სასურველი აგრარული კანონი. ეს იყო დიდი ისტორიული გამარჯვება, რომელიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატის უშუალო დახმარებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ხალხის წინაშე დადგა ახალი ამოცანა — დეკრეტის განხორციელება. უნდა ითქვას, რომ ამის გაკეთება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა ნაციონალ-უკლონისტების პოლიტიკის მეოხებით. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ადგილობრივ რევოლუციურ კომიტეტებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, არ დაეშვათ

---

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 42, 45.

მიწათმფლობელობაში რაიმე ცვლილების მოხდენა, სანამდის ყველაფერი არ იქნებოდა გაფორმებული კანონიერად, ხოლო კანონიერად გაფორმება უფრო და უფრო ჭიანურდებოდა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულარები სითამამეს მატებდა მემამულეებს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე პირდაპირ მიუთითებდა ისეთ ფაქტებზე, როცა მემამულეებმა მოითხოვეს ძველი უფლებების აღდგენა, ხოლო გორის მაზრაში ღალის აკრეფასაც კი შეუდგნენ[1]. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები ადგილებზე მოქმედებდნენ კანონის საწინააღმდეგოდ, ხოლო კომისარიატთან შექმნილი კომისიები უმრავლეს შემთხვევაში სადაო საკითხებს მემამულეთა სასარგებლოდ წყვეტდნენ[2].

დეკრეტის განხორციელებისათვის მოსამზადებელი მუშაობა ძალიან გაჭიანურდა. ამ მდგომარეობას მტკივნეულად განიცდიდა გლეხობა. სწორედ ამ უკმაყოფილო გლეხების განწყობილებას გამოხატავდნენ საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევოლუციური კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების პირველი ყრილობის დელეგატები, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებდნენ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობას. ამიტომ სრულიად არ იყო შემთხვევითი ის გარემოება, რომ ყრილობამ აღნიშნული კომისარიატის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო[3].

საქართველოში მიწის შესახებ მიღებული დეკრეტი შედარებით გვიან განხორციელდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა და იქიდან გამოყვანილ იქნენ ნაციონალ-უკლონისტები, დაიწყო მუშაობა დეკრეტის სასწრაფო წესით განხორციელებისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1922 წლის 27 ნოემბრის დადგენილებამ. ამ დადგენილებით აგრარული რეფორმის დამთავრება მიჩნეულ იქნა დაკვრითი ხასიათის ამოცანად, საჭიროდ იქნა ცნობილი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატის გადახალისება და სხვ.

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი" № 129, 1921 წ. 7 აგვისტო.

[2] იხ ი. მ. კაკარაულას წიგნი „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში". თბილისი, 1958 წ., გვ. 158—159.

[3] იხ. სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა პირველი ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, თბილისი, 1922 წ., გვ. 295.

საქმე დაიძრა ადგილიდან. მოკლე დროის განმავლობაში დამთავრდა ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევა და მათი გადაცემა გლეხებისათვის, დაიწყო მუშაობა რეგულარული მიწათმოწყობისათვის. განხორციელდა მიწების ფაქტიური ნაციონალიზაცია.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე, მოახდინა პირველი სოციალისტური გარდაქმნები ეკონომიკაში. მსხვილი მრეწველობის, ტრანსპორტის საშუალებათა, მიწების ნაციონალიზაციის და სხვ. მეთხებით შეიქმნა მტკიცე საფუძველი შემდგომი წინსვლისათვის.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა საქართველოში ისტორიულად დაემთხვა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო მუშათა კლასსა და გლეხობას შორის სწორი ურთიერთობის დამყარების ამოცანის განხორციელებასთან. რუსეთში, სადაც სასურსათო გაწერის შემდეგ სასურსათო გადასახადის შემოღება გლეხობისათვის სავსებით ხელსაყრელი და გასაგები იყო, საქართველოში მოითხოვდა ფართო ახსნა-განმარტებითს და მოსამზადებელ მუშაობას.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და რევოლუციურმა კომიტეტმა, ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის X ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით და ვ. ი. ლენინის მითითებებით, ხელი მოკიდეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებას. ამისდა შესაბამისად, საქართველოში არ შეზღუდულა თავისუფალი ვაჭრობა აღნიშნული პოლიტიკით გათვალისწინებულ ფარგლებში, დაწესებულ იქნა სასურსათო გადასახადი და სხვ. მიღებულ იქნა ზომები 1921 წ. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება და თესვის კამპანიის ჩატარება საქართველოში მიმდინარეობდა შედარებით რთულ ვითარებაში. ანტისაბჭოთა პარტიები და კაპიტალისტური ელემენტები, რომელთაც არ განუცდიათ ისეთი მძლავრი დარტყმა, როგორც ეს რუსეთში იგემეს სამხედრო კომუნიზმის დროს, გაძლიერებულ წინააღმდეგობას წევდნენ, მიმართავდნენ პროვოკაციებს, ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა ხმებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციებმა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებმა შეძლეს მტრული ძალების იზოლაცია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების

საქმეში დაშვებული შეცდომების (სასურსათო გადასახადის გვიან დაწესება და სხვ.) გამოსწორება და სახალხო მეურნეობის დაყენება აღმავლობის გზაზე.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გარკვეული მუშაობა ჩაატარა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მასების კულტურული დონის ამაღლებისა და მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მენშევიკური მთავრობის მიერ მიღებული შრომითი კანონმდებლობის გაუქმება და ახალი კანონმდებლობის შემუშავება. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტებით შემოღებულ იქნა რვასაათიანი სამუშაო დღე [1], დაწესებულ იქნა ახალი სატარიფო განაკვეთი [2], მოწესრიგდა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა [3], ჩატარდა დამზღვევ საზოგადოებათა ნაციონალიზაცია [4], მუშათა ოჯახები შესახლებულ იქნენ მდიდართა ბინებში და სხვა. ამ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა მშრომელთა უფლებები, გაუმჯობესდა მათი ეკონომიური მდგომარეობა. თუ 1920 წ. მუშის საშუალო ხელფასი ჩერვონეცის კურსზე გადაყვანით თვეში შეადგენდა 4 მანეთს, 1921 წ. მან შეადგინა 8 მანეთი, ხოლო 1922 წელს — 12 მანეთი [5]. 1921 წ. ნოემბრისათვის თბილისში მოეწყო 71 მუშათა სახლი 2.860 ოთახით, რომლებშიაც შესახლებულ იქნა მუშათა 2.500 ოჯახი 5.500 მცხოვრებით, ხოლო მდიდართა კეთილმოწყობილ ბინებში შესახლებულ იქნა 1.500 მუშის ოჯახი 4 ათასი მცხოვრებით, სულ, კარგ ბინებში შესახლებულ იქნა 4 ათასი მუშის ოჯახი 9.500 მცხოვრებით [6].

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს იმისათვის, რომ გადაეღახათ სასურსათო სიძნელეები, რომელიც გამოწვეული იყო ომის, მენშევიკების ბატონობის წლებში ნათესი ფართობების შემცირებისა და სტიქიურ უბედურებათა (ხანგრძლივი წვიმები 1921 წ. გაზაფხულზე და გამანადგურებელი გვალვები

[1] საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 281, ს. 202, ფ. 66—67.
[2] იქვე. ფ. 99.
[3] იქვე. ფ. 26.
[4] იქვე, ფ. 147.
[5] იხ. კრებული „ექვსი წლის თავზე", თბილისი, 1927 წ., გვ. 43—44.
[6] იხ. გაზ. „კომუნისტი" № 202, 1921 წ. 3 ნოემბერი

იმავე წლის ზაფხულში) შედეგად. პარტიამ და ხელისუფლებამ მოახდინეს შინაგანი რესურსების მობილიზაცია, მოაწყვეს სურსათის შესყიდვა საზღვარგარეთულ ქვეყნებში, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს სპეკულაციას, გაატარეს საგანგებო ღონისძიებანი. ამ გაჭირვების ჟამს საქართველოს მშრომელებს ძმური დახმარების ხელი გამოუწოდეს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ და პირადად ვ. ი. ლენინმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს რუსეთის მთელ რიგ გუბერნიებში, კერძოდ ვოლგისპირეთში, მძიმე სასურსათო მდგომარეობა იყო, 1921 წ. მარტიდან იმავე წლის 1 ოქტომბრამდე რუსეთიდან საქართველოში შემოტანილ იქნა 233.655 ფუთი პური, 15 ვაგონი შაქარი, 600 ვაგონი მარილი, 720 ათასი არშინი ქსოვილი და 6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი[1]. საბჭოთა რუსეთის ხელისშეწყობითა და დახმარებით, ბოლშევიკური ორგანიზაციების ენერგიული მუშაობითა და მშრომელი ხალხის გმირული შრომით სიძნელეები თითქმის მთლიანად იქნა გადალახული 1922 წ. ბოლოსათვის.

რევოლუციურმა კომიტეტმა ქმედითი ზომები მიიღო მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის. გამოიცა დეკრეტები წიგნის არმიის ნაწილებსა და მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ[2]. ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან, მიღებულ იქნა ზომები პედაგოგიური კადრებით სკოლების უზრუნველსაყოფად და ამ კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სასკოლო ასაკის ბავშვების ჩასაბმელად სასწავლებლებში, გატარდა ღონისძიება უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, სტუდენტებისა და მეცნიერ-მუშაკების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, საკლუბო მუშაობის გაშლის, საბიბლიოთეკო საქმის წესრიგში მოყვანის, კინო-თეატრების, ჭოხ-სამკითხველოების ქსელის გაშლის, მშრომელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოების საქმეში და სხვ.

* * *

ერთი წლის მანძილზე საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა წარმატე-

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი" № 206. 1921 წ. 9 სექტემბერი.

[2] იხ. „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში" (დოკუმენტებისა და მასალების კრებული), თბილისი, 1959, დოკ. 207 და 211 (რუს.).

ბით გადასწყვიტეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები. ეს, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველყოფილ იქნა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენების, კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის და პირადად ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობის და საბჭოთა რუსეთის მატერიალური დახმარებისა და მორალური მხარდაჭერის შედეგად.

სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების სოციალისტური ხასიათის ძირეულმა გარდაქმნებმა საფუძვლიანად განამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. ამ პირველ დიდ მონაპოვარზე დაყრდნობით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე. ისტორიულად მოკლე ვადაში მოშუშებულ იქნა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები, აღდგენილ იქნა სახალხო მეურნეობა, აშენებულ იქნა სოციალისტური საზოგადოება. აყვავდა და გაიფურჩქნა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა. საქართველო გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ და მოწინავე რესპუბლიკად, რომლის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად წარმატებით იბრძვიან კომუნიზმის აშენებისათვის.

Н. А. ЧИКОБАВА

РЕВОЛЮЦИОННЫЙ КОМИТЕТ ГРУЗИИ И БОРЬБА ЗА УПРОЧЕНИЕ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ

Резюме

1. После победы Великой Октябрьской Социалистической революции, отражая стремления буржуазно-помещичьих классов, мелкобуржуазные партии оторвали от Советской России вместе с Закавказьем и Грузию. В Грузии была установлена диктатура меньшевистской партии. Меньшевики направили развитие Грузии по капиталистическому пути. Внешняя и внутренняя политика меньшевистского правительства вызвала хозяйственную разруху, ухудшила положение трудового народа. Грузия стала опорным пунктом контрреволюционных сил, борющихся против Советской России.

2. Под руководством Коммунистической Партии трудящиеся Грузии продолжали борьбу за победу Социалистической революции. В этот период усиливается рабочее движение, вспыхивают крестьянские восстания. Великие победы Красной Армии над внутренней контрреволюцией и иностранными интервентами придавали силы трудящимся Грузии в борьбе против меньшевистско-буржуазного правительства.

3. В конце 1920 и в начале 1921 года в Грузии созрела революционная ситуация. Трудящиеся Грузии успешно использовали создавшуюся обстановку и в феврале 1921 года начали вооруженное восстание. В огне восстания по опыту русской революции и других Советских республик был создан Революционный комитет. Ревком Грузии, чтобы спасти страну от нашествия мировых реакционных сил, стремившихся оказать военную поддержку меньшевистскому правительству, обратился за помощью к В. И. Ленину. При поддержке братского русского народа и его Красной Армии в Грузии было свергнуто меньшевистское правительство и установлена Советская власть.

4. После победы Социалистической революции ревком Грузии временно, до создания Советских выборных органов, взял в свои руки всю власть. Таким образом, из органа восстания он стал органом управления. Его задача состояла в том, чтобы провести первые социалистические преобразования в политической и экономической жизни страны. Руководствуясь указаниями В. И. Ленина и творчески применяя опыт Советской власти в России, ревком Грузии обеспечил: а) ломку старого, меньшевистско-буржуазного государственного аппарата и создания нового, социалистического государственного аппарата; б) проведение первых социалистических преобразований в экономике республики, прежде всего, обобществление основных средств производства, подорвавшее экономическое могущество имущих классов; в) приостановление процесса разрушения народного хозяйства и создание условий для экономического подъема; г) разрешение национального вопроса в духе марксизма-ленинизма и создание основы для развития дружественного взаимоотношения между народами, проживающими в Грузии; д) завоевание доверия масс, проведение выборов в Советы и, таким образом, переход на Советскую государственную форму диктатуры пролетариата; е) принятие дей-

ственных мер для улучшения положения трудящихся и для развития образования, науки и культуры.

5. Проведение важнейших политических и экономических мероприятий и победоносный выход из сложившихся трудностей стали возможными благодаря бескорыстной помощи Советской России, благодаря осуществлению указаний В. И. Ленина, руководству ленинского ЦК РКП(б) и использованию богатого опыта русского рабочего класса.

6. Во время этих исторических преобразований в руководстве КП(б) Грузии среди некоторых членов ревкома стал распространяться национал-уклонизм. Однако национал-уклонистам не удалось сбить большевистские организации и ревком Грузии с ленинского пути. Большевистские организации Грузии сплотились вокруг ленинского ЦК РКП(б), возглавили борьбу трудящихся Грузии за политику партии, нанесли сокрушительный удар уклонистам, вражеским элементам, которые старались помешать проведению линии партии.

7. Претворение в жизнь ревкомом Грузии экономических и политических преобразований вывело нашу республику на широкую творческую арену. Под руководством Коммунистической партии, в братском союзе со всеми Советскими народами, в первую очередь с русским, грузинский народ в короткий исторический срок залечил тяжелые раны, восстановил народное хозяйство, провел индустриализацию своей республики, коллективизацию сельского хозяйства, развил по содержанию социалистическую, а по форме национальную культуру и построил социалистическое общество. Ныне трудолюбивый народ Грузии вместе со всеми народами нашей великой страны, сплоченный под знаменем Коммунистической Партии Советского Союза, успешно борется за выполнение исторических решений XX и XXI съездов КПСС, за построение Коммунистического общества.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

გ. ს ა ნ ა ძ ე

საქართველოში სიმინდის წარმოებაზე დანახარჯების საკითხისათვის *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958—1959 წლების დეკემბრის პლენუმებმა და სკკპ XXI ყრილობამ გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ წლებში და დასახეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები.

პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მოისპო მეცხოველეობის ქრონიკული ჩამორჩენა საბჭოთა კავშირში და გამოყვანილ იქნა იგი აღმავლობის გზაზე. მეცხოველეობის აღმავლობის გადამწყვეტი პირობა იყო საკვები ბაზის განმტკიცება, უმთავრესად სიმინდის წარმოების გადიდებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოპოვებულია ერთგვარი წარმატებები საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში. სიმინდი ძირითადი კულტურა გახდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების საკითხი ეს უპირველეს ყოვლისა სიმინდის წარმოების გადიდებისა და გაიაფების საკითხია.

სიმინდი ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურაა. მას მრავალმხრივი უპირატესობა აქვს სხვა საკვებ კულტურებთან შედარებით. თუ შევადარებთ ერთი ჰექტარი სიმინდისა და სხვა საკვები კულტურების პროდუქციას, დავინახავთ, რომ სიმინდს, როგორც სასილოსე კულტურას, ბადალი არ მოეპოვება.

---

* ნაწილი სადისერტაციო შრომისა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

№ №	კულტურის დასახელება	მოსავალი ჰექტარზე ცენტნერობით	მოსავალი ჰექტარზე საკვები ერთეულებით
1	შაქრის ჭარხალი (ძირი და ფოჩი) . .	300 ($^{200}/_{100}$)	7000
2	ა) სასილოსე სიმინდი (რძიან-ოდოშ სიმწიფის დასაწყისში ცალ-ცალკე დასილოსებისას (ტარო, ღეროა და ფოთოლი)	300 ($^{90}/_{210}$)	6750
	ბ) სასილოსე სიმინდი (ღეროა ტაროიანად რძიან-ოდოშ სიმწიფეში) .	275	5775
	გ) მარცვალი სიმინდის ტაროდ 18% ტენიანობის დროს და სიმინდის ხმელი ღეროა სულ	90 ($^{30}/_{60}$)	5400
	დ) სიმინდი მწვანე საკვებად	200	3600
3	კარტოფილი	175	5250
4	საკვები ჭარხალი (ძირი და ფოჩი) . .	400	5200
5	სასილოსე მზესუმზირა	200	3200
6	შვრია (მარცვალი და ნამჯა)	40	2320 *

როგორც ცხრილიდან ჩანს, სასილოსე სიმინდი იძლევა ჰექტარზე მეტ საკვებ ერთეულს, ვიდრე სხვა კულტურები, გარდა შაქრის ჭარხლისა. ამასთან აღსანიშნავია, რომ შრომა, რომელიც საჭიროა ჰექტარი შაქრის ჭარხლის მოსაყვანად, მოიყვანს სიმინდს ხუთ ჰექტარ ფართობზე.

ცვილისებრ სიმწიფის დასაწყისში აღებული მარცვალი ტაროდ თავისი კვებითი ღირებულებით ხმელ მარცვალს უდრის, ხოლო ამ სტადიაში აღებული ღერო და ფოთოლი 3.5-ჯერ მეტ საკვებ ერთეულს იძლევა, ვიდრე ხმელი ღერო. ცვილისებრ სიმწიფის დასაწყისში აღებული ერთი ჰექტარი სასილოსე სიმინდი თავისი კვებითი ღირებულებით ტოლია რძისებრ სიმწიფეში აღებულ 1,17, ხმელ მარცვლად აღებულ 1,24, მწვანე საკვებად აღებულ 1,87 ჰექტარისა. ამრიგად, ყველაზე უფრო ხელსაყრელია საკვები სიმინდი აღებულ იქნეს რძიან-ოდოშ (რძისებრ-ცვილისებრ) სიმწიფის სტადიაში.

სიმინდი ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებასა და მისი ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას.

* ნ. ს. ხრუშჩოვი, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1955 წლის 25 იანვარს, 1955, გვ. 47.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოცემულ 1957 წლის გაანგარიშებათა მიხედვით სიმინდის კულტურის შრომატევადობა ასეთ სურათს იძლევა:

№ №	კულტურის დასახელება	მოსავლის ჰექტ. ცენტნერობით	დაიხარჯა ჰექტარზე კაც-დღეები	დახარჯული კაც-დღე იძლევა საკვებ ერთეულებს	დახარჯულ კაც-დღეზე წარმოებული საკვებიდან შეიძლება მივიღოთ ხორცი კილოგრამობით
1	ა) სიმინდი რძიან-ოდოშ სიმწიფეში სასილოსედ	370	15,3	441	80
	ბ) სიმინდი მწიფე მარცვლად (ხმელი ღეროების ჩაუთვლელად) . .	30	28,8	140	25,5
2	შაქრის ჭარხალი (ძირები და ფოჩი)	360	103	68	12,4 *

როგორც ვხედავთ, ფართობის ერთეულზე შრომის დანახარჯების მიხედვით ყველაზე ნაკლებშრომატევადია რძიან-ოდოშ სიმწიფის სტადიაში აღებული სიმინდი. მაგრამ კულტურის შრომატევადობა უნდა განვსაზღვროთ არა მხოლოდ ფართობის ერთეულზე შრომის დანახარჯების მიხედვით, არამედ, და უწინარეს, შრომის დანახარჯებით პროდუქციის ერთეულზე, შრომის ანაზღაურების მიხედვით. რძიან-ოდოშ სიმწიფეში აღებულ სიმინდზე დახარჯული კაც-დღე იძლევა საკვებ ერთეულებს 3,2-ჯერ მეტს მწიფე მარცვლად აღებულ სიმინდთან და 6,5-ჯერ მეტს შაქრის ჭარხალთან შედარებით. მაშასადამე, დახარჯული კაც-დღე პირველ შემთხვევაში მოგვცემს 6,5-ჯერ მეტ ხორცს, ვიდრე მესამე შემთხვევაში. როგორც ჩანს, რძიან-ოდოშ სიმწიფეში აღებული სიმინდი ყველაზე მეტად ანაზღაურებს დახარჯულ შრომას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და სიმინდის წარმოების განვითარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის მწარმოებლურობის გადიდებას. შრომის მწარმოებლურობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, მეურნეობის სიდიდე, მოსახლეობის კულტურული დონე და მშრომელთა კვალიფიკაცია, შრომის

* ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, სიტყვა სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე, ხორცის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა საყოველთაო საბალხო ამოცანაა, 1957, გვ. 43, 44.

ორგანიზაცია, მუშაკის მატერიალური დაინტერესება და ბუნებრივი პირობები.

ჩვენ უნდა გავადიდოთ სიმინდის წარმოება შრომისა და სახსრების რაც შეიძლება მცირე დახარჯვით. მაშასადამე, აუცილებელია ანგარიში იმისა, რა უფრო ხელსაყრელია, რა იძლევა მეტ ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოში სიმინდის მთავარი მწარმოებლები კოლმეურნეობებია და, მაშასადამე, სიმინდის წარმოების ზრდა ძირითადად კოლმეურნეობრივი წარმოების აღმავლობის საფუძველზე განხორციელდება. კოლმეურნეობა საქონლური წარმოების ისტორიულად განსაზღვრული ფორმაა და მის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღირებულების კანონის სწორად გამოყენებას.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წარმოებული მარცვლეული პროდუქციის უდიდესი ნაწილი არ ხდება ყიდვა-გაყიდვის საგანი და, მაშასადამე, არ არის საქონელი.

1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობრივ სექტორში წარმოებული სიმინდის მარცვლის საერთო პროდუქციის 1,1% გათვალისწინებული იყო საკოლმეურნეო ვაჭრობის წესით გასაყიდად, ხოლო 3,5% — სახელმწიფო დამამზადებლებსა და კოოპერაციებზე მისაყიდად. ამრიგად, ორივე სახის საქონლური პროდუქცია სიმინდის საერთო პროდუქციის 4,6%-ია. როგორც ჩანს, კოლმეურნეობრივი სექტორის სიმინდის მარცვლის საერთო პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილია საქონელი. 1958 წელს კოლმეურნეობრივი სექტორის სიმინდის მარცვლის საერთო პროდუქციის 52,3% განსაზღვრული იყო შრომის ანაზღაურების სახით გასაცემად, 25,6% გამოყოფილ იქნა საფურაჟე ფონდის სახით, 4,3% — სათესლედ [1]. ამრიგად, სიმინდის პროდუქციის ნაწილი მოიხმარება მწარმოებლის (კოლმეურნეობის) მიერ, როგორც წარმოების საშუალება მარცვლეულის წარმოებასა და მეცხოველეობაში.

სკკპ მიზნად დაუსახა თითოეულ კოლმეურნეობას, შექმნას მტკიცე საკვები ბაზა და აწარმოოს საკვები სიმინდი საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შრომისა და სახსრების რაც შეიძლება მცირე დახარჯვით.

ისმება კითხვა, მეურნეობის შიგნით მოხმარებული საკუთარი წარმოების პროდუქტი, ამ შემთხვევაში სათესლე და საფურაჟე

---

[1] გაანგარიშებანი გაკეთებულია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების რესპუბლიკური ჯგუფის საფუძველზე.

სიმინდი, შევა თუ არა საქონლური პროდუქტის (მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის) ღირებულებაში, როგორც მისი შემადგენელი ელემენტი? დიახ, შევა.

პროდუქტი — საქონელი მწარმოებლის ხელიდან გადადის იმის ხელში, ვისაც იგი ემსახურება სახმარი ღირებულების სახით, და, ამასთან, ადგილი აქვს ყიდვა-გაყიდვას, ე. ი. მწარმოებელი პროდუქტში გახორციელებულ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ექვივალენტს ღებულობს ფულის სახით.

საქონელი ეს არის სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობის განსახიერება. ღირებულება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასახავს ურთიერთობას საქონელმწარმოებელთა შორის.

როდესაც ვამბობთ საქონელს განსაზღვრული ღირებულება აქვსო, მხედველობაში გვაქვს, რომ 1) იგი საზოგადოებრივად საჭირბოროტო პროდუქტს წარმოადგენს; 2) მას მწარმოებელი ამზადებს საკუთარ ანგარიშზე; 3) იგი განსაზღვრული რაოდენობის საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პროდუქტს წარმოადგენს; 4) ეს რაოდენობა გამოიხატება არა თვით შრომაში (საათების განსაზღვრულ რაოდენობაში), არამედ რომელიმე სხვა საქონელში.

საკუთარი წარმოების სიმინდის თესლი კოლმეურნეობის ბეღელსა და მინდორს შორის მიდი-მოდის და არასოდეს არ იცვლის მესაკუთრეს. მესაკუთრეს არ იცვლის საკუთარი წარმოების საფურაჟე სიმინდი, ისე შედის წარმოებაში — მეცხოველეობაში. ეს პროდუქცია აღინიშნება ანგარიშწარმოებაში, როგორც თვითღირებულების შემადგენელი ელემენტი. კოლმეურნეობას მისი საკუთარი პროდუქციის ნაწილი კვლავ ემსახურება წარმოების საშუალებად. ისე გამოდის, თითქოს მწარმოებელმა (კოლმეურნეობამ) თავის თავს მიყიდა პროდუქტი.

კოლწევრთა შრომის ერთი ნაწილი ნატურით ნაზღაურდება. კოლმეურნეობრივი პროდუქციის ეს ნაწილი თვითღირებულების შემადგენელი ელემენტია და, მაშასადამე, შრომა-დღეზე გაცემული ნატურა — სიმინდი ფულად იქცევა ანგარიშწარმოებაში.

ამრიგად, საკუთარი წარმოების სათესლე, საკვები და შრომადღეზე გაცემული სიმინდი ყიდვა-გაყიდვის გარეშე შედის მოხმარებაში[1]. ის რეალურად კი არ იქცევა ფულად, არამედ მხოლოდ წარმოდგენაში შეუთანასწორდება ფულს და ფულის სახით მიიღებს ფიქსაციას ანგარიშწარმოებაში.

[1] კოლწევრები შრომა-დღეზე მიღებულ სიმინდის ნაწილს ყიდიან, რასაც აქ მხედველობაში არ ვიღებთ.

კოლმეურნეობრივი პროდუქციის ერთი ნაწილი, რომელიც მიეყიდება სახელმწიფოს, კოოპერაციულ გაერთიანებებს და ინდივიდებს ერთი მესაკუთრის ხელიდან გადადის მეორე მესაკუთრის ხელში, მწარმოებელი ღებულობს პროდუქტში გახორციელებულ საზოგადოებრივი შრომის ექვივალენტს ფულის სახით. პროდუქტი რეალურად იქცევა ფულად. მყიდველის ხელში გადადის საქონელი, გამყიდველის ხელში — ფული.

მეურნეობის შიგნით მოხმარებული საკუთარი წარმოების წარმოების საშუალება (ამ შემთხვევაში სათესლე და საფურაჟე სიმინდი) საქონელწარმოებაში შედის როგორც საქონელი ფორმალურად, რაც გამოიხატება მის ფულად შეფასებაში. იგი ერთვება ურთიერთობაში, რომლის ასახვასაც ღირებულება წარმოადგენს და მასზე დახარჯული შრომა ღებულობს აბსტრაქტული შრომის ხასიათს.

მეცხოველეობის პროდუქციის გაიაფება დიდადაა დამოკიდებული სიმინდის წარმოების გაიაფებაზე, ეს უკანასკნელი კი — მისი ღირებულებისა და თვითღირებულების შემცირებაზე.

პროდუქციის ერთეულის ღირებულების სიდიდე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია შრომის მწარმოებლურობასთან. რამდენადაც მაღალია შრომის მწარმოებლურობა, იმდენად დაბალია პროდუქციის ერთეულის ღირებულება.

შრომის მწარმოებლურობის გადიდების საკითხი — ეს, უპირველეს ყოვლისა, მექანიზაციის საკითხია.

ახლა ჩვენს მანქანათმშენებლობას შეუძლია საჭირო მანქანაიარაღებით მოამარაგოს სიმინდის წარმოება, რათა გახორციელდეს მისი კომპლექსური მექანიზაცია.

კიროვოგრადის მხარის ნოვოუკრაინსკის რაიონის პარტიის XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია სოციალისტური შრომის გმირი ა. გიტალოვი, გამოვიდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად სიმინდის ხელით შრომის გარეშე მოყვანის საქმეში.

გიტალოვის ბრიგადა სიმინდის წარმოების ყველა სამუშაოს ასრულებს მანქანებით, რითაც მკვეთრად ამცირებს დანახარჯებს ამ კულტურის მოყვანაზე. თუ ჩვეულებრივი დამუშავების დროს ერთი ჰექტარი სიმინდის მოყვანაზე იხარჯებოდა 21 კაც-დღე, კომპლექსური მექანიზაციის გახორციელების შედეგად 1958 წელს დაიხარჯა 7,8 კაც-დღე, ხოლო 1959 წელს — მხოლოდ 2,6 კაც-

დღე [1]. ამრიგად, 1959 წელს შრომითი დანახარჯები ჰექტარი სიმინდის მოყვანაზე, ჩვეულებრივ დამუშავებასთან შედარებით, შემცირდა 8-ჯერ და მეტად.

ტერნოპოლის ოლქის სკალატსკის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის რგოლმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერემენკო, 1959 წელს მიიღო ჰექტარზე საშუალოდ 216 ცენტნერი სიმინდი. ცენტნერი სიმინდის მარცვლის წარმოებაზე რგოლმა დახარჯა 23 წუთი [2].

სახელგანთქმულმა ვორონეჟელმა ტრაქტორისტმა ნიკოლოზ მანუკოვსკიმ ჩვენი ქვეყნის მექანიზატორებს მოუწოდა ითავონ კოლმეურნეობებში ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გახორციელება, ხელით შრომის მინიმუმამდე დაყვანა.

მექანიზაციის გახორციელება დამოკიდებულია ტექნიკასა და მის სწორად გამოყენებაზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის შეიარაღება მოწინავე ტექნიკით, რამაც მკვეთრად შეცვალა სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სტრუქტურა მექანიკური ამძრავების სასარგებლოდ.

მტს-ებმა უდიდესი როლი შეასრულეს როგორც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ-ტექნიკურმა ბაზამ, ამასთან მტს-ების რეორგანიზაცია სტს-ებად უაღრესად დროული და აუცილებელი ღონისძიება იყო. ჩვენი კოლმეურნეობები გახდნენ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მესაკუთრეები. 1959 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში ირიცხებოდა 4.137 შალგიანი და თვლიანი ტრაქტორი, 1340 მარცვლეულის კომბაინი, 3.394 საერთო დანიშნულების ტრაქტორის გუთანი, 1.955 მარცვლის სათესი, 530 სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი, 175 სილოსის ასაღები კომბაინი, 48 სიმინდის ასაღები კომბაინი [3] და სხვა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

1957 წლისათვის საქართველოში მექანიზებული იყო ანეულის ხვნის 84%, მზრალად ხვნის 94%, საგაზაფხულო კულტურების თესვის 46%, საშემოდგომო კულტურების თესვის 84%, მარცვლეულის აღების 50% (კომბაინებით) [4].

---

[1] ა. გიტალოვი, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წ.) პლენუმზე, გაზ. „Правда", 1959 26 XII. № 350.

[2] ნ. ვ. პოდგორნი, მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1959 წ.) პლენუმზე, გაზ. „Правда", 1959 23 XII. № 357.

[3] კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების რესპუბლიკური ჯამლიდან.

[4] Грузинская ССР, статистический сборник, თბ. 1959.

1958 წელს მექანიკური წევის მანქანებით შესრულდა სიმინდის თესვის 44,4% და კვადრატულ-ბუდობრივი თესვა თითქმის მთლიანად [1].

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა რესპუბლიკაში ფართოდ არ არის გავრცელებული, რაც აბრკოლებს სიმინდის წარმოების მექანიზაციას. 1958 წელს კვადრატულ-ბუდობრივად დაითესა 15,2 ათასი ჰექტარი სიმინდი, 1959 წელს კი — 25.675 ჰექტარი [2], ანუ სამარცვლედ და მწვანე მასისათვის სიმინდის ნათესის 10,2%. ეს პროგრესული ღონისძიება უგულვებელყოფილია განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. რესპუბლიკის კვადრატულ-ბუდობრივი ნათესის 95,5% მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე, 3,5% კი — დასავლეთ საქართველოზე. სიმინდის მთელი კვადრატულ-ბუდობრივი ნათესის 67,9% ხუთ რაიონშია (საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი, წითელი-წყარო, მარნეული). სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს სიმინდი 6.270 ჰექტარზე (თითქმის მთელ ფართობზე), რაც რესპუბლიკის კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი ფართობის 24,5%-ს შეადგენს. კვადრატულ-ბუდობრივად დათესა სიმინდის ნათესის 46,8% წითელწყაროს რაიონმა, 40%—საგარეჯოს რაიონმა, 36,6%—გურჯაანის რაიონმა, 38,3% — მარნეულის რაიონმა, 26,6% — თელავის რაიონმა, 21,3 — სამგორის რაიონმა [3].

1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სიმინდის რიგთაშორის დამუშავება (ერთ კვალზე გადაყვანით) შესრულდა 311,7 ათას ჰექტარზე, აქედან მექანიკური წევის მანქანებით — 71,3 ათას ჰექტარზე (22,5%) [4].

1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში აღებულ იქნა სიმინდი სამარცვლედ სრულ სიმწიფეში 172,2 ათას ჰექტარზე, მათ შორის მექანიკური წევის მანქანებით—2 ათას ჰექტარზე (1,2%). სილოსად და მწვანე საკვებად აღებულ იქნა სიმინდი 106,7 ათას ჰექტარზე, აქედან მექანიკური წევის მანქანებით—29,9 ათას ჰექტარზე (28%) [5].

---

[1] გაანგარიშება გაკეთებულია კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების რესპუბლიკური ჯამების საფუძველზე.

[2] საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალებიდან.

[3] გაანგარიშებანი გაკეთებულია საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე კოლმეურნეობრივი სექტორის მიხედვით.

[4] კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების რესპუბლიკური ჯამებიდან.

[5] იქვე.

1958 წელს კოლმეურნეობის კომბაინებით აიღეს სიმინდის მოსავალი ამა თუ იმ ზომის ფართობზე კასპის, სიღნაღის, წითელწყაროს, გარეუბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის და საგარეჯოს რაიონებში.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ მარცვლეულის მთელი წარმოების მექანიზაციამ მკვეთრად შეამცირა შრომა-დღეების დანახარჯები მარცვლის წარმოებაზე. თუ წინათ ცენტნერი მარცვლის წარმოებაზე იხარჯებოდა 7 შრომა-დღე, 1954 წელს წარმოების მექანიზაციის გახორციელების შედეგად მხოლოდ 1,7 შრომა-დღე დაიხარჯა. ამ კოლმეურნეობაში უკვე 1955 წლისათვის მექანიზებული იყო ხვნის 98%, თესვისა და მოსავლის აღების 95%[1].

მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარ სიმინდის ნათესზე კომპლექსური მექანიზაციის გატარებით დახარჯული შრომა-დღეები, ნაწილობრივ მექანიზაციასთან შედარებით, 3-ჯერ, ხოლო ხელით დამუშავებასთან შედარებით 6-ჯერ ნაკლები იყო.

1957 წელს მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარებულმა ცდამ გვიჩვენა, რომ სიმინდის წარმოების კომპლექსური მექანიზაციის გატარებით, ჩვეულებრივ დამუშავებასთან შედარებით იზრდება მოსავლიანობა და შრომის დანახარჯები მცირდება 54%-ით[2].

1958 წელს გორის რაიონის სოფელ თორთიზის კოლმეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციით ერთი ცენტნერი სიმინდის მოყვანაზე შრომის დანახარჯები შემცირდა 44,8%-ით — 12,6 კაც-დღე დაყვანილ იქნა 6,95 კაც-დღემდე[3].

შრომის მწარმოებლურობის დონე საქართველოს მარცვლეულის წარმოებასა საერთოდ და კერძოდ სიმინდის წარმოებაში დაბალია. მ. ისხაკოვას გაანგარიშებით 1958 წელს შრომითი დანახარჯები ერთ ცენტნერ თავთავიან მარცვლეულზე შეადგენდა 4,07 კაც-დღეს, ერთ ცენტნერ სიმინდზე—4,7 კაც-დღეს. მაშინ, როდესაც 1956—1957 წლებში სსრკ კოლმეურნეობებში შრომითი და-

---

[1] გ. ბ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ჩვენი კოლმეურნეობის გამოცდილება, თბ., 1958.

[2] შ. ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, სიმინდის თესვა-მოყვანის აგროკომპლექსი, თბილისი, 1960, გვ. 79.

[3] იქვე.

ნახარჯები ერთ ცენტნერ მარცვლეულზე შეადგენდა 7,3 კაც-საათს, საბჭოთა მეურნეობებში კი — 1,8 კაც-საათს[1].

შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე საქართველოს სიმინდის წარმოებაში ძირითადად აიხსნება სუსტი მექანიზაციითა და დაბალი მოსავლიანობით.

სიმინდის წარმოების მექანიზაციის სხვადასხვა ვარიანტის შედარება გვიჩვენებს სრული მექანიზაციის დიდ უპირატესობას ნაწილობრივ მექანიზაციასთან შედარებით (იხ. ცხრილი 55 გვ.).

როგორც ცხრილიდან ჩანს, შრომის საერთო დანახარჯები სიმინდის მოყვანის სრული მექანიზაციის დროს (ვარიანტი I) 2,4—3,4-ჯერ მცირეა ნაწილობრივ მექანიზაციასთან შედარებით. საზომი მავთულის მექანიკურად გადამტანით თესვა 4,4-ჯერ ამცირებს შრომის დანახარჯებს საზომი მავთულის ხელით გადატანით თესვასთან შედარებით. კვადრატულ-პუდობრივად ნათესის რიგთაშორისების ორმხრივი მექანიზებული დამუშავება ამცირებს შრომის დანახარჯებს 2,6-ჯერ და მეტად მწკრივში ნათესების დამუშავებასთან შედარებით. მოსავლის აღების მექანიზაცია კომბაინ კუ-2 ა-ს გამოყენებით თითქმის 4-ჯერ ამცირებს შრომის დანახარჯებს მოსავლის ხელით აღებასთან შედარებით.

სიმინდის წარმოების მექანიზაცია ამცირებს შრომის დანახარჯებს ფართობის ერთეულზე, რითაც მცირდება შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე.

სრული მექანიზაციის დროს (ვარიანტი I) შრომის დანახარჯები ერთ ცენტნერ სიმინდის მარცვლის წარმოებაზე 0,37 კაც-დღეს უდრის და იგი 3,5—5,2-ჯერ უფრო მცირეა ნაწილობრივ მექანიზაციასთან შედარებით. მექანიზაციის IV ვარიანტის დროს ერთ ცენტნერ სასილოსე მასაზე (ტაროების ჩათვლით) 4-ჯერ ნაკლები შრომა იხარჯება VI ვარიანტთან შედარებით.

სიმინდის წარმოების სრული მექანიზაციის დროს (ვარიანტი I) ყოველი დახარჯული კაცდღე იძლევა 340 საკვებ ერთეულს, ე. ი. 2,4—4,8-ჯერ მეტს დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით.

აქ მოტანილი შრომის ფაქტიური დანახარჯები მექანიზაციის ცუდი ორგანიზაციის გამო არ ყოფილა ოპტიმალური. ამიტომ შრომის ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე გაკეთებული

---

[1] მ. ისხაკოვა, შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები საქართველოს სსრ მარცვლეულის კოლმეურნეობებში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 2, 1960.

მექანიზაციის სხვადასხვა ვარიანტით სიმინდის ერთ ჰექტარზე გაწეული შრომის დანახარჯები სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში 1958 წელს*

№ №	ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი	მოსავლიან. 1 ჰექტ. ცენტნ.		შრომის დანახარჯ. 1 ჰექტ. კაცდღეებით							IV ვარიანტთან შედარებით	დარიცხული შრომ. მა-დღეების რაოდ.
		მარცვალი	ჩალის ან სასილოსე მასის (ტაროების ჩათვლით)	თესვის წინა სამუშაოებზე	თესვაზე	ნათესების მოვლაზე	სულ მოსავლ.აღებ. ჩატ. სამუშ.	მოსავლის აღებაზე	სულ კაც-დღეებით	%/%-ობით I ვარიანტ. შედ.		
1	ყველა სამუშაო მექანიზებულია, თესლი დაყალიბებულია, თესვა წარმოებს სახოში მავთულის მექანიკურ-დიაგონალურად გადამტანი სათესით. რიგთაშორისების ორმხრივი კულტივაცია, ჩატარებულია 2-ჯერ, მოსავლის აღება-კუ-2ა მარკის კომბაინით სამარცვლედ.	15,5	20	0,69	0,17	3,47	4,33	3,96	8,29	100	—	16,38
2	იგივე, რაც პირველ ვარიანტზე, ხოლო მოსავლის აღება ხელით, სამარცვლედ.	15,5	20	0,69	0,17	3,47	4,33	15,67	20	241,2	—	26,90
3	I და II ვარიანტები იმ განსხვავებით, რომ თესვა ჩატარდა სახოში მავთულის ხელით გადამტანი სათესით, მოსავლის აღება ხელით სამარცვლედ . .	15,5	20	0,66	0,75	3,39	4,80	15,66	20,46	246,8	—	27,37
4	იგივე, რაც III ვარიანტზე, ხოლო მოსავლის აღება სასილოსედ, ტაროები აღებულ იქნა ხელით რძიან-ოდოშ სიმწიფეში, მწვანე მასა აღებულ იქნა სილოსის ამღებ სკ-2,6 მარკის კომბაინით. . .	—	44,4	0,66	0,75	3,39	4,80	17,71	22,51	271,1	100	28,97
5	თესვა ფართო მწკრივებში, ნათესების კულტივაცია ერთი მიმართულებით ორჯერ, მოსავლის აღება ხელით, სამარცვლედ	13	17	0,56	0,15	8,90	9,61	15,68	25,29	305,0	112,5	35,17
6	იგივე, რაც V ვარიანტზე, ხოლო მოსავლის აღება სასილოსედ, ტაროები აღებულ იქნა ხელით რძიან-ოდოშ სიმწიფეში მწვანე მასა აღებულ იქნა სილოსის ამღებ სკ-2,6 მარკის კომბაინით. . .	—	37,3	0,56	0,15	8,90	9,61	18,65	28,26	340,8	126,4	37,56

* გ რ ი გ ო ლ დ რ ო ხ დ ო ვ ი, თ ე ნ გ ი ზ კ ლ ი ბ ა ძ ე, სიმინდის მოყვანის ტექნოლოგიური პროცესების შრომატევადობის შემცირების გზები, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, № 8, 1959.

შედარება წარმოების სრული მექანიზაციის უპირატესობას მეტად ავლენს.

სიმინდის წარმოებაში მოწინავე აგროტექნიკისა და მექანიზაციის დანერგვა დიდად ამცირებს სიმინდის პროდუქციის თვითღირებულებას.

1958 წელს, 1956 წელთან შედარებით, სსრ კავშირის კოლმეურნეობებში მარცვლის (უსიმინდოთ) თვითღირებულება შემცირდა 27,9%-ით, ხოლო სიმინდის მარცვლისა — 53,5%-ით.

აღნიშნულ წლებში საქართველოს კოლმეურნეობებში ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლის თვითღირებულება შემცირდა 30,8%-ით. თვითღირებულების შემცირება ძირითადად აიხსნება მოსავლიანობის ზრდით. სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 1958 წელს, 1956 წელთან შედარებით, გაიზარდა 4,8 ცენტნერით და შეადგინა 14,5 ცენტნერი. მიუხედავად ამ წარმატებებისა, სიმინდის მარცვლის თვითღირებულება საქართველოს კოლმეურნეობებში დიდად უფრო მაღალია (3,6-ჯერ), ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში.

1958 წლის მონაცემების მიხედვით საბჭოთა კავშირში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე გაწეული დანახარჯების 42—54% საკვებზე მოდის. როგორც ჩანს, საკვებზე გაწეული დანახარჯები მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებაში დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი. ამიტომ, საკვების გაიაფება მეცხოველეობის პროდუქტების გაიაფების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების მაღალი დონე მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია საერთოდ საკვების წარმოებისა, და, კერძოდ, სიმინდის წარმოების მაღალი თვითღირებულებით.

საქართველოს სიმინდის წარმოებაში შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ძირითადი რეზერვებია კომპლექსური მექანიზაცია და მოსავლიანობის ამაღლება.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

შ. ჩხარტიშვილი

უშუალო გამოცდილების პრობლემა ვუნდტის ფსიქოლოგიაში

უშუალო გამოცდილება ვუნდტის მოძღვრების ძირითადი ცნებაა. ვუნდტის მიერ ამ ცნებით აღნიშნული სინამდვილე ცხადდება ფსიქოლოგიის საგნად და ყოველგვარი შემეცნების გამოსავალ პუნქტად. მიუხედავად ამისა, მის შრომებში ამ ცნების შინაარსი არაა უეჭვო სიცხადით წარმოდგენილი; არაა უზრუნველყოფილი მკვლევართა მიერ მისი ერთმნიშვნელოვნად გაგების შესაძლებლობა: ძნელი ხდება მოცემულ სინამდვილეში იმ ფაქტიური ვითარების მიგნება, რომელიც, როგორც უშუალო გამოცდილება, ფსიქოლოგიის კვლევის საგანს უნდა შეადგენდეს.

წინამდებარე შრომის მიზანია სცადოს იმის გათვალისწინება, თუ რას უნდა გულისხმობდეს ვუნდტი უშუალო გამოცდილების ცნების ქვეშ.

ვუნდტის აზრით, პირველადი გამოცდილება არის ერთიანი. მასში შეუძლებელია ერთიმეორისაგან პრინციპულად განსხვავებული ორი ისეთი შინაარსის დადასტურება, რომელიც კვლევის საგნის მიხედვით ორი, ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებული ემპირიული მეცნიერების — ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების — არსებობას დაედვას საფუძვლად.

შინა და გარეგამოცდილების სფეროები არ არის უშუალო გამოცდილებაში იმთავითვე ერთმანეთისაგან გამიჯნული. შემეცნების დასაწყისში ასეთი საგნობრივი ხასიათის განცალკევება არ არის მოცემული; იგი შემეცნებითი საქმიანობის, აზროვნების მოღვაწეობის პროდუქტს შეადგენს. ამიტომ განსაზღვრას: ფსიქოლოგია არის მეცნიერება „შინაგამოცდილების“ შესახებ, შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს და გვაფიქრებინოს, რომ თითქოს შინაგამოცდილებას საქმე აქვს ისეთ საგნებთან, რომელიც არსებითად განსხვავდება „გარეგამოცდილების“ საგნებისაგან. მართალია, ერთი

მხრივ, გრძნობების, აფექტების, ნებისყოფის აქტების სახით არსებობს გამოცდილების ისეთი შინაარსები, რომლებიც მხოლოდ ფსიქოლოგიის კვლევის საგანს შეადგენს და, მაშასადამე, არ გვხვდება ბუნებისმეტყველების კვლევის ობიექტთა შორის; მაგრამ, მეორე მხრივ, „Dagegen gibt es keine einzige Naturerscheinung, die nicht auch unter einem veränderten Gesichtspunkte Gegenstand psychologischer Untersuchung sein könnte. Ein Stein, eine Pflanze, ein Ton, ein Lichtstrahl sind als Naturerscheinungen Objekt der Mineralogie, Botanik, Physik usw. Aber insofern diese Naturerscheinungen zugleich Vorstellungen in uns sind, bilden sie ausserdem Objekte der Psychologie“ [1].

ფსიქოლოგია ცდილობს ანგარიში მოგვცეს ამ წარმოდგენების აღმოცენებისა და მისი, როგორც სხვა წარმოდგენებთან, ისე გრძნობებთან, ნებისყოფის მოძრაობებთან და დანარჩენ ისეთ პროცესებთან მიმართების შესახებ, რომელნიც, ჩვენი აზრით, არ მიეწერება გარეგან საგნებს. „შინაგრძნობა“, რომელიც, როგორც შინაგანი აღქმის ორგანო, შეიძლებოდა გარეგანი გრძნობისათვის, — როგორც ბუნებისმეტყველების ორგანოსათვის, დაგვეპირისპირებინა, საერთოდ არ არსებობს; სწორედ ისე, როგორც არ არსებობს შინა და გარეგამოცდილების სხვადასხვა ობიექტები. „Die Vorstellungen, deren Eigenschaften die Psychologie zu erforschen sucht, sind dieselben wie diejenigen, von denen die Naturforschung ausgeht“ [2].

სუბიექტური ვითარების გამომხატველი პროცესები, გრძნობები, აფექტები, ნებისყოფის აქტები ჩვენ გვეძლევა არა აღქმის სპეციფიკური ორგანოს საშუალებით, არამედ იმ წარმოდგენებთან უშუალო და განუყრელ კავშირში, რომელნიც ჩვენ მიერ გარეგან საგნებს მიეკუთვნებიან.

შინაგანი და გარეგანი გამოცდილების ტერმინები, ვუნდტის აზრით, აღნიშნავს არა სხვადასხვა საგნობრივ სინამდვილეს, სხვადასხვა მონაკვეთს გამოცდილებისას, არამედ სხვადასხვა თვალსაზრისს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისთავად ერთიანი გამოცდილების მეცნიერული გადამუშავების პროცესში. გამოცდილებისადმი ორი განსხვავებული თვალსაზრისით მიდგომის შესაძლებლობა განსაზღვრულია თვით გამოცდილების ხასიათით,

[1] Grundriss der Psychologie, 1904 წ., §§. 2.
[2] იქვე.

რომ ყოველი გამოცდილება უშუალოდ ორ ფაქტორად იყოფა: შინაარსად, რომელიც გამოცდილების სუბიექტს ეძლევა, და იმ უნარად, რომლითაც სუბიექტი ამ შინაარსს აღიქვამს.

პირველადი გამოცდილება, რომელიც სუბიექტს შემეცნებამდე და შემეცნებისათვის აქვს მოცემული, არის უშუალო გამოცდილება, რომელიც არსებობს როგორც მხოლოდ განცდა. ამ სახით იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიის კვლევის საგანს. მაგრამ იგივე გამოცდილება მისდამი შემეცნებითი თვალსაზრისის შეცვლის შემდეგ, რასაც შედეგად მოსდევს გამოცდილებიდან გამოცდილების სუბიექტის განყენება, იქცევა ბუნებისმეტყველების კვლევის საგნად, ანუ გაშუალებულ გამოცდილებად. ამ სახით იგი ახლა განცდას კი არ წარმოადგენს, არამედ ბუნების მატერიალურ სამყაროს, რომელიც, როგორც ჰიპოთეზი, მხოლოდ ცნებათა ფორმაში არსებობს.

შემეცნება ისწრაფვის შეარიგოს ის წინააღმდეგობანი, რომელიც უშუალო გამოცდილების ფაქტებს შორის არსებობს. ამაშია მისი ერთადერთი მიზანი. ამ მიზნით ადგენს იგი ჰიპოთეზებს, ქმნის ბუნებისმეტყველებასა და საერთოდ მეცნიერებას.

ამგვარად, „Опыт предшествующий всякому воздействию функций мышления, стало быть, понятие познавания, вполне отрешенное от признаков мышления“ [1]. ვუნდტი აღნიშნავს უშუალო გამოცდილების სახელწოდებით და უპირისპირებს მას გაშუალებულ გამოცდილებას, როგორც ისეთ გამოცდილებას, რომელიც სახეშეცვლილია აზროვნების მიერ ცნებათა შემუშავების გზით. „К непосредственному опыту относится, следовательно, все то, что вообще дано нам таким образом, что мы не сознаем каких-либо произведенных в нём нами изменений: наше чувствование и хотение точно так же, как воспринимаемые объекты и взаимные их отношения“ [2].

მაგრამ თავის „ფილოსოფიის სისტემის“ მესამე განყოფილებაში ვუნდტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ გამოცდილება, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ აზროვნებას, წარმოადგენს ფიქციას. ისე, როგორც არ არსებობს ლოგიკური აზროვნება, რომელიც არ იყოს აზროვნება რამე საგნის, რამე ემპირიული მასალის შესახებ, სწორედ ასევე არ არსებობს ემპირიული შინაარსი, რო-

[1] Система философии, 1902 წ., გვ. 55.

[2] იქვე.

მელიც აზროვნების მიერ უკვე არ იყოს რაიმე ფორმით გადამუშავებული. „Итак, чистый опыт и чйстое мышление оказываются отвлеченными (begriffliche) фикциями, не встречающимися в действительном опыте и в действительном мышлении“ [1]. ისინი წარმოადგენენ მსაზღვრელ ცნებებს. მათ ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული აზრით ემპირიულ ნამოქმედართ (образованиями) დავუკავშირებთ განსაზღვრულ მოთხოვნილებებს. უშუალო გამოცდილება თვითონ არის შემეცნება, რომელიც იმით განსხვავდება უფრო მაღალი რიგის შემეცნებისაგან, რომ მისი საგანი მოცემულია ერთეული (единичных) ცნების სახით მაშინ, როდესაც განსჯითი შემეცნების საფეხურზე საგანი ჩვენი საკუთარი აზროვნების მიერ უშუალო გამოცდილების ერთეული საგნების ლოგიკური გადამუშავების გზით მიიღება.

ვუნდტს შეცდომად მიაჩნია აზროვნებისა და გამოცდილების ერთიმეორისადმი პრინციპული დაპირისპირება, რადგან, როგორც ვნახეთ, არ არსებობს ისეთი წმინდა გამოცდილება, რომელსაც ჯერ აზროვნება არ შეხებია, რომელშიაც უკვე არ იყოს რაიმე ცნების საშუალებით გადამუშავებული. წმინდა გამოცდილება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან გამოცდილებიდან აზროვნების მოქმედების (რაც აქ ემპირიული საგნის, ანუ ემპირიული ერთეული ცნების, შემუშავებაში მდგომარეობს) პროდუქტების გამორიცხვის შემდეგ რჩება არა გამოცდილება „а идейный материал для возникновения опытов“ [2].

იმის მიხედვით, რაც აქამდე ითქვა, გამოდის, რომ ერთი მხრით, უშუალო გამოცდილება აზროვნებისა და შემეცნების უწინარესია; რომ იგი უშუალო გამოცდილებად რჩება მანამ, სანამ მას აზროვნება შეეხებოდეს; ხოლო, მეორე მხრივ, ვუნდტი ამტკიცებს, რომ უშუალო გამოცდილება თვითონ არის აზროვნების მიერ ერთგვარად გადამუშავებული; რომ წმინდა გამოცდილება, რომელიც შეიძლება წინ უსწრებდეს აზროვნების ყოველგვარ მოქმედებას, არ არსებობს, იგი ფიქციაა.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ვუნდტი წინააღმდეგობაში არის მოქცეული? სანამ ამ საკითხს გავარკვევდეთ, საჭიროა უფრო ახლოს მივიდეთ უშუალო გამოცდილების ცნებასთან და ვნახოთ,

---

[1] Система философии, §§. 134.

[2] იქვე.

რას წარმოადგენს ის ერთეული ცნებები ანუ ერთეული საგნები, რომელსაც უშუალო გამოცდილება, როგორც აზროვნების ნამოქმედარს, შეიცავს.

უშუალო გამოცდილებაში იმთავითვე დასტურდება ორი შედარებით განსხვავებული შინაარსის არსებობა. გრძნობები, აფექტები და ნებისყოფის აქტები წმინდა სუბიექტური მდგომარეობანია, რომელთანაც ბუნებისმეტყველური ცნებების შემუშავების პროცესში არავითარი საქმე არ აქვს აზროვნებას. არაფერს არ დაჰკარგავდა გაშუალებული გამოცდილება, რომ ამგვარი შინაარსები სრულებით არ ყოფილიყო უშუალო გამოცდილებაში. სულ სხვა არის უშუალო გამოცდილების ის შინაარსები, რომელთაც ვუნდტი წარმოდგენა-ობიექტებს ან კიდევ ემპირიულ ერთეულ საგნებს უწოდებს. უშუალო გამოცდილების მხოლოდ ეს შინაარსი აქვს ვუნდტს მხედველობაში, როცა იგი ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის საგნის იგივეობის შესახებ ლაპარაკობს. რომ უშუალო გამოცდილებაში ასეთი შინაარსები არ იყოს, შეუძლებელი გახდებოდა ბუნებისმეტყველების არსებობა; არც დადგებოდა საკითხი მისი საჭიროების შესახებ. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, მისი კვლევის სფერო შევიწროვდებოდა, ჩამოშორდებოდა მას შემეცნებითი ხასიათის განცდები.

ვუნდტის წარმოდგენა-ობიექტი, ემპირიული საგანი ან კიდევ ერთეული ცნება დაახლოებით ერთი და იგივე საგნობრივი ხასიათის განცდაა. ეს განცდა ჩვენ აღქმისა და წარმოდგენის სახით გვეძლევა გრძნობად ჰვრეტაში; და გვეძლევა ისე, რომ ვერ ვამჩნევთ ჩვენი აზროვნების მიერ გამოწვეულ რაიმე ცვლილებას მასში. თუმცა ასეთ რამეს ადგილი აქვს, რადგან „**без мышления нет воззрений**“ [1]. თვით ემპირიული ერთეული საგანი, ანუ ერთეული ცნება, რომელიც ჩვენს ყოველ აღქმაში არის წარმოდგენილი, აზროვნების შეუცნობელი მოღვაწეობით არის მიღებული. აზროვნების ეს მოქმედება უშუალოდ არ განიცდება, რადგან იგი თვითონ აპირობებს პირველად მოცემულობას. გრძნობადი ჰვრეტა თავისთავად წარმოადგენს ნაწილთა (ელემენტების, შეგრძნებების) მრავალსახიანობას, რომელიც ერთეული ემპირიული საგნების, ანუ წარმოდგენა-ობიექტის, ფორმაში მხოლოდ აზროვნების მიერ არის გაერთიანებული.

ვინაიდან ყოველგვარი აზროვნების უწინარესი გამოცდილების

[1] Система философии, გვ. 73.

ანუ წმინდა გრძნობადი ჰვრეტის მიღწევა შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია გამოცდილებიდან აზროვნების სრული გამოთიშვა, შეუძლებელია უშუალოდ დავაკვირდეთ აზროვნების იმ სინთეზურ პროცესს, რომელიც გამოცდილების ობიექტების (აღქმაში წარმოდგენილი ემპირიული საგნების) ქმნადობას ედება საფუძვლად. რომ პირველადი მასალა როგორმე შეუკავშირებელი სახით გვქონოდა მოცემული, შესაძლებელი იქნებოდა დავკვირვებოდით, თუ როგორ ახდენს აზროვნება მათ სინთეზს წარმოდგენა-ობიექტის (ემპირიული საგნის) ფორმაში, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან გამოცდილების მასალა იმთავითვე სინთეზირებული სახით გვეძლევა.

ამგვარად, პირველადი გამოცდილება, რომელშიაც „პირველადი" აზროვნების მონაწილეობა შეუცნობელი რჩება, რჩება უშუალო გამოცდილებად მანამ, სანამ სუბიექტი განზრახ, გარკვეული თვალსაზრისით არ მიმართავს „მეორად" აზროვნებას მისკენ და შემეცნების მიზნით სახეს არ შეუცვლის მას. აქ აზროვნების შემეცნებითი საქმიანობა განიცდება, როგორც უშუალოდ მოცემული: თვით გამოცდილებაში, — ცნობიერების ველზე — სწარმოებს უშუალო გამოცდილების გაშუალებულ გამოცდილებად გარდაქმნა: წარმოდგენა-ობიექტის რეკონსტრუქციის გზით ბუნებისმეტყველური ცნებების შემუშავება.

ვუნდტს ეს „მეორადი" განსჯითი სახის აზროვნება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც უშუალო გამოცდილებას უწოდებდა ისეთ გამოცდილებას, რომელიც წინ უსწრებს აზროვნების ყოველგვარი ფუნქციის ზემოქმედებას.

წარმოდგენა, ვუნდტის აზრით, შეგრძნებათა სინთეზის შედეგად მიიღება. თვით სინთეზის პროცესი უშუალო გამოცდილების გარეთ მდებარეობს. გამოცდილებაში მხოლოდ შემოქმედებითი სინთეზის პროდუქტი — წარმოდგენა — გვაქვს, როგორც პირველადი მოცემულობა. ეს წარმოდგენა იგივე წარმოდგენა-ობიექტია (წარმოდგენა აქ იხმარება არა მხოლოდ მეხსიერების წარმოდგენის მნიშვნელობით, არამედ იგი აქ აღქმასაც აღნიშნავს და წარმოსახვის სახეებსაც). სიტყვა ობიექტი მიუთითებს წარმოდგენის იმ ნიშანზე, რომ მას აქვს თვისება იყოს ობიექტი. სხვა რამე რეალური ობიექტი, რომელიც იმავე დროს არ იყოს წარმოდგენა, არ არსებობს, „объекта никогда нельзя отделить от представления, а представления — от объекта" [1]. წარმოდგენა სუბიექტური

[1] Система философии, გვ. 57.

ხატი კი არ არის თითქოს მისგან დამოუკიდებლად არსებულ, მისგან არსებითად განსხვავებულ რეალური ობიექტისა (საგნისა), არამედ იგი თვითონ არის რეალური ობიექტი (საგანი), „საგანი თავისთავად“ ფიქცია. ასე რომ არ ყოფილიყო, სრულიად გაუგებარი იქნებოდა, როგორ შეუძლია სუბიექტს გავიდეს თავისი სუბიექტური წარმოდგენებიდან და იპოვოს ასეთ თავისთავად ობიექტამდე მისასვლელი გზა. „Стало быть, под представлением-объектом надлежит разуметь не нечто такое, что следовало бы понимать одновременно и как субъективное представление и как объект, а только объект, которому действительно принадлежат лишь те признаки, которые придаются ему в представлении. Быть объектом принадлежит к числу этих признаков, но быть представляемым каким-либо субъектом — первоначально сюда ни мало не относится“ [1].

ურეფლექსიო აღქმაში ანუ გრძნობად ჰვრეტაში ქვა, მცენარე, ტონი, სინათლის სხივი და ა. შ. განიცდება არა როგორც ჩემი ან ვისიმე სუბიექტური წარმოდგენა, არამედ როგორც ობიექტი, რომელსაც რეალური არსებობა აქვს. შემეცნება, უპირველეს ყოვლისა, ჩერდება მასზე. რომ ეს ობიექტი ჩვენი სუბიექტური წარმოდგენაც არის და რომ იგი, როგორც ასეთი, შემეცნების დამოუკიდებელ შინაარსად შეიძლება გადაიქცეს, შეცნობილი ხდება შედარებით გვიან.

შემეცნება ამ საფეხურზე ჰვრეტაში (აღქმაში) მოცემულ წარმოდგენა-ობიექტს ორ ცნებად — წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა დ და ო ბ ი ე ქ ტ ა დ — თიშავს. ახლა იგი ობიექტის ქვეშ გულისხმობს ემპირიულ ერთეულ საგანს ანუ ერთეული საგნის ცნებას, რომელსაც ჩვენგან დამოუკიდებელი რეალური არსებობა ეძლევა, ხოლო წარმოდგენის სახელწოდებით აღნიშნავს ამ საგნის სუბიექტურ ხატს ჩვენში. მხოლოდ ამის შემდეგ ჩნდება აზრი იმის შესახებ, რომ გამოცდილებაში ობიექტი ეძლევა სუბიექტს; თორემ უშუალო გამოცდილებაში მოცემული ობიექტის განცდა უშუალოდ არ მიუთითებს სუბიექტის აუცილებელ თანაარსებობაზე: ობიექტი ყოველთვის არ მოგვაგონებს სუბიექტს.

სანამ წარმოდგენა-ობიექტი განიცდებოდა, როგორც მხოლოდ ობიექტი, სანამ მას აზროვნება, შემეცნების მიზნით, არ გათიშავდა ობიექტისა და წარმოდგენის ცნებებად, ადგილი ჰქონდა აზროვ-

[1] Система философии, გვ. 57.

ნების, შემეცნებისა და არსებობის (бытия) პირველად ერთიანობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც შემეცნების მიზნით პირველადი მთლიანობა დაირღვა, იგი წარმოდგენად და ობიექტად (შემეცნებად და შემეცნების საგნად) გაითიშა, — ვუნდტის აზრით, დაშვებულ იქნა პირველად მოცემულობად: წარმოდგენა და ობიექტი (აზროვნება და აზროვნების საგანი) აღიარებულ იქნა ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებულ მოვლენად. ამის გამო, შემდეგ, მიუხედავად მრავალი ცდისა, შეუძლებელი გახდა აზროვნებისა და არსებობის მთლიანობის აღდგენა. რომ მხედველობიდან არ გამოპარვოდათ ის გარემოება, რომ აზროვნებისა და არსებობის (წარმოდგენისა და ობიექტის) ერთიანობა იმთავითვე იყო მოცემული უშუალო გამოცდილების სახით და იგი გაქრა მხოლოდ განსჯითი შემეცნების წინ, როცა ამ უკანასკნელმა პირველად გამოცდილებას წარმოდგენისა (უშუალო გამოცდილებისა) და ობიექტის (გაშუალებული გამოცდილების) თვალსაზრისები მიუყენა, მაშინ აზროვნებისა და არსებობის ერთიანობა, რომელიც შემეცნების გზით უნდა იქნეს მიღწეული, არ შეხვდებოდა რამე პრინციპული ხასიათის დაბრკოლებას.

ვუნდტი უშუალო გამოცდილებაში მოცემულს წარმოდგენა-ობიექტის სახელწოდებით აღნიშნავს, რადგან იგი შემდეგში განსჯითი შემეცნების მიერ ორ ცნებად — წარმოდგენად და ობიექტად — იყოფა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოდგენა-ობიექტი ეს ისეთი მთლიანობაა, რომლისგანაც შემეცნება ანალიზის გზით ორ ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავებულ შინაარსს გამოაცალკავებს (მაგ., ისე, როგორც წყლის ქიმიური ანალიზი მისგან ორ განსხვავებულ ელემენტს — ჟანგბადსა და წყალბადს — გამოყოფს) და ამნაირად, ერთი მხრით, წარმოდგენას, ხოლო მეორე მხრით, ობიექტს (რეალურ ერთეულ საგანს) მიიღებს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა წარმოდგენაში ობიექტის არსებობა და ობიექტში რაიმე წარმოდგენისეულის დადასტურება (სწორედ ისე, როგორც ჟანგბადში არაფერია წყალბადის, ხოლო წყალბადში ჟანგბადისა). ასეთ შემთხვევაში წარმოდგენას მიეწერებოდა რა თავისთავადი არსებობა, იგი აღარ გამოდგებოდა ობიექტის შემეცნებისათვის: ვერაფერს გვეტყოდა ამ უკანასკნელის, როგორც მისგან არსებითად განსხვავებული სინამდვილის შესახებ. მოკლედ, ასეთ შემთხვევაში წარმოდგენა და ობიექტი უნდა გვეაზრა, როგორც უშუალო გამოცდილების ორი სხვადასხვა მონაკვეთი ან კიდევ მისი ორი, შინაარსეულად სხვადასხვა, შემად-

გენელი ნაწილი, რაც ეწინააღმდეგება ვუნდტის ძირითად მოსაზრებებს.

ობიექტი არის ის, რაც არის წარმოდგენა ან კიდევ წარმოდგენა-ობიექტი. შინაარსეულად მათ შორის არავითარი განსხვავება არაა. წარმოდგენა-ობიექტი არის, მაგ., A, როდესაც იგი განსჯითი შემეცნების გარეშე მდგომი პირველადი და უშუალო განცდაა. იგივე A რეფლექსური აზრის შეხებისთანავე იქცევა ობიექტად ან წარმოდგენად. „გადაქცევა" აქ არ ნიშნავს გარდაქმნას, გადასხვაფერებას. იგი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ A-ს იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით შეეხედავთ მას — წარმოდგენის თუ ობიექტის — ან სუბიექტისაგან დამოუკიდებელი რეალური არსებობის ნიშანი მიეწერება, ან კიდევ იგი განიხილება როგორც მხოლოდ სუბიექტში არსებული წარმოდგენა.

ამგვარად, წარმოდგენა და ობიექტი არის არა უშუალო გამოცდილების ლოგიკური ანალიზის თუ დაშლის შედეგად მიღებული ორი სხვადასხვა შინაარსი, არამედ განსჯითი შემეცნების ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. წარმოდგენა-ობიექტი, როგორც მხოლოდ წარმოდგენა, ან კიდევ როგორც მხოლოდ ობიექტი, არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ცნების სახით. ამიტომ იგი უშუალოდ არ განიცდება.

ყოველგვარი შემეცნება იწყება უშუალო გამოცდილებით ანუ, როგორც ვუნდტი ამბობს, „с наивной формы познания, еще не знающей различия между представлением и объектом, но всякое познавание настолько же необходимо переходит к размышляющей (reflectirenden) форме познания, противополагающей объект представлению как отличный от самого представления. Возвращение к первоначальной ступени невозможно" [1]. ჩვეულებრივი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა აქედან შემდეგ დასკვნას აკეთებს: თითქოს წარმოდგენისა და ობიექტის ერთი მეორისადმი დაპირისპირება იმთავითვე არსებობდეს პირველად მოცემულობაში, თითქოს ისინი თავიდანვე ორი განსხვავებული რამ იყოს. ასეთი შემცდარი განხილვის ნიადაგზე ობიექტი და წარმოდგენა თვითონ იქცევა სხვადასხვა ობიექტად, ვითომ შესაძლებელი იყოს ობიექტის არსებობა ჩვენი წარმოდგენის დამოუკიდებლად და წარმოდგენის არსებობა იმ ობიექტის გარეშე, რომლისკენაც თვითონაა მიმართული. ეს გაუგებრობა იმწამშივე გაქრება, როგორც კი

[1] Система философии, გვ. 58.

მხედველობაში მივიღებთ, რომ ობიექტის და წარმოდგენის დაპირისპირება არის თვალსაზრისთა დაპირისპირება და არა პირველადი მოცემულობა.

უშუალო გამოცდილება მთელი თავისი შინაარსით არის განცდა. მას წმინდა პროცესუალური ხასიათი აქვს. ამით იგი არსებითად განსხვავდება გაშუალებული გამოცდილებისაგან, რომელიც მყარ, საგნობრივ ხასიათს ატარებს. ის ცნებები, რომლითაც აგებულია ბუნებისმეტყველური ანუ გაშუალებული გამოცდილება, სუბსტანციონალურ შინაარსს შეიცავს: მათი სახით ყველგან და ყოველთვის იაზრება საგანი, ნივთი, მატერია, ძალა, ენერგია და სხვა ასეთები. ეს უკანასკნელნი მხოლოდ ჰიპოთეზებია, რომლებიც განსჯითი შემეცნების მიერ უშუალო გამოცდილების საფუძველზე არის შემუშავებული მხოლოდ იმისთვის, რომ გამოცდილების სხვადასხვა შინაარსი იქნას ერთიმეორესთან ლოგიკურად დაკავშირებული. ვუნდტი მოითხოვს, რომ „никогда не смешивать гипотезы, необходимой для связи данных фактов, с самими фактами“ [1]. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის მთელი გაშუალებული გამოცდილება არის უშუალო გამოცდილების ფაქტების მოწესრიგების მიზნით შემუშავებული ჰიპოთეზების მთელი სისტემა: ბუნება არსებობს, როგორც მხოლოდ ჰიპოთეზი. ერთადერთი ფაქტი არის განცდა ანუ ფსიქიკური (უშუალო გამოცდილება). „Весь внешний мир есть мир наших наглядных представлений и понятий и, как таковой, он есть ничто иное, как продукт нашей умственной деятельности“ [2].

F. Linke ვუნდტის უდიდეს დამსახურებას იმაში ხედავს, რომ მან გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური ბუნების ობიექტის ანალოგიურად იყო წარმოდგენილი, დაუპირისპირა „seine Aktualitätstheorie, die alle einfachen und komplexen Gebilde des Bewusstseins als actus, als Geschehnisse, als einen ständigen Wechsel sich folgender, niemals identisch wieder kehrender Ereignisse auffassen lehrte, ganz gleichgültig, ob sie nun auf das Subjekt selbst oder auf die objektiv-physische Sphäre bezogen sind“ [3].

როგორ უნდა გვესმოდეს ვუნდტის აზრი ფსიქიკურის აქტიობის

[1] Основы физиол. псих., I—III, გვ. 783.

[2] Этика, 1888 წ., გვ. 40.

[3] F. Linke, Die phänomenale Sphäre und das reale Bewusstsein, 1912 წ., გვ. 2.

შესახებ? ფსიქიკური არის პროცესი, მოვლენა, ამტკიცებს ვუნდტი. მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმი ობიექტური სინამდვილის შესახებაც ამასვე ამტკიცებს: მატერიალური სამყარო განუწყვეტელ მოძრაობაში და ცვალებადობაში იმყოფება, ბუნება მატერიალური განვითარების შეუჩერებელი პროცესია, ამბობს ბუნების დიალექტიკა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნების დიალექტიკური გაგების შემდეგ ფსიქიკური კარგავს იმ ნიშანს, როგორც მის სპეციფიკურ ნიშანს? რა თქმა უნდა, არა. ბუნების მოვლენათა განუწყვეტელი დინება გულისხმობს მატერიალურ სუბსტრატს, სუბსტანციას, რომელიც ცვალებადობას განიცდის. ეს მარადიული სუბსტანცია იმყოფება რა მუდმივ მოძრაობაში, გადადის არსებობის ერთი ფორმიდან მეორეში და ყოველ მომენტში ამხელს თავის თავს, როგორც გარკვეული კონკრეტული მოვლენა. სულ სხვაა, ვუნდტის აზრით, ფსიქიკური სინამდვილე. უშუალო გამოცდილება არაფერს არ გულისხმობს თავისთავს იქით. იგი მთელი თავისი შინაარსით მოცემულია როგორც განცდა. მასში არაფერი არ არის ისეთი, რაც იგივე იყოს თავისთავთან ორ სხვადასხვა მომენტში. აქ ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა უსუბსტრატო პროცესთან, წმინდა მოვლენასთან, რომელიც არ გულისხმობს რისიმე მოვლენას, რადგან იგი თვითონ არის ის, რაც არის მოცემულ მომენტში და ამის მეტი იგი, საერთოდ, არაფერი არ შეიძლება იყოს. ამ მომენტს იქით იგი საერთოდ არც არსებობს: წარმოდგენას, რომელიც ერთხელ გავიდა ცნობიერებიდან, მეორედ აღარ შეუძლია დაუბრუნდეს მას უკან რამე სახით. „Die psychischen Tatsachen sind Ereignisse, nicht Gegenstände; sie verlaufen, wie alle Ereignisse, in der Zeit, und sind in keinem folgenden Momente die nämlichen, die sie in einem vorangegangen waren“ [1].

ფსიქიკურს მატარებელი არ ჰყავს. სული თვითონ არის ფსიქიკურ პროცესთა ერთობლიობა. მას ამ პროცესებს გარეშე სხვანაირი არსებობა არ აქვს. ტრანსცენდენტალური სულიერი სუბსტანციის აღიარება ფსიქიკურს არ გახდიდა უფრო გასაგებად: უშუალო გამოცდილება სრულებით არ აყენებს ასეთი რამეს საჭიროებას. ვუნდტი სულიერი პროცესების ტიპიურ ფორმად ნებისყოფის პროცესებს თვლის და ცდილობს ამ პროცესებზე მითითებით, მათი ანალოგიის ნიადაგზე, გასაგები გახადოს ჩვენი განცდების ვოლიუნტარისტული ხასიათი.

[1] Grundriss, გვ. 17.

ჰერბარტის მოძღვრება წარმოდგენათა მოძრაობის მექანიკის შესახებ, რომელიც სულის სუბსტანციონალურ გაგებას ემყარება, ვუნდტს სრულიად მიუღებლად მიაჩნია. იგი უდიდეს შეცდომად თვლის აზრს წარმოდგენათა მეხსიერებაში შენახვისა და მისი უკანვე ცნობიერებაში ხელახალი დაბრუნების შესახებ, რადგან, მისი აზრით, არსებობს არა წარმოდგენა, როგოც ასეთი, არამედ აქტი წარმოდგენისა, როგორც აქტიობა, როგორც — პროცესი.

ვუნდტი, უშუალო და გაშუალებული გამოცდილებების შესატყვისად, მიზეზობრიობის ორ სახეს — აქტუალურ და სუბსტანციონალურ მიზეზობრიობას — განასხვავებს. უშუალო გამოცდილების მოვლენათა მიმდინარეობას განსაზღვრავს აქტუალური მიზეზობრიობის პრინციპი, რომლისთვისაც უცხოა სუბსტანციის, ძალისა და ენერგიის ცნებები. რაც შეეხება ბუნების მოვლენათა ცვალებადობას, სუბსტანციონალური მიზეზობრიობა ედება საფუძვლად. სუბსტანციონალური მიზეზობრიობის ქვეშ ვუნდტი იმასვე გულისხმობს, რასაც ჩვეულებრივად ბუნებისმეტყველება აღნიშნავს ამ ცნებით. ფსიქიკური მიზეზობრიობა წარმოადგენს „თვით პროცესთა წმინდა მიზეზობრიობას". შედეგი და მიზეზი აქ ორივე უშუალო ჰერეტაში გვეძლევა, ორივე ერთნაირად მიეკუთვნება უშუალო გამოცდილების შინაარსს: „Причина и действие всегда рассматриваются как эмпирически данные события"[1]. „...раз признается понятие актуальной причинности, — согласно которому причина и действие суть закономерно связанные явления, — нигде не представляется случая пользоваться понятием душевной субстанции"[2].

ფსიქიკური მიზეზობრიობა არ შეიძლება ეხებოდეს ობიექტს, რადგან იგი თვითონ წარმოშობს რა წარმოდგენას ობიექტის შესახებ, იწვევს სუბსტანციის ობიექტური ცნების წარმოშობას. ამიტომ თვითონ არ შეიძლება რამე ობიექტის მოქმედება (действие) იყოს და, მაშასადამე, არ შეიძლება იგი რამე სუბსტანციას მიეწეროს.

ფსიქიკური მიზეზობრიობა გულისხმობს უშუალო გამოცდილების რთული წარმონაქმნების ახსნას იმ მარტივი ელემენტარული პროცესებისაგან, რომელთა დაკავშირების გზითაც ისინი არიან მიღებული. იგი შეიძლება დაყვანილ იქნას განსაზღვრულ პრინცი-

[1] Система философии, გვ. 186.
[2] იქვე, გვ. 182.

პებამდე, „в которых общий характер психического процесса по отношению к связи его элементов находит адэкватное выражение и как применение которых может быть рассматриваема всякая отдельная конкретная форма этого процесса[1].

* * *

ბევრი რამ რჩება ვუნდტის მოძღვრებაში უშუალო გამოცდილების შესახებ სადავო და გაუგებარი.

1. ვუნდტის აზრით, არ არსებობს ისეთი გამოცდილება, რომელიც არ იყოს აზროვნების მიერ რამე სახით ცნებათა ფორმაში გადამუშავებული. ის, რაც გვრჩება გამოცდილებიდან აზროვნების გამორიცხვის შემდეგ, გამოცდილებას კი არ წარმოადგენს, არამედ იდეურ მასალას, რომლის ნიადაგზედაც აზროვნების მოღვაწეობის შედეგად შეიძლება გამოცდილება აღმოცენდეს. აზროვნება, რომელიც ჩვენთვის შეუცნობელი სახით მოქმედებს, გრძნობად ჰვრეტაში უმარტივესი ფსიქიკური ელემენტების — შეგრძნებების — სინთეზის გზით ქმნის უშუალო გამოცდილების ობიექტებს, ანუ ერთეულ ემპირიულ საგნებს. აღნიშნული პროდუქტები განიცდება არა როგორც ჩვენი აზროვნების ნამოქმედარი, არა როგორც ჩვენი წარმოდგენა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ჩვენს გარეთ და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტები, როგორც რეალური საგნები.

პირველი კითხვა, რომელიც აქ შეიძლება დადგეს ვუნდტის მკითხველის წინაშე, ასეთია: საიდან ღებულობს ზემოაღნიშნული გზით შექმნილი სუბიექტური წარმოდგენა თვისებას, იყოს ობიექტი, განიცდებოდეს როგორც სუბიექტისგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობა? სხვანაირად რომ ვთქვათ, საიდან შემოდის გამოცდილებაში ობიექტური ფაქტორი, რომელიც შემდეგში ბუნებისმეტყველურ კვლევა-ძიებას ედება საფუძვლად? ეს საკითხი კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით დადგება ჩვენ წინაშე, თუ მხედველობაში მივიღებთ ვუნდტის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც აზროვნება არის სუბიექტური მოქმედება, რომელიც შეგრძნებების, გრძნობებისა და მისწრაფებების გვერდით არ წარმოადგენს რამე ახალ მოვლენას, რომ იგი ისეთს არაფერს შეიცავს, რომლის დაშლა ამ ელემენტარულ პროცესებად შეუძლებელი იყოს. აზროვნების ფორმაში გაერთიანებული გრძნობადი ელემენტები — შეგ-

[1] Система философии, გვ. 373.

რძნებები — წარმოადგენენ უშუალო გამოცდილების ობიექტებს (ამიტომ არის, რომ ვუნდტი აზროვნებისა და არსებობის პირველადი ერთიანობის შესახებ ლაპარაკობს).

ის გარემოება, რომ „в действительности же субъект ничуть не предшествует мыслимому от него независящим объекту: оба они выделяются из нераздельного представления — объекта лишь в тот момент, когда возникает рефлексия абстрогирующего мышления по поводу различных признаков упомянутого объекта“ [1] არ ხსნის ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხს. ჩვენი კითხვა სწორედ იმას ეხება, საიდან არის ამ ორი ფაქტორის — სუბიექტისა და ობიექტის — გამოყოფის შესაძლებლობა, თუ მართლაც წარმოდგენა-ობიექტი სავსებით ერთგვაროვანი მასალიდან არის აგებული და გამოცდილების ანალიზი ამ მასალის მეტზე არაფერზე მიუთითებს?

2. უშუალო გამოცდილების ფაქტები „оказываются сплошь только воззрениями“ [2]. ამ ფაქტებს მიეკუთვნება წარმოდგენაც, რომელსაც აქვს თვისება, იყოს ობიექტი; „представления даны нам повсюду как сложные соединения многочисленных элементов“ [3]. ამიტომ პირველადს გამოცდილებაში არაფერია ისეთი, რომელსაც გრძნობადი, თვალსაჩინო ხასიათი არ ჰქონდეს. განსჯითი შემეცნებაც კი ჭვრეტითს ხასიათს ატარებს მანამ, სანამ იგი მეცნიერულ ბუნებისმეტყველურ შემეცნებამდე არ ამაღლდება, სანამ იგი განისაზღვრება ემპირიული ერთეული ცნებების შემუშავებით. ერთეული ემპირიული ცნება (აღქმაში მოცემული ერთეული ემპირიული საგანი ან კიდევ მისი რეპროდუქტული ხატი) იგივე გრძნობადი წარმოდგენაა იმ განსხვავებით, რომ პირველს თან ახლავს ლოგიკური განსჯა იმ შინაარსის შესახებ, რომელსაც იგი თვითონ შეიცავს. ცნების შინაარსი აქ მთლიანად ინარჩუნებს წარმოდგენითს ბუნებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც განსჯითი შემეცნება წარმოდგენის მთელ შინაარსს — შეგრძნებებს — და მასთან ერთად ყველაფერს, რაც უშუალო ჭვრეტაშია მოცემული, სუბიექტს მიაკუთვნებს, გასაგები ხდება, რომ „познающий субъект способен воспринимать лишь самого себя, а объективный мир он способен только понимать, то есть, фиксировать в понятиях“ [4]. ობიექტური სამყარო, რომელიც მხო-

[1] Система философии, გვ. 60.
[2] იქვე, გვ. 94.
[3] იქვე, გვ. 29.
[4] იქვე, გვ. 87.

ლოდ ცნებებში შეიძლება იქნას ფიქსირებული, მოკლებულია გრძნობად, თვალსაჩინო ხასიათს. უშუალო გამოცდილების ჭვრეტით ობიექტებს მის მიმართ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. ისინი თვითონ კი არ წარმოადგენენ ობიექტურ სამყაროს, არამედ მიუთითებენ მასზე. შეგრძნებები, რომელნიც წმინდა სუბიექტურ ნიშნებს წარმოადგენენ, „не само по себе объективно реальны, а указывают на реальность, которую можно мыслить лишь при посредстве понятий“ [1]. სავსებით იგივე ითქმის წარმოდგენის შესახებაც: „представления всюду рассматриваются при этом совершенно так же, как слова или иные символы понятий, а именно только как воззрительные значки для предмета, который сам по себе допускает определение лишь при посредстве понятий, в прямую противоположность фактам непосредственного опыта, которые оказываются сплошь только воззрениями“ [2].

ვუნდტის შეხედულებით, უშუალო გამოცდილებიდან სუბიექტის განყენების შემდეგ მიიღება გაშუალებული გამოცდილება — ობიექტური სინამდვილე, — რომელიც ბუნებისმეტყველების საგანს შეადგენს. აქ ლაპარაკია არა ლოგიკურ, არამედ რეალურ ემპირიულ სუბიექტზე, რომელიც თვითონ წარმოადგენს უშუალო გამოცდილებას მისი ორივე — სუბიექტური და ობიექტური — ფაქტორის ჩათვლით. ასეთი სუბიექტის განყენების შემდეგ პირველადი გამოცდილებიდან, საერთოდ, არაფერი დარჩება, რადგან განსჯითი შემეცნება სუბიექტისგან დამოუკიდებლად არსებულად მიჩნეულ ერთეულ-ემპირიული საგნის ყველა გრძნობადს ნიშანს სუბიექტს მიაწერს, ხოლო სხვანაირი ნიშანი მას, საერთოდ, არ გააჩნია. ამიტომ მუდამ კითხვის ქვეშ რჩება, საიდან და რანაირად შეიძლება მიღებულ იქნას, უშუალო გამოცდილებიდან სუბიექტის განყენებით, უშუალო გამოცდილების ობიექტების კონსტრუქტული გადამუშავების გზით ბუნების სინამდვილე — ობიექტური ქვეყანა.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის მოძებნა კიდევ უფრო საეჭვო ხდება მას შემდეგ, როცა მხედველობაში ვღებულობთ ვუნდტის მოსაზრებებს, რომლის მიხედვითაც აღიარებულია, რომ მთელი უშუალო გამოცდილება წმინდა გრძნობადი, თვალსაჩინო მასალისაგან არის აგებული, ხოლო გაშუალებული გამოცდილების მთელი შინაარსი არათვალსაჩინო, აზრითი საგნებისაგან, ანუ ცნებებისა-

[1] Система философии, გვ. 102.

[2] იქვე, გვ. 94.

გან, შედგება, რომლის მიმართაც უშუალო გამოცდილების ობიექტები — წარმოდგენები — შეიძლება მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობისა იყვნენ. შეუძლებელია შემეცნებითი თვალსაზრისის რამე მიმართულებით შეცვლას გრძნობადი შინაარსების არაგრძნობადად გადაქცევა მოჰყვეს შედეგად. საერთოდ, შეუძლებელია ოდესმე მოინახოს ისეთი გზა, ისეთი ხერხი, რომელიც გრძნობადი — სენსორული — მასალის აზრითს საგნად, ანუ ცნებად, გარდაქმნას მოახერხებს. ცნებები, რომელითაც აგებულია ბუნებისმეტყველება, უშუალო გამოცდილების არავითარ ელემენტს არ შეიცავს, როგორც, მაგ., ელექტრომაგნიტურ ტალღებში არაფერი არ არის უშუალოდ განცდილი ფერებისა.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ან საერთოდ შეუძლებელია პირველადი (უშუალო) გამოცდილებიდან გაშუალებული (ბუნებისმეტყველური) გამოცდილების მიღება ან და საქმე, უბრალოდ, თვალსაზრისში კი არ არის, არამედ იგი გამოცდილების შინაარსთა საგნობრივ განსხვავებას ეხება; რომ უშუალო და გაშუალებული გამოცდილება ერთი და იგივე სინამდვილისადმი ორი განსხვავებული თვალსაზრისის შედეგი კი არ არის, არამედ, პირიქით, თვით ამ ორი განსხვავებული თვალსაზრისის შესაძლებლობას გამოცდილებაში ორი განსხვავებული შინაარსის არსებობა იძლევა და რომ ეს ორი შინაარსი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც გრძნობადი ჭვრეტის თვალსაჩინო ხატი იმ აზრითი საგნისაგან — ცნებისაგან, რომელსაც განსჯითი შემეცნება გულისხმობს მასში. ერთი მათგანი ყოველთვის გრძნობად აღქმაში განიცდება უშუალოდ, ხოლო მეორეს შეიძლება მხოლოდ გონება მიწვდეს ანდა, როგორც ვუნდტი ამბობს, იგი შეიძლება „только понимать, то есть, фиксировать в понятиях".

თუ ამ უკანასკნელ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ბუნებისმეტყველების საგანს უშუალო გამოცდილება კი არ შეადგენს, არამედ სუბიექტიდან დამოუკიდებლად ნაგულისხმევი საგანი, რომელიც „остается как задача мышления, разрешимая лишь при посредстве понятий" [1].

უშუალო გამოცდილება, თავისი წარმოდგენებით, აზროვნებას მიუთითებს ასეთ საგანზე, ასრულებს რა მის მიმართ ბუნებრივი ნიშნის, თუ ბუნებრივი სიმბოლოს, როლს. თვით ვუნდტიც რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ ბუნებისმეტყველების საგანი უშუალო

[1] Система философии, გვ. 93.

გამოცდილების მიმართ ტრანსცენდენტურიაო. მაშინ, გამოდის, რომ უშუალო გამოცდილება მხოლოდ უბრალო (მაგრამ აუცილებელი) დასაყრდენია ბუნების მკვლევრისათვის; იგი მას მიმართულებას აძლევს და უჩვენებს, თუ საითკენ წარმართოს კვლევა-ძიება, რომ თავისი კვლევის საგანი განსაზღვროს.

ასეთი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ვუნდტის უშუალო და გაშუალებული თვალსაზრისები წმინდა გრძნობადსა და წმინდა ინტელექტუალურ ჰვრეტას აღნიშნავს; რომ წმინდა გრძნობადს ჰვრეტაში ჩვენ სუბიექტური სამყარო — ფსიქოლოგიის კვლევის სფერო — გვეძლევა, ხოლო წმინდა ინტელექტუალურ ჰვრეტაში — ობიექტური ქვეყანა. ვინაიდან ჩვეულებრივად ინტელექტუალური ჰვრეტა გრძნობად ჰვრეტაში განცდილ შინაარსში ხდება, ინტელექტუალური ჰვრეტის საგანი ჩვენ გრძნობადს, თვალსაჩინო ხატებში გვეძლევა. მაგრამ ის გარემოება, რომ ისინი ერთად გვხვდება, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთი და იგივეა.

როგორც არ უნდა ვიმსჯელოთ ვუნდტის შესახებ, მის მიმართ ძალაში რჩება P. Natorp-ის შემდეგი შენიშვნა: გამოცდილების ერთიანობის საკითხი ვუნდტის მოძღვრებაში მუდამ საეჭვოდ რჩება, რადგან „nicht alles unmittelbar Erfahrene ist objektiv, nicht alles subjektiv zu beziehen, wenn auch die objektiven und subjektiven (genauer: die objektiv und die subjektiv zu beziehennde) Faktoren in der wirklichen Erfahrung nicht getrennt, sonder nur durch Abstraktion von einander zu scheiden sind. Noch besonders achwirig ist, dass die unmittelbare Erfahrung auch die objektiven Erfahrungen, die Vorstellungen sogar „nach ihrer objektiven Beschaffenheit „einschlossen solle“ [1].

მართლაც, როგორ შეიძლება კაცმა ილაპარაკოს გამოცდილების (და, მაშასადამე, ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საგნის) ერთიანობის შესახებ, როცა თვითონ ვუნდტის მიერ მრავალგზით მტკიცდება, რომ უშუალო გამოცდილება თავისი წარმოდგენებით გაშუალებული გამოცდილების აზრითი საგნების, ანუ ცნებების, მიმართ მხოლოდ ბუნებრივი ნიშნის ან კიდევ ბუნებრივი სიმბოლოს როლს ასრულებს; როცა აღიარებულია, რომ განსჯითი შემეცნება „для познания реального внешнего мира, к достижению которого он стремится, разрушает все чувственное, чтобы

[1] P. Natorp, Allgemeine Psychologie, 1912 წ., გვ. 266.

на месте ее вновь построить из понятий реальность отвлеченную“ [1].

ვუნდტისათვის ფსიქოლოგიური კვლევის სფერო მოცემულია უშუალო გამოცდილების სახით. ბუნებისმეტყველების სინამდვილე კი საძიებელია; უშუალო გამოცდილება ბუნების მკვლევარს დახმარებას უწევს იმით, რომ ობიექტური სინამდვილის მაძიებელ აზრს მიმართულებას აძლევს და უჩვენებს გზას თავისი საგნისაკენ. ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება მთლიანად რჩება წარმოდგენა-ობიექტის საზღვრებში, განისაზღვრება მხოლოდ მასზე ოპერაციების წარმოებით. ბუნებისმეტყველი, მართალია, ამოდის წარმოდგენა-ობიექტიდან, მაგრამ სრულიად არაფერი არ მოაქვს მას იქიდან თავისი მეცნიერებისათვის, გარდა იმ მითითებისა, რომელიც მას უჩვენებს, თუ საითკენ უნდა წაიმართოს კვლევა-ძიება.

გამოცდილების ერთიანობის შესახებ, როგორც ამას პროფ. ა. ბოჭორიშვილი აღნიშნავს, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, „თუ რომელიმე ელემენტი გამოცდილებისა, მაგ., სივრცე ფსიქოლოგიური კვლევისათვის იგივეა, რაც ბუნებისმეტყველების კვლევისათვის“. მაგრამ „მაშინ ის არის შემეცნების თვალსაზრისითაც ერთი და იგივე ობიექტი და ამიტომ ორი მეცნიერება მასზე არ უნდა არსებობდეს. თუ, პირიქით, სივრცე, რომელთანაც საქმე აქვს ფსიქოლოგიას, სხვაა, ვიდრე ის სივრცე, რომელსაც იკვლევს ბუნებისმეტყველება, მაშინ საერთო საგანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქრება“ [2].

3. ფსიქოლოგიის ორი მნიშვნელოვანი მონაპოვარი თავის დროზე უცნობი იყო ვუნდტისათვის, თორემ მის შეხედულებას შეიძლებოდა შედარებით განსხვავებული სახე მიეღო. მხედველობაში გვაქვს აზრის, ანუ თვალსაჩინო განცდის, აღმოჩენა ვიურცბურგელების მიერ და აღქმის პრობლემის გადაჭრის ის გზა, რომელიც გეშტალტფსიქოლოგებმა მოგვცეს.

ერთი მხრივ, ცნობილი გახდა, რომ აზროვნების პროცესი შეგრძნებების შეერთების გზით კი არ მიიღება, არამედ იგი სრულიად თავისებური პროცესია, რომლის მიმდინარეობაშიაც გადამწყვეტ როლს აზრი, ანუ არათვალსაჩინო განცდა, ასრულებს. შეგრძნებები მასთან არააუცილებლობითი ხასიათის კავშირში იმყოფებიან. მე-

[1] Система философии, გვ. 102.

[2] ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის საგნის პრობლემა (ხელნაწერი), გვ. 205.

ორე მხრივ, დღეს აღარავისათვის საეჭვო არ უნდა იყოს ის აზრი, რომ აღქმას შეგრძნებები არც რეალურად უსწრებს წინ და არც ლოგიკურად, რომ აღქმა შეგრძნებათა შეერთების გზით მიღებული განცდა კი არაა, არამედ იგი პირველადს მთლიანობას წარმოადგენს. ამას შემდეგში დაერთო კიდევ ის აზრი, რომ ნამდვილი აღქმა არასოდეს არ შეიძლება იყოს წმინდა გრძნობადი ხასიათის განცდა, რადგანაც მასში ყოველთვის საგანი განიცდება. ამიტომ აღქმაში განასხვავებენ გრძნობადს შინაარსს — შეგრძნებადს მასალას, რომელსაც გრძნობის ორგანოების საშუალებით ვღებულობთ და აღქმის საგანს, რომელიც გონების მიერ არის ნაგულისხმევი ამ შინაარსში.

ვუნდტის მახვილ გონებას აღქმის ანალიზი ყოველთვის მიუთითებდა აღქმის ამ ორ მხარეზე: აღქმაში იგი მუდამ ხედავდა შეგრძნებათა უბრალო არითმეტიკულ ჯამზე რაღაც მეტს, მაგრამ, იმის გამო, რომ მას ეგონა აღქმა შეგრძნებათა შეერთების გზით მიიღებაო, „მეტის“ საკითხი მისთვის პრობლემად იქცა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მან შემოქმედებითი სინთეზის ცნება შემოიღო, რაც უადგილო აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც აღქმის ნამდვილი ბუნება იქნა გარკვეული. როგორც ცნობიერების ლოგიკური ელემენტის — აზრის — აღმოჩენისათვის, ისე აღქმის პრობლემის გადაჭრისათვის, ყველა პირობა იყო მომზადებული ვუნდტის მიერ, მაგრამ თვითონ ვუნდტის ცნობიერება ისე იყო დამძიმებული კლასიკური ფსიქოლოგიის შეხედულებებით, რომ ხშირად იგი ვერ ახერხებდა საკუთარი აზრის მეცნიერული ღირებულების გათვალისწინებას, თორემ ისე ვუნდტის მთელი გაშუალებული (მეცნიერული) გამოცდილება წმინდა ცოდნას წარმოადგენს; იგი მხოლოდ არათვალსაჩინო აზრებიდან, ანუ ცნებებიდან, არის აგებული. ვუნდტი ლაპარაკობს ისეთი ცნებების შესახებაც, რომელთა წარმოდგენებში ფიქსაცია საერთოდ შეუძლებელია, რომელთაც სიტყვების სახით მხოლოდ იდეალური ნიშნები, ანუ იდეალური სიმბოლოები გააჩნია.

ვუნდტი ამტკიცებდა, რომ გამოცდილება არის ერთიანი: საგანი ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების არის ერთი. ამასში იგი არ ცდებოდა, რადგანაც გამოცდილების ქვეშ წარმოდგენა-ობიექტს, ანუ აღქმას გულისხმობდა. აღქმა, როგორც ასეთი, ერთია, მაგრამ იგი ორი განსხვავებული მეცნიერების კვლევის საგანს შეიცავს. აღქმის შინაარსი და მისი განცდითი ბუნება ფსიქოლოგიური კვლევის სფეროს მიეკუთვნება, ხოლო აღქმის საგანი, რომე-

ლიც ჩვენს ცნობიერებაში აზრის სახით შემოდის, რომელიც მხოლოდ გონებისათვისაა მისაწვდომი, ობიექტურ რეალობას წარმოადგენს და მასთან ფსიქოლოგიას არავითარი საქმე არა აქვს. ბუნებისმეტყველება ამ საგანს უშუალო გამოცდილების გრძნობადი შინაარსების კონსტრუქციის გზით კი არ ღებულობს, როგორც ეს ვუნდტს ჰგონია, არამედ მას წვდება აღქმაში ინტელექტუალური ჭვრეტის გზით ისევე უშუალოდ, როგორც, მაგალითად, თვალი რომელიმე ფერს.

ბუნებისმეტყველება კონსტრუქტულ მუშაობას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ჰიპოთეზების საშუალებით უშუალო მოცემულობიდან გადის და ცდილობს გაარკვიოს ამ უკანასკნელის, როგორც ფაქტის, რეალური საფუძველი, ანუ მიზეზი. მაგრამ მთელი ბუნებისმეტყველება როდია მხოლოდ ჰიპოთეზი!

გამოცდილება ერთია, რადგან არ არსებობს აღქმა, რომელიც წმინდა შეგრძნება ან წმინდა საგნობრივი აზრი იყოს: აღქმის საგანი მხოლოდ აღქმის შინაარსში — შეგრძნებებში — შეიძლება იქნას ნაგულისხმევი, ხოლო შეგრძნებებს აღქმის ფორმაში მხოლოდ მასში ნაგულისხმევი საგანი აერთიანებს. მაგრამ გამოცდილების რეალური ერთიანობა არ ნიშნავს იმას, რომ მასში ლოგიკური ანალიზის გზით ორი განსხვავებული საგნის — ფსიქიკურისა და ფიზიკურის — გამოყოფა არ იყოს შესაძლებელი. პირველი მათგანი მოცემულია რეალურად, როგორც განცდა, რომელსაც შეიძლება თავისი ლოგიკური აზრი მოენახოს, ხოლო მეორე — მხოლოდ ლოგიკური, მხოლოდ ობიექტური აზრის სახით. ვუნდტი უეჭველად გრძნობდა ასეთ რამეს, როცა იგი გამოცდილების ერთიანობის — და გამოცდილებაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების იმთავითვე არსებობის — შესახებ ლაპარაკობდა, როცა იგი შესაძლებლად ხედავდა გამოცდილების ერთი რეალური ფაქტის ნიადაგზე ორი განსხვავებული მეცნიერების აგებას.

გამოცდილება, რომელსაც საგანი — აზრი არ აქვს, არ არის გამოცდილება. აზრითი მხარე გამოცდილების ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც გრძნობადი მასალა. ამას ვუნდტიც გრძნობს, როცა იგი ამბობს, რომ გამოცდილება, რომელიც აზროვნების მიერ რამე სახით არ იყოს ცნებათა ფორმაში გადამუშავებული, არ არსებობს; რომ გამოცდილებიდან ყოველივე აზრისეულის განყენების შემდეგ გვრჩება არა ისეთი რამ, რასაც შეიძლება გამოცდილება ეწოდოს, არამედ უბრალო „იდეური მასალა“ გამოცდილებისათვისო. მაგრამ ვუნდტი ცდება, როცა ფიქრობს,

რომ გამოცდილების ეს საგნობრივი, ანუ აზრითი მხარე მოცემული კი არ არის, არამედ იქმნება ჩვენთვის შეუცნობლად, ჰვრეტაში გრძნობადი მასალის გადამუშავების გზით, როცა იგი გამოცდილების აზრს, მაგ., აღქმის საგანს, თვლის სუბიექტის (აზროვნების) მოქმედების პროდუქტად (ისეთ რამედ, რაც შეიძლება შემოქმედებითი სინთეზის პროცესში შეიქმნას).

4. ვუნდტის აზრით, უშუალო გამოცდილება წმინდა, უსუბსტრატო პროცესია, წმინდა მოვლენაა, აქტია, რომელიც მოკლებულია დროში ყოფნას, დროში გამძლეობას. ფსიქიკურს საერთოდ არავითარი მეტაფიზიკური საფუძველი არა აქვს. იგი მხოლოდ ის არის, რაც მოვლენაშია: „нет иных носителей, кроме них самих“ [1]. ფსიქიკური "Это — безостановочно текущие и связанные друг с другом процессы“ [2], „бытие ея состоит в самых этих процессах“ [3]. ვუნდტს უშუალო გამოცდილების (ფსიქიკურის) მოვლენითი ბუნების შესატყვისად, ბუნებისმეტყველების სუბსტანციონალური მიზეზობრიობისგან განსხვავებით, შემოაქვს აქტუალური მიზეზობრიობის ცნება, რაც გულისხმობს თვით პროცესთა წმინდა მიზეზობრიობას.

ფსიქიკური მიზეზობრიობა ჩვენ მოცემული გვაქვს უშუალოდ, ყველა თავისი წევრითა და კავშირით.

როგორ უნდა გვესმოდეს უშუალო გამოცდილების პროცესუალური ხასიათი? რას ნიშნავს ფსიქიკურის თვით პროცესთა წმინდა მიზეზობრიობა?

თუ პროცესს ჩვეულებრივი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ გაუგებარი დარჩება ვუნდტის ძირითადი მოსაზრება ფსიქიკურის პროცესუალური ხასიათის შესახებ. გაუგებარი დარჩება, რადგან პროცესი, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, პროცესში არსებული სუბსტრატის გარეშე არ იაზრება: პროცესი არის დროში გაშლილი ცვალებადობა რამესი. ცვალებადობა ყოველთვის გულისხმობს ცვალებადს, როგორც დროში არსებულ სუბსტრატს. ვუნდტის უშუალო გამოცდილების ცნება კი ასეთ სუბსტრატს გამორიცხავს: „...можно раз навсегда заявить, что внутренних психических объектов в том смысле, в каком мы говорим о внешних вещах, как об относительно постоянных носителях переменных свойств и состояний, вообще не существует“ [4].

---

[1] Система философии, გვ. 184.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 185.

[4] იქვე, გვ. 26.

შესაძლებელია ცნობიერებას შინაარსთა ცვალებადობის ორი შემთხვევა განვასხვავოთ: ერთია, როდესაც თვით შთაბეჭდილება განიცდის ცვალებადობას ჩვენ თვალწინ, ჩვენი ცნობიერების ფონზე, ხოლო მეორეა, როდესაც თვით მოცემული შთაბეჭდილება კი არ იცვლება, არამედ იგი ადგილს უთმობს მეორე შთაბეჭდილებას. პირველ შემთხვევაში ცვალებადობა — დროში გაშლილი ერთი მთლიანი პროცესია და ამიტომ იგი შეიძლება ხაზის სახით იქნას წარმოდგენილი; მეორე შემთხვევაში ცვალებადობა ერთის მეორეთი შეცვლას ნიშნავს, რის გამოც იგი არ შეიძლება დროში შეკავშირებულ ერთ პროცესად იქნას მიჩნეული. ამიტომ ამ უკანასკნელის ბუნებას ერთიმეორის გვერდით მდებარე წერტილები უფრო გამოხატავს, ვინემ ხაზი.

ვუნდტის მიერ ფსიქიკური ისეა წარმოდგენილი, რომ მას ცვალებადობის ეს მეორე სახე უფრო შეესატყვისება, ვიდრე პირველი. წმინდა უსუბსტრატო „პროცესი“ არ შეიძლება დროში გაშლილი ერთი მთლიანი პროცესი იყოს, რადგან მას აკლია ის, რაც პროცესთა მთლიანობას უნდა ქმნიდეს: არის ცვალებადობა, მაგრამ არ არის ის, რაც ცვალებადობას განიცდის. ამიტომ რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: ფსიქიკური პროცესი გაგებულ იქნას როგორც ცალკეული აქტების დროითი ერთობლიობა. ცალკეულ აქტებს შორის არ შეიძლება რამე შინაგანი ხასიათის კავშირი იყოს, რადგან მაშინ რაღაც სუბსტრატის მაგვარი უნდა არსებობდეს იმ აქტების მანძილზე მაინც, რომელთა შორის ასეთი კავშირის დადასტურებას შევეცდებით. თითოეული აქტი არის ფსიქიკური მომენტი, რომელიც, ერთხელ გაანათებს რა, ქრება და შემდეგ აღარ მეორდება.

მაგრამ მაშინ რის ნიადაგზე უნდა მოხდეს ამ ცალკეული აქტების ერთ მთლიანი გამოცდილების ფორმაში შეკავშირება? ვუნდტი აქ ფსიქიკურის აქტუალური მიზეზობრიობის ცნებას იშველიებს, რომლის მიხედვითაც „психическая причинность сводима к определенным принципам, в которых общий характер психического процесса по отношению к связи его элементов находит адэкватное выражение, и как применение которых может быть рассматриваема всякая отдельная конкретная форма этого процесса“ [1].

ვუნდტის აქტუალური მიზეზობრიობის ცნება საბოლოო ანგა-

[1] Система философии, გვ. 373.

რიშში შეიძლება დაყვანილ იქნას ასოციაციის კანონებამდე, რომელიც ასიმილაციის, შემოქმედებითი სინთეზისა და სხვა ამგვარი პრინციპებით არის შევსებული. როგორც ნატორპი აღნიშნავს, ...Yudessen, was uns Wundt als die von ihm unmittelbar erlebte psychische Kausalität beschreibt (Grundriss V, bes. § 23, und „über psychische Kausalität, Ph. St. X, 1 ff = Kl, Schr. II, 1 ff), ist vielleicht sonst etwas, aber sicher nicht Kausalität; jedenfalls nichts von dem, was man sonst unter dieser Benennung verstanden hat“ [1].

ეს ასეა, რადგან ასეთ შემთხვევაში მიზეზობრიობა დაიყვანება უბრალო დროით კავშირზე (ერთდროული ან ერთიმეორის შემდეგ); სხვაგვარი კავშირის შესაძლებლობას არც იძლევა „წმინდა პროცესის“ სახით გაგებული ფსიქიკური, რადგან მასში ან მას უკან არაფერია ისეთი, რაც სხვაგვარი (შინაგანი) კავშირის საფუძვლად გამოდგეს.

და ბოლოს, თუ ფსიქიკურის პროცესუალური ბუნებიდან გამოვალთ, მაშინ ვუნდტს არც აქვს უფლება მოცემული განცდა ფსიქიკური ელემენტების სინთეზის ნიადაგზე ახსნას, რადგან მას არ აქვს უფლება მოცემულის უწინარესი ფსიქიკური ელემენტების არსებობა დაუშვას, რადგან ასეთი დაშვებით ეს ელემენტები ობიექტურად იქცევიან, რომელთაც დროში სუბსტანციონალური არსებობა ეძლევა. ვუნდტი ამას ნათლად გრძნობს და არაერთხელ აღნიშნავს, რომ ფსიქიკური ელემენტები მხოლოდ ლოგიკური აბსტრაქციებია, რეალურად ასეთი რამ არ არსებობსო; მაგრამ თუ რეალურად ისინი არ არსებობენ, მაშინ შეუძლებელია მის საფუძველზე ახსნილი იქნას ის, რაც რეალურად არსებობს: რეალურს არ შეიძლება ლოგიკური მიზეზი გააჩნდეს, იგი არ შეიძლება ლოგიკურით იქნას გამოწვეული. ხოლო თუ ეს ასეა, იმ პრინციპებისათვის, რომელიც ვუნდტს ფსიქიკურის ახსნის მიზნით შემოაქვს ფსიქოლოგიაში, ადგილი არ რჩება. მეტიც შეიძლებოდა გვეთქვა: ვუნდტის ფსიქოლოგიაში, საერთოდ, არ რჩება ადგილი ახსნითი მუშაობისათვის, რადგან ვუნდტისებურად გაგებული ფსიქიკური გამორიცხავს მიზეზობრივ მიმართებათა ყველა შესაძლებლობას.

ახლა ისევ დგება საკითხი ჩვენ წინაშე: რა უდევს საფუძვლად განცდად ელემენტთა მთლიანობას? რა აკავშირებს გამოცდილებას? ვფიქრობთ ის, რასაც ვუნდტი შემოქმედებითი სინთეზის

[1] P. Natorp. Allgemeine Psychologie, გვ. 269.

პროდუქტად თვლიდა და რაც ნამდვილად აქტში ნაგულისხმევ საგანს, ინტენციონალურ საგანს წარმოადგენს. საგანის ნიადაგზე მყარდება შინაგანი კავშირი აქტის ცვალებადს მასალას შორის. ეს აზრითი საგანი ასრულებს სუბსტრატის როლს გრძნობადი მასალის მიმართ: ის ახერხებს მათ შეკვრას ერთ მთლიან განცდაში. შესაძლებელია, განსაზღვრულ ფარგლებში აქტის მასალა, აქტის შინაარსი იცვლებოდეს, ხოლო აქტში ნაგულისხმევი აზრითი საგანი უცვლელი დარჩეს. ეს გარემოება კი შესაძლებლობას გვაძლევს გამოცდილება დროში გაშლილი პროცესის სახით წარმოვიდგინოთ. საგნის გამორიცხვის შემდეგ მთელი გამოცდილება დაიშლებოდა, იგი ქაოსად იქცეოდა.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ნ. მაისურაძე

ზოგი რამ ქართული და რუსული ლიტერატურის ურთიერთობიდან

(18 საუკ.)

ქართულ ლიტერატურას საკმაო ხნის ურთიერთობა აქვს რუსულ ლიტერატურასთან მისი იდეურობისა და თემატიკის თვალსაზრისით.

ეს ურთიერთობა განსაკუთრებით რელიეფურად მოჩანს მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან, სათავეები კი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

ლიტერატურული ურთიერთობის დასაწყისად ვგულისხმობთ ქართველი მწერლების მიერ რუსული ლიტერატურის მიღწევათა გაცნობას, ჩვენს მწერლებზე მათ უშუალო გავლენას და ამ გზით ქართულ ლიტერატურაში „ევროპეიზმის" დასაწყისს. ეს პროცესი კი იწყება ვახტანგ მეექვსისა და მისი პლეადის წევრთა რუსეთში გადასახლების შემდეგ.

ამ მწერალთა ჯგუფს უნდა მივუმატოთ დ. გურამიშვილი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა უცხოეთში დაიწყო და დასრულდა და რომლის შემოქმედებაშიც იმ ხანის პოეტთა შორის ყველაზე მეტად ჩანს ქართული და რუსული ლიტერატურის ტრადიციათა სინთეზი. ჩვენ არ გვაქვს საუბარი საერთოდ რუსულ ლიტერატურის გავლენის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გვინდა მოვიტანოთ ვახტანგ მეექვსის, გურამიშვილისა და ორი რუსული ძეგლის თვალსაჩინო მსგავსებიდან.

შემონახულია ძველი რუსული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლი „დომოსტროი" (ხელთა გვაქვს „Домострой. Сильвестровский извод. Петербург. 1891 г.).

ამ თხზულებას მეტად გარკვეული მიზანდასახულობა ახასიათებს. იგი დაწვრილებით უკეთებს რეგლამენტაციას ადამიანის ყოველ მოქმედება-საქციელს რელიგიური, სახელმწიფოებრივი და სოციალური ყოფა-ცხოვრების სფეროში.

იგი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების საფუძვლებს კი არ აკრიტიკებს, არამედ სურს უკვე განმტკიცებული ტრადიცია იდეალურ ნორმამდე აიყვანოს.

„დომოსტროი“ წვრილმან დეტალებში ითვალისწინებს იმ რელიგიურ, ზნეობრივ და ყოფითს საფუძვლებს, რითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ოჯახი, მისი უფროსი, დიასახლისი და, საერთოდ, ყველა წევრი.

ცხოვრების ნორმათა ეს კოდექსი იწყება იმის ჩვენებით, თუ რა პატივი უნდა მიეგოს მეფეს, თავადს, როგორ მოწესრიგდეს რელიგიური ყოფა, როგორ უნდა აღზარდოს ქმარმა ცოლი, ბავშვები, მოსამსახურეები, როგორ უნდა იქცეოდეს დიასახლისი შინ თუ გარეთ. საერთოდ, ძეგლი მოიცავს ცხოვრების ყოველ მხარეს მის საერთო პრინციპულ საფუძვლებსა და ყოველდღიურობაში.

„დომოსტროი“ შედგება ხუთი განყოფილებისაგან:

1) სარწმუნოების წესები.

2) წესები მეფისა და საერო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დამოკიდებულების შესახებ.

3) საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დამოკიდებულების შესახებ.

4) საერთო ყოფა-ცხოვრების წესები.

5) სამეურნეო-ეკონომიური მითითებანი.

ეს თხზულება მეთექვსმეტე საუკუნეშია დაწერილი და იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში, რომ საუკუნეთა განმავლობაში სამაგიდო, ნიადაგსახმარი წიგნი იყო აღმზრდელთა და მეოჯახეთათვის.

დაუჯერებელია ამ თხზულების შინაარსი არ სცოდნოდათ რუსეთში მცხოვრებ იმ ქართველ პოეტებს, რომლებსაც სწავლა-აღზრდის მოძღვრება და საზოგადო თუ საოჯახო ზნეობის საკითხები შეჰქონდათ თავიანთ თხზულებებში. ისინიც ხომ საზოგადოებაში გაბატონებულ ტრადიციებს არ გმობდენ, არამედ იდეალურ ნორმებს უსახავდენ უკვე არსებულ საყოფაცხოვრებო ჩვეულებასა და შეხედულებებს.

ცნობილია, „დომოსტროის“ მოძღვრება ფიზიკური ზემოქმედებით ახალგაზრდის აღზრდა-განვითარების შესახებ.

„დომოსტროი“ ურჩევს, მშობლებმა უდიერი ცემით მიიყვანონ ახალგაზრდა სწორი, მართებული მოქმედების შეგნებამდე.

თუნდ კეტით სცემო, არა უშავს, ახალგაზრდა ამით არ მოკვდება, პირიქით, ცემა მას უფრო გააჯანსაღებს, და მის სულსაც

სიკვდილისაგან იხსნის. „И не ослабляй, бия младенца: аще бо жезлом биеши его, не умрет, но здравее будет, ты бо, бия его по телу, а душу его избавляеши от смерти".

ამას ამბობს დ. გურამიშვილიც სწავლა-აღზრდის მოძღვრების დროს:

ნუ გენაღვლების სწავლაზე
ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ
მისი წყლულების ტკივილი.

„დომოსტროის" რჩევით, წვრთნა ბავშვობიდანვე უნდა დაიწყოს ცემითა და შეშინებით, თორემ მერე გვიან იქნება.

„Уча и наказуя, и разсужая, рапы возлагати: наказуй дети во юности, покоит тя на старость твою". (Како детей своих воспитати во всяком наказании и страсе божии. гл. 15).

ამასვე იმეორებს იგი მეჩვიდმეტე თავში: (Како дети учити и страхом спасати) „Казни сына своего измлада и порадуешися о нем в мужестве. „... — И не дажь ему власти во юности, но сокруши ему ребра, донележе растет".

გურამიშვილის აზრითაც მოზარდის წვრთნა და აღზრდა ადრე უნდა იწყებოდეს, რადგანაც ასაკოვანის გამოსწორება შეუძლებელია.

„ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა,
ვით ახალმორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს-გასაწვრთნელადა".

„დომოსტროის" ავტორს აუცილებლად მიაჩნია, ბავშვმა ცხოვრებაში გამოსადეგი რაიმე ხელობა ისწავლოს. ამით იგი უზრუნველყოფილი და დაფასებული იქნება საზოგადოებაში.

„У богоязливых родителей чада воспитани в страсе божии и в благоразсудном ученин, всякому разуму и вежству и промислу и рукоделию, и те чада с родители своими бывают от бога помиловани и от добрых людей хвалими".

დომოსტროისებურ რჩევა-დარიგებას იძლევა დ. გურამიშვილის „დავითიანიც". იგი ჩამოთვლის სხვადასხვა ხელობას და მიმართავს ყრმას, რომელიც გინდა აირჩიეო:

მიჯნური, მწყემსი, ხელმწიფე,
გლახაკი, გინა მხვნელია,

მოლაშქრე, ვაჟარ, ხუცესი,
ოსტატი, ბრძენ-მსიტყველია...
რომელიც გინდა, იქონე,
ერთ-ერთს მოჰკიდე ხელია".

დომოსტროის აზრით, ადამიანი ბავშვობაში უნდა იგვემებოდეს და იტანჯებოდეს, ეს მას გამოწვრთნის, შრომას შეაჩვევს და სიბერეში გამოადგება. ყრმობის სიმწარე ხანში შესულობაში კეთილი ცხოვრების საწინდარია. Казни сына своего от юности его. Учащай ему раны да последи о нем возвеселишся.

„დავითის მცნების" მიხედვითაც, ლხინს ჭირის შემდეგ აქვს გემოვნება და ნამდვილ შვებას მხოლოდ ტანჯვაგამოვლილი იგრძნობს,

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამ დანანებასა.
ჭირს მყოფი, ლხინში შესული,
შვებად მოითვლი ვნებასა.

იგივე აზრია სტრიქონში „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების".

ახასიათებს და ადარებს რა ერთიმეორეს ზრდილს და უზრდელს, მცოდნეს და უცოდინარს, „დომოსტროი" მიუთითებს ამ თვისებათა შედეგებზე:

ზრდილი და მცოდნე ადამიანი საზოგადოებაში დაფასებულია, კაცთათვის საყვარელია, უვიცი და უზრდელი კი სასაცილოა, ოჯახისათვის და თავისთვის ფუჭია და ურგები „от людей укор и посмех, а дому тщета, а себе скорбь и убыток, а от людей продажа и соромота".

უწვრთნელი შვილი ხალხში თავის მომჭრელია, მშობლების შემარცხვენელი და ოჯახის დამღუპველი. И будет ты досажение, и болезнь души, и тщета домови, погибель имению и укоризна от сусед, посмех пред враги, пред властию платеж и досада зла.

დ. გურამიშვილიც განსწავლულს საზოგადოებისაგან პატივს და კეთილ ცხოვრებას ჰპირდება, უსწავლელს კი უწრთნელ ძაღლს ადარებს და ამ უკანასკნელს მეტს უპირატესობას აძლევს: „სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა, უწვრთელის შვილის ყოლასა".

მშობელთა შვილი უწვრთელი
აროდეს მისცემს ლხენასა,

სულთა წარწყმენდას და ხორცთა
მიუთხრობს მით შერცხვენასა".

საინტერესოა „დომოსტროისა" და გურამიშვილის ერთნაირი შეხედულება ოჯახზე, ცოლისა და ქმრის ურთიერთობაზე, განსაკუთრებით დედაკაცის გარეგნობისა და ხასიათის შეფასებაში.

„დომოსტროის" დარიგებით კაცი გულისთქმას არ უნდა აჰყვეს, ქალი — ცოლი თავისი კეთილ თვისებებითაა დასაფასებელი და არა გარეგნობით.

„аще дарует бог жену добру, дражайши есть камени многоценного: таковая от добры корысти не лишится; делает мужу своему все благожитие".

გურამიშვილის თქმით სათნო და ერთგული ცოლის პატრონი უზრუნველყოფილია, დამშვიდებული, „ძილი და ღვიძილი ექნების ტკბილად". ასეთ ცოლებს აქებს „დომოსტროიც". თუ ქალი ღვთისმოსავია და კეთილი „не печется о дому муж ея".

„Жена добра веселит мужа своего и лета его исполнит миром —

„Жена добра и страдолюбива и молчалива, венец есть мужеви своему" ასე ახასიათებს „დომოსტროი" კარგ ცოლს და დაჟინებით ურჩევს:

„Обрете муж жну свою добру".

ბედნიერი და დღეგრძელია ასეთი მეუღლის პატრონი:

„Жены ради добры блажен муж, и число дний его сугубо".

წვალთა სიმრავლეს ჰირდება გურამიშვილიც ულამაზო, მაგრამ კეთილი ცოლის ქმარს.

„ქალს ნუ უვარყოფ თვალად ნასობით,
თუ გწამს სიცოცხლე წელთა ასობით".

რაზე მიუთითებენ მოცემული პარალელები? იმაზე, რომ გურამიშვილი უშუალოდ გამოდის „დომოსტროიდან", ბაძავს მას ან მის გავლენას განიცდის, თუ საერთოდ ჩვენი პოეტი იცნობს, დეტალურადაც იცნობს, იმ ეპოქის დიდაქტიკურ შეხედულებებს, თავისი დროის ზნეობრივ პრინციპებს და დამოუკიდებლად აყალიბებს მას პოეტურ ფორმებში.

ერთიც სავარაუდოა და მეორეც.

სრულებითაც რომ არ სცოდნოდა გურამიშვილს ამ ძეგლის არსებობა, ეს ხელს ვერ შეუშლიდა მას თავისი, დაახლოვებით ასეთივე შეხედულება გამოეთქვა აღზრდისა თუ ცოლისა და ქმრის

ურთიერთობა-დამოკიდებულების შესახებ. ეს შეხედულებანი საერთო იყო იმ ეპოქისათვის და თანამედროვეობის მოთხოვნებთან იყო დაკავშირებული.

გარდა ამისა, გურამიშვილი, ალბათ, კარგად იცნობდა არჩილის, ვახტანგ მეფის, სულხან-საბასა და მამუკა ბარათაშვილის თხზულებებს. ამ პოეტთა გავლენა და მიბაძვა უცილოდ საგულისხმოა მის შემოქმედებაზე. რუსეთში არჩილს უთარგმნია ისუ ზირაქის წიგნი. ამ თარგმანს გასცნობია გურამიშვილი და მისი გავლენა განუცდია, როდესაც თავის შეხედულებას აყალიბებდა ოჯახური ცხოვრებისა და ცოლქმრული ურთიერთობის შესახებ.

„ქაცვია მწყემსში“ შვილმა მოისმინა „მამისაგან რჩევა და ჩვენება, თუ როგორი ცოლი შეირთოს“.

შვილო, მონახე ქალი ასეთი,
ჰეშმარიტებით სწამდეს მას ღმერთი,
ერიდე კახპას, ურცხვს, ლოთს და კაპასს,
თორემ გიგინებს დედ მამას. პაპას.

გურამიშვილი აძაგებს ბოროტს, ანჩხლს, ურცხვს დედაკაცს და იქვე უჩვენებს, თუ საიდან მოაქვს ეს შეხედულება.

„ისო ზირაქში ბრძენმან დასწერა:
დედაკაცისა პყრობა და ჭერა,
კარგ-გვარად ქადაგებს, აქებს და აძაგებს
ისუ დედაკაცთ.
— უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა
ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა.

„დომოსტროის“ დიდაქტიკიდან მოტანილი მაგალითების მსგავსებას გურამიშვილზე უწინარეს ვახტანგ მეექვსესთან ვხვდებით. სწავლის დასაწყისის სიმწარისა და დასასრულის სიტკბოების შესახებ ვახტანგი ამბობს:

„სწავლის ძირი მწარე არის, ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა“ ან სიყრმითგანვე სწავლა სიბერეში გამოგადგესო. ვახტანგი მოწაფის ფიზიკური ზემოქმედებით, ცემით შთაგონების მომხრეა: „მოწაფის მეტის ცემისთვის გშობასა ვინმე მთქმელია...

მწვრთნელთა მოსწავლის ცემაზე ვინ დაუზრახოს ბრალები“.

ავადზრდილი შვილის მიერ მიყენებული ჭირის შესახებ თქმა ვახტანგმა დაასწრო გურამიშვილს.

უნაყოფობა ბევრად სჯობს ბოროტის შვილის ყოლასაო.

ცხადია, გურამიშვილი იცნობდა ბევრ სხვა, დომოსტროის პრინციპების შემცველ თხზულებას, რომლებისათვისაც შეეძლო მიებაძა ან მათგან რაიმე ესესხებინა, მაგრამ ანალოგიები გვიჩვენებს, რომ მისთვის მთავარი გამოსავალი წყარო მაინც დომოსტროი უნდა იყოს.

გურამიშვილზე რომ წინაპართა დიდი გავლენაა, ეს მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ სპარტანული აღზრდის თუ გინდ ცოლქმრული ურთიერთობის ნორმები არც ისუ ზირაქის დადგენილია, არც სულხან ორბელიანისა და არც დომოსტროის მიერ. ამას მეტად შორეული ფესვები აქვს საუკუნეთა მიღმა. აქ მხედველობაში მისაღებია არა საერთო შეხედულება საკითხზე, არამედ აზრის, შეხედულების კონკრეტულ ფორმაში ასახვა, თქმის მოკვეთილი სახე და გურამიშვილთან მისი ანალოგია, ეს კი ერთგვარია დომოსტროისთან და გურამიშვილთან.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ვახტანგისა და გურამიშვილის სატრფიალო ლირიკის მსგავსება. არც ერთ ქართველ პოეტს არ ენათესავება გურამიშვილი აქ ისე, როგორც ვახტანგ მეფეს. მათ შორის საერთოა რელიგიურ-მისტიკური განწყობილება. ასეთ მოტივებს სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც აქვს ადგილი, მაგრამ ვახტანგთან და გურამიშვილთან იგი წრესგადასული მისტიკური გრძნობითაა დამძიმებული.

ვახტანგი წერს სატრფიალო ლექსებს, მაგრამ რაღაც თავისებური, ქართულ პოეზიაში მანამდე გაუგონარი და უჩვეულოა მისი სატრფიალო ლირიკა. იგი უმღერის ლამაზი ქალის ეშხსა და სილამაზეს.

„ჩემსა სატრფოსა ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითა
ვის გამო ვარდსა სუნი სდის და ფშვა შროშანთა სულითა...

ღაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად,
პირი შროშნად, ტუჩი ლალად,
თვალნი მელნად, წარბი სათად,
თმა სუნბულად, კბილი სრალად. ....
ყელი ვერცხლად. ძუძუ-მკერდი
ბროლსა გვანდა განათალად. ..."

როგორც ეს, ისე ამ ხასიათის სხვა ლექსები გარეგანი ფორმით, პოეტური ღირსებით ქართული სატრფიალო ლირიკის ტრადიციული გაგრძელებაა, მაგრამ სულ სხვაა ამ ლექსების იდეა და შინაგანი რაობა. ბოლოს ირკვევა, რომ ეს ლამაზი ქალი ღვთაებაა და არა ხორციელი არსება.

„ქალწულებისა ვარდი ხარ, სიწმინდის ბაღსა რგულია
ფერად გაქვს უმანკოება, უბიწოება სულ ია“... და სხვა.

მიჯნურობის ასეთ გაგებას ვხედავთ დ. გურამიშვილის შემოქმედებაშიც. გურამიშვილის სატრფო იესო კიდევ უფრო რეალური, ნამდვილად არსებული ქალის სახითაა წარმოდგენილი (სიმღერა დავითისა ზუბოვკა და სხვ.).

ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავთვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

მეტად რეალურია ამ ქალის გარეგნობა; შავი თვალ-წარბი, თეთრი სახე, სახეზე შავი ხალები. სიყვარულის გამოცხადების და ქალის მიერ უარის და მერე თანხმობის პროცესიც სულ ჩვეულებრივი, ამქვეყნიურია და არა საერთოდ ღვთაებისადმი ტრფობის გამომქღავნება.

ქალი პოეტს უწყრება, როგორ გამიბედე და თავი მთხოვე, ჩამომეხსენი, მე შენზე უკეთესი ქმარი მყავსო. პოეტი დაბნდა, ძირს დაეცა, ახლა კი შეებრალა ქალს, ხელი მოჰკიდა, ააყენა, გაუცინა და ასე უთხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა, ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა. კულაე სადმე ამოიცლი, მე დაგხვდები წინა“... ყოველივე ეს სამართლიან ეჭვს აღუძრავს ზოგიერთ მკვლევარს. თუ ეს სატრფო იესო ქრისტეა, რატომაა იგი ქალის სახით მოცემული, ან რატომ მაინცდამაინც ზუბოვკიდან მომავალმა ნახა პოეტმა ღვთაება, რომელიც მორწმუნეთათვის ყველგან არსებობს. მაგრამ ეს რომ ღვთაებაა და არა ჩვეულებრივი ქალი, ამას ლექსის მომდევნო სტრიქონები ადასტურებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ზუბოვკიდან მომავალი პოეტი ღმერთზე ფიქრს გაუტაცნია, უჩვეულო მისტიკურ ექსტაზში შესულა, რეალური სამყარო მთლიანად დავიწყებია და ქვეყნად ჩამოსული ღმერთი მოსჩვენებია. რატომ ქალის სახით წარმოუდგა გურამიშვილს მამაკაცი იესო, ეს უკვე მისი პოეტური ფანტაზიის, მისი შინაგანი ხილვის საქმეა, გარეშეთათვის მიუწვდომელი.

საიდან მომდინარეობს მიჯნურობის ასეთი გაგება? ეს ხომ ქართულ სატრფიალო პოეზიას არ ახასიათებს. ვსთქვათ, გურამიშვილს იგი მოაქვს ვახტანგისგან. ვახტანგმა საიდან მოიტანა? თავიდანვე ასე ესმოდა მას ასეთი პოეზიის დანიშნულება, თუ შემდეგში შეიმუშავა რუსეთში ყოფნის დროს არაქართული ლიტერატურის გავლენით?

მამუკა ბარათაშვილი თავის ჰაშნიკში სატრფიალო პოეზიის მიზანს ასე განმარტავს: „მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიკო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიკო, წმინდათა ამბავი გალექსოს, როგორც რუსთველს უთქვამს". მამუკა ურჩევს „ღმრთის სააშიკო" ლექსის თქმას, მაგრამ აქ იგი მხოლოდ იმეორებს ვეფხისტყაოსნის გმირების მიჯნურობაზე ვახტანგის შეხედულებას. თვითვე აცხადებს: „ჰაშნიკი" მეფის ბრძანებით ვთქვიო. მამუკა ბარათაშვილის პოეტიკის თეორიას ვახტანგის სამიჯნურო თვალსაზრისი დაედვა საფუძვლად.

ვახტანგ მეფე ვეფხისტყაოსნის გმირთა მიჯნურობას ალეგორიად ხსნიდა. ამ წიგნს სამეძაოდ სთარგმნიდენ. სინამდვილეში კი რუსთველი სალმთო მიჯნურობისათვის ამბობსო. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვახტანგს თავიდანვე ახასიათებდა მისტიკა და ტრფიალების ალეგორიული გაგება. მაგრამ ვახტანგის ნათქვამის ამ აზრით გაგება მართებული არ იქნებოდა. პოეტი მხოლოდ რუსთველის უკვდავი ქმნილების მიჯნური იყო. მას, ალბათ, კარგად ესმოდა, რომ თინათინისა და ავთანდილის, ნესტანისა და ტარიელის სიყვარული წმინდა ამქვეყნიური იყო და ზეცასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მიჯნურობის ალეგორიულად გაგება მისთვის მხოლოდ საფარი იყო უკვდავი პოემის კლერიკალური წრეების დევნისაგან დასაცავად.

ვახტანგი კარგად იცნობდა მისტიკაში გახვეულ სპარსულ პოეზიას. მისტიციზმის თანახმად, შესაძლებელია ზებუნებრივი ძალების წვდომა, შესაძლებელია ადამიანის უშუალო კავშირი არაამქვეყნიურ ძალებთან. ვახტანგის შემოქმედების სალაროში მხოლოდ პოტენციალურად იყო მზად ტრფობის ალეგორიული გაგება, სიყვარულის არაბიწიერი მიზანი. მას საქართველოდან გადაჰყვა რუსეთში სპარსული პოეზიის მუსულმანურ-სუფისტური მისტიკა. იქ კი მან ეს მისტიკა ქრისტიანულ სარწმუნოებრივ ნიადაგზე გატაიტანა.

ეს შეხედულება ლიტერატურის ისტორიაში ახალი არაა. (იხ. ალ. ბარამიძე. ნარკვევები II). ჩვენ გვინდა ამას მხოლოდ მცირე რამ დაეუმატოთ, სახელდობრ ის, რომ ვახტანგსა და გურამიშვილს რუსული ლიტერატურის გაცნობის დროს შესაძლებლობა ჰქონდათ ახლოს გასცნობოდენ ასეთი ხასიათის მხატვრულ ლიტერატურას და უფრო კონკრეტულად, უფრო თვალსაჩინოდ გამოეკვეთათ თავიანთი შეხედულება მხატვრულ სიტყვაში. მაგალითისათვის დავასახელებთ ერთ ნიმუშს. რუსულ ენაზე სხვათა შორის

არსებობს მოთხრობათა კრებული სათაურით „Великое зерцало". ეს კრებული პოლონურიდან გადმოუთარგმნიათ რუსულ ენაზე 1677 წელს. თავისი შედგენილობითა და შინაარსით „ზერცალო" ძლიერ ჰგავს მანამდე რუსულ ლიტერატურაში არსებულ იმ მასალებს, რაც რუსულ მინეებში, პროლოგებში და პატერიკებშია მოთავსებული. ეს კრებული „ზერცალო" განკუთვნილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიაში წარმოსათქმელ ქადაგებათა ილუსტრირებისათვის. „ზერცალოში" ბევრი თქმულებაა ღვთისმშობლის შესახებ. აი, ერთი მათგანი:

ერთ ლამაზ, უბიწო ახალგაზრდას ეშმაკის შთაგონებით თავისი ქალბატონი შეუყვარდა. დიდი ტანჯვის შემდეგ ახალგაზრდამ დასძლია სირცხვილი და გამოუტყდა ქალს. პატიოსანმა ქალმა არ უთანაგრძნო ვაჟს, პირიქით, დატუქსა ასეთი განზრახვისათვის. უფრო შეწუხდა ახალგაზრდა და რჩევა-დარიგებისათვის ცრემლებით მიმართა ნაცნობ მოხუც მეუდაბნოეს. მოხუცმა უბრძანა ახალგაზრდას ერთი წლის განმავლობაში ელოცა და ედიდებინა ღვთისმშობელი. ამის შემდეგ მიიღებდა იგი ტანჯვათა შემსუბუქებას. ახალგაზრდაც ასე მოიქცა. გავიდა ერთი წელი, შეჯდა ვაჟი ცხენზე და ჩვეულებისამებრ შევიდა მახლობელ ეკლესიაში სალოცავად. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდა, მან დაინახა არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი. ამ ქალის სილამაზე მეტობდა ყოველი ნახული ქალის სილამაზეს. ქალს სადავით ვაჟის ცხენი ეჭირა. — მოგწონს ჩემი სილამაზე — ჰკითხა ვაჟს ქალმა. ვაჟმა უპასუხა: შენებრი ქალი არასოდეს არ მინახავსო. — გინდა თუ არა ჩემი საქმრო იყოო — კვლავ ჰკითხა ქალმა: მეფეც კი ბედნიერად ჩათვლიდა თავს შენი საქმრო რომ ყოფილიყოო — უთხრა ვაჟმა. ქალმა მოჰკიდა ვაჟს ხელი — მოდი ჩემთან, მე მინდა შენი საცოლო შევიქნეო. ქალმა ამთხვევინა ხელზე და განაგრძო: — დღეს ჩვენი ნიშნობა იყო, შემდეგ კი ჩემი შვილის წინაშე იქნება ჩვენი ქორწინებაო. ამ სიტყვებმა ვაჟი მიახვედრა, რომ მის წინ ღვთისმშობელი იდგა და არა უბრალო ქალი. ამ წუთიდან ამოიღო ახალგაზრდამ გულიდან თავისი ქალბატონის სიყვარული. როდესაც ვაჟმა ყოველივე ეს უამბო მეუდაბნოეს, იგი განაკვირვა ღვთისმშობელის გულმოწყალეობამ და სურვილი გამოთქვა მათ ქორწინების დღეს დასწრებოდა. როდესაც ვაჟი კვდებოდა, მოხუცმა სიკვდილის ჟამს ინახულა ახალგაზრდა, მან კი უდრტვინველად დახუჭა თვალი, იმ იმედით შთაგონებულმა, რომ ზეცაში მიიღებდა იგი ქორწინებას და სამუდამო მხიარულებას.

როდესაც ამ ლეგენდას და მის მსგავს თხზულებებს ვადარებთ ვახტანგ მეექვსის „ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობას“, შემდეგი დასკვნა გამოგვაქვს: მისტიციზმისაკენ, საერთოდ ალეგორიისაკენ მისწრაფება ვახტანგს მანამდეც ახასიათებდა. ვეფხისტყაოსნის დაცვის დროს მან მიჯნურობას რელიგიური საფუძველი დაუდვა და ქალ-ვაჟთა ხორციელი ტრფობა საღმთო მიჯნურობად აღიარა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ალბათ, თვითონაც არ სჯეროდა, რასაც სხვას უმტკიცებდა და დარწმუნებული იყო, რომ ვეფხისტყაოსნის გმირთა სიყვარული ხილული ქვეყნის ფარგლებს არ სცილდებოდა. ასე რომ, ვახტანგის მიერ ვეფხისტყაოსნის მიმართ გამოთქმული შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ დაედება საფუძვლად შემდეგში მის მიერ რუსეთში დაწერილ სატრფიალო ლექსებს. სიყვარულის საგნად არაამქვეყნიერი არსება მხოლოდ პოეტის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში ჩანს. ეს სატრფიალო ლექსები ნათქვამია ვახტანგის მიერ დედაქალაქს მოსკოვს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ რუსული ლიტერატურის გავლენაა საგულისხმებელი.

ამ ნიადაგზე დასავლეთში შექმნილი და რუსეთში გადმოტანილი ლეგენდები ხასიათდება ფაბულის მოხდენილობით, ფსიქოლოგიზმითა და გამოთქმის გაბედულობით. ეს კი ხშირად ამ ლეგენდებს საერო ხასიათის ლეგენდებს უახლოვებს. ამით და მხოლოდ ამით განისაზღვრება უცხო ლიტერატურის გავლენა ვახტანგზე და გურამიშვილზე. თემის დამუშავებით, პოეტური ფორმითა და ლექსის მუსიკალობით გურამიშვილი გაცილებით ჩაღლა დგას როგორც რუს, ისე ამ დარგში მომუშავე უცხოეთის სხვა მწერლებზე. ეს არაა გასაკვირველი. ქართულ პოეზიას ამ დროს საუკუნეების ისტორია ჰქონდა მეხოტბეთა, რუსთაველისა და თეიმურაზის მაღალ ხარისხამდე ასული ლექსის სახით.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII. 1960.

კ. აფრიდონიძე

რუსეთის მისიის წარმატების ზოგიერთი მოკმენტისათვის თურქეთში 1832—1833 წ.წ.

XV საუკუნის შუა ხანებში თურქეთის (ოსმალეთის) იმპერიის აღმოცენებამ საგანგაშო მდგომარეობა შექმნა. ოსმალო თურქებმა დაიპყრეს მცირე აზია, ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა, ბალკანეთი და დაემუქრენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რაიონებს. აღმოსავლეთიდან მოწოლილი საფრთხის გამო გაერთიანდა ევროპის სახელმწიფოები და შეიქმნა ანტითურქული კოალიცია, გაერთიანებულ ძალთა ერთობლივი მოქმედების შედეგად თურქული აგრესია შეიზღუდა. მალე სამხედრო-ფეოდალური ექსპანსიის ბაზაზე დამყარებული ოსმალეთის საგარეო-პოლიტიკური ძლიერება დაეცა, რასაც თან მოჰყვა იმპერიის დაქვეითება და დასუსტება. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ეპოქაში მთელი ძალით გამომჟღავნდა ოსმალეთის იმპერიის სრული რღვევის სიმპტომები.

ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და რღვევის პერიოდში დაიწყო ანტითურქული კოალიციის დაშლა და დიდ სახელმწიფოთა შორის გაჩაღდა ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში უპირატესი გავლენის მოსაპოვებლად. ამგვარად წარმოიშვა წინააღმდეგობის ახალი კვანძი, რთული და სადაო პრობლემა — „აღმოსავლეთის საკითხი“.

ევროპის სახელმწიფოები გაფაციცებით შეუდგნენ გამოსავალის ძიებას, რათა ხელთ ეგდოთ კონსტანტინოპოლი — ოქროს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ახლო აღმოსავლეთი გახდა დაუსრულებელი დავისა და შეხლა-შემოხლის არენა. ინგლისი, ისევე როგორც საფრანგეთი, არავითარ საშუალებას არ თაკილობდა, ხელთ ეგდო თურქეთის სტრატეგიული პოზიციები თავისი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად მთელს აღმოსავლეთში.

თურქების ძლიერების დაცემისა და ახლო აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოების ექსპანსიური სწრაფვის ვითარებაში რუსეთს სასიცოცხლოდ აინტერესებდა ოსმალეთის იმპერიის ბედი. ერთი მხრივ, რუსეთის ეკონომიური განვითარება მწვავედ აყენებდა საკითხს სამხრეთის საზღვაო გზების შესახებ; მეორე მხრივ, ქვეყნის თავდაცვის ინტერესები მოითხოვდა მტკიცე სამხედრო პოტენციალის შექმნას შავი ზღვის რაიონში სამხრეთის საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად. მარქსი და ენგელსი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ სრუტეებისაკენ მისწრაფება წარმოადგენდა რუსეთის ტრადიციულ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრული იყო „მისი ისტორიული წარსულით, მისი გეოგრაფიული პირობებით და აუცილებლობით ჰქონოდა ღია ნავსადგურები არქიპელაგიაში...“ [1]

თავის მისწრაფებაში რუსეთს ძლიერი პოლიტიკური დასაყრდენი ჰქონდა. თურქეთის ბატონობის უღელქვეშ მყოფი ბალკანეთის ხალხების უმრავლესობა უკავშირდებოდა რუს ერს წარმოშობის, ენის, კულტურის თუ რელიგიური რწმენის ერთიანობით და რუსეთს თვლიდა ბუნებრივ მოკავშირედ განმათავისუფლებელ ომში. ბალკანეთის ხალხებს, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — „რუსებისადმი დიდი ეროვნული სიმპათიები ასაზრდოებს და აქვთ მათთან უფრო მეტი შეხების წერტილები, სულიერი ურთიერთობის უფრო მეტი საშუალებანი, ვიდრე იმავე ენაზე მოლაპარაკე რომაულ-კათოლიკურ იეზუსლავებთან...“ [2] სწორედ ამის გამო მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი, „რაც არ უნდა მოხდეს, ისინი პეტერბურგს უცქერიან მესიის მოლოდინში, რომელიც გაათავისუფლებს მათ ყოველგვარი ბოროტებისაგან“ [3].

რუსეთი, რომელიც ამგვარი ლეგიტიზმის პრინციპებს ემყარებოდა, ჩაგრული ხალხების მხარდაჭერით აჩქარებული მოქმედებდა და ეუფლებოდა პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, თურქეთში უპირატესი გავლენის მოსაპოვებლად.

პეტრე I დროიდან მოყოლებული ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად რუსეთმა მოახდინა თურქების იზოლირება სამხრეთიდან და დაიბრუნა ჩრდილოეთის სანაპირო ზოლი; ხოლო შემდეგ, გახდა რა შავი ზღვის სახელმწიფო, მიიღო დუნაის სამთავროების პრო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, М. 1933 г. გვ. 439.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, М. 1957 г. გვ. 9.
[3] იქვე.

ტექტორობისა და ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანული მოსახლეობის მფარველობის უფლება. ამ წარმატებებმა გარკვევით შეუწყო ხელი რუსეთის საეკონომიურ განვითარებასა და სამხრეთის რაიონების უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს. ამიერიდან რუსეთი სისტემატურად მიიწევდა წინ ახლო აღმოსავლეთში და ცდილობდა დაემყარებინა თავისი კონტროლი ბოსფორსა და დარდანელზე.

რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური წარმატება, მისი სისტემატური წინ წაწევა ახლო აღმოსავლეთში, რასაც თან სდევდა ბალკანეთისა და კავკასიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება, აღშფოთებას იწვევდა დასავლეთ ევროპის მმართველ წრეებში. შავ ზღვაზე რუსეთის განმტკიცებასა და სრუტეებზე კონტროლის პრეტენზიებს, რასაც მოჰყვებოდა მისი პოლიტიკური გავლენის გაძლიერება მთელს ახლო აღმოსავლეთში, დასავლეთის დიპლომატები განიხილავდნენ როგორც აშკარა და თავშეუკავებელ აგრესიას არა მარტო თურქეთის წინააღმდეგ, არამედ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგაც.

დასავლეთ ევროპის მმართველმა წრეებმა პირი შეჰკრეს და რუსეთის შეზღუდვის მიზნით წამოაყენეს „ოსმალეთის იმპერიის მთლიანობისა და განუყოფლობის" პრინციპი — Status quo. მაგრამ ეს პრინციპი წარმოადგენდა დასავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ საბურველს, რომლითაც ისინი ფარავდნენ თავიანთ მტაცებლურ ზრახვებს როგორც თურქეთის, აგრეთვე რუსეთის მიმართ.

თურქეთის ხელისუფლებმა, ემყარებოდნენ რა დასავლეთ ევროპის პოლიტიკური წრეების აშკარა თუ ფარულ საქმიანობას რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის წინააღმდეგ, იწყეს რუსეთის პოზიციებზე თავდასხმა და ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა უგულებელყოფა. რევოლუციური ქარიშხლის ბობოქარ წლებში და ნაპოლეონის ომების პერიოდში თურქეთის მთავრობამ თანდათან უარყო რუსეთთან დადებული ხელშეკრულებები, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ქარიშხლის მიწყნარების შემდეგ ევროპის კონტინენტზე, როგორც აღნიშნავდა ენგელსი, ერთმანეთის პირისპირ ორი ძალა დადგა. „ერთი მხრივ რუსეთი და აბსოლუტიზმი, მეორე მხრივ — რევოლუცია და დე-

მოკრატია“ [1]. უკვე ნაპოლეონის განადგურების შემდეგ რუსეთის აბსოლუტიზმმა გააერთიანა რეაქციის ძალები და რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საფარით მიაღწია დასავლეთის სახელმწიფოების მოქმედების ერთგვარ ნეიტრალიზაციას ახლო აღმოსავლეთში. რუსეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოიყენა შექმნილი სიტუაცია და ჯერ აიძულა თურქეთის სულთანი 1826 წელს აკერმანში განსაკუთრებული კონვენციით ხელახლა დაედასტურებინა რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულების ძალა, ხოლო შემდეგ გააჩაღა ბრძოლა სრუტეებზე — „საკუთარი სახლის გასაღებებზე“ კონტროლის უფლების მოსაპოვებლად.

რუსეთის პრეტენზიებმა და პოლიტიკურმა კომბინაციებმა თურქეთში ხელახლა გაამწვავა აღმოსავლეთის საკითხი, რასაც 1828 წელს მოჰყვა ომი. ომში რუსეთმა კვლავ მოიპოვა გამარჯვება და თურქეთმა, სცნო რა თავი დამარცხებულად, ადრიანოპოლში 1829 წელს ხელი მოაწერა წაყენებულ პირობებს. ანდრიანოპოლის ზავით რუსეთი გაბატონდა შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, რამაც არაჩვეულებრივად გააძლიერა მისი გავლენა ბალკანეთზე და კავკასიაში.

1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა გამოააშკარავა ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების ნებითი თუ უნებლიე მერყეობა ყოველ კრიტიკულ მომენტში აიძულებდა თურქეთს, მიემართა რუსეთისათვის. „თურქეთის მთავრობა, — წერდნენ მარქსი და ენგელსი, — ყოველთვის იძულებული ხდება სთხოვოს წყალობა რუსეთს და ეძებოს მფარველობა იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც აშკარად აცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას განდევნოს თურქები ბოსფორიდან და წმინდა ანდრიას ჯვარი აღმართოს აია-სოფიას მინარეტებზე“ [2].

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ მოვლენათა განვითარებამ კიდევ უფრო ნათლად დაადასტურა ამ მოსაზრების სიმწორე.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში თურქეთის ვასალმა, ეგვიპტის ფაშამ, საფრანგეთის დახმარებით ჩაატარა ადმინისტრაციული, სამხედრო და საფინანსო რეფორმა, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ეგვიპტის ხვედრითი წონა ოსმალეთის იმპერიის სისტემაში. ეგვიპტის ფაშამ სცადა გამოეყენებინა თავისი ძლიერება სიუზერენის წინააღმდეგ. 1831 წლის შემოდგომაზე მან თა-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 22.

ვისი არმია გადაიყვანა არაბეთში და დაიწყო შეტევა სირიაზე. მოულოდნელად იმდენად გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი, რომ მან კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ეგვიპტის არმიამ, რომელსაც ფაშას შვილი იბრაჰიმი სარდლობდა, 1832 წლის ზაფხულზე აიღო სირია და დაიძრა ჩრდილოეთისაკენ. 1832 წლის 9 (21) დეკემბერს იბრაჰიმმა კონიასთან ბრძოლაში მოსპო და გაანადგურა თურქეთის არმია. სულთანი შიშმა შეიპყრო. იგი შეაშინა არა აზიის მიწაწყლის, არამედ ტახტის დაკარგვის საფრთხემ.

ეგვიპტის ჯარების შეჩერება და შემდეგ მათი უკუგდება მოითხოვდა არმიის ხელახალ ორგანიზაციას, მაგრამ ამას დრო ვეღარ მოითმენდა, მით უმეტეს, რომ ხაზინას საამისოდ სახსრები არ გააჩნდა. ვითარება მოითხოვდა გარეშე ძალის დახმარებას.

თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტმა ერთბაშად აამოძრავა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მმართველი წრეები. მაგრამ ყველა ერთნაირად როდი გაიცქიდა კონფლიქტის საშინელებას. დასავლეთში ლოდინის პოზიცია არჩიეს და ერთგვარ გულგრილობას იჩენდნენ.

აღმოსავლეთის საკითხის მოულოდნელი გამწვავება ცარიზმის მთრთოლვარე სიმს მოხვდა. ეგვიპტის ფაშას ამხედრებაში მეფის მთავრობა ხედავდა „აღშფოთებული სულის გავლენას, რომელიც ახლა ევროპას, განსაკუთრებით კი საფრანგეთს მოდებოდა“ [1]. მეფის აზრით, ეგვიპტის ფაშას მუსულმანურ პროპაგანდას შეეძლო მღელვარება გამოეწვია ყირიმში. ამიტომ ეგვიპტის ფაშას წინააღმდეგ ლაშქრობა ნიკოლოზ I თავის ღვიძლ სახელმწიფოებრივ საქმედ გამოაცხადა.

თურქეთის სულთანმა ყურად არ იღო და გულწრფელობად არ ჩათვალა რუსეთის მთავრობის თანაგრძნობა. მან ამჯობინა დაკავშირებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და საჭირო დახმარება დასავლეთიდან მიეღო. სულთანმა ელჩები აფრინა პარიზსა და ლონდონში, მაგრამ ამაოდ: არც საფრანგეთი და არც ინგლისი არ აჩქარებულა.

საფრანგეთის ბურჟუაზიას თვალი ეგვიპტისა და სირიისაკენ ეჭირა. მას სურდა მოექცია ისინი თავისი გავლენის სფეროში და ახლა ვერ შეუდგებოდა ეგვიპტის არმიის წინააღმდეგ ბრძოლას. რაც შეეხება ინგლისს, მას არ შეეძლო არ გაეზიარებინა სულთნის

---

[1] Русские на Босфоре. Из записок Н. Н. Муравьева, Москва, издание Чертковской библиотеки, 1869 г., გვ. 10.

მდგომარეობის სიმძიმე, რათა საქმე არ გაეშვა პეტერბურგისაკენ, და აღუთქვა დახმარება. მაგრამ საქმით ზომაზე მეტად ზანტობდა. ინგლისის კაბინეტს იმედი ჰქონდა იმისა, რომ სასწრაფო დახმარებას სულთანს გაუწევდა ავსტრია-უნგრეთი. მაგრამ იმის გამო, რომ ევროპის კონტინენტზე რევოლუციის ქარიშხალი ჯერ კიდევ არ იყო მიწყნარებული, ავსტრია-უნგრეთის პოზიცია უკვე წინასწარ იყო განსაზღვრული, რადგან „მეტერნიხი, უხალისოდ, მაგრამ მაინც უნდა შერიგებოდა რუსულ საფრთხეს აღმოსავლეთში, რათა შეენარჩუნებინა ძლიერი მოკავშირე რევოლუციასთან საბრძოლველად“ [1].

რუსეთის მთავრობა დასავლეთის სახელმწიფოების პოზიციური გაურკვეველობისა და მერყეობის ვითარებაში დაადგა თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტში ჩარევის პოლიტიკას.

პეტერბურგიდან სრულიად საიდუმლოდ თურქეთში გაიგზავნა გენერალ-ადიუტანტი ნ. ნ. მურავიოვი, რომელსაც დაევალა შეეთავაზებინა სულთნისათვის სამხედრო ძალები იბრაჰიმის წინააღმდეგ, ხოლო ეგვიპტის ფაშასაგან მოეთხოვა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

1832 წლის 9 (21) დეკემბერს, კონიასთან გაჩაღებული ბრძოლის გადამწყვეტ ვითარებაში მურავიოვი ბოსფორს ჩავიდა.

ეგვიპტის ჯარების ძლევამოსილი წინსვლის გამო კონსტანტინეპოლში სრული დაბნეულობა სუფევდა და არავინ იცოდა, როგორ გამოეყვანათ თურქეთი კრიტიკული მდგომარეობიდან. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადი იყო. სახელდობრ ის, რომ სულთანი კონფლიქტში რუსეთის ჩარევაზე თავს იკავებდა.

ნ. ნ. მურავიოვმა და რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ა. პ. ბუტენევმა დაახუსტეს შექმნილი განწყობილება და გადაწყვიტეს ემოქმედათ ისე, რომ სულთანი დათანხმებოდა რუსეთის მისიის გამგზავრებაზე ეგვიპტეში. ამ მიზნით მათ დაიწყეს მოლაპარაკება მინისტრებთან.

1832 წლის 11 (23) დეკემბერს მურავიოვმა და ბუტენევმა პირველად ვიზიტი გაუკეთეს საგარეო საქმეთა მინისტრს რეის-ეფენდის. საუბარში მურავიოვი შეეხო თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტით გამოწვეულ აღშფოთებას პეტერბურგში და განაცხადა: „ხელმწიფემ, რომელსაც სურს საქვეყნოდ დაარწმუნოს სულთანი თავისი მეგობრობის გულწრფელობაში, დამავალა წავიდე ალექსანდრიაში,

[1] История дипломатии, т. I, издание второе, М., 1959 г., გვ. 553.

არა როგორც შუამავალი, ვინაიდან მისი აღმატებულობის წესების საწინააღმდეგოა მოარიგოს სულთანი მეამბოხესთან და ჩაერიოს თურქეთის საშინაო საქმეებში; არამედ ხელმწიფემ, დაგმო რა მუჰამედ-ალის აჯანყება ალექსანდრიიდან რუსეთის კონსულის გაწვევით, დამავალა პირდაპირი და აშკარა გზებით განუცხადო ფაშას, რომ თუ იგი კვლავ ჯიუტობას გასწევს თავის საქმიანობაში, მაშინ რუსეთი მისი მტერი იქნება" [1]. ამასთანავე, ბუტენევმა დასძინა: შავი ზღვის ფლოტი მზად არის გამოემართოს თურქეთის ნაპირებისაკენ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა რეის-ეფენდიმ თავდაჭერილობა გამოიჩინა. მას არ სურდა გაემჟღავნებინა კრიზისით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა. ნათელი შეიქნა, რომ რეის-ეფენდისაგან გარკვეული არავითარი დადებითის მიღება არ შეიძლებოდა. მან ეჭვებიც კი გამოთქვა ალექსანდრიაში რუსეთის წარმომადგენლის გამგზავრების თაობაზე.

ანალოგიური განცხადება რუსეთის წარმომადგენლებმა იმავე დღეს გაუკეთეს თურქეთის სერასკირს (სამხედრო მინისტრს) ხოსრეფ-მეჰმედ-ალი-ფაშას. საუბარმა მალე გაარკვია ხოსრევის დიდი პოლიტიკური გავლენა და დაარწმუნა რუსეთის წარმომადგენლები იმაში, რომ მას „სამართლიანად თელიან თურქეთის ნამდვილ მბრძანებლად" [2].

---

[1] Русские на Босфоре, გვ. 36.

[2] Турция и Египет. Из записок Н. Н. Муравьева, издание Чертковской библиотеки, Москва, 1869 г. გვ. 12.

ხოსრევ-მეჰმედ-ალი-ფაშა, როგორც მურავიოვის ჩანაწერებშია ნათქვამი, წარმოშობით ქართველი იყო. მისი ნამდვილი ქართული გვარი დადგენილი არ არის. მუსულმანური ფუძე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხოსრევი (რუსულ ტრანსკრიპციაში ხოხრევი) უნდა იყოს ხოსრეშვილი, ან უფრო ზუსტად ხოსროშვილი. ბავშვობაში ტყვედ ჩავარდნილი ხოსროშვილი კარგა ხანს ემსახურებოდა მონად ადმირალ ჯუჩუქ-ჰუსეინს. მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ მალე დაწინაურდა პოლიტიკურ წრეებში და 1804 წელს დაიკავა ეგვიპტის ფაშას ტახტი, რის შემდეგაც იწოდებოდა ხოსრევ-მეჰმედ-ალი-ფაშად. 1806 წელს მის წინააღმდეგ ამხედრდა მუჰამედ-ალი, რომელმაც აიძულა უარი ეთქვა ძალაუფლებაზე და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. რამდენიმე ხანს მას ეჭირა სხვადასხვა თანამდებობა თურქეთის არმიაში, ხოლო 1826 წელს დაიკავა სერასკირის (სამხედრო მინისტრის) პოსტი. 1833 წელს გახდა თურქეთის დიდი ვეზირი. სულთნის მაჰმუდ II გარდაცვალების შემდეგ იგი იყო თურქეთის სრული გამგებელი. 1840 წელს ჩამოაგდეს და კონსტანტინოპოლიდან გაასახლეს, მაგრამ მალე დააბრუნეს და მიიღო უპორტფელო მინისტრის თანამდებობა. გარდაიცვალა 1855 წელს. ბიოგრაფიული ცნობებისათვის იხ. P. Larousse,

საუბარმა ცხადჰყო, რომ ხოსრევ-ალი „მთელს თურქეთში ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია იხსნას იგი მძიმე განსაცდელისაგან“ [1].

საუბარში გამოირკვა სერასკირის, როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწის ორიენტაცია. მან თავშეუკავებელი აღტაცებით განაცხადა: „მე არ დავაყოვნებ ალექსანდრიაში გამგზავრებას“ [2]. სამხედრო მინისტრის გულწრფელობა მით უფრო დამაჯერებელი იყო, რომ იგი ეგვიპტის ფაშას მუჰამედ-ალის პირადი მტერი იყო და სურდა მისი დასჯა.

სერასკირის ორიენტაცია იმაზე, რომ მეამბოხესთან გასწორება მოცემულ მომენტში რუსეთის დახმარებით შეიძლებოდა, მნიშვნელოვანი მომენტი გახდა რუსეთის თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტში ჩარევისათვის.

[1] თურქეთის სულთანმა გაიზიარა სერასკირის მოსაზრება და მურავიოვმა მიიღო ალექსანდრიაში გამგზავრების თანხმობა. მართალია, თურქეთის სულთანმა რუსეთის სამხედრო ძალებით დახმარების მიღებაზე თავი შეიკავა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა რუსეთის მისიას, ვინაიდან დაწყებული საქმიანობის წარმატების საწინდარს იგი ახლა ეგვიპტის ფაშასთან მოლაპარაკებაში ხედავდა.

თურქეთის სულთნის თანხმობა იმას ნიშნავდა, რომ მან არსებითად მიიღო კონფლიქტში რუსეთის ჩარევის წინადადება. სულ მცირე ბიძგი იყო საჭირო და თურქეთის მთავრობა მოთხოვდა ნიკოლოზ I სამხედრო ძალას.

ნ. მურავიოვი, რომელმაც მიიღო სულთნის ვიზა დაუყოვნებლივ გაემგზავრა ეგვიპტეში. 1833 წლის 1 (13) იანვარს იგი ალექსანდრიაში ჩავიდა და ფაშასთან მოლაპარაკება გამართა.

ეგვიპტის ფაშა მუჰამედ-ალი მოქნილი დიპლომატი აღმოჩნდა. მურავიოვთან საუბარში მან ხაზი გაუსვა სულთნისადმი დამოკიდებულებას და აღნიშნა: „მე არასოდეს არ მიფიქრია ჩამოვაგდო სულთანი, როგორ შემეძლო მე ეს მეფიქრა! მე არასოდეს არ შემიწყვეტია ფიქრი დამესახელებინა ჩემი თავი მის მენდედ (მსახურად), და საკმაო ხმამაღლა გავიძახი ამას, რათა მთელმა ქვეყანამ

Grand Dictionaire Universel français etc. tome neuvième, Paris, გვ. 1203 და Энциклопедический словарь, том XXXVII[a], кн. 74, Петербург, 1903 г., გვ. 485—486.

[1] Турция и Египет, გვ. 14.

[2] Русские на Босфоре, გვ. 40.

გაიგონოს, ხოლო გულწრფელობის დასამტკიცებლად, ახლავე ებრძანებ შეწყვიტონ საომარი მოქმედება“ [1].

1833 წლის 4 (16) იანვარს ფაშამ ხელი მოაწერა ბრძანებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ და გაუგზავნა სარდალს იბრაჰიმს. მურავიოვმა ალექსანდრია დასტოვა.

თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტში გარდატეხა დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ეგვიპტის არმია, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა „მიღებული“ ფაშას ბრძანება, შეტევას განაგრძობდა და კონსტანტინოპოლში დღე-დღეზე ელოდებოდნენ ბედუინთა ეედექტების გამოჩენას ბოსფორის აზიურ სანაპიროზე.

კონსტანტინოპოლში შექმნილმა პანიკამ აიძულა სულთანი მიემართა რუსეთის საელჩოსათვის და მოეთხოვა ნიკოლოზ I მიერ შეთავაზებული სამხედრო ძალები. რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში სასწრაფოდ აცნობა პეტერბურგს სულთნის მოთხოვნა და სევასტოპოლიდან თურქეთის ნაპირებისაკენ გავიდა შავი ზღვის ესკადრა მ. პ. ლაზარევის მეთაურობით. მიუხედავად ამისა, სულთნის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება არ ხერხდებოდა მინისტრების ყოყმანის გამო.

გაცხარებული დავის მომენტში ნ. მურავიოვი კონსტანტინოპოლში ჩავიდა. თურქეთის მინისტრები კატეგორიულად უარყოფდნენ რუსეთის სამხედრო დახმარებას და არ აძლევდნენ სულთანს საშუალებას ემოქმედნა. ნ. მურავიოვი და ა. ბუტენევი ხელახლა დაუკავშირდნენ ხოსრევ-ალის. უკანასკნელი „მინისტრებზე უფრო გონიერი“ აღმოჩნდა [2]. მან მხარი დაუჭირა სულთნის გადაწყვეტილებას და დაიყოლია მინისტრების უმრავლესობა.

1833 წლის 8 (20) თებერვალს შავი ზღვის ესკადრა მ. პ. ლაზარევის მეთაურობით ბოსფორში შევიდა. რუსეთის პირველმა ნაბიჯმა ერთგვარად გაართულა მდგომარეობა. საფრანგეთის და ინგლისის ელჩებმა განუცხადეს სულთანს, რომ, თუ რუსეთის ფლოტი კონსტანტინოპოლს დაიკავებდა, მაშინ საფრანგეთი და ინგლისი მხარს დაუჭერდნენ ეგვიპტის ფაშას. თურქეთის სულთანი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მალე ყველაფერი ნათელი შეიქნა. საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების მოქმედებას წმინდა დიპლომატიური ხასიათი ჰქონდა და პრაქტიკულად მხოლოდ რუსეთის ძალების ბოსფორიდან გაყვანას ისახავდა მიზნად.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიური წრეების ქცევის მიუხედავად, მოვლენები რუსეთის სასარგებლოდ ვითარ-

[1] Русские на Босфоре, გვ. 109.

[2] იქვე, გვ. 160.

დებოდა. კონსტანტინოპოლში მიიღეს ახალი ამბავი, რომელიც კვლავ ეგვიპტის ფაშას ურჩობას ადასტურებდა. საქმე ის არის, რომ იბრაჰიმის ძალები ჯერ კიდევ მოქმედებას განაგრძობდნენ და აგენტებმა აჯანყება მოაწყვეს სმირნაში. მაშინ სულთანმა საყოველთაო ცნობისათვის განაცხადა, რომ ხელახლა მიმართავს რუსეთის მფარველობას.

რუსეთის მთავრობა წინანდელი თანხმობის საფუძველზე მოქმედებას განაგრძობდა. შავი ზღვის ესკადრას მიჰყვა 5-ათასიანი სახმელეთო რაზმი, რომელიც სულთნის საზამთრო რეზიდენციაში უნქიარ-ისქელესში (ჰუნქიარ-ისქელესში) დაბანაკდა. დუნაიზე დაიწყო 20-ათასიანი საექსპედიციო კორპუსის მომზადება. კონსტანტინოპოლში სრულუფლებიან ელჩად და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად გაიგზავნა ა. ფ. ორლოვი.

რუსეთის შეიარაღებული ძალების შესვლა თურქეთში კონფლიქტის მოგვარების გადამწყვეტი პირობა გახდა. ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიურმა წრეებმა სწრაფად შეძლეს მხარეების შერიგება. მუჰამედ-ფაშასა და სულთანს შორის კიუტახიაში დადებულ იქნა ზავი. სულთანი განსაცდელს გადარჩა. საფრთხე გაქრა.

მაგრამ მარტო ამით როდი დამთავრდა რუსეთის მისიის წარმატებითი საქმიანობა თურქეთში.

რუსეთის ჯარების მიერ ბოსფორის დატოვების წინ, 1833 წლის 8 (26) ივლისს, უნქიარ-ისქელესში რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ადასტურებდა საუკუნო ზავს, მეგობრობასა და კავშირს მხარეებს შორის. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთ კონსულტაცია მიეღოთ ყველა საკითხზე, რომლებიც შეეხებოდა მათს სიმშვიდესა და უშიშროებას, და დახმარებოდნენ ერთმანეთს მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას კისრულობდა სულთნის მოთხოვნისთანავე დახმარებოდა მას სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძალებით. ამის სამაგიეროთ თურქეთს უნდა დაეხურა სრუტეები უცხოეთის სამხედრო ხომალდებისათვის რუსეთის მთავრობის მოთხოვნისთანავე.

უნქიარ-ისქელესის ხელშეკრულება რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვება იყო ახლო აღმოსავლეთში. თურქეთ-ეგვიპტის კონფლიქტში რუსეთის ჩარევა, რაც ერთგვარად განაპირობა თურქეთის სერასკირის (სამხედრო მინისტრის) ხოსრევ-ალის პოზიციამ, ამ გამარჯვების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა.

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII, 1960.

ა. ებრალიძე

საქართველოს კოლმეურნე გლეხობის შრომითი საქმიანობა სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში*

(1941—1945 წ.წ.)

სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის (1941—1945 წ.წ.) პერიოდში საერთო სახალხო ინტერესების უდიდესი შეგნება გამოიჩინა კოლმეურნე გლეხობამ. საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომით, საბრძოლო ტექნიკის ასაგებად სახსრების შეგროვებით, ფრონტზე მყოფ სამშობლოს დამცველებზე ყოველდღიური მზრუნველობით, მტრისაგან გათავისუფლებული რაიონებისადმი დახმარების გაწევით კოლმეურნე გლეხობამ გვიჩვენა, რომ გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ომს იგი თვლიდა თავის სისხლხორცეულ საქმედ.

საქართველოს კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის შუშაკებმა სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნისა და ფრონტის სურსათით, ხოლო მრეწველობის — ნედლეულით მომარაგების საქმეში. თავიანთი მოვალეობის ნათელი შეგნებით მათ მთელი ძალები დარაზმეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი გადიდებისათვის. ნაკლები მუშა-ხელით მეტი მოცულობის სამუშაოს შესრულება — აი რა იყო დამახასიათებელი ომიანობის დროის სოფლისათვის.

სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგა ორასოვანთა, სამასოვანთა და ხუთასოვანთა მოძრაობა. ნორმების გადაჭარბებით შესრულება სოფლის მეურნეობის მუშაკების ღირსების საქმე გახდა.

---

* ეს შრომა ნაწილია ავტორის მიერ 1956 წ. შესრულებული სამეცნიერო-საკვლევი შრომისა სახელწოდებით: „საყოველთაო სახალხო მოძრაობა საქართველოში ფრონტისადმი დასახმარებლად სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში". ინსტიტუტის შრომების XVII ტომში დაიბეჭდა შრომის ერთი ნაწილი სახელწოდებით: „საქართველოს მუშათა კლასის შრომითი გმირობა სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წ.წ.).

ჩვენს ქვეყანაზე ვერაგი მტრის თავდასხმის საპასუხოდ საქართველოს კოლმეურნეობებმა გაშალეს მუშაობა მოსავლის სანიმუშოდ და უდანაკარგოდ აღებისათვის. 1941 წელს წარმატებით დამთავრდა მარცვლეული თავთავიანი კულტურების გაღეწვა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლის აღება. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფვის გეგმა. წარმატებით დამთავრდა საშემოდგომო თესვა. 1941 წლის შემოდგომაზე დაითესა 36 ათასი ჰექტარით მეტი პურეული წინა წელთან შედარებით. 1942 წელს საბჭოთა ტერიტორიაზე მტრის ღრმად შემოჭრასთან დაკავშირებით ახალი, ძნელი ამოცანები დადგა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე.

საომარი მოქმედების ძნელ პირობებში, როცა თავდაცვის საჭიროებისათვის მობილიზებული იყო ტრაქტორები და ცოცხალი გამწევი ძალა, როცა მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის მომარაგება მინერალური სასუქებითა, საწვავი მასალითა და მწვავედ განვიცდიდით კვალიფიციური კადრების ნაკლებობას, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით ჩაატარეს საშემოდგომო თესვა და გაზარდეს ძირითადი კულტურების სათესი ფართობი.

1942 წლისათვის ქვეყნის აღმოსავლეთში ახლად დაინერგა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის სს რესპუბლიკებმა და გორკისა და სვერდლოვსკის ოლქებმა გადაჭარბებით შეასრულეს სამინდვრო სამუშაოებისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა.

მოწინავეთა რიგებში იდგა ჩვენი რესპუბლიკაც. 1942 წელს რესპუბლიკის საზღვრებთან ფრონტის მოახლოების გამო ათასობით კოლმეურნე მოწყდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და გადაყვანილ იქნა თავდაცვით სამუშაოებზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ფრონტის მომარაგების ძირითადი სიმძიმე დააწვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ხოლო მისი დიდი ნაწილი — საქართველოს სოფლის მეურნეობას.

1942 წლის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მიუხედავად ომის დროის სიძნელეებისა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მისცა ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი რაოდენობა ნედლეულისა და პროდუქტებისა, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. მართალია, 1942 წლის სათესი ფართობის ზრდისა და ჰექტარიდან მარცვლეულის აღების

გეგმა არ იქნა შესრულებული, მაგრამ კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობის კეთილსინდისიერი მუშაობის შედეგად რიგი კულტურების მიხედვით 1942 წელს აკიღეთ მეტი მოსავალი, ვიდრე 1941 წელს.

1942 წელს სათესი ფართობი წინა წელთან შედარებით გადიდდა 53 ათასი ჰექტარით. მარცვლეულის კულტურების მოსავალი საშუალოდ ჰექტარიდან უდრიდა 10 ცენტნერს, ნაცვლად 1941 წლის 9,3 ცენტნერისა[1].

პურის ჩაბარების გეგმა მთლიანად საქართველოში შესრულდა 101,5%-ით, ხოლო წითელი არმიის პურის ფონდის გეგმა — 134%-ით[2].

პურის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს ხაშურის, გორის, წალკის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ახალქალაქის, დუშეთის, ბოგდანოვკისა და სამხრეთ ოსეთის რაიონების კოლმეურნეობებმა.

გაფართოვდა ისეთი მნიშვნელოვანი კულტურების სათესი ფართობი როგორიცაა: მარცვლეულის, ბოსტნეულის, კართოფილის, შაქრის ჭარხლისა და სხვ.

საქართველოს კოლმეურნეობებმა გეგმის ზევით, საჩუქრების სახით, ფრონტზე გაგზავნეს 175 ვაგონი პროდუქტები, ხოლო თავდაცვის საწარმოთა მუშებისა და ინტელიგენციისათვის სახელმწიფო ფასებში ჩააბარეს 254 ათასი ფუთი სხვადასხვა სახის პროდუქტი[3].

მართალია, მეცხოველეობის განვითარების 1942 წლის გეგმა ვერ შესრულდა, მაგრამ 1941 წელთან შედარებით მხსვილფეხა საქონლის სულადობა გაიზარდა 22 ათასი სულით, ცხვრისა და თხის — 132.800, ღორების — 12.600 სულით. 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ხორცი 29,2%-ით მეტი, ვიდრე 1941 წელს[4].

1942 წელს სსრ კავშირის კოლმეურნე გლეხობამ ახალი ვალდებულება იკისრა — გეგმის ზევით დაეთესა ხორბალი და ეს მოსავალი შეეტანა ფაშისტი ოკუპანტებისაგან გათავისუფლებული რაიონების დახმარების ფონდში. ეს ინიციატივა ეკუთვნის კრას-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქმე № 12794, ფ. 7.

[2] იქვე, საქმე № 12799, ფ. 199.

[3] იქვე, საქმე № 12794, ფ. 7.

[4] იქვე, ფ. 50—51.

ნოდარის მხარის ვისელსკის რაიონის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობას. ამ კეთილშობილურ, პატრიოტულ თაოსნობას გამოეხმაურა ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობა და თავდაცვის ფონდისათვის ითესებოდა მარცვლეული და სხვა კულტურები, კრასნოდარელ კოლმეურნეთა ეს თაოსნობა ახალი და შესანიშნავი დამადასტურებელი საბუთი იყო იმისა, თუ რა ძალა და სიმტკიცე აქვს საკოლმეურნეო წყობილებას.

საქართველოს კოლმეურნეებმა, კრასნოდარელთა საპასუხოდ, 1942 წელს გეგმის გადამეტებით ხუთი ათას ჰექტარამდე მარცვლეული და სხვა კულტურები დათესეს ფაშისტებისაგან გათავისუფლებულ რაიონების ძმური დახმარების ფონდისათვის.

1942 წელს ტამბოველ კოლმეურნეთა ინიციატივით გაიშალა მოძრაობა სატანკო კოლონის ასაგებად. ტამბოველებს გამოეხმაურნენ რიაზანის ოლქის კოლმეურნეები, რომლებმაც სატანკო კოლონის „რიაზანელი კოლმეურნის“ მშენებლობისათივს სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 46 მილიონი მანეთი.

ტამბოველთა ინიციატივას მხარი დაუჭირა მილიონობით ადამიანმა მოძმე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან.

აზერბაიჯანის კოლმეურნეებმა ტამბოველთა მაგალითისამებრ სატანკო კოლონის „აზერბაიჯანელი კოლმეურნის“ ასაგებად შეაგროვეს 81 მილიონზე მეტი მანეთი, სომხეთის კოლმეურნეებმა „სომეხი კოლმეურნის“ ასაგებად — 38 მილიონი მანეთი.

საქართველოს კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად შეაგროვეს 110 მილიონი მანეთი, ხოლო შემდეგ გამოვიდნენ ახალი თაოსნობით და მოუწოდეს საქართველოს მშრომელებს — შეეგროვებინათ თანხა საბჭოთა თვითმფრინავთა ესკადრილიის — „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს საქართველოს მშრომელებმა და ესკადრილიის ასაგებად შეაგროვეს რამდენიმე მილიონი მანეთი. 1943 წლის მარტის თვეში ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“ საბრძოლო ვახტზე იდგა.

სამამულო ომის მძიმე წლებში საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასმულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს კოლმეურნე ქალებმა და ჭაბუკებმა, რომლებმაც შეცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები. კოლმეურნე ქალები მთელი თავიანთი შეგნებითა და პატრიოტული გრძნობით მოეკიდნენ სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრას. ისინი აქტიურად ებმებიან საკოლმეურნეო ცხოვრებაში,

ერთისამად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამტკიცებენ დისციპლინას.

1941 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავმა ქალმა თამარ გელოვანმა ომის დაწყების შემდეგ 300%-ით გაზარდა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების ასეთივე ზრდის მაგალითები ბევრი იყო საქართველოს სხვა კოლმეურნეობებშიც. 1940 წელს მახარაძის რაიონში ქალების მიერ გამომუშავებული იყო 72.900 შრომადღე, ხოლო 1941 წელს — 85 ათასი.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, ჯარში წასულ მამაკაცთა ნაცვლად, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად წამოყენებულ იქნა ოთხი, ბორჩალოს რაიონში კი — ორი ქალი. ამავე რაიონში ოთხი ქალი მუშაობდა მეცხოველეობის ფერმის გამგედ.

მოწინავე კოლმეურნე ქალები ეუფლებიან ტრაქტორის მართვის საქმესაც. 1941 წელს საქართველოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან არსებობდა ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები, სადაც სწავლობდნენ ქალები. 1941 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ტრაქტორისტად მომზადებულ იქნა 1600 ქალი. ასობით ქალმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტიპის სპეციალური კურსები. 1.200-მდე მექანიზატორი ქალი, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმულნი, უნარიანად იყენებდნენ ტექნიკას და დღითიდღე ადიდებდნენ გამომუშავების მაჩვენებლებს.

საგარეჯოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტმა ქალებმა სპეციალური ბრიგადა შექმნეს, რომელიც გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 120—150 პროცენტით ასრულებდა და ყოველდღიურად ათობით კილოგრამ საწვავს ზოგავდა. წულუკიძის რაიონში წითელარმიელის კოლმა ლუდმილა ბარამიძემ ფრიადზე აითვისა სატრაქტორო საქმე და ხვნის გეგმას 160—180%-ით ასრულებდა.

კოლმეურნე ქალებთან ერთად ფრონტისადმი დახმარების საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა კოლმეურნე, კომკავშირულმა ახალგაზრდობამ.

სამამულო ომის პერიოდში არმიაში გაწვეული კომუნისტების რიცხვი შეადგენდა 25 ათასს კაცს, ე. ი. საქართველოს კომპარტიის შემადგენლობის 30%-ს. კოლმეურნეობებში კომუნისტთა რიცხვი შემცირდა 40%-ით. შემცირდა აგრეთვე კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ქსელი. მიუხედავად ამისა,

საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მათ წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, მაგრამ იმ კოლმეურნეობებში, სადაც არ იყო პარტიული ორგანიზაცია, საკოლმეურნეო საქმიანობის ინიციატორებად კომკავშირლები გამოდიოდნენ. მათ თავიანთი თავდადებული შრომით პლანტაციებსა და მინდვრებში, ფერმებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ერთხელ კიდევ ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსადმი. ისინი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ კოლმეურნეებს უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვის მომზადებასთან დაკავშირებით კომკავშირელებმა გამოჰყვეს სპეციალური ბრიგადა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და მანქანების შესაკეთებლად, ამავე დროს ვალდებულება აიღეს, საკუთარი ძალით დაეთესათ ერთი ჰექტარი სიმინდი თავდაცვის ფონდისათვის, ასეთივე მაგალითები გვიჩვენეს სხვა რაიონების კოლმეურნე კომკავშირელებმაც.

გურჯაანის რაიონის სოფელ შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში კომკავშირის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 17 ახალგაზრდა, რომლებიც მაგალითს იძლეოდნენ შრომაში. ისინი წლიურად 400—500 შრომადღეს იმუშავებდნენ.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1943 წლის 8 თებერვალს განიხილა საკითხი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მზადების შესახებ, მიუთითა სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

1943 წლისათვის მიღწეულ იქნა სათესი ფართობის შემდგომი გადიდება. მარცვლეული და პარკოსანი კულტურები, წინა წელთან შედარებით, გაცილებით უფრო მეტი დაითესა. სახელმწიფოს ჩაბარდა 27.336 ტონით მეტი პური და 5.300 ტონით მეტი ბოსტნეული და კართოფილი, ვიდრე 1940 წელს. კოლმეურნეობებმა და კოლწევრებმა თავიანთი ვალდებულების შესრულების შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდეს ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი პური, ამავე დროს 1944 წლის ანგარიშში ჩააბარეს 61 ათას ფუთზე მეტი მარცვლეული [1].

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქმე № 13498, ფ. 224.

მიუხედავად იმისა, რომ 1941—1942 წლების ყინვების გამო დაზიანდა ციტრუსოვანი კულტურები, სახელმწიფოს მაინც ჩაბარდა 432 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა გეგმა.

შეწყდა მუშა პირუტყვის სულადობის შემცირების პროცესი. საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა წარმატებით შესრულდა — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 102,2%-ით, ცხვრისა და თხის — 101,5%, ღორის — 107,8%-ით [1].

1943 წლის პირველ კვარტალში საქართველოს კოლმეურნეობებმა თავიანთი დანაზოგებიდან შეაგროვეს 200 მილიონი მანეთი საბჭოთა არმიის საჭიროებისათვის [2].

1943 წლის აგვისტოში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ".

პარტიისა და მთავრობის ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ ფართოდ გაიშალა სახალხო ურთიერთდახმარება. განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლა სსრ კავშირის ყველა ხალხის საერთო საქმედ იქცა.

განთავისუფლებულ რაიონებს უდიდეს დახმარებას უწევდა კოლმეურნე გლეხობაც. საბჭოთა ყირგიზეთმა ომის პერიოდში მათ გაუგზავნა 20 ათასი ცხენი, 10 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი, 100 ათასი ცხვარი, თხა და სხვა.

საბჭოთა ყაზახეთმა 1943 წელს მათთვის გამოჰყო 227 ათასი პირუტყვი.

მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ამ პატრიოტულ საქმიანობაში ომის მთელს მანძილზე თავისი წვლილი შეჰქონდა ქართველ კოლმეურნეებსაც. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია საქართველოს კოლმეურნეთა დახმარება უკრაინელი კოლმეურნეებისადმი.

ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და უკრაინის სს რესპუბლიკის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახე-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქმე № 13490, ფ. 76.

[2] იქვე, საქმე № 12794, ფ. 379.

ლობის კოლმეურნეობას შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დასაწყისი გახდა ამ ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა და წარმოებათა შეჯიბრებისა.

ფაშისტების მიერ უკრაინის დროებით ოკუპაციის წლებში სოფელ შრომის კოლმეურნეობაში ჩამოვიდნენ და ცხოვრობდნენ 50 ოჯახზე მეტი უკრაინელი მეგობრები, რომლებიც ქართველმა კოლმეურნეებმა მოაწყვეს თავიანთ ოჯახებში.

მტრისაგან გენიჩესკის გათავისუფლების შემდეგ სოფელ შრომის კოლმეურნეები ყოველმხრივ დაეხმარნენ გენიჩესკელებს ჭრილობების მოშუშების საქმეში. მათ შეაგროვეს და გენიჩესკელებს გაუგზავნეს სურსათი, საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საოჯახო მოწყობილობები, გამოუყვეს პირუტყვი და სხვა. ისევ განახლდა სოციალისტური შეჯიბრება მათ შორის.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მსგავს დახმარებას უწევდა განთავისუფლებულ სხვა რაიონებსაც.

საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო სახელმწიფო სესხების რეალიზაცია. სესხზე ხელმოწერა მიმდინარეობდა, როგორც საყოველთაო სახალხო მოძრაობა.

1942 წელს საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა 10 მილიარდი მანეთის სახელმწიფო-სამხედრო სესხი. ხელმოწერამ კი 12 მილიარდს გადააჭარბა. 1943 წელს 12 მილიარდი მანეთის ნაცვლად სახელმწიფო სესხი გავრცელდა 20 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით, ხოლო 1944 წელს — ნაცვლად 25 მილიარდი მანეთისა — 28 მილიარდ მანეთზე მეტი.

გადაჭარბებით სრულდებოდა სახელმწიფო სესხის დავალებანი საქართველოშიც. 1942 წელს ნავარაუდევი 291 მილიონი მანეთისა სესხი გავრცელდა 313.542 ათასი მანეთის რაოდენობით, 1943 წელს ნაცვლად 314 მილიონი მანეთის — 458.310 ათასი მანეთისა, ხოლო 1944 წელს სესხი გავრცელდა 683.576 ათასი მანეთის რაოდენობის, რაც გასავრცელებელი თანხის 125,5%-ს უდრიდა. ამ პატრიოტულ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანთის კოლმეურნეებმა მეორე სახელმწიფო სესხზე ხელი მოაწერეს ერთ მილიონ მანეთზე. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეები სახელმწიფო სესხზე ხელს აწერდნენ ასი ათასი და მეტი მანეთის რაოდენობაზე. მხოლოდ 1943 წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში შეგროვილ იქნა 360 მილიონი მანეთის ობლიგაცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ომის პირობებში ყოველ-

მხრივ დახმარებას ღებულობდა საბჭოთა მთავრობისაგან. 1942 წლის 21 აპრილს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებზე სათესი ფონდის გაცემის შესახებ", ხოლო 1944 წლის 21 იანვარს — „საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", რითაც მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მეტად მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწია.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების შესასყიდი ფასები: ჩაისა და ყურძნის — სამჯერ, თამბაქოსი — ორჯერ, რამაც უზრუნველყო კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ზრდა.

ჩაის, ყურძნისა და თამბაქოს მთელი პროდუქციისათვის, რომელიც საქართველოს უნდა ჩაებარებინა ახალი ფასებით 1944 წელს, კოლმეურნეები მიიღებდნენ 402 მილიონ მანეთს, მაშინ როცა ძველი ფასებით მიიღებდნენ 164 მილიონ მანეთს[1].

1944 წელს გადაჭარბებით შესრულდა პურის, ჩაის მწვანე ფოთლის, შაქრის ჭარხლის, ციტრუსების, თამბაქოს, ხორცისა და სხვა სახელმწიფო ვალდებულებათა გეგმა.

სამამულო ომის სამი წლის განმავლობაში ნათესი ფართობი 80 ათას ჰექტარზე მეტით გადიდდა.

1944 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდების საქმეში კარგი შედეგები მიიღეს გორის, მახარაძის, ქასპის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, სამტრედიის, თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები — სულ 525 კაცი.

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დაჯილდოვებას ქართველ ხალხთან ერთად უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ცხა-

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქმე № 13490, ფ. 27.

დია, ქართველი ხალხის გამარჯვება შრომითს ფრონტზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი იყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ჩვენ საბჭოთა ადამიანებს, — სწერდა გაზეთი „პრავდა“ 1944 წლის 7/I მოწინავეში ყველას გვიყვარს მშობლიური საბჭოთა საქართველო, მისი ნიჭიერი, შრომისმოყვარე და მაძაცი ხალხი, მისი ამაყად აღმართული მთები, აყვავებული ველები, ნაყოფიერი მინდვრები და ვენახები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. ქართველი ხალხის სიხარული და გამარჯვება მთელი საბჭოთა ხალხის სიხარული და გამარჯვებაა“ [1].

საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ენერგიული და კეთილსინდისიერი შრომით ღირსეულად მოიხადეს თავისი პატრიოტული ვალი ჩვენი გმირი საბჭოთა არმიის, სამშობლოს წინაშე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვერაგ მტერზე გამარჯვების საერთო საქმეში.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 8/I.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII. 1960.

ძ. ძოწენიძე

თურმეობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში

იმერული დიალექტის ზემოიმერულ კილოკავში როგორც სახელის ბრუნებისას, ისე ზმნის უღლებისას ფორმათა წარმოების ნაირგვაროვნება შეიმჩნევა. ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი ზოგჯერ ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად დასტურდება პარალელური ვარიანტები, რომლებიც ან მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ან ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზეა წარმოქმნილი.

სწორედ ფონეტიკური ხასიათისა უნდა იყოს ის ცვლილება, რომელიც ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის წარმოებისას აქა-იქ შეინიშნება საჩხერისა და ჭიათურის რაიონების ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში.

როგორც ცნობილია, გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ ზმნათა თურმეობითი მეორის ფორმები, ისევე როგორც მესამე სერიის დანარჩენ მწკრივთა ფორმებიც, სალიტერატურო ქართულშიცა და ქართული ენის კილოებშიც აღწერითად იწარმოება. საუღლებელი ზმნის წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას, ფუძის სახით მოცემულს, დაერთვის წარსული დროის, წყვეტილის მწკრივის, მეშველი ზმნა, რომელსაც პირველი სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსი ჩამოშორებული აქვს და მიმღეობაშია გადასული ზმნისწინის შემდეგ. ამით მთლიანად აღწერითი წარმოების ნაცვლად, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ნარევ წარმოებას ვღებულობთ [1].

ზემოიმერულშიც გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ მზნათა თურმეობითი მეორე არსებითად ამგვარადვე იწარმოება, მაგრამ

[1] იხ. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 467.

შეინიშნება ისეთი თავისებურებაც[1], რომელიც სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით ქართული ენის არც ერთ სხვა კილოში არ დასტურდება. მხედველობაში გვაქვს საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხასა და ჭიათურის რაიონის სოფ. ხალიფაურში შემჩნეული ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის ის წარმოება, რომელშიაც პირველი-მეორე პირის ფორმები, მესამე პირის ფორმებთან შედარებით, განსხვავებულ სახეობას იძლევა.

დავასახელებთ ჩაწერილ ყველა შემთხვევას:

I პირი:

რო მოვმკვდარიყავდი, იმა არ შოურიგდებოდი;

რო გავჩერებულიყავდი, მეც დავსოლდებოდი;

კაი იქნებოდა, რო გავმთბარიყავდი, აღარაფერი მეტკინებოდა;

ხო ვეღარ მნახევდი, მე რო დავმალულიყავდი;

მე რო მივსულიყავდი, იმა აქეთ წამევიყვანდი;

მურისგან ისე დავსვრილიყავდი, რო ვეღარ მიცნობდი;

ისე გავღებილიყავდი და გავთხიპნილიყავდი, შეგეშინდებოდა ჩემი ნახვაი;

ადრე უნდა დავწოლილიყავდი, მარა ვალიკოს სტუმრები უნდა მეეყვანა და ვეღარ დავწექი;

მე და ჩემი ძმა დავბადებულიყავდით სოფ. ხალიფაურში და მერე გადმეეცლოთ კაზაკეფს და თელი ოჯახი დავმალულიყავდით კდეში, დიდი გამოქვაბული კდეა და მოვფარებულიყავდით იქა;

მალა უნდა მივსულიყავდით და გვეთქვა სიმართლეი...

II პირი:

რო დამალულიყავდი, თავი მეგეჭრებოდა;

მოსულიყავდი და ყველიფერი გულახდილათ გეთხრობია;

მოსულიყავდი და გამთფარიყავდი შენცე;

უნდა მისულიყავდი და წამეგეყვანა;

წასულიყავდი და გენახა, თუ გინდოდა:

შენ ჩვენ კუთხეში უნდა ჩასულიყავდი და ქალები თავს არ შეგაწყენდენ ლაპარაკითა:

[1] ამჟამად ყურადღების გარეშე ვტოვებთ ხეთოიმერულში იშვიათად შემჩნეულ „მინავლებულიყო" რიგის ფორმებს. ამის შესახებ იხ. გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. V, 1953, გვ. 18—61.

შენც მ ო ს უ ლ ი ყ ა ვ დ ი და ისიც მოსულიყო, ვინ გიშლიდათ, ორივე მ ო ს უ ლ ი ყ ა ვ დ ი თ რა, ხო დაქპატრქეთ;

რო დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ დ ი თ ერთი აქეთ და ერთი იქით, რა გიჭირდათ...

III პირი:

რო დ ა მ ა ლ უ ლ ი ყ ო, რას ნახევდენ;

რო მ ო მ კ ვ დ ა რ ი ყ ო, არ შემეცოდებოდა, ისე შემაძულა თავი;

შავ კაბას ფერი გადასვლოდა და მარუსა ისე შ ე ღ ე ბ ი ლ ი ყ ო, საპონიც ვეღარ გარეცხთა;

ანტუშა რო ჩ ა მ ო ს უ ლ ი ყ ო, რავა ვიტყოდი რასმე;

ი გოგო ქე მ ო ს უ ლ ი ყ ო და ყველიფერი ეთხრობია, მარა რაი მერე;

სტუმრები უნდა მ ო ს უ ლ ი ყ ვ ე ნ და თელი დღე ვტრიალობდი...

ამრიგად, წარმოდგენილი მასალით ერთპირიან ზმნათა უღლება ზემოიმერულის თურმეობითს მეორეში, სალიტერატურო ქართულის მონაცემებთან შეპირისპირებით, ასე წარმოიდგინება:

სალიტ. ქართ.:	ზემოიმერ.:
დავმალულიყავი	დავმალულიყავდი
დამალულიყავი	დამალულიყავდი
დამალულიყო	დამალულიყო
დავმალულიყავით	დავმალულიყავდით
დამალულიყავით	დამალულიყავდით
დამალულიყვნენ	დამალულიყვენ

ჩანს, სალიტერატურო ქართულისათვის ნიშანდობლივი წარმოება მესამე პირის ფორმებში დასტურდება. დამთხვევა მხოლობითსა და მრავლობითს რიცხვშიაც სრულია[1]. განსხვავება თავს იჩენს პირველსა და მეორე პირში.

ერთი შეხედვით, პირველი-მეორე პირის ფორმები შედგენილი შემასმენლის სახით წარმოგვიდგება. თითქოს წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას დართვია მეშველი ზმნა **ყავდი**, მაგრამ ასე რომ არ არის, ამაში გვარწმუნებს:

1. პირის ნიშნის ხმარება საუღლებელი ზმნის მიმღეობაში,

---

[1] სალიტერატურო ქართულის -ნენ სუფიქსის ადგილას ზემოიმერულში -ენ სუფიქსი რომ არის ნახმარი, ამას თურმეობითი მეორის წარმოების თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს.

2. მიმღეობის გამოყენება ფუძის სახით და არა სახელობითი ბრუნვის ფორმით, როგორც ეს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს შეეფერება.

აქ რომ მიმღეობა ფუძის სახით არის მოცემული და ი- მეშველი ზმნის კუთვნილებაა, ამას ცხადს ხდის ამ ფორმათა წარმოთქმაც. წარმოითქმება დავმალულ იყავდი, დამალულ იყავდი (და არა: დავმალული ყავდი, დამალული ყავდი). პაუზა სწორედ თურმეობითი მეორის ამგვარად დანაწევრებულ კომპონენტებს შორის შეიმჩნევა მკაფიოდ და მახვილიც მეშველი ზმნის ი- პრეფიქსზეა.

3. პირველი-მეორე პირის აგებულება და ფუნქცია: დავმალულიყავდი, დამალულიყავდი „თურმეს" გაგებას შეიცავს (როგორც ყველა ფორმა თურმეობითისა თხრობითი კილოს შემთხვევებში), თანაც აბსოლუტურ ფორმებს იძლევა და არა რელატიურს, როგორც ეს ვნებითი გვარის მიმღეობის სახელობითი ბრუნვის ფორმაზე **ყავდი** ზმნის დართვისას უნდა გექონოდა.

> **შენიშვნა.** გარდაუვალ რელატიურ ზმნათა თურმეობითს მეორეს ზემოიმერულში, გარდამავალ ზმნათა მსგავსად, სალიტერატურო ქართულისებური წარმოება აქვს: ბევრი რთვისაგან დამგრეხოდა ძაფი,... კაი იყო დედაშენს რო მოსწრებოდი შენე,... შენ რო გაგულისებულიყავდი ი ბიჭზე, მეც უნდა აქყოლოდი და შეიქნებოდა ჩხუბი...

რაკი დავმალულიყავდი, დამალულიყავდი და მსგავსი ფორმები არ გაიაზრება, როგორც რელატიური დამალული ყავდი, ბუნებრივია, ვიკითხოთ: როგორ გახდა შესაძლებელი, რომ ერთპირიან გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მეორე თურმეობითის პირველ-მეორე პირში მეშველი ზმნა უწყვეტლის დ- სუფიქსს დაირთავს?

თურმეობითი მეორის პირველი-მეორე პირის დონიანი ფორმები დამალულიყავი და დამალული ყავდი რიგის ფორმათა შემადგენელ იყავ(ი) და ყავდი მეშველი ზმნების კონტამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ჩანს. კონტამინაციური წარმოებისათვის კი ხელი იმ გარემოებასაც უნდა შეეწყო, რომ იყავ ზმნას უწყვეტელი არ ეწარმოება, ხოლო მოცემული მასალით თურმეობითი მეორის ფორმები უპირატესად გამოიყენება ისეთი მოქმედების გადმოსაცემად, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესასრულებ-

ლად[1]. ასეთ შემთხვევაში კი მეშველ ზმნას უფრო უწყვეტლის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა[2].

რაც შეეხება მესამე პირს, აქ კონტამინაციური წარმოება, ალბათ, ფონეტიკურად ხელსაყრელი გარემოს უქონლობას უნდა დაებრკოლებინა, თუმცა სულ ცხადი მაინც არ არის, რატომ დაექვემდებარა პირველი-მეორე პირის ფორმები ფონეტიკურ ცვლილებას და რატომ დარჩა მესამე პირი უცვლელი.

საგულისხმოა, რომ ეს ფონეტიკური ცვლილება ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის პირველი-მეორე პირის ფორმებში დიდი ხნის ფეხმოკიდებული არ უნდა იყოს, რადგანაც ტერიტორიულად გავრცელების ფარგლებიც ვიწრო აქვს და არც უფროსი თაობის (მოხუცთა) მეტყველებაში შეინიშნება.

---

[1] ა. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 227.

[2] შდრ. გარდაუვალ რელატიურ ზმნათა თურმეობითი მეორე, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია, როგორც თურმეობითი პირველის უწყვეტელი: ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 98.

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ვ. ჯაჯანიძე

აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი

1. **სახლ** ← **სახელ** ფუძე. ძველ ქართულში რამდენიმე **ილ**-ით დაბოლოებულ სახელს ვითარებითში **-დ** მოუდიოდა: ჭორწილ-დ, ტირილ-დ, იდგილ-დ... ამათ გვერდით ედგა **სახლ**, რომელიც ამ ბრუნვაში გვაძლევდა **სახიდ**. **სახედ** ფორმებს: წარვედ **სახიდ** შენდა, მ. 9, 6; მოიღო ბრძანებაჲ ანგელოზისაგან მოყვანებად შენდა **სახედ** თჳსა, საქ. 10, 22; მეყსეულად აღიყვანნა იგინი **სახედ** თჳსა, საქ. 16, 34 F...

სახლ-ის შესატყვისი მეგრული ფუძე **ოხორ** და ძველი ქართულის დასახელებული მონაცემები იმაზე მიუთითებდა, რომ **სახლ** ფუძეში ხმოვანი უნდა ყოფილიყო დაკარგული[1]. მეგრულის შესატყვისად ეს ხმოვანი იქნებოდა **ი** ან **ე**[2]. ძველი ქართული ინახავს **ი**-ნიან ფორმებსაც და **ე**-ნიანსაც. „სა-ხ-ილ-ი სა-ხ-ელ-ის დიალექტურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს“[3].

ხულოს რაიონის სოფლებში — ხიხაძირში, თხილვანასა და ვერნებში **სახლ** სიტყვის შეუკუმშავი ფუძის ხმარების სამიოდე შემთხვევა ჩავიწერეთ: დიდი თოოული შევდა; **სახელები** დეიმალა თოოულჩი (3); **სახელებზე** აყენ გაკიდული თუთუნი (ხ); კაი **სახელების** შენება დეიწყეს ჩვენში ახლა (თხ.). კლასიკური ქართულის **სახელ** ფუძე დიალექტშიც დასტურდება.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შეუკუმშავი ფუძის ყველა მაგალითი მრავლობითშია, იქნებ მხოლობითშიც იყოს ნახმარი. მისი იშვიათობის მიზეზი მაინც **სახელ** (имя) სიტყვაზე დამთხვევის თავიდან აცილებაში უნდა ვეძიოთ.

---

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 50, 51, 128.

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში; იბერ.-კავკ. ენათმეცნ. ტ. I, გვ. 85, შენ. 4.

[3] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 39.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საზოგადოდ აჭარულს მრავლობითში ფუძის უკუმშველობა ახასიათებს: ახალები (ხ), პოვარები (თხ.), მარანები (დანდ.), სოფელები (ხ), კედელები (თხ.)... **სახელ** ფუძეც უთუოდ ამიტომ შემოგვინახა ამ დიალექტმა.

2. **ენკლიტიკა და პროკლიტიკა.** აჭარულში უმახვილო ნაწილაკი **უნდა** თითქმის ყოველთვის ენკლიტიკაა; მისი შემოკლებული ნაწილები **ნ, ნა, ნდა, და** წინამავალ სიტყვას ეკვრის[1]. მსგავსი მოვლენა სხვა დასავლურ დიალექტებში შენიშნული არაა.

მაგალითები: რან დემემართოს (ვ); ყარტოფილინა ჩევტანო ხულას (ვ); ახლანდა დაკლას ძროხა (მ); მედა მოვხნა ეს ადგილი (ღ); უნდანა მოვკლათ (ღ). **უნდანა**-ში ორი **უნდა** არის: ერთი ზმნაა, მეორე კი — ნაწილაკი.

ენკლიტიკაა **უნდა** (→ **ნ, ნა, ნდა, და**) მხოლოდ ისეთ წინადადებაში, რომელშიაც ზმნა კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთ წინადადებაში იგი შეიძლება ზმნას დაუკავშირდეს, შეიძლება მეტყველების სხვა ნაწილებს. ამას მნიშვნელობა არ აქვს.

აჭარულში ხშირად იკარგება სიტყვის თავკიდური რ. კითხვითი სიტყვის **რა**-ს დარჩენილი **ა** მის მომდევნო სიტყვას მიერთვის: გეტყვი, თუ აქნესო (ცხ.). ისიც შესაძლებელია, რომ მთელი კითხვითი სიტყვა მიეკედლოს მომდევნოს: გეტყვი, თუ **რაქნესო**. ორსავე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პროკლიტიკასთან. რომ მახვილი **რა**-ზე მოდიოდეს, იგი პროკლიტიკად არ იქცეოდა.

აჭარულის ენკლიტიკისა და პროკლიტიკის შემთხვევების საფუძვლიან შესწავლას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დიალექტში მახვილის საკითხის გასარკვევადაც.

3. **პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში.** ქედის რაიონში დიალექტოლოგიურ საკითხებზე მუშაობისას ჩავიწერეთ ორიოდე ისეთი ზმნა, რომელშიაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ძველი აფიქსია გამოვლენილი, თუმცა ამ ობიექტის მრავლობითს **ებ** სუფიქსი აწარმოებს: **ბალანები ავზარდენ,** მარა მე აღა ვარ (გ); უსტაველელი კაცი ვარ, მარა, **პანჯაწები** მეც **გევიგენ** ახლა (ტაკ.). ეს გრამატიკული მოვლენა გავრცელებულ ნორმას არ წარმოადგენს. რომ იგი ძველი ქართულიდან მომდინარეობს, ეს სადავო არ უნდა იყოს.

4. **მედიოპასივი ძველი ფორმით.** ხულოურს მეტყველებაში ზოგიერთი მედიოპასივი ზმნის I—II პირის ფორმები მეშვეულ ზმნას არ დაირთავს: შეკითხენ მელას: ჰად **მირბიო** (აკ.): მე თავს უშველე

[1] შდრ. შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, გვ. 23.

და **გავრბიო**; მუხლები მტკივა: თელი დღე **ვწევ** ლოგინზე (სტფ.). **მივრბი, გავრბი, ვწევ** აჭარულში შემონახული არქაული ფორმებია.

5. **სტატიკური ვნებითი.** როგორც ცნობილია, სტატიკურ ვნებითებს საკუთარი წარმოების მარტო აწმყოს მწკრივი აქვს [1]. აჭარულში სტატიკური ვნებითი გვარის ზმნები უწყვეტელს საკუთარ ფორმაზე იგებენ: **ცალიოდა** (კალ.), **კიდიოდა** (კ), **აკლიოდა** (ხ), **ატყვიოდა** (ოქტ.), **გაჩნიოდა** (ხ), **აყრიოდა** (გ). შეიძლება ნაწარმოები იყოს აწმყოს კავშირებითიც: თვალი არ **მაკლიოდეს**, აცხას კიდო ვიმუშაევეფ (ვ).

ზოგ სტატიკური ვნებითი გვარის ზმნას თავკიდური **ა** არ აქვს: აქზე რომ **წყვია** ფიცრები, შენია? (ვ). აქ **აწყვია**-ს ჩვეულებრივი ფორმაა **წყვია**. ამ ტიპისაა აგრეთვე **დგია, დვია**. ეს უკანასკნელნი იმერულშიც ფართოდაა გავრცელებული.

ცალიოდა, კიდიოდა, აკლიოდა, ატყვიოდა და მსგავს ფორმებში არსებული აწმყოსეული **ი** წარმოშობით ისეთივე ფუნქციისა უნდა იყოს, როგორიცაა მკ-ი-ს, შლ-ი-ს **ი**. **აკლიოდა**-ს **ი** ზმნაში გამოხატული მოქმედების მრავალგზისობას ხომ არ უჩვენებს [2]. ან კიდევ: ხომ არა გვაქვს აჭარულში უძველესი ქართულის არქაული ნამყო უწყვეტლის თავისებური ფორმები შემონახული [3].

სტატიკურ ზმნათა ამგვარი ფორმები სხვა დიალექტებში არ გვეგულვება. აჭარულის ეს მონაცემები, ჩვენი აზრით, ქართული ენის გრამატიკული წყობის ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს ამ დიალექტს.

6. **ხოლმეობითი.** აჭარულში ზოგ ნულნიშნიან, ფუძედრეკად, **-ებ, ობ, ავ** სუფიქსიან ზმნებს აწმყოსა და მყოფადში **ი** სუფიქსი მოუდის: ზღაპარს რატონ **სწერი** მასტაელებელი კაცი (მ); **მივ-სწერი** და გამეიტანს ფულს (ღ); შენ **იწერი**? — მეკითხება მთქმელი, როცა შემამჩნია, რომ მის ნაამბობს ვწერდი (ღ). თელ ქონებას ერ დღეში **შევჭამი** (ცხ.); ავათ ვარ, დიავ, რამე რო **დაგწკინის, მწკინის** ტანში (ოქტ.); თაში ზენჯირი (ჯაჭვი) გემის დასაბამიაო, არ **ვიჯერი** (ოქტ.); სამშაფათს **ისვენის** ტაქსი (მ); ბედი აქ: კარგად **იცხოვრის** იგი (ხ); დათს თოფით **მოვკლით**, ან მახით დავაკავებთ (დანდ.); **დევინიშნით** გოგოს და ვნახავთ (თხ.).

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953. გვ. 478—479.

[2] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკ. ენებში, გვ. 106.

[3] ნაშრომში დასმული საკითხების შესახებ გაშლილი მსჯელობა და სათანადო მაგალითებით ილუსტრირება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აქ არ ხერხდება. ამ საკითხებს სხვა დროს დავუბრუნდებით.

მსგავსი ფორმები სპეციალურ ლიტერატურაში თემის ნიშანთა მონაცვლეობით მიღებულადაა აღიარებული[1]: **-ი** ენაცვლება **-ებ, -ობ, -ავ...** თემის ნიშნებს. ეს შეხედულება სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს: **-ი** თემატური აფიქსების შემცველად სხვაგან არ გვხვდება. იგი ხომ წარმოშობითაც არაა თემის ნიშანი[2]. მერე და, **წერ, ჭამ, მწკენ** ზმნებს რომ თემის ნიშანი არ აქვს, აქ რაღას ენაცვლება იგი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოცემულ მაგალითებში **-ი** წყვეტილის ხოლმეობითის (II ხოლმ.) უძველესი მორფოლოგიური ერთეულია **მკ-ი-ს, კსნ-ი-ს** ტიპის მსგავსად. როცა ეს ფორმები I სერიაში გადავიდა, აწმყოდ (ან მყოფადად) იქნა გაგებული. შემდეგ ამათგან უწარმოებიათ უწყვეტლის ხოლმეობითიც[3]: **ჩავწერიდი, დევინიშნიდი, უჯერიდი, ვისვენიდი, მონათლიდი.** უფრო გვიან უწყვეტლის ეს ფორმები უწყვეტელს მიუსაკუთრებია.

გარდამავალ ზმნებთან რომ სინტაქსური კონსტრუქცია ნომინატურია? ეს მეორეული მოვლენაა[4]. ჩვენი ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ არაფერს ამბობს. მითუმეტეს, რომ **დაწერის** ტიპის ერთ ზმნასთან ერგატიული კონსტრუქციაც გვაქვს დადასტურებული: თაში კინა **შემჭამის** დათმა (მ). აქ ყველაფერი თავის რიგზეა: **შემჭამის** არაფრით განსხვავდება ძველი ქართულის წყვეტილის ხოლმეობითის ფორმათაგან.

ცხადია, არც წყვეტილის ხოლმეობითი და არც უწყვეტლისა თანამედროვე აჭარულის გრამატიკული წყობისათვის მოქმედ მორფოლოგიურ ერთეულს არ წარმოადგენს. მათი ფორმები გრამატიკულ არქეოლოგიურ იშვიათობად უნდა მივიჩნიოთ.

7. **I თურმეობითი.** გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითის ანალოგიური წარმოება ახასიათებს გარდამავალ ზმნებსაც. ერთი მხრივ გვაქვს: მეც **წასული ვარ** ბეგთან სამუშაოთ (ვ); **მოსწრილი ვარ** შერიფ ბეგს (აგ.)... მეორე მხრივ: ასე **გაგონილი ვარ** (ღ) — ასე გამიგონია; მეც **შეხედული ვარ** (ოქტ.) — მეც შემიხედავს. უმეტესად მაინც გარდამავალ ზმნათა მიმღეობას I თურმეობითში „მაქ", „მყავს" ზმნები ემატება: ასე **გაგონილი** მაქ (ასე გამიგონია), **შეხედული** მაქ (შემიხედავს), კვერნა ხელით **დაჭირული**

[1] მ. ხუბუა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა, 1932. შ. ნიჟარაძე, დასახ. შრ., გვ. 46.

[2] არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრ. პრობლემა იბერ.-კავკ. ენებში, გვ. 74.

[3] ჩვენი, აჭარულის მორფოლოგიის საკითხები, ქუთაისის პედინსტ. XXIII სამეცნ. კონფ. თეზისები, 1959, გვ. 69.

[4] არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., გვ. 74.

მყავს (თხ.) — კვერნა ხელით (დამიჭირავს). I თურმეობითის ასეთი ფორმები მომეტებულწილად მოხუცთა მეტყველებაში ისმის. „ჩოსული ვარ“ ტიპი ნაწილობრივი არქაულობითაც ხასიათდება.

8. **ზოგიერთი ზმნის შესახებ. შოვრება, მოშორება** ზმნაში **რ**-ს შემდეგ ყოველთვისაა **ვ**: **მეიშორვოს** თავიდან (ხ). ხომ არაა აქ ძველი ქართულის **შოვრის** (ბგერათა გადასმით).

ყვან, ტან ზმნების წყვეტილში არც ძირეული **ნ** და არც წყვეტილის მწკრივის **ე** არ ჩანს: **ნ**-ს ადგილს **ი** იჭერს: კოჭლი კაცი **მევიყვაი** (ცხ.); შეშა **შევიტაი** სახში (კოკოტ.). გაუგებარია რატომ იკარგება **ნ** (ზოგჯერ მისი შემცველი **ი**-ც არ ისმის: **ევიყვა** ცხენი თაზე (წონ). შესაძლებელია ეს მოვლენა სიტყვის შემოკლების ერთერთი ნიმუში იყოს. საგულისხმოა ისიც, რომ **ყვან** ზმნის ამგვარი შემოკლების შემთხვევა ძველ საწწერლობო ქართულშიცაა დადასტურებული: დაკლა მამამან შენმან ხურაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით **მოხიყვა** იგი, ლ. 15, 27.

მოყვანება, მიტევება, შეძინება (ზოგი სხვაც) ძველი ქართულის ფორმით გვხვდება: მის ლურჯას **გამეიყვანებენ** (ღ.): არ მიტევებენ ამ სოფელს (აგ.): შვილი **შეძინებოდა** (ახ. უბ.).

ჭამ უწყვეტელში **იქმონენს** იძლევა: ორმოცდღიან ქორწილს **იქმონენ** (საც.). აქ მრავლობითი რიცხვის III სუბ. პირის **-ნენ** სუფიქსის წინ დაკარგული უნდა იყოს **-ოდ** სუფიქსის **-დ**. აჭარულში ნენ სუფიქსის იშვიათობა იმასაც გვაფიქრებინებს, რომ უწყვეტლის **დ ნ**-თი იყოს შეცვლილი.

ძახ. აწმყოში **იძახის** გვაქვს. უწყვეტელში ფუძე შეიძლება **დ**-თი იყოს გაერცობილი, ან **ოდ**-ით: **იძახდა, იძახოდა**. არც ერთ შემთხვევაში **ი** არ გამოჩნდება. აჭარულში ამ ზმნას უწყვეტლის ფუძის საერცობად ყოველთვის **დ** მოუდის, მასთან აწმყოსეული **ი** შენახულია: **ეძახიდენ** (ღ), **უძახიდენ** (ოქტ.), **უძახიდიან** (ღ). ეს უკანასკნელი ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითსაც კარგად ჩამოჰგავს, შინაარსითაც არაა მისგან დაცილებული.

ჭონ. ამ ზმნის აწმყოს ინვერსიულ ფორმებში თ სუფიქსის ნაცვლად აჭარულში **ენ|ან** სუფიქსები იხმარება; ეს **-ენ** უნდა იყოს **გაჭნენ** (გაქვთ) ფორმაშიც (ქვ. იმერ. **გაჭვენ**). ვფიქრობთ, აჭარულს ამ ზმნაში ძირეული **ნ** არ დაუკარგავს, გაუჩინარებულია კი მისი წინამავალი **ო**: **გაჭონ-ენ → გაჭნენ**. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა პირს ერთნაირი ფორმა აქვს: **აჭნენ** — აქვთ, **გაჭნენ** — გაქვთ, **გვაჭნენ** — გვაქვთ. იმერულში **აჭვენ, გაჭვენ**, მაგრამ I პირის მრავლობითში — **გვაქ**.

შემოკლებანი:

აგ. — სოფ. აგარა
ახ. უბ. — ს. ახალი უბანი
გ — ს. გორგიელი
დანდ. — ს. დანდალო
ვ. — ს. ვერნები
თხ. — ს. თხილვანა
კალ. — ს. კალოთა
კოკოტ. — ს. კოკოტაური
ლ. — ლუკა
მ. — მათე
(მ) — ს. მერისი
ოქტ. — ს. ოქტომბერი
საქ. — საქმე მოციქულთა
საც. — ს. საციხური
სტეფ. — ს. სტეფანაშვილები
ტაკ. — ს. ტაკიძეები
ღ — ს. ღორჯომი
ცხ. — ს. ცხმორისი
ხ — ს. ხიხაძირი

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII. 1960.

დ. მაჭავარიანი

ვნებითის -ენ სუფიქსის გენეზისისათვის *

(წინასწარი ცნობა)

ცნობილია, რომ ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად ქართულში ან მხოლოდ პრეფიქსებია გამოყენებული, ან მხოლოდ სუფიქსები.

ასე, მაგალითად, ბრუნვის კატეგორიას მხოლოდ ბოლოსართები გამოხატავენ, პირის კატეგორიას — თავსართები (III სუბ. პ. გამოკლებით), გრამატიკული კლას-კატეგორიაც პრეფიქსებით აღინიშნებოდა, რიცხვის კატეგორიას სუფიქსები გვიჩვენებენ (გამონაკლისია I ობ. პ.), ქცევის გამოსახატავად პრეფიქსებია გამოყენებული და სხვ.

იქ, სადაც ერთისა და იმავე კატეგორიის გამოსახატავად ზოგ შემთხვევაში პრეფიქსი გვაქვს და ზოგში კიდევ — სუფიქსი, ერთერთი მათგანი მეორეულად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ქართულში პირის (III სუბ. პ.) გამოხატვა სუფიქსებით მეორეულ მოვლენადაა მიჩნეული, რიცხვის (I ობ. პ.) პრეფიქსით აღნიშნა არ არის პირვანდელი მოვლენა.

გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი და ნაირგვაროვანი პროცესია. გამონაკლისს არ შეადგენს გვარის კატეგორია. ისტორიულ პერიოდში ის უკვე კარგად ჩამოყალიბებული კატეგორიაა, მაგრამ ყოვლისმომცველი მაინც არ არის. ერთიმეორისადმი კარგად დაპირისპირებული მოქმედებითისა და ვნებითის გარდა მოიპოვება ე. წ. საშუალო გვარის ზმნები, უგვარო ზმნები...

გვარის, კერძოდ ვნებითის, ჩამოყალიბების გზა ქართულში სწორხაზობრივი არ ყოფილა. ამიტომ გვაქვს ვნებითი ფორმების როგორც თავსართული, ისე ბოლოსართული წარმოება.

---

* წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესიაზე 1960 წლის 8 აპრილს.

ვნებითი გვარის პრეფიქსული წარმოებისათვის, როგორც ცნობილია, ორი ნიშანია გამოყენებული: ერთია **ი-** პრეფიქსი, მეორე — **ე-**. **ი-** ერთპირიანებთან გვაქვს, ხოლო **ე-** — უპირატესად ორპირიანებთან.

ვნებითის სუფიქსური წარმოება იყენებს **-ენ** (→ **ნ**) და მისგან ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებულ **-დ** სუფიქსებს [1].

ძველ ქართულში გაბატონებულია პრეფიქსული წარმოების ფორმები, შედარებით იშვიათია სუფიქსიანი ფორმები.

მათი შეფარდება საშუალოდ ასე შეიძლება გამოისახოს პროცენტებში:

ე-ნით ნაწარმოებ ფორმათა რაოდენობა 60%, **ი**-ნით ნაწარმოები ფორმებისა — 30%, ხოლო **ნ | დ**-ნით — 10% [2].

უკანასკნელი (სუფიქსური) წარმოების იშვიათობა (შედარებით პრეფიქსულთან) ძველ ქართულში თვალში საცემია. მასთან ჩვენი დროისაკენ ასეთი წარმოების პროდუქტულობის ზრდა აშკარად შესამჩნევია.

დ-იანი ვნებითების ზრდა მიმდინარეობს არა მარტო ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნის საშუალებით, არამედ პრეფიქსული წარმოების სუფიქსურით შეცვლის გზითაც.

	ძველი	ახალი
შდრ.	აღეშჩნა	აშენდა
	მოეწყურა	მოსწყურდა
	შეემშია	მოშიებდა და სხვ. [3]

პრეფიქსიან და სუფიქსიან ფორმათა მონაცვლეობა უკვე ძველ ქართულში იჩენს თავს.

---

[1] ა. შანიძე. ნასახელარი ზმნები ქართულში: ტ. უ. მ. ტ. I, ნაკვ. I. 1919, გვ. 87—96; იგივე ნახ.: თხზულებანი I, გვ. 35—44; მისივე. ქართ. გრამ. საფუძვლ., 1953, გვ. 298.

შდრ. ე. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან II. 1. **-ედ** ბოლოსართი ზმნაში: ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 533 და შემდგ.

[2] ჩვენება ემყარება ამ მხრივ მასალის სტატისტიკურ შესწავლას. შესადარებლად აღებულია ლექსიკური ერთეულები და არა ხმარებულობის სიხშირე. ხმარებულობის სიხშირით პრეფიქსიანი ვნებითების პროცენტი გაცილებით უფრო მაღალია.

[3] ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლები, 1953, გვ. 311; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში. 1954, გვ 310 და შემდგ.

მაგალითები.

პრეფიქსიანი	სუფიქსიანი
1. **დაემტკიცა**[1]: დღეს დაემტკიცა თქუმული იგი, სას. პ. რნგ$_4$; ...ჰურიასტანს დაემტკიცა აღდგომაჲ... სას. პ. სოწ$_6$ქვ.; ...დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ, მ. 18$_{16}$ ЛЕ	**დამტკიცდეს**: ...არა დაადგრეს და ვეღარა დამტკიცდეს... მ. სწ. 7$_{11}$; ...დამტკიცნეს ყოველი სიტყუაჲ, მ. 18$_{16}$ С
2. **შეეშინა**[1]: დედაკაცსა მას შეეშინა, მარკ. 5$_{33}$ ЛЕ შემეშინა მე, მ. სწ. 41$_{13}$; შეგეშინა მისგან, მ. სწ. 41$_{16}$	**შეშინდა**: დედაკაცი იგი შეშინდა, მარკ. 5$_{33}$ С; შეშინდეს და ძრწოდეს, მ. სწ. 44$_3$
3. **იდიდა**[1]: ...აწ იდიდა, აწ აღმაღლდა, სას. პ. სოგ$_5$ქვ.: მაღალთა შინა იდიდების მარადის... სას. პ. სპკ$_{14}$	**განდიდნა**: განდიდნა სახელი წაწებისა შენისაჲ, სახ. პ. რპ$_7$; განდიდნა მეფობაჲ სამთა ძმათა... ხანძთ. 62$_3$
4. **დაესრულა**: დაესრულა კერძოჲ საგალობელთა აღდგომისა შენისათჲს... სას. პ. ტზ$_{15}$: დაესრულნეს შეწევნითა შენითა საგალობელნი... სას. პ. ტნთ$_2$	**დასრულდეს**: ...დასრულდეს ძუელისა შჯულისანი, სას. პ. სნგ$_5$: განსრულდეს ნათობაჲ მთიებისაჲ... მ. სწ. 123$_{31}$.
5. **განეახლა**: მიეიდა სახლსა მას კერპთასა, სადა იგი მეორედ განეახლა აპოლონი, კიმ. I, 144$_{19}$	**განახლდა**: და იცვალოს და განახლდეს ქუეყანაჲ, მ. სწ. 123$_{23}$: ...რაჲთა რომელნი ნათლის ღებითა განახლდენ... სას პ. მდ$_5$
6. **აღმოეცენოს**: აღმოეცენოს წყაროები, კიმ. I, 300$_{15}$: უზეშთაეს აღმოეცენებისა... მ. სწ. 66$_{22}$	**აღმოსცენდა**: აღმოსცენდა შური... მ. სწ. 172$_{20}$. ...ყუავილად აღმოსცენდა ეკლესიასა... აბო, 61$_{15}$.

[1] ამათ მონაცვლეობაზე მითითებული აქვს ა. შანიძეს. იხ. ქართ. გრამ. საფუძვლები, გვ. 311.

7. **განეცხადა**: განეცხადე მგლოვარეთა მათ. სას. პ., ტივ.; განეცხადა დღეს სამებაჲ წმიდაჲ, სას. პ. რიჰ$_{13}$

განცხადნა: საიდუმლოჲ დაფარული განცხადნა, სას. პ. ოვ.ქვ.; გამოცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი... ლ. ჴ$_{35}$

8. **დაეყუდა**: იძია მცირჱ სენაკი და მუნ დაეყუდა, შუშ. VIII$_{8}$; დაეყუდებოდეს ღელვანი იგი... კიმ. I, 334$_{24}$; დაწყნარდიედ... და დაეყუდნიან... მ. სწ. 139$_{8}$

დაყუდნის: ჟამ ერთ წუხნ და მერმე დასცხრის, ჟამ ერთ ქრინ და მერმე დაყუდნის, მ. სწ. 311$_{18}$; დაყუდნეს ღელვანი... სას. პ. სჟა$_{18}$

9. **დაემორჩილე**: აწ ცნ სარგებელი, კაცო, და დაემორჩილე თავყანის-ცემად დიდსა მას ღმერთსა აპოლონს, კიმ. I, 133$_{11}$

ნუ **დაჰმორჩილდები**: ნუ დაჰმორჩილდები მას, არამედ იყავნ შენ ვითარცა ირემი წყურიელ... მ. სწ. 74$_{18}$

10. **განეკსნა**: განეკსნა კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ, მარკ. 7$_{35}$ C

განჰკსნდა: განჰკსნდა კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ, მარკ. 7$_{35}$,1E

11. **განიკსნნეს**: და ყოველთა კრულებანი განიკსნნეს, საქმ. მოციქ. 16$_{26}$ **გ**

განჰკსნდეს: და ყოველთა კრულებანი განჰკსნდეს, საქმ. მოციქ. 16$_{26}$ **ა**

12. **ალიმაღლე**: რ~ უზეშთაჱს ქერობინთა და სერაბინთა აღიმაღლე... კიმ. I, 179$_{30}$

აღმაღლდა: ძელსა ზედა აღმაღლდა, მ. სწ. 70$_{3}$; ..რ~ი აღმაღლდა ძელსა ზ~ა... კიმ. I, 205$_{10}$

13. **განიშიშულოს**: ...ოდეს განიშიშულოს მკერდი შენი... მ. სწ. 131$_{1}$

განშიშულდი: განშიშულდი, რაჲთა შეიმოსო, მ. სწ. 289$_{17}$

14. **განიწმიდის**: რომელი ერთგზის განიბანის და განიწმიდის შეხებისაგან... მ. სწ. 195$_{11}$; ...უკუეთუ აქავე არ განიწმიდო, მუნ სულთ-ითქუმიდე მარადის... მ. სწ. 132$_{3}$

განწმიდნა: განწმიდნა უბიწოჲთა მით სისხლითა... სას. პ. იბ$_{11}$; ინანდი, რაჲთა განსწმიდნე... მ. სწ. 289$_{21}$

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში დასტურდება პარალელური ხმარება პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ფორმებისა.

კითხვა ისმის: რომელია ამათგან უწინარესი და რომელი — მერმინდელი? — უწინარესია, ეჭვი არ არის, პრეფიქსიანი. სუფიქსიანი პრეფიქსიანისაგან უნდა მომდინარეობდეს (მხედველობაში გვაქვს ამოსავალი ვითარება).

ვერ დავუშვებთ პირუკუ პროცესს: თითქოს პრეფიქსიანი სუფიქსიანისაგან იყოს მიღებული, ან კიდევ — ორივე — პრეფიქსიანიც და სუფიქსიანიც — იმ თავითვე არსებობდა ენაში.

სუფიქსიანთა სიახლე პრეფიქსიან ფორმებთან შედარებით აშკარაა, რაზედაც სამართლიანად მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში [1].

სუფიქსიანი პრეფიქსიანისაგან ჩანს მიღებული.

რა უნდა იყოს მიზეზი პრეფიქსიანი ფორმების სუფიქსიანით შეცვლისა?

ამის მიზეზი ჩანს ის საერთო ტენდენცია, რომლის მიხედვით ქართული ზმნები კარგავენ თავისართ ხმოვანს [2].

პრეფიქსული წარმოების სუფიქსურით შეცვლის მიზეზი უნდა იყოს პრეფიქსის დაკარგვა.

მაგრამ რა წარმომავლობისაა ეს **-ნ** (← **ენ**), რომელსაც ენებითობის გამოხატვა დაეკისრა ზმნებში საამისო ფუნქციის მატარებელ **ე, ი** პრეფიქსების დაკარგვის შემდეგ?

-ენ (→ **ნ**) სუფიქსის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი.

ძველ ქართულში „შეჰრისხავს“ ზმნის კონსტრუქცია ნამყო ძირითადში (და მისი წყების ნაკვთებში) არ არის სტაბილური: **შეჰრისხნა**, რომელიც წარმოშობით სამპირიანია, „გარდამავლადაც“ იხმარება და „გარდაუვალადაც“. ამ ზმნის ეს თავისებურება შენიშნული აქვს ი. იმნაიშვილს. იგი წერს: „ზოგს მისი (ე. ი. „შეჰრისხნა“ ზმნის. — დ. მ.) **ნ**არი პირდ. ობ. სიმრავლის ნიშნად ესმის, ზოგსაც — ვნ. გვარის მაწარმოებლად. ამიტომაა, რომ პირველნი მის სუბიექტს მოთხრობითში სვამენ, მეორენი — სახელობითში. ასეთ აღრევას ხანდახან ერთსა და იმავე ძეგლშიც ვხვდებით“ [3].

[1] ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, გვ. 310.

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 151—168.

[3] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, გვ. 676—677.

ამის მადასტურებელი მაგალითებია ოთხთავში:

ხოლო **თავადი** შეჰრისხნა მათ და ამცნო, რაჲთა არავის უთხრან ესე, ლ. 9_{21} CE; ამავე ძეგლის ДЕ რედაქციის Д ხელნაწერში ყოფილა: **თავადმან** შეჰრისხნა... (ეს უკანასკნელი სქოლიოშია ჩამოტანილი რედაქტორის მიერ).

მოწაფეთა მათ (=მოწაფეებმა) შეჰრისხნეს, მ. 19_{13}; გამოცემის რედაქტორს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ჯერ დაუწერია „მოწაფეთა" და შემდეგ გადაუსწორებია: „მოწაფენი".

ხოლო **ერმან** მან შეჰრისხნა მათ, რაჲთა დადუმნენ, ჲ. 20_{31} C

მან შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრობდენ მისთვის, მარკ. 8_{30} C

საგულისხმოა, რომ **შეჰრისხნა** [მან მას ‖ იგი მას] და **განრისხნა** [იგი] ფორმებს მხოლოდ პრევერბი (და პირის ნიშანი) განარჩევს. პრევერბის გამოყენება აქ სადიფერენციაციოდ მეორეული ჩანს.

მსგავსი მაგალითი გვაქვს „განწმიდნა" ფორმის სახითაც.

და დაცემული მის მიერ მამაჲ ჩუენი აღემართა დაცემისა განთჳსისა და განწმიდნა უბიწოჲთა მით სისხლითა, სახ. პ. $იბ_{11}$

...ყოველთაგან გესლთა უკეთურებისა მისისათა განწმიდნეს... მ. სწ. 55_{12}

...ინანდი, რაჲთა განსწმიდნე... მ. სწ. 2 9_{21}

მოყვანილ მაგალითებში **„განწმიდნა"** [იგი] (განწმიდნეს, განსწმიდნე) ზმნა ერთპირიანია (ვნებითი გვარისა).

მაგრამ გვაქვს ასეთი მაგალითიც:

რაჟამს გამოგჳბრწყინდა ჩუენ მზე იგი სიმართლისაჲ, რომელნიმე განწმიდნა და რომელნიმე განამართლნა და რომელნიმე შეიწყალნა, მ. სწ. 84_{2}

აქ **„განწმიდნა"** [მან იგინი] ზმნა ორპირიანია (მოქმედებითი გვარისა).

ფორმობლივი დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

შდრ.: მი-ჰ-ე-ც-ა (→ მი-ჰ-ც-ა → მი-ს-ც-ა) [მან მას იგი] — მი-ე-ც-ა [იგი მას], მო-ი-კლ-ა [მან იგი] — მო-ი-კლ-ა [იგი].

ეს გარემოება გვაფიქრებინებს: ვნებითი გვარის სუფიქსური წარმოებისათვის დამახასიათებელი სუფიქსი **-ენ** (→ **ნ**) გენეტურად ხომ არ უკავშირდება პირდ. ობიექტური პირის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსს?[1]

[1] შდრ. ა. შანიძე ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 4.2-473.

თუ ასეთ ვარაუდს დავუშვებთ, ბუნებრივად დაისმება კითხვა: რაა საერთო ვნებითი გვარის ფორმასა და პირდ. ობ. პირის მრავლობითობას შორის?[1]

ცნობილია, რომ ვნებითი მოქმედებითის კონვერსიული სახეა. მოქმედებითი ზმნის ვნებითად მობრუნებისას პირველის (მოქმედებითის) პირდ. ობ. პირი მეორეში (ვნებითში) სუბიექტად იქცევა და მრავლობითში -ენ (→ ნ) გადმოჰყვება, მაგრამ აქ ეს უკანასკნელი უფუნქციო გახდება: დ ა მ ა ლ - ნ - ა [მან იგინი] — დ ა ი მ ა ლ - ნ - ე ს [იგინი]... ამას ადგილი აქვს პრეფიქსიან ვნებითებში[2].

ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სუფიქსიან ვნებითებშიც ასეთსავე პროცესს უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ გვარის გამოსახატავად სხვა აფიქსის უქონლობის გამო ეს ფუნქცია დაეკისრება -ენ (→ ნ) სუფიქსს, რომელიც განზოგადდება და მრავლობითი რიცხვიდან მხოლობითშიც გადმოვა და დამკვიდრდება როგორც ვნებითის აფიქსი[3].

-ნ (← ენ) ფორმანტის ვნებითის სუფიქსად ქცევის პროცესზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ზემოთ დასახელებული „გ ა ნ წ მ ი დ ნ ა“ ზმნის მაგალითი.

---

[1] ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ საერთოდ, როგორც ეს შენიშნულია, „შესაძლებელია ვნებითის შინაარსი გადმოვსცეთ მრავლობითით, რომელსაც განუსაზღვრელი სუბიექტი აქვს. იხატება = ხატავენ, ითესება = თესავენ.. კეთდება = აკეთებენ, შენდება = აშენებენ“ (იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ზმნის ზოგადი დახასიათება: ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 060).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სხვა ენებში არსებული ვითარებაც. მაგ., აფხაზურში, რომელსაც გვარის კატეგორია არ გააჩნია, სხვა ენების ვნებითი გვარის გადმოსაცემ ერთ-ერთ საშუალებად გამოყენებულია გარდამავალი ზმნის მესამე პირის მრავლობითი რიცხვი (ი-რ-კ-უეიტ — წერენ მას (რაღაცას) = იწერება, ი-რ-თიუეიტ — ყიდიან... = იყიდება...), რაც (სხვა სანაცვლო საშუალებებთან და ხოგ წარმოებასთან ერთად) მიიჩნევა გვარის კატეგორიის ჩანასახად ამ ენაში (იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, გვარის კატეგორიის საკითხისათვის აფხაზურში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება. ტ. VIII. 1956. გვ. 195—214).

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე. სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920. გვ. 12. შენიშვნა 1; მ ი ს ი ვ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. 19 3. გვ 365. 473.

[3] ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც. რომ -ენ (→ ნ → დ) -იან ვნებითებს აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი ვნებითის ამ აფიქსის შემდეგ მოუდის: განმტკიცნების, განსპეტაკნების.. ეს იმის მაუწყებელია, რომ ეს -ენ (→ ნ → დ) თავდაპირველად ნამყო ძირითადში (და მისი წყების ნაკვთებში) გაჩნდა ეს ასეც იყო მოსალოდნელი: ენ (→ ნ) პირდ. ობ. პირის მრავლობითობის აფიქსად სწორედ აქ გვაქვს.

თუ ავიღებთ ამ ზმნის ასეთ ფორმას: „განგწმიდნა“ [მან თქუენ] და მისგან ვნებითის წარმოქმნის პროცესს გავითვალისწინებთ, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება:

განგწმიდნა [მან თქუენ]: გან-ი-წმიდ-ენ-ით [თქუენ]: გან-ს-წმიდ-ენ-ით [თქუენ]: გან-ს-წმიდ-ენ-ი [შენ]: გან-ს-წმიდ-ენ [შენ || გან-ს-წმიდ-ნ-ი [შენ].

აქ მოყვანილი არც ერთი ფორმა არ არის ვარსკვლავიანი. ასეთი ფორმები ძვ. ქართულში დასტურდება (.ესენი წარიყვანენ და **განწმიდენი** მათთანა“, საქ. მოციქ. 21_{24} C; იქვე ა რედაქციაში იკითხება: **განწმიდნი**. ასევე ოთხთავის I რედაქციაში გვაქვს: „და მიყო კელი მისი იესუ, შეახო და ჰრქუა: მნებავს, **განწმიდნი**! მათე 8_{2-3}; შდრ. იქვე C რედაქციაში: **განწმიდენ**!) პირველსა და მეორე სუბ. პირებში ე-ს ამოღება მესამე შეკუმშული ფორმის ანალოგიით აიხსნება: განწმიდნა: განსწმიდნი, განვწმიდნი[1].

ამგვარად, ირკვევა, რომ მრავლობითობის -ენ ფორმანტსა და ვნებითის -ენ აფიქსს შორის ისეთივე ურთიერთობაა, როგორც სათავისო ქცევის ი პრეფიქსსა და ვნებითის ი- პრეფიქსს შორის.

შდრ. მო-ი-კლ-ა მან წყურვილი[2], სადაც ი- როგორც სათავისო ქცევის ნიშანი განპირობებულია პირდ. ობიექტის არსებობით და მო-ი-კლა იგი ბრძოლაში[2], სადაც ამ ფუნქციისაგან (ქცევის გამოხატვისაგან) თავისუფალ ი-ს ეკისრება ვნებითობის გამოხატვა.

-ნ (←ენ) იმ თავითვე ვნებითობის გამომხატველი აფიქსი არ ყოფილა, ისე როგორც ასეთი არ იყო ი-, ე- პრეფიქსები. -ნ (←ენ)-ის ვნებითის სუფიქსად ქცევა ახალი გააზრიანების შედეგია.

ძვ. ქართულში, როგორც ვიცით, -ენ (→ნ) სუფიქსიანი ვნები-

---

[1] ა. შანიძე წერს: „ბრძანებითი კილოს ფორმა „განწმიდნა“ ზმნისა უნდა ყოფილიყო განწმიდენ. მაგრამ ამ შემთხვევაში აღარ იქნებოდა გარჩევა „განწმიდა“ ზმნის ბრძანებითი ფორმისაგან, როცა დამატება მრავლობითშია დაყენებული (განწმიდენ იგინი). ამით უნდა ავხსნათ, რომ ბრძანებითია „განწმიდნი“ და არა „განწმიდენ“, როგორც სხვა მსგავს ზმნებში: განკაცენ, განცხად ენ...“ (ქართული ენის სტრუქტურისა და ისტ საკითხები, თხზ. I, 1957, გვ. 40, შენიშვნა 2). ამაზე უნდა მეცნიშნოთ: ჯერ ერთი, ძვ. ქართულში „განწმიდნი“-ს გვერდით „განწმიდენ“-იც ხომ დასტურდება და ფორმობლივ დამთხვევას მაინც აქვს ადგილი. ძეორეცაადა: დამთხვევას მოქმედებითთან ადგილი აქვს არა მარტო ბრძანებითში, არამედ თბრობითშიც (შდრ. განწმიდნა იგი და განწმიდნა მან იგინი).

[2] მაგალითი ეკუთვნის ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს.

თების გვერდით და ამათზე უფრო ხშირად -დ-იანი ფორმები გვხვდება.

სპეციალურ ლიტერატურაში ამტკიცებენ, რომ პირველადია -ნ (←ენ), რომელიც -ნ, -რ, -ლ ბგერებთან დისიმილაციის ნიადაგზე დ'-დ იქცა და ამ სახით განზოგადდა და დამკვიდრდა ყველგან[1].

ესენი (-ნ, -დ) დამახასიათებელია ნასახელარი ზმნებისათვის.

-დ. მართალია, გვხვდება ზოგიერთ პირველადს ზმნაში (განტყდა, განსთქდა, დაჭკნდა), მაგრამ იგი მეორეული უნდა იყოს[2], ხოლო რაც შეეხება კვდება, ჯდება... ზმნებში დადასტურებულ -ედ სუფიქსს, ის ვნებითის არ უნდა იყოს. ამტკიცებენ, რომ ესენი, ე. წ. უნიშნო ვნებითები, არ არიან ისტორიულად ვნებითები[3].

მოკუდა (←*მო-კუ-ედ-ა) არაა ისტორიულად ვნებითი გვარისა. იგი არ უპირისპირდება „მოკლა" მოქმედებითი გვარის ზმნას. უკანასკნელის საპირისპირო ვნებითია მო-ი-კლა. რომელიც ხშირად გვხვდება ძვ. ქართულში[4]. „მოკუდა" ამოსავალია მერმინდელი კაუზატიურად ნაწარმოები „მოაკუდინა" ფორმისა.

მოიკლა და **მოკუდა** სხვადასხვა ზმნებია არა მარტო ფორმით, არამედ მნიშვნელობითაც. ამიტომაა, რომ გვაქვს:

...და **დაკალთ** ცხორების მომცემელი რ^ი **დაიკლვის** და არა **მოკუდების**. ბოლნ., 40_{31}; 41_4. მო-კუ-ედ'-ში -ედ სუფიქსია. წარმოშობით იგი ისეთივე აფიქსია, როგორც -ენ. შდრ. სხედან და სხენ-ედ (ვ. თოფურია).

ორივე ისტორიულად ნივთის გრამატიკული კლას-კატეგორიის ექსპონენტია. ამით აიხსნება ორივეს მრავლობითობის აფიქსად გამოყენება[5].

---

[1] ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტ. უ. მ. I, გვ. 87 და შემდგ.; მისივე, ქართ. გრამ. საფუძვლები, გვ. 298.

[2] გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი" ქართველურ ენებში: ქართველ. ენათა სტრუქტ. საკითხები, I, 1959, გვ. 112.

[3] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტ. ლექსიკ. I, გვ. 060; ქ. ლომთათიძე, თბებატიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში; იბერ.-კავკ. ენათმეცნ. ტ. IV. გვ. 75 და შემდგ.

[4] შდრ. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ ქართულში. გვ. 320.

[5] არნ. ჩიქობავა. მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერ.-კაუკას. ენათმეცნ. ტ. VI. გვ. 72 და შემდგ.

თქმულის შესაბამისად **-ენ** (resp. **-ედ**) აფიქსის ფუნქციათა ევოლუცია ზმნებში ასე წარმოიდგინება:

ა. **-ენ** (resp. **-ედ**) წარმოშობით **ნივთის კლას-კატეგორიის ნიშანია** (resp. ფუძის საწარმოებელი ელემენტი);

ბ. **-ენ ობიექტისა** და სუბიექტის (**-ედ** სუბიექტის) **მრავლობითობის მაჩვენებელია;**

გ. **-ენ** (→ **ნ** → **დ**) **ვნებითი გვარის საწარმოებელი სუფიქსია.**

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII, 1960.

ნ. კუბლაშვილი

კლუბების საკითხისათვის საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაში

საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაში კლუბების როლის შესახებ მონოგრაფიული ლიტერატურა თითქმის არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალფონს ლიუკას ბროშურას, რომელიც კლუბების ზოგიერთ მხარეს ეხება.

კლუბების შესახებ მასალები მოიპოვება სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში და საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში, რომელშიც დასახელებულია 147 კლუბი[1]. 1848 წ. რევოლუციის ისტორიის ავტორი დ. სტერნი გვერდნახევარს უთმობს კლუბებსა და პრესას[2], გვერდნახევარი აქვს დათმობილი გრეგუარს[3]. ერიტიე ლუი[4] და ჟორჟ რენარიც[5] მცირე ადგილს უთმობენ კლუბების საკითხს. კლუბებსა და რევოლუციურ პრესაზე არის მასალა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ ორტომეულში[6], პრესის შიმოხილვა და ორი კლუბის მოღვაწეობა მოცემულია სუსანა ვასერმანის შრომაში[7].

1848 წლის საფრანგეთის რევოლუციის დროს კლუბებმა საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს.

---

[1] Rapport de la commission d'enquête sur l'insurrection qui a éclaté dans la journeé de 23 juin et sur les évenements du 15 mai. Paris, 1848. t. I и II.

[2] Д. Стерн, История революции 1848 года, т. II, СПБ, 1907 г.

[3] Л. Грегуар, История Франции в XIX веке, т. III, Москва, 1896 г.

[4] Эритье Луи, История французской революции 1848 года и Второй республики, СПБ, 1907 г.

[5] Ж. Ренар, Республика 1848 г., СПБ, 1907 г.

[6] Революции 1848—.849 гг., Москва, 1952 г.

[7] Wassermann S., Les clubs de Barbes et de Blanqui en 1848, Paris, 1913.

აღნიშნული ნარკვევის მიზანია გააშუქოს კლუბების როლი 1848 წლის რევოლუციის მსვლელობაში. ჩვენ განზრახ არ ვეხებით ო. ბლანკის, ა. ბარბესის და თ. დეზამის მთავარ კლუბებს, რადგან გვინდა მათ ცალკე გამოკვლევა მივუძღვნათ. თემა იფარგლება პარიზში მოქმედი ზოგიერთი კლუბის საქმიანობით; იგი არ ეხება მათს ფილიალებს ან პროვინციების დამოუკიდებელ კლუბებს. ამ საკითხის გასაშუქებლად გამოყენებულია დასახელებული ავტორების ნაშრომები და იმ დროის პარიზის პერიოდიკა, რომელშიც მეტნაკლებად არის ასახული ჩვენთვის საინტერესო მოვლენები.

1789 წ. მაისსა და ივნისში გენერალურ შტატებში ბრეტანიდან მესამე წოდების მიერ წარმოგზავნილი დეპუტატებმა პარიზში ჩამოაყალიბეს ე. წ. ბრეტონის კლუბი[1]. შემდეგ ამ კლუბმა იაკობინური კლუბის სახელწოდება მიიღო. იაკობინელთა საზოგადოებას მეორეგვარად თავისუფლების და თანასწორობის მეგობართა საზოგადოებასაც უწოდებდნენ. ამ დროს სხვა მრავალი პროვინციალური კლუბიც შეიქმნა, რომლებიც მჭიდროდ დაუკავშირდნენ იაკობინურ კლუბს[2]. „მე-18 საუკუნის დასასრულის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს საფრანგეთში 2.400 იაკობინური საზოგადოება იყო, რომელიც ნამდვილ მთავრობას წარმოადგენდაო" — წერდა დ. სტერნი[3]. თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იაკობინური კლუბი, ამას ისიც ადასტურებს, რომ თერმიდორის დღეებში, როდესაც კონვენტში მაქსიმილიანე რობესპიერის მოხსენების ირგვლივ მწვავე კამათი გაჩაღდა და სასურველს შედეგს ვერ მიაღწია იაკობინური დიქტატურის მეთაურმა, ის მოხსენება მან იაკობინურ კლუბში გაიმეორა. კლუბში მოხსენება ყურადღებით მოისმინეს და აღტაცებაც გამოთქვეს, მაგრამ კონვენტს იმ დროს იაკობინური კლუბი ვეღარ კარნახობდა. მისი გავლენაც სათანადოდ შესუსტებული აღმოჩნდა. იაკობინური დიქტატურის დაცემის შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში მსხვილი ბურჟუაზია მოექცა, იგი სასტიკად გაუსწორდა რევოლუციურ კლუბებსა და პრესას. შემდეგ საფრანგეთში დადგა კონსულობისა და იმპერიის ხანა. ნაპოლეონ ბონაპარტის სამხედრო დიქტატურამ საგრძნობით აღკვეთა თავისუფალი აზრი. აიკრძალა საზოგადოებრივი თავყრილობა და მინიმუმამდე შემცირდა პერიოდულ

[1] БСЭ, მეორე გამოცემა, ტ. 21, გვ. 456.

[2] იქვე.

[3] Д. Стерн, История революции 1848 г., СПБ, 1907 г., ტ. II, გვ. 3.

გამოცემათა რაოდენობა. მაგრამ ფრანგ ხალხში რევოლუციამ გამოიმუშავა მისწრაფება თავისუფალი აზრის გამოთქმისა, რომელიც მან ნაწილობრივ მაინც ნაპოლეონის სამხედრო დიქტატურის დამხობის შემდეგ მოიპოვა.

რესტავრაციის პერიოდში საზოგადოებრივმა აზრმა რომ შედარებით თავისუფლება იგრძნო, ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დაარსდა რამდენიმე პერიოდული გამოცემა, რომელთაც, უდაოდ, ხელი შეუწყვეს 1830 წლის ივლისის რევოლუციის მომზადებას. 1830 წლის ივლისის რევოლუციის შედეგად საფრანგეთში მონარქია ჩამოყალიბდა. ივლისის მონარქიის არსებობის ხანაში ფრანგი ხალხის პოლიტიკური აქტივობა უფრო გაიზარდა: უფრო ორგანიზებული გახდა და სოციალურ ძალთა ჰიდილში დავაჟკაცდა საფრანგეთის პროლეტარიატი. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ლიონის პროლეტარიატმა ორი მთავარი ბრძოლა ჩაატარა (1831 და 1834 წლებში). ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ აგრეთვე პარიზისა და სხვა ცენტრების წარმოების მუშები. წარმოიშვა მრავალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელთაც თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები ჰქონდათ. ივლისის მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა ფორმით წარიმართა: დაარსდა მრავალი ფარული საზოგადოება, გაჩნდნენ სოციალისტური მიმდინარეობანი, ამეტყველდა პრესა, დაიწყო ბრძოლა საარჩევნო რეფორმისათვის, რომელიც აშკარად გამოვლინდა საბანკეტო მოძრაობაში. ოპოზიცია ხმას იმაღლებდა ლუი ფილიპეს მონარქიის წინააღმდეგ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1843 წელს დაარსებული იქნა გაზეთი „რეფორმა“ (La Réforme), რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ორლეანელთა დინასტიის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება.

საფრანგეთში რევოლუციური სიტუაცია დააჩქარა 1847 წლის ეკონომიურმა კრიზისმა. 1848 წლის თებერვალში მომხდარმა რევოლუციამ ივლისის მონარქია დაამხო. თუმცა რევოლუცია პროლეტარიატმა მოახდინა, ძალაუფლება ბურჟუაზიამ აიღო ხელთ და რევოლუციური ძალების შეზღუდვაც დაიწყო. თავის პოლიტიკურ აქტივობას ფრანგი ხალხი უფრო და უფრო ამჟღავნებდა. საკუთარი ორგანიზაციების შექმნის სურვილი გაუჩნდათ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს „Тысячи голосов хотели быть услышанными, тысячи людей бросались каждый вечер на многочисленные собрания различных союзов, в так называемые клубы, ко-

торые можно было встретить всюду"[1]. რათა მოესმინათ მიმდინარე მდგომარეობის შესახებ საკითხები, გამოეთქვათ თავიანთი აზრი და წამოეყენებინათ სათანადო მოთხოვნები. კლუბების ქსელმა დაფარა პარიზი და საფრანგეთი. მარტო პარიზში სამასამდე კლუბი ჩამოყალიბდა. კლუბები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მიზანდასახულებით, წევრთა რიცხვით, საზოგადოებრივ აზრზე გავლენითა და სხვა. ყველა კლუბს აკავშირებდა ცენტრალური ორგანო — კლუბთა კლუბი, ე. ი. კლუბთა კავშირი. საკუთარი ორგანიზაციების შექმნის სურვილმა მოიცვა სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. კლუბები ზოგი პოლიტიკური და ზოგიც პროფესიული ხასიათისა იყო. თავიანთი კლუბები ჰქონდათ მუშებსა და ხელოსნებს, მასწავლებლებს, ექიმებს, ლიტერატურის მუშაკებსა და მსახიობებს, კანტორის მოხელეებს, ნოქრებს, კომერსანტებსა და ბინის დამქირავებლებს. თავისი კლუბი ჰქონდათ აგრეთვე ხელზე მოსამსახურეებსაც. სპეციალური კლუბი შეიქმნა ქალთათვის სახელწოდებით: „ქალთა კლუბი", რომლის თავმჯდომარე იყო ეჟენი ნიბუაიე. დეზირე-გე კი თავმჯდომარეობდა „ქალთა ემანსიპაციის კლუბს". აღნიშნული კლუბები იბრძოდნენ ქალთა როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკური თანასწორუფლებიანობისათვის[2]. საფრანგეთის არც წინა რევოლუციებმა და არც 1848 წლის რევოლუციამ ქალს პოლიტიკური უფლებები არ მიანიჭა. მიუხედავად ამისა, ქალები მაინც დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ. ქალთა კლუბების არსებობა ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდი იყო ქალების მისწრაფება — ისინიც ახალი რევოლუციური ცხოვრების აქტიური მონაწილენი გამხდარიყვნენ. მოწინავე ადამიანები, პრესის მუშაკები, და პოლიტიკურ ბრძოლებში გამობრძმედილი პირები 1848 წლის 25 თებერვალს, რესპუბლიკის გამოცხადების მეორე დღიდანვე, შეუდგნენ სხვადასხვა გაერთიანების ჩამოყალიბებას. გაზეთ Curier français რედაქტორმა კსავიე დიურიემ გაზეთში მოათავსა სტატია, რომლითაც მოუწოდებდა ჭკვიან და თავდადებულ ადამიანებს, შემჭიდროებულიყვნენ ასოციაციაში საერთო მიზნების შესახებ მსჯელობის მიზნით[3]. როგორც ირკვევა, აღნიშნულ სტატიას სათანადო შთაბეჭდილება მოუხდენია. მას

[1] Л. Эритье, История французской революции 1848 г. и Второй республики, СПБ, 1907 г., стр. 264.

[2] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., ტ. I. გვ. 207.

[3] Даниэль Стерн, История революции 1848 г. СПБ, 1907 г., ტ. II, გვ. 5.

სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მრავალი ადამიანი გამოხმაურებია. პარიზში მცხოვრებმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა: ბელგიელებმა, პოლონელებმა, გერმანელებმა, ესპანელებმა და იტალიელებმა ჩამოაყალიბეს საგანგებო კლუბები. ეს კლუბები ცდილობდნენ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკურ მთავრობას ხელი შეეწყო გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის მეზობელ ქვეყნებშიც. „ხალხთა გათავისუფლების კლუბი“ პროპაგანდას აწარმოებდა პოლონელებისა და ბელგიელების განთავისუფლებისათვის.

არსებობდა „სლავი ხალხის ემანსიპაციისათვის შებრძოლი საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე იყო სიპრიენ რობერი — სლავური ლიტერატურის პროფესორი. დასახელებულ კლუბებში უმთავრესად გაერთიანებული იყვნენ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელნი [1].

ინტერნაციონალური კლუბების შექმნას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ხელს უწყობდნენ სხვადასხვა ეროვნებათა მუშების საბრძოლო შეკავშირებას. უცხოელების მიერ დაარსებულ კლუბებს მუდმივ ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან და პარიზში არსებულ სხვა კლუბებთანაც.

„ემიგრანტებმა დაარსეს რა საზოგადოებები და კლუბები“, — წერდა ისტორიკოსი გრეგუარი, — „ამით ისინი მიესალმენ თებერვლის რევოლუციას, როგორც წინამორბედს და სიგნალს სრულიად ევროპის რევოლუციისას“ [2].

კლუბებში თითქმის ყველა მტკივნეულ საკითხზე მსჯელობდნენ: ზოგიერთი კლუბი აწარმოებდა აგიტაციას, რათა რესპუბლიკურ მთავრობას გამოეცა დეკრეტი, რომლითაც საფრანგეთის კოლონიებში უნდა მომსპარიყო მონობა. „ამ საკითხის მოსაგვარებლად დიდ მუშაობას ეწეოდა ბურჟუაზიულ-რადიკალური მიმართულების გამოჩენილი რესპუბლიკელი ვიქტორ შელშერი, რომელსაც „ზანგების მეგობარს“ უწოდებდნენ.

ვიქტორ შელშერისა და მისი თანამოაზრეების ცდამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო: 1848 წლის 27 აპრილს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი საფრანგეთის კოლონიებში მონობის გაუქმების შესახებ. მაგრამ ამ დეკრეტს

---

[1] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., т. I. გვ. 207.

[2] Грегуар Л., История Франции в XIX веке. М., 1896 г., т. III, გვ. 57.

მთლიანად არ მოუსპია ზანგების პოლიტიკური უუფლებობა[1]. ზანგების მდგომარეობა კვლავაც მძიმე რჩებოდა.

1848 წლის მარტის დასაწყისში „თავისუფალ მშრომელთა რესპუბლიკურმა კლუბმა" გამოაქვეყნა მოწოდება, რომლითაც შემდეგნაირად განსაზღვრა ამ ორგანიზაციების როლი და ამოცანები: „კლუბები დემოკრატიის ცოცხალი ბარიკადებია. მატერიალური ბარიკადების დახმარებით 24 თებერვალს დავამხვეთ კონსტიტუციური მონარქიის ძირმომპალი შენობა მისი კორუპციით, პრივილეგიებითა და ბოროტმოქმედებებით ...უნდა ვიქონიოთ იმედი შევქმნით ისეთ დაწესებულებებს, ურომლისოდ რესპუბლიკა ცარიელი სიტყვა იქნებოდა"[2].

კლუბების მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ ახალი სოციალური წესწყობილება დამყარდებოდა კლუბების დახმარებით. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მათ გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ახალი სოციალური წყობილების შექმნასა და აგებაში კლუბები გადამწყვეტ როლს შეასრულებდნენ. მართალია, კლუბები გარკვეულ როლს ასრულებდნენ, მაგრამ გადამწყვეტს კი ვერა. პარიზის კლუბების ორგანიზაციულ სტრუქტურას ვეცნობით „ძმობის კლუბის" მიერ დაწვრილებით შედგენილი წესდებით.

„საზოგადოების ანუ კლუბის სათავეში დგას ცენტრალური კომიტეტი, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და მისი ორი მოადგილისაგან, ორი მდივნისა და ხაზინადარისაგან. ასეთი შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტს გადაირჩევენ ყოველ სამ თვეში. კლუბის ყოველი 10—20 წევრი შეადგენს სექციას, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს. ახალი წევრების მიღება ხდება საერთო კრების მიერ ორი სექციონერის რეკომენდაციით, როდესაც შეამოწმებენ შემომსვლელის მორალურ სახეს და პოლიტიკურ მრწამსს. ახლადმიღებულმა უნდა აღიაროს ორგანიზაციის წესდება და პრინციპები. ეს თითქმის ანალოგიურია იაკობინური კლუბისა. მისაღებ კანდიდატებზე მსჯელობა არა იმ კრებაზეა, რომელზეც წარადგინეს საბუთები, არამედ მეორე კრებაზე, რათა მეტი დრო ჰქონდეთ კანდიდატის შესწავლისა და შემოწმებისათვის. კლუბის წევრები იხდიან ყოველთვიურად საწევრო გადასახადს. სხდომაზე დაუსწრებლობისათვის არასაპატიო მიზეზით კლუბის წევრი იხდის ფულად ჯარიმას, უმიზეზოდ ოთხჯერ დაკ-

[1] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., т. I, გვ. 207—208.

[2] იქვე. გვ. 208.

ლება კი ერთი თვის განმავლობაში იწვევს წევრის კლუბიდან გარიცხვას ცენტრალური კომიტეტის მიერ. კლუბის სხდომა იწყება წინა სხდომის ოქმის კითხვით, შემდეგ მსჯელობენ „ადამიანის და მოქალაქის უფლებებზე", აქვეყნებენ ამონაწერებს „პატრიოტული ბროშურებიდან", მსჯელობენ მთავრობის მოქმედებაზე და ეხებიან სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხს. სხდომის შემდეგ სექციების თავმჯდომარეები აყენებენ კლუბის წევრობის ახალ კანდიდატებს. სხდომაზე გარეშე პირებს არ ისწრებენ. კლუბი უშვებს ბეჭდვით ორგანოს. ცენტრალური კომიტეტი წერილობით კავშირს ამყარებს მეზობელ კლუბებთან (პარიზში, პროვინციაში, საზღვარგარეთ), რომლებიც, თავის მხრივ, ანგარიშს უდგენენ ცენტრალურ კომიტეტს თავიანთ მუშაობაზე" [1].

ყველაზე უფრო გავლენიანი და ფილიალებით ცნობილი იყო „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საზოგადოება". მასში შედიოდა პარიზის მრავალი კლუბი. ამ საზოგადოებას ჰქონდა სექციები პარიზის ყველა ოლქში და თავისი დელეგატების მეშვეობით ამყარებდა კავშირს პროვინციალურ კლუბებთან. საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი მოთავსებული იყო კონსერვატორიის შენობაში და შედგებოდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ხუთი თვალსაჩინო მოღვაწისაგან; „ესენი იყვნენ: ვილენი (ცენტრალური კლუბის თავმჯდომარე), ნაპოლეონ ლებონი, იუბერი, შიპრონი, ბარბესი. საზოგადოებამ მაისის დასაწყისში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც მოცემულია მის მიერ დასახული მიზნები: 1) „1848 წლის თებერვლის რევოლუციის მიერ აღდგენილი საბალხო უფლებების დაცვა, 2) ამ რევოლუციის სოციალური შედეგების გამოყენება". „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საზოგადოება" მხარს უჭერდა „ერთიან და განუყოფელ რესპუბლიკას". ეს ორგანიზაცია წვრილბურჟუაზიული ბუნებისა იყო. მას შესაძლებლად მიაჩნდა პრივილეგიური და ჩაგრული კლასების შერიგება, მაგრამ ეს საზოგადოება არ უარყოფდა იარაღით ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. წევრთა მიღების ინსტრუქცია იუწყებოდა, რომ „საზოგადოება წმინდა სამხედრო ორგანიზაციაა", ამიტომ ავალებდა თავის წევრებს თან ჰქონოდათ იარაღი და ხელმძღვანელების პირველ დაძახებისთანავე საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყვნენ" [2].

---

[1] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., т. I, გვ. 208.

[2] იქვე, გვ. 208—209.

საზოგადოებას ჰყავდა მოქმედების სპეციალური კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა გადამდგარი ოფიცერი ინჟინერი იოახიმ თეოფილე კერსოზი, ფრ. ენგელსის გამოთქმით, „ბარიკადის სარდალი“ [1] (მან თავი ისახელა 1848 წლის ივნისის დღეებში). იგი ხელმძღვანელობდა პარიზში ბარიკადების მშენებლობას; დემოკრატიულ წრეებში სათანადო ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა. იმავე პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგა „რევოლუციის კლუბი“, რომელსაც სათავეში ედგა ბარბესი. „ხალხის კლუბის“ ხელმძღვანელი იყო ალფონს ესკიროსი, ხოლო მის ერთ-ერთ მოადგილედ ითვლებოდა ყოფილი საზღვაო ოფიცერი და თვალსაჩინო რევოლუციონერი პოლ დეფლოტი. სოციალისტური და კომუნისტური კლუბებიდან აღსანიშნავია ფურიეს მიმდევართა კლუბი სახელწოდებით „შრომის ორგანიზაციის ცენტრალური კლუბი“, რომლის თავმჯდომარე იყო ქიულ ლეშევალიე. ისეთსავე საბრძოლო ამოცანებს ისახავდა „ქუჩა ბონის კლუბიც“ [2].

ლაგარდის ხელმძღვანელობით ლუი ბლანის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს „მუშათა კორპორაციების დელეგატთა კლუბი“, რომლის სხდომები იმართებოდა ლუქსემბურგის კომისიის შენობაში. ამ კლუბისა და „მშრომელი სოციალისტების კლუბის“ საპატიო თავმჯდომარე იყო ლუქსემბურგის კომისიის მეთაური წვრილბურჟუაზიული სოციალისტი ლუი ბლანი.

პოლიტიკური და სოციალური რეფორმების პროგრამას, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ადგენდა „ძმობის საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე იყო მუშა მეჩექმე სავარი. „საზოგადოების პროგრამა 25 თებერვალს გამოქვეყნდა. იგი ითვალისწინებდა კვების პროდუქტებზე ბაჟების მოსპობას, გაფიცვების საწინააღმდეგო კანონების გაუქმებას, შრომის უფლების უზრუნველყოფას, ეროვნული სახელოსნოების გახსნას, სახელმწიფო დახმარების დაწესებას მოხუცებზე, ბავშვებსა და ავადმყოფებზე; უფასო სწავლების შემოღებას, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, ასოციაციებისა და კლუბების შეუზღუდველობას, სასამართლო უწყების და ადმინისტრაციული აპარატის გადახალისებას, მოხელეთა პასუხისმგებლობას, მუშების და მუნიციპალურ მრჩეველთა არჩევითობას, სისხლის სამართლის

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, издание второе: т. 5, გვ. 159.

[2] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., т. I, გვ. 209.

კანონმდებლობის გადასინჯვასა და შერბილებას, არმიაში გაწვევისას შენაცვლების გაუქმებას, ეროვნულ გვარდიაში ყველა ჯანმრთელი მოქალაქის ჩარიცხვას, ხანგების მონობის გაუქმებას. საგარეო საქმეთა დარგში აყენებდა ლოზუნგს: „მშვიდობა და ხალხთა ძმობა“ [1].

ცნობილმა რევოლუციონერმა რასპაილმა დააარსა „ხალხის მეგობართა კლუბი“. აღნიშნულ კლუბში უმრავლესობას შეადგენდნენ მუშები. რასპაილის პოპულარობამ მრავალი წევრი და თანამგრძნობი მიიზიდა. შემდეგში რასპაილის კანდიდატურა წამოყენებულ იქნა პრეზიდენტის პოსტზე და მან 36 ათასი ხმა მიიღო, თუმცა ის პრეზიდენტად ვერ გავიდა.

სენტ ონორეს ქუჩაზე იყო ეტიენ კაბეს მიერ დაარსებული კლუბი — „ცენტრალური ძმური საზოგადოება“, რომელსაც თავმჯდომარეობდა თვით ე. კაბე. კლუბის გაზეთი იყო „პოპიულერი“. დასახელებულ კლუბებს გარდა, პარიზის ხალხმრავალ უბნებში ბევრი სხვა კლუბიც დაარსდა. ეროვნული სახელოსნოების დირექტორმა ემილ ტომამ დააარსა კლუბი, რომელშიც თავს იყრიდნენ ამ სახელოსნოებში გაერთიანებული მუშების დელეგატები. კლუბის კრებას ვერ მოიწვევდნენ ეროვნული სახელოსნოების დირექტორის გარეშე.

თავის თანამშრომელთათვის გაზეთმა „National“-მა დააარსა კლუბი, რომლის თავმჯდომარე იყო რეკიური [2].

უკიდურესი მემარცხენე შეხედულებებით ხასიათდებოდნენ კლუბები „არსენალის“ და „Quinze-Vingt“. აღნიშნული კლუბები მეტ წილად პროლეტარებისაგან შედგებოდა, ამიტომ მათ მუშაობას თვალყურს ადევნებდა მთავრობა. პარიზში არსებობდა სტუდენტთა კლუბიც. პანთეონის უბნის სტუდენტები იკრიბებოდნენ სორბონისა და 2 მარტის კლუბებში. სტუდენტთა კლუბებიც, ისე როგორც სხვა კლუბები, მიმდინარე საკითხებს იხილავდნენ.

გაზეთ „რეფორმას“ ერთ-ერთმა დამაარსებელთაგანმა გრანმენილმა ორ მარტს შეაგროვა გაბედული პირები და პოლიციის პრეფექტურის სხვენზე ჩამოაყალიბა: „უფლებათა და მოვალეობათა კლუბი“. რადგან ეს ორ მარტს მოხდა, ამ კლუბს „ორი მარტის კლუბსაც“ უწოდებდნენ. ეს საზოგადოება აგებული იყო

---

[1] Революции 1848—1849 гг., М., 1952 г., т. I, გვ 209—210.

[2] Д. Стерн, История революции 1848 года, СПБ, 1907 г., т. II, გვ. 11—12.

სამხედრო ყაიდაზე; მისი მიზანი იყო დიქტატორული უფლებები გადაეცა ლედრიუ როლენისათვის. შემდეგში აღნიშნული კლუბი შეუერთდა „ადამიანის უფლებათა საზოგადოებას“, რომელიც, ზოგიერთის აზრით, მოითვლიდა 30 ათასამდე წევრს და შიშის ზარს ჰგვრიდა პარიზელებსო,—წერდა დ. სტერნი [1]. რა თქმა უნდა, ამდენი წევრი ამ კლუბს არ ჰყავდა. მარეს მუშათა უბანში არსებულ „ხალხის მეგობართა“ კლუბს სათაოეში ფრ. რასპაილი ედგა. კლუბში სხდომები ყოველ საღამოს იმართებოდა; კამათობდნენ სხვადასხვა საკითხებზე.

დანიელ სტერნი რასპაილს თვლიდა კომუნისტური იდეების წარმომადგენლად [2]. ვერ დავეთანხმებით სტერნს, რადგანაც კარგად არის ცნობილი, რომ ფრ. რასპაილი კომუნისტური იდეების სიმაღლემდე ვერ ავიდა. რასპაილი დაჟინებით მოითხოვდა პოლიციის პრეფექტის კოსიდიერისაგან, რომ მისთვის ეჩვენებინა ძველი პოლიციის იმ პირთა სიები, რომლებიც აბეზღებდნენ ფარულ საზოგადოებათა წევრებს, მაგრამ კოსიდიერმა ამაზე უარით უპასუხა [3].

დროებითი მთავრობის საქმიანობას გაბედულად აკრიტიკებდა „ხალხის მეგობართა კლუბი“ და მისი ხელმძღვანელი ძველი რესპუბლიკელი მეცნიერი ქიმიკოსი რასპაილი, წერდა ლუი ერიტიე [4]. ამ კლუბში კრიტიკულად იხილავდნენ მთავრობის დადგენილებებს.

სორბონის უნივერსიტეტში არსებობდა პროფესორთა კლუბი. ამ კლუბის ერთი სხდომის შესახებ გაზეთი „პარიზის კომუნა“ წერდა: „1848 წ. 16 მარტს, დღის ორ საათზე, სორბონში (პარიზის უნივერსიტეტში) შედგა მეცნიერთა ასოციაციის წევრთა მეორე სხდომა. კრება მრავალრიცხოვანი იყო, ჯილდოების გასაცემი დარბაზი სავსე იყო, მაგრამ გულწრფელ ადამიანებთან ერთად ამ სხდომაზე მლიქვნელებიც იყვნენ ...მლიქვნელურად გამოვიდნენ ისტორიის და ფიზიკის პროფესორები. სიტყვებით გამოვიდნენ მათი მსგავსნიც“... სტატიის ავტორი ასკვნის: „შეიბრალეთ ქვეყანა, ასეთ ღირსებს არ უნდა ვანდოთ ახალგაზრდობის აღზრდა“ [5]. გაზეთი სასტიკად გმობდა ყველა მლიქვნელს, რომელიც ხოტბას

[1] Д. Стерн, История революции 1848 г., СПБ, 1907 г., ტ. II, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 8—9.

[3] იქვე, გვ. 9.

[4] Эритье Луи, История французской революции 1848 г. и второй республики. СПБ, 1907 г., გვ 266.

[5] გაზეთი La Commune de Paris, 1848, 19 mars.

ასხამდა დროებით მთავრობას. ეს მოკლე ამონაწერი ადასტურებს, თუ როგორ მოითხოვებს უყენებდა საზოგადოება რევოლუციის-დროინდელ კლუბებს. 1848 წლის საფრანგეთის თებერვლის რევოლუციის დროს პარიზში ჩამოყალიბდა მობილური გვარდია. მასაც თავისი კლუბი ჰქონდა. თუ რა საკითხებით იყო დაინტერესებული მობილური გვარდიის კლუბი, ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ 1848 წლის 3 აპრილის სხდომის ოქმის ამონაწერი:

„სხდომა გაიხსნა 5 საათზე, დაიხურა 8,45 წუთზე.

პირველი საკითხი ეხებოდა: 1. მსჯელობა ადამიანის უფლებებზე და დევიზზე: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. ეს პრინციპები დაიცვა 34-ე დანაყოფის ათისთავმა მოქალაქე ჰურსტელმა და საფუძვლიანად დაასაბუთა ყველა მუხლი, რაც კრებამ ერთხმად მიიღო.

2. რა იქნებოდა ფრანგ მოქალაქეთა მოვალეობა, თუ ეროვნული კრება საბოლოოდ არ აღკვეთდა დამახინჯებებს და უფლებათა ბოროტად გამოყენებას. კრება ერთხმად პასუხობს: აჯანყება, აჯანყება იქნება ყველაზე გონივრული წმიდათაწმინდა მოვალეობა (თავმჯდომარე ჟიბონი)“ [1]. 1848 წ. კლუბები იბრძოდნენ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, უკიდურეს შემთხვევაში აჯანყებასაც კი მიმართავდნენ.

მუშათა კლუბებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „გობელენების კლუბი“, რომლის თავმჯდომარე იყო თ. დეზამი, „მონტანიარების კლუბი“, „თანასწორობის და ძმობის კლუბი“, „24 თებერვლის ბარიკადების კლუბი“, რომელსაც სათავეში ედგა მუშა-მექანიკოსი ბარტელემი.

სენტ-ანტუანის უბანში მოღვაწეობდა „ანტუანელების კლუბი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გაზეთ „შრომის ორგანიზაციის“ რედაქტორი დელაკოლონი. ხელოსნებმა კორბონმა, პასკალმა, დანგიმ 1845 წელს დააარსეს „პატრიოტული კლუბი“, მაგრამ იგი ცრუ მუშური კლუბი იყო. კორბონი მთელი მონდომებით ცდილობდა მუშათა კლასი ჩამოეცილებინა სოციალისტური იდეებისაგან. სოციალისტური კლუბების წინააღმდეგ იბრძოდა ზოგიერთი კლუბი, მაგალითად „ცენტრალური დემოკრატიული საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარე იყო პოლკოვნიკი გინარი.

---

[1] Rapport de la commission d'enquêt sur l'insurrection qui a éclaté dans la journée de 23 juin et sur les évenements du 15 mai. Paris 1848. ტ. II. გვ. 82.

პოეტმა ოგიუსტ ბარბიემ 1848 წლის აპრილში დააარსა „ახალი რესპუბლიკის კლუბი". ბარბიეს მოადგილე იყო პოლონელი ლიბერალი და ეკონომისტი ვოლოვსკი. ვოლოვსკი სხვა სპეციალისტებთან ერთად ლ. ბლანის მიერ მიწვეული იყო ლუქსემბურგის კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ საზოგადოებებთან და კლუბებთან მჭიდრო კავშირში იყო „უმაღლესი სასწავლებლების ცენტრალური კომიტეტი", რომელიც 1848 წ. მარტში ჩამოაყალიბეს სტუდენტებმა: ბურჟონმა, მანჟენმა და დოზონმა[1].

კლუბებში მსჯელობდნენ ახალი იდეების შესახებ, ვლინდებოდა ხალხთა მასების მისწრაფებები, ამღვივნებდნენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის თვალთმაქცობასაც. კლუბები აძლევდა რევოლუციურ მასას პოლიტიკურ წრთობას. აქ მსჯელობდნენ დროებითი მთავრობის მიერ მიღებულ დეკრეტებსა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლუბები საზოგადოებრივი აზრის სამჭედლოდ გადაიქცა. საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის თანამედროვე გრაფის ქალი დ'აგუ, რომელიც დანიელ სტერნის ფსევდონიმით არის ცნობილი, თავის ნაშრომში ბურჟუაზიული თვალსაზრისით აფასებდა კლუბებს: „კლუბები ძლიერ უწყობდნენ ხელს დამლუპველი აზრის გავრცელებას, რომ თავისუფლების დამყარება შეიძლება დესპოტიზმის გზით და რევოლუციის მტრების ძალდატანებითი დათრგუნვა არის პოლიტიკური სიბრძნის გამოხატულება"[2]. არავითარ შემთხვევაში რევოლუციური კლუბები „დამღუპველი აზრის" გამავრცელებელნი არ იყო. ბურჟუაზიამ რეაქციული კლუბები დაუპირისპირა რევოლუციურ კლუბებს, რომ უკანასკნელთა საქმიანობა შეეფერხებინა.

კრებების ჩასატარებლად კლუბები იყენებდნენ მაღაზიებს, ეკლესიებს, სასკოლო თუ თეატრალურ დარბაზებს. „შესაკრები ადგილების საკითხი კლუბებისათვის ძნელი პრობლემა იყო[3]. — წერს სუსანა ვასერმანი. მთავრობა უკრძალავდა კლუბებს დაწესებულებათა შენობების დაკავებას. „ჩვენ მათ ვერეკებოდით სახელმწიფო შენობებიდანო" — წერს ფ. არაგო[4].

ბურჟუაზიულმა მთავრობამ იმ თავითვე ბევრი კლუბი მეთვალ-

---

[1] Революции 1848—1849 гг., М., 1 52 г., ტ. I, გვ. 210—211.

[2] Д. Стерн, История революции 1848 г., СПБ, 1907 г., ტ. II, გვ. 4

[3] Suzanne Wassermann. Les clubs de Barbes et de Blanqui en 1848. Paris, 1913, გვ. 26.

[4] Революция 1848 года во Франции в воспоминаниях участников и современников. Academia, 1934 г., გვ. 396.

ყურეობის ქვეშ დააყენა, როგორც არასაიმედო და მავნე იდეების მქადაგებელი. უფრო „საშიშ" კლუბებს მთავრობა კრძალავდა. საერთო უშიშროების დივიზიის დანაყოფის უფროსი პანისი კლუბების შესახებ მოხსენებაში ხელისუფლების მიერ აკრძალულ კლუბთა შორის ასახელებს ბლანკის, ბარბესის და ქალთა კლუბებს[1]. იმავე მოხსენებაში „ანარქიის პროპაგანდის კერად" არის ჩათვლილი კლუბები: „ცენტრალური ძმური საზოგადოება" (თავმჯდომარე ე. კაბე) და „პროგრესის კლუბი" (ხელმძღვანელი ჰუბერტი). „სოციალისტ მშრომელთა კლუბი" და „სოციალისტ რესპუბლიკელთა კლუბი", „მასებში ავრცელებენ მცდარ იდეებს და დიდად საშიშ უტოპიასო"[2] — წერს პანისი.

კლუბების საქმიანობის ასეთი დახასიათების შემდეგ ბურჟუაზია არ აყოვნებდა ზომების მიღებას, რათა შეეფერხებინა მათი მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, კლუბები აქტიურად იყო ჩაბმული ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდი როლი შეასრულეს მათ 15 მაისის მანიფესტაციის ჩატარებაში. კლუბებისა და კორპორაციათა წარმომადგენლების კრებას უნდა დაეზუსტებინა მანიფესტაციის მოწყობის საკითხი. მათი შეკრების ინიციატივა „დემოკრატიული ერთიანობის კლუბმა" აიღო. მსჯელობის დროს აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა. ზოგი ნაადრევად თვლიდა დემონსტრაციას, ზოგიც წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. დამფუძნებელი კრების სხდომის დარბაზში შეჭრილმა დემონსტრაციის მეთაურებმა მოითხოვეს, რათა საფრანგეთი დახმარებოდა პოლონელებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში და ხელისუფლების სათავეში მყოფი უღირსი პირები შეეცვალათ ხალხის ინტერესების დამცველებით.

15 მაისის ამბების გამო სამართალში მისცეს მრავალი აქტიური მოღვაწე, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების მეთაურობას აბრალებდნენ. მანიფესტაციის მონაწილეებს სასამართლოს გამომძიებელი რამდენიმე კატეგორიად ჰყოფს. მისი აზრით, ყველაზე უფრო საშიშნი არიან ისინი, რომელთაც სურდათ ეროვნული კრების დაუყონებლივი დამხობა და სოციალური ღონისძიებების გატარება. „შვიდი დეკრეტის ტექსტი, რომელიც უპოვეს

[1] Rapport de la commission d'enquête sur l'insurrection qui a éilaté dans la journée du 23 juin et sur les evenements du 15 mai, Paris, 1848, ტ. II, გვ. 93.

[2] იქვე.

სობრიეს, ითვალისწინებდა ეროვნული კრების გარეკვას და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის შექმნას"[1] — ასკვნის გამომძიებელი.

კლუბების მრავალი წევრი გასაჭირის წინაშე ქედს არ იხრიდა და ცდილობდა მედგრად გადაელახა დაბრკოლებანი, რათა დაწყებული საქმე გამარჯვებამდე მიეყვანა. მოვლენათა მსვლელობამ ნათელყო, რომ ბურჟუაზია აშკარად განუდგა სახალხო მასას და მის წინააღმდეგ მოქმედებდა. 1848 წლის 15 მაისის დემონსტრაციის შემდეგ მთავრობამ რეპრესიები გაატარა რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწეებზე. ამის საპასუხოდ „რევოლუციის კლუბის" წევრებმა ცხრა ივნისის სხდომაზე მიიღეს ადრესი ბარბესისადმი:

„ძმაო, ციხემ მხოლოდ შენი თავი მოგვტაცა. შენი სული კი ჩვენთანაა... არ მოგიწოდებთ სიმამაცისაკენ, რადგან ვიცით, რომ გაჭირვება და შევიწროება შენ გაფოლადებს... უნდა გითხრათ, რომ თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა საფრთხეშია, მხოლოდ ბრძოლით შეიძლება გავიმარჯვოთ იმ წმინდა საქმეში, რომლისთვისაც შენ ეწამე. რეაქცია დღითიდღე იზრდება... რეაქცია, რომლის წინააღმდეგაც სულ რამდენიმე დღის წინათ მიჰყავდი იმ დიდსულოვან მისწრაფებას, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია... რაც არ უნდა მოხდეს, ძმაო ბარბეს, ჩვენ მჯიდროდ დავირაზმებით იმ დროშის გარშემო, რომელიც შენ ისე მამაცურად გეჭირა... ჩვენ ყველა, როგორც ერთი, შენთან ვიქნებით"[2].

კლუბებში დისკუსიები ხშირად მშფოთვარე ხასიათს იღებდა. აყენებდნენ რა მრავალ იდეას და თეორიას, „ამით ხელს უწყობდნენ პოლიტიკური თავისუფლების ცნების პოპულარიზაციას და ადამიანის უფლებათა შეგნების განვითარებას, ამიტომ მთავრობას ძლიერ ეშინოდა მათი"[3] — წერს ს. ვასერმანი. არა მარტო თეორიული მსჯელობისათვის აძლევდნენ სამართალში რევოლუციური კლუბების მესვეურებს, არამედ მათი პოლიტიკური აქტივობისათვის, იმ ბრძოლებისათვის, რომელსაც ეწეოდნენ ისინი ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ.

15 მაისის ამბების შემდეგ კლუბები მაინც აგრძელებდნენ მუ-

---

[1] Rapport de la commission d'enquête sur l'insurrection qui a éclaté dans la journés du 23 juin et sur les évenements du 15 mai, Paris, 1848, ტ. II, გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 94.

[3] Suzanne Wasserman, Les clubs de Barbes et de Blanqui en 1848, Paris, 1913, გვ. 234.

შაობას, „ზოგიერთი მათგანი შეუდგა ტყეიაწამლის ჩამოსხმას“ [1] — წერს რევოლუციის თანამედროვე იპოლიტე კასტილი. ბურჟუაზია ცდილობდა მუშათა ძალების გათიშვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის უმწეო აღმოჩნდა. ივნისის დღეებში ერთსულოვნად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ პარიზის პროლეტარიატი და მასთან ერთად კლუბების მოღვაწენი: ბარტელემი, დეფერი, პარიზის მერვე ოლქის მთავარი ხელმძღვანელი იყო „ანტიანელთა კლუბის“ თავმჯდომარე დელაკოლონჟი. თავდადებულად იბრძოდნენ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა საზოგადოების“ წევრები [2] და სხვა.

უთანაბრო ბრძოლაში პროლეტარიატი დამარცხდა, მაგრამ ივნისის დღეებმა ცხადყო, რომ ის დაეუფლაცდა და დამოუკიდებელ სოციალურ ძალად გადაიქცა. ამის შემდეგ უფრო გააფთრებით შეებრძოლა ბურჟუაზია ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომელთაც რაიმე აკავშირებდათ მუშათა კლასის ბრძოლებთან. აღმასრულებელმა კომისიამ დაიწყო კლუბების დახურვა. პირველ რიგში დახურეს „ცენტრალური რესპუბლიკური საზოგადოება“ და „ხალხის მეგობართა კლუბი“, ხოლო ამის შემდეგ სხვა კლუბებიც [3] —, წერს რევოლუციის თანამედროვე და მონაწილე ლუი მენარი. ბურჟუაზიული სასამართლოს წინაშე ამაყად წარდგნენ 15 მაისის და ივნისის მებრძოლები. ბევრმა მათგანმა უმართებულოდ ჩათვალა სასამართლოს ძიება და უარი განაცხადა პასუხზე [4].

1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამარჯვებულმა რეაქციამ დევნა დაუწყო რევოლუციურ ორგანიზაციებსა და კლუბებს. საგამომძიებლო კომისიამ, რომელიც არკვევდა ივნისის ამბების და 15 მაისის მანიფესტაციის მონაწილეთა „დანაშაულს“, პასუხისგებაში მისცა კლუბების გამოჩენილი მოღვაწენიც. პარიზში არსებული რამდენიმე ასეული კლუბიდან საგამომძიებლო კომისიის მოხსენებაში დასახელებულია მხოლოდ ასორმოცდაშვიდი კლუბი. მოხსენებაში ჩამოთვლილია კლუბების სახელები, მათი თავმჯდომარეები, აგრეთვე სამყოფელის ზუსტი მითითებით, მაგრამ ჩანს, ყველა თავმჯდომარის გვარი ვერ დაუზუსტებიათ. ზოგი კლუბი

[1] Революция 1848 года во Франции в воспоминаниях участников и современников. Academia 1934 г., გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 326.

[3] იქვე, გვ. 236.

[4] Les Grands procès politiques les accusés du 15 mai par Ernest Duquai. Paris, 1869. გვ. 68—69.

ნახსენებია, მაგრამ მისამართი არ არის ნაჩვენები[1]. უნდა ვიფარაუდოთ, რომ ივნისის ამბების შემდეგ კლუბების ხელმძღვანელებიც გაფრთხილდნენ, ან გადამალეს საბუთები, ანდა სულაც მოსპეს.

1848 წლის რევოლუციამ ფრანგი ხალხი ჩააბა ყოველდღიურ მჩქეფარე ცხოვრებაში. ასეული კლუბები და მრავალი პერიოდული გამოცემა, რომელიც რევოლუციის დროს შეიქმნა, ადასტურებს იმ უდიდეს ინტერესს, რასაც ფრანგი ხალხი იჩენდა პოლიტიკური ცხოვრებისადმი. კლუბები ყველა მოვლენას ეხმაურებოდნენ. არაერთგზის მისულა დროებით მთავრობაში მუშათა დელეგაცია (რომლის შემადგენლობაში კლუბების თვალსაჩინო მოღვაწენიც იყვნენ) დამფუძნებელი კრების არჩევნების გადავადებისა და სხვა მოთხოვნებით. გაბედული მოთხოვნები, რომლებსაც კლუბები აყენებდნენ, აფრთხობდა ბურჟუაზიას. დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ მრავალგზის უარყო კლუბების სამართლიან მოთხოვნათა პეტიციები. შემარიგებლის როლში ყოველთვის გამოდიოდა მთავრობის წევრი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი ლუი ბლანი.

ერთი რამ უდავოა, რომ კლუბებში წარმოებული ცხოველი კამათი ამა თუ იმ საპირბოროტო საკითხზე საბრძოლო წრთობას აძლევდა მუშათა კლასს და საერთოდ ხალხთა მასას.

---

[1] Rapport de la commission d'enquéte sur linsurrection qui a eclaté dans la journée de 23 juin et sur les évenements du 15 mai, Paris, 1848, ტ. II, გვ. 99—103.

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ო. გიორგაძე

დავით ყიფიანის შეხედულებანი გრამატიკისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე

დავით ქაიხოსროს-ძე ყიფიანი მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეა. იგი თერგდალეულია. დაიბადა 1835 წელს. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც კანდიდატის ხარისხით ამთავრებს 1861 წელს.

დავ. ყიფიანს პირველად პედაგოგიურ ფრონტზე უხდება მუშაობა. მან თბილისში გახსნა კერძო სასწავლებელი, პანსიონით, სადაც იგი ახალგაზრდობას ზრდიდა ღრმა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ბავშვთა სწავლების კეთილად წარმართვისათვის ხშირად იღებდა ხარჯებს. განათლების დარგში მუშაობით მან მალე მოიხვეჭა კარგი აღმზრდელის საპატიო სახელი.

რამდენიმე ხნის შემდეგ დავით ყიფიანი იძულებული ხდება, თავი დაანებოს მასწავლებლობას. მალე მას მომრიგებელ მოსამართლედ ეხედავთ რაჭაში, სადაც ღარიბთა ინტერესების დამცველად გამოდის. აქედან ამავე სამუშაოზე გადმოდის ქუთაისში, ხოლო 1877 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა ნოტარიუსად თბილისში. გარდაიცვალა 1898 წლის 18 ოქტომბერს თავის სოფ. ქვიშხეთში[1].

დავ. ყიფიანი სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სხვა თერგდალეულებთან ერთად. იგი ერთ-ერთი აქტიური თანამებრძოლი იყო ილ. ჭავჭავაძისა, როცა ეს უკანასკნელი სასტიკ შეტევას აწარმოებდა „მამათა“ ბანაკის წინააღმდეგ. ყიფიანი „საქართველოს მოამბის“ ახლო თანამშრომელია და აქედან ებრძვის

[1] კ. მეძველია. „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები“, ნაწ. I, 1959, გვ. 240.

კონსერვატულ-რეაქციული შეხედულებების მქონე ძველი თაობის წარმომადგენლებს. როცა ილ. ჭავჭავაძემ 1877 წელს „რვერია“ დაარსა, დავ. ყიფიანი მასშიც თანამშრომლობს. აქვს საინტერესო სტატიები ეკონომიკისა და ისტორიის საკითხებზე. ეწევა მთარგმნელობით მუშაობასაც.

განსაკუთრებით იქცევს მაინც ყურადღებას მისი შეხედულებანი გრამატიკისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე.

ცნობილია, რომ „მამათა“ და „შვილთა“ შორის წარმოებული ბრძოლისას ერთ-ერთ მთავარ სადავო საგანს წარმოადგენდა ქართული სამწერლო ენა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

რა პოზიცია ეჭირათ „მამებს“ ამ საკითხში? როცა ისინი ენის საკითხებზე მსჯელობდნენ და ეკამათებოდნენ „შვილებს“, ეყრდნობოდნენ არა ცოცხალ სალაპარაკო ენას და ამ ენის კანონზომიერების გამრკვევ მეცნიერულ გრამატიკას, არამედ გამოდიოდნენ ანტონ კათალიკოსის გრამატიკიდან, რომლისთვისაც უცხო იყო ენის შესწავლა მის განვითარებაში. ისინი ენას არ უდგებოდნენ ისტორიული თვალსაზრისით, განიხილავდნენ სტატიკურ მდგომარეობაში, სწავლობდნენ მას ემპირულად, ყოველგვარი თეორიული დასაბუთების გარეშე. როგორც ცნობილია, ისტორიული თვალსაზრისის გარეშე კი წარმოუდგენელია ენის მეცნიერული შესწავლა.

ი. სტალინი წერს: „ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია“ [1].

არ ცნობდა რა კონსერვატული ბანაკის წარმომადგენელთა უმრავლესობა ასეთ მიმართებას ენასა და საზოგადოებას შორის და ენას განიხილავდა, როგორც უცვლელ კატეგორიას, ძირეული ხასიათის შეცდომებს უშვებდა. ანტონის სქოლასტიკურმა გრამატიკამ და რიტორიკამ ისე დააბრმავა და აუბნია გზა მათ, რომ სრულებით დასცილდნენ ხალხის ენას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს იმათ, ვინც ისტორიულ აუცილებლობად მიიჩნევდა საერთო სალიტერატურო ენად კვლავ ხალხის ენის დამკვიდრებას.

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ 20.

„მამებმა“ გამოაცხადეს: არა ცოცხალი სალაპარაკო ენა, არა მასების ენა სამწერლო ენად, არამედ ხელოვნური, არქაული ენა, „დარბაისელთა“ ენა. ხელოვნური სტილი და ხელოვნური მართლწერა დაუპირისპირეს მათ ი. ჭავჭავაძის ჯგუფის ახალ სალიტერატურო ენას, მათ ახალ შეხედულებებს ენის საკითხებზე. ხელოვნურად დააცილეს სამწერლო ენა საერთო-სახალხო ენას. ამით ენას, როგორც საერთო-სახალხო კუთვნილებას, როგორც საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების ერთ-ერთ ძლავრ იარაღს. გამოაცალეს თავისი ფუნქცია და აქციეს იგი მაღალი სოციალური ფენების საკუთრებად.

ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია, რომელსაც სძულდა დაბალი სოციალური ფენები და მოწყვეტილი იყო მათგან, და მათი იდეოლოგიის გამომხატველი „მამები“ დიდი საფრთხის წინაშე აყენებდნენ სახალხო ენას თავიანთი ცრულინგვისტური შეხედულებებითა და მავნე ლიტერატურული პრაქტიკით. ამიტომ იყო, რომ „ერის წყლულის“ განმკურნებელი ახალი თაობის ყურადღების ცენტრში თავიდანვე დადგა ენის საკითხი და მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ პრობლემის დადებითად გადაჭრის დიდ საქმეში. „მამებთან“ ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენს მწერლობაში საბოლოოდ დამკვიდრდა ახალი სალიტერატურო ენა, რომლის სრულყოფა-გამშვენიერებისათვის შემდეგ თანმიმდევრულად და შეუპოვრად იღწვოდა ახალი თაობა. ამ დიდი ეროვნული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინების საქმეში აქტიური როლი ითამაშა დავ. ყიფიანმა.

დავ. ყიფიანმა 1863 წლის „საქართველოს მოამბის“ მესამე ნომერში გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილი გრამატიკისა და სამწერლო ენის საკითხებზე.

როცა „ცისკრის“ ფურცლებზე მკაცრი პოლემიკა მიმდინარეობდა ენის საკითხებზე, ცნობილმა მოღვაწემ დიმ. ბაქრაძემ თავის წერილებში სავსებით უარყო გრამატიკის როლი ენის შესწავლის საქმეში. ბაქრაძის ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება გრამატიკისადმი ძველი თაობის ზოგიერთმა სხვა წარმომადგენელმაც გაიზიარა. „შვილებმა“ გაილაშქრეს ამ შეხედულების წინააღმდეგ. მათ, აღიარეს რა გრამატიკის უდიდესი მნიშვნელობა ენის შესწავლის დროს, ამოცანად დაისახეს მეცნიერული გრამატიკის შედგენა.

დავ. ყიფიანი წერილში უპირატესად სწორედ ამ სასარგებლო ღონისძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. იგი არ ეთან-

ხმება დავ. ბაქრაძესა და ალ. ორბელიანს იმაში, რომ გრამატიკას თითქოს არავითარი ნაყოფი არ მოჰქონდეს ახალგაზრდობისათვის მშობლიური ენის და, საერთოდ, ენის ღრმად დაუფლების საქმეში. არც ის მიაჩნია სიმართლედ, რომ თითქოს განათლებული ქვეყნების მოწინავე ენათმეცნიერებიც უარყოფდნენ გრამატიკას. დ. ბაქრაძის ასეთ შეხედულებას იგი უწოდებს „ხეტიან აზრს“, რომელსაც არ თვლის ყურადღების ღირსად.

დავ. ყიფიანის აზრით, „გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებაა“. და თუ ეს კანონები ენისა არ ვიცით, თუ იგი გრამატიკის საშუალებით არ იქნა შესწავლილი, მაშინ დიდად დასახიჩრდება ენა. მას სწამს, რომ ენის ჰეშმარიტი კანონების შემკრებ გრამატიკას ისეთივე სარგებლობა მოაქვს, როგორც სწავლა-განათლებას. გრამატიკა, მისი აზრით, „ჭკუას განავრცელებს, გონებას განამახვილებს და ყოველ იმათ სახსარს მოქმედებას გაუადვილებს“. იმათ მისამართით, ვინც ამ დებულების საწინააღმდეგოდ იტყვის, ყველაფერი ეს სწორი და კარგია, მაგრამ ამით თვით ენას არაფერი არ შეემატება, არავითარი სარგებლობა არ მიეცემა, რადგანაც ადამიანს შეუძლია უგრამატიკოდაც მშვენივრად ილაპარაკოს და წეროსო, ყიფიანი აღნიშნავს: ერთი შეხედვით ეს შეიძლება მართლაც ასე მოგვეჩვენოს, მაგრამ, თუ ოდნავ ჩავუკვირდებით ამ მდგომარეობას, დავინახავთ, მიზეზი იმისა, რომ ესა თუ ის პიროვნება კარგად მეტყველებს და წერს, არის მხოლოდ ის, რომ მან ღრმად იცის ის ლიტერატურა, ის მისდევს იმ ლიტერატურის ენას და ეჩვევა მას, რომელი ლიტერატურაც კარგად შემუშავებულ და დამდგარ ენას იყენებს. მთელ საზოგადოებაში შეიძლება ნაწილი მისდევდეს მწერლობის ენას, მის გრამატიკულ კანონებს ითვისებდეს, იმას ეგუებოდეს, რის შემდეგაც აღარც კი შეუძლია სხვა გრამატიკული ფორმები, ენის სხვა კანონები იხმაროსო.

როგორც ვხედავთ, დავ. ყიფიანი ენის შესწავლა-დაუფლების საქმეში გრამატიკასთან ერთად უდიდეს როლს ანიჭებს მწერლობას. ბუნებრივი იქნებოდა, აქ მის წინაშე დასმულიყო კითხვა, აქვს თუ არა 60-იან წლებში ქართველ ხალხს ისეთი ლიტერატურა, რომელიც ამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში გამოადგებოდა ჩვენს ხალხს, ახალგაზრდობას, ჩვენს ინტელიგენციას. მართლაც, იგი აყენებს ასეთ კითხვას და პასუხსაც თვითონვე იძლევა: „ჩვენ სადა გვაქვს ჯერ ლიტერატურა?! რამდენი ხანია საქართველოში ცისკრობას გვიფხაკუნებენ, მაგრამ სად არის ჯერ

ცისკარი? ჯერა ჩვენი რაღაცა quasi — ლიტერატურა ისევე შუაღამის სიბნელეშია...“

საყურადღებოა, რომ დავ. ყიფიანი არა მარტო მწერლობის უდიდეს ზეგავლენასა და როლს ცნობს ენის გაფურჩქვნა-გამშვენიერებაში, არამედ ამ უკანასკნელსაც (ენას) განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში. უერთმანეთოდ მას ვერ წარმოუდგენია მწერლობა და ენა. ამიტომ არის, რომ ის მიშს გამოთქვამს, ვაი თუ სამწერლო ენა ისევ ჭრელი და უფერული დარჩეს, როგორც დღეს არის. მაშინ ხომ ყოველად შეუძლებელია ქართული ლიტერატურა დაწინაურდეს, სერიოზული წარმატებები მოიპოვოსო.

დავ. ყიფიანის გაგებით, ჯერჯერობით არ არსებობს არც ნამდვილი ქართული ლიტერატურა და არც ერთიანი სალიტერატურო ენა. ენის ფორმები არეულია. იგი იშვიათად ხედავს ისეთ მოკალმეს, რომელმაც საფუძვლიანად იცოდეს თავისი ენა, რომელიც უგრამატიკოდაც წესიერად წერდეს და მეტყველებდეს მშობლიურ ენაზე. ამიტომ ურჩევს საზოგადოებრიობას და ყველა ქართველ მოღვაწეს, თავი ანებონ შეუწყნარებელ საქციელს — დედაენის კიცხვას და ერთმანეთს ხელი შეაშველონ მშობლიური ენის დაცვისა და მისი გამდიდრების საქმეში, რითაც ლიტერატურაც დადგება სწორ გზაზე და შეასრულებს თავის ამოცანას ერის წინაშე. „ლიტერატურა, — წერს დავ. ყიფიანი, — არის ხალხის სიცოცხლე და იმ ხალხსა, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, იმ ხალხსა მეთქი ხალხობა არ ეთქმის“.

ვის გულისხმობს ყიფიანი ხალხში? რა როლი ენიჭება ერთიან სალიტერატურო ენას ამ ხალხის ცხოვრებაში?

დავ. ყიფიანს კაცი „კერძობით პირად აყვანილი, გაცალკევებული“ უძლურ, სუსტ არსებად მიაჩნია. ამიტომ არის, რომ ადამიანი თავს არიდებს ხალხისგან განდგომას, ხალხში ტრიალებს, თავის მსგავს არსებას უდგას გვერდში და უკავშირდება მას აზრით, სიტყვით. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გაჭირვებასა და დალხინებას. ასეთ კავშირს ადამიანებისას ის უწოდებს საზოგადოებას. ამ კავშირის ერთ-ერთ უპირველეს ფაქტორად, საშუალებად მიიჩნევს ენას, რომლითაც ადამიანები „თავიანთ გრძნობას, საჭიროებას, სიყვარულსა, ურთიერთ სასარგებლოსა და სანეტარო აზრებსა“ უზიარებდნენ ერთმანეთს. „ამ საზოგადოებას, — აღნიშნავს ყიფიანი, — რომელიც არს შეკავშირებული ერთისა და საზოგადოს

ენითა და რომელსაცა ამისი ღონისძიებით საზოგადო ცხოვრების მიდგენილება ერთ კვალზე აქვს დაყენებული. ერთი სიტყვით. საზოგადოებას, რომელიც თავის ცხოვრებაში საზოგადოობას გამოიჩენს. ჰქვიან ხალხი".

ყიფიანს განსაკუთრებით აინტერესებს ქართველების ერთიანობის საკითხი, რომელიც, მისი აზრით, მე-19 საუკუნის უმთავრეს მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამ საქმეში იგი ვერ ხედავს ყველაფერს რიგზე და წინადადებას იძლევა, ხალხის მთლიანობის მისაღწევად გამოყენებულ იქნას ყოველგვარი ღონისძიება. მისი გაგებით, „ამ საუნჯის (ერთობის, ო. გ.) განმომცხადებელი, შემამტკიცებელი და შეღრყეველად დამფუძნებელი ჭრის ერთობა ენისა".

ამრიგად, დავ. ყიფიანი ხალხის ცნებაში გულისხმობს ადამიანთა კრებას, საზოგადოებას, კოლექტივს, რომელიც ცხოვრებაში მოქმედების უმთავრეს ამოცანას სახავს სახალხო კეთილდღეობისათვის ზრუნვას, საერთო საქმისათვის შეკავშირებულ ბრძოლას. აი ამ ხალხის, ამ საზოგადოების სიცოცხლეს, მისი წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ლიტერატურა. თვით ლიტერატურის წარმატება და სიმდიდრე კი დიდად არის დამოკიდებული ენაზე, მის ერთობაზე. საერთო-სახალხო ენის გარეშე შეუძლებელია მწერლობა ჩადგეს ხალხის სამსახურში და გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მძლავრი ბერკეტი.

საზოგადოების ერთიანობა, ხალხის ერთობა ყიფიანს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების ძირითად პირობად მიაჩნია. მისი ღრმა რწმენით, ასეთი ერთობა განსაკუთრებით ესაჭიროება ქართველ ხალხს. და ამ საქმეში, როგორც ითქვა, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ერთიან სახალხო ენას. არ არსებობს ერთობა ენისა, შეუძლებელია არსებობდეს ერთობა ხალხისა, — დაასკვნის ის. მას სჯერა, თუ ქართველი შექმნის ერთიან სამწერლო ენას, თუ ჩვენი ხალხი შეძლებს მტკიცე გაერთიანებას, მაშინ მოსახერხებელი იქნება გარეგანი ძალადობის წინააღმდეგ გალაშქრება და მიღწევა იმისა, „რომ ჩვენი წარმატების ბუნებით გზაზე. რომელზე გავლასაც გვიშლიან, კვლავ დავადგეთ".

შემდეგ დავ. ყიფიანი ასეთ კითხვას სვამს: გვაქვს თუ არა ქართველებს ამჟამად ერთიანი სამწერლო ენა? პასუხობს: „ქართველობა ერთი დამუშავებული სალიტერატურო ენისა და იმ ძალის (ერთობის, ო. გ.) ქონებაზე, რომელიც ზემო ვახსენე, ჯერ შორს არის. მართლაცა და ჩვენი საზოგადოება როგორ ქართულ ენას მოითხოვს? ვინ იცის!". იგი გულმტკივნეულად ლაპარაკობს იმის

შესახებ, რომ არავინ იცის, ვის ვისი ენა მოსწონს, ვინ როგორ ლაპარაკობს.

300.

ენითა და რომელსაცა ამისი ღონისძიებით საზოგადო ცხოვრების მიდენილება ერთ კვალზე აქვს დაყენებული, ერთი სიტყვით, საზოგადოებას, რომელიც თავის ცხოვრებაში საზოგადოობას გამოიჩენს, ჰქვიან ხალხი".

ყიფიანს განსაკუთრებით აინტერესებს ქართველების ერთიანობის საკითხი, რომელიც, მისი აზრით, მე-19 საუკუნის უმთავრეს მოთხოვნილებას წარმოადგენს. ამ საქმეში იგი ვერ ხედავს ყველაფერს რიგზე და წინადადებას იძლევა, ხალხის მთლიანობის მისაღწევად გამოყენებულ იქნას ყოველგვარი ღონისძიება. მისი გაგებით, „ამ საუნჯის (ერთობის, ო. გ.) განმომცხადებელი, შემამტკიცებელი და შეურყეველად დამფუძნებელი ჰარის ერთობა ენისა".

ამრიგად, დავ. ყიფიანი ხალხის ცნებაში გულისხმობს ადამიანთა კრებას, საზოგადოებას, კოლექტივს, რომელიც ცხოვრებაში მოქმედების უმთავრეს ამოცანას სახავს სახალხო კეთილდღეობისათვის ზრუნვას, საერთო საქმისათვის შეკავშირებულ ბრძოლას. აი ამ ხალხის, ამ საზოგადოების სიცოცხლეს, მისი წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ლიტერატურა. თვით ლიტერატურის წარმატება და სიმდიდრე კი დიდად არის დამოკიდებული ენაზე, მის ერთობაზე. საერთო-სახალხო ენის გარეშე შეუძლებელია მწერლობა ჩადგეს ხალხის სამსახურში და გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მძლავრი ბერკეტი.

საზოგადოების ერთიანობა, ხალხის ერთობა ყიფიანს ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების ძირითად პირობად მიაჩნია. მისი ღრმა რწმენით, ასეთი ერთობა განსაკუთრებით ესაჭიროება ქართველ ხალხს. და ამ საქმეში, როგორც ითქვა, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ერთიან სახალხო ენას. არ არსებობს ერთობა ენისა, შეუძლებელია არსებობდეს ერთობა ხალხისა, — დაასკვნის ის. მას სჯერა, თუ ქართველი შექმნის ერთიან სამწერლო ენას, თუ ჩვენი ხალხი შეძლებს მტკიცე გაერთიანებას, მაშინ მოსახერხებელი იქნება გარეგანი ძალადობის წინააღმდეგ გალაშქრება და მიღწევა იმისა, „რომ ჩვენი წარმატების ბუნებით გზაზე, რომელზე გავლასაც გვიშლიან, კვლავ დავადგეთ".

შემდეგ დავ. ყიფიანი ასეთ კითხვას სვამს: გვაქვს თუ არა ქართველებს ამჟამად ერთიანი სამწერლო ენა? პასუხობს: „ქართველობა ერთი დამუშავებული სალიტერატურო ენისა და იმ ძალის (ერთობის, ო. გ.) ქონებაზე, რომელიც ზემო ვახსენე, ჯერ შორს არის. მართლაცა და ჩვენი საზოგადოება როგორ ქართულ ენას მოითხოვს? ვინ იცის!". იგი გულმტკივნეულად ლაპარაკობს იმის

შესახებ. რომ არავინ იცის, ვის ვისი ენა მოსწონს, ვინ როგორ ლაპარაკობს.

თავის წერილში ყიფიანმა მკაცრად დაგმო ენის აჭრელებისა და სხვადასხვაგვარად წერის მანკიერი პრაქტიკა. გარდა ამისა, მან დაურიდებლად ამხილა არქაისტების დამღუპველი მისწრაფებანი ძველი მწიგნობრული ენის კლავ შენარჩუნებისაკენ. როცა ამ კუთხით უტევს იგი რეაქციონერებს, უაღრესად საყურადღებო შეხედულებებს ავითარებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ ადგილს მისი წერილიდან

„— ვინც ამბობს, რომა ისე უნდა ვილაპარაკოთ და ვჰსწეროთ, როგორი ენაც ჩვენ ძველებურ წარჩინებულ წიგნებში არისო, თუნდაც რომ ეს ენა რითიმე უკეთესი იყოს, იმათა თავში ორი აზრი შეიძლება ჰქონდეთ: იმ ენის გასაზოგადობა, რომელზედაც თვითონა ჰსწერენ ან უნდა ადვილად მიაჩნდეთ, ან არა და ქართველი ხალხისაგან გაცალკავება უნდა ჰსურდეთ, ისე რომ ენის არისტოკრატია შეარდგინონ. ამ ორივე აზრის სიმრუდე და იმათი ასრულების შეუძლებლობა ცხადია. ძველებური ენა ის ენა არ არის, რომელზედაც ეხლა ხალხი ლაპარაკობს, სულ სხვა ენა არის; თუ სხვა ენაა, სწავლა უნდა. ჯერა ხალხისათვის იმის საკუთარ ენაზე მარტო წერისა და კითხვის სწავლას ვერ ვახერხებთ, სხვა ენა როგორღა ვასწავლოთ? — შესაძლებელიც რომ იყოს, რათ გავიჭიროთ საქმე, რისთვის? ქართველობას ახლანდელი ენა არ უვარგა, თუ ძველებურ ენას ისეთი ღირსება აქვს რამე, რომელიც ახლანდელ ენას არ მიეთვისება? ყური მიუგდეთ, სწორეთ ერთნაირადა ლაპარაკობენ. ლაპარაკში ერთისა და იმავე გრამატიკულ ფორმებს ახმარებენ როგორც გლეხები, ისე თავად-აზნაური. მაშა ადამე განსხვავება ვისშია? მაშ ვის ესიამოვნება ძველებური ენის ხმარება?".

დავ. ყიფიანმა სავსებით სწორი დასკვნა გააკეთა, როდესაც რეაქციონერთა მიერ ძველი ენის გაცოცხლების სურვილში დაინახა ძლიერი მისწრაფება დაბალი ხალხისაგან დაშორებისა და ე. წ. „არისტოკრატიული ენის" შექმნისა. ჩვენ, მაღალ წოდებას. სხვა რა გვაქს საერთო გლეხკაცობასთან, რომ ენა გვქონდეს — ასეთია არისტოკრატიული წრეების თვალსაზრისი, რასაც ამჩნევს „საქართველოს მოამბე" და მკაცრად ილაშქრებს ამ მავნე შეხედულების წინააღმდეგ ასეთი მიდგომა ენისადმი გარკვეულ კლასობრივ მიზნებს ემსახურებოდა, რაც სწრაფად დაინახა ახალმა თაობამ, გამოამხეურა იგი და უარყო, როგორც ანტიმეცნიერული, ანტიხალხური და ცრუპატრიოტული შეხედულება.

მკაცრად გაკიცხა რა ყიფიანმა ისინი, ვინც ქართულ ენას განგებ, ხელოვნურად იყენებდა როგორც წერის, ასევე მეტყველების დროს, იქვე გაილაშქრა „მამების“ თეორიულ შეხედულებათა წინააღმდეგ და დაგმო ისინი. სხვა საკითხთა შორის, მან წინა პლანზე მაინც წამოსწია ქართული ენის სხვადასხვაგვარად დაყოფის ყალბი პრინციპი, რომელიც ძველი მწიგნობრული ენის კვლავ არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნდა. ის აცხადებს, რომ ზოგიერთი ქართულს ჰყოფს ორად: მაღალ და მდაბალ ენად. ალ. ორბელიანი კი სამად ჰყოფსო: „საღმრთო წერილად“, ანუ „საეკლესიოდ“, „მდაბიურად“, ანუ „დარბაისელთ უბნობად“ და „გლეხ-კაცების ენად“, რაც დ. ბაქრაძეს მაც გაიზიარაო. მისი აზრით, ენის ასეთნაირად დაყოფა უაზრობაა, მას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ამ გაუგებრობას მანამ არ მოეღება ბოლო, სანამ არ გაერკვევიან მასში და არ მისწვდებიან იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველაფერი ქვეყანაზე და მათ შორის ენაც „იცვლება, წარმატებაში შედის; და ამ წარმატებასა და ცვლილებასა თავისი ბუნებითი კანონი აქვსთ, რომლის წინააღმდეგობაც ყოველთვის ფუჭია“. ყიფიანის ღრმა რწმენით, „ერთი და იგივე აზრი მარტო ერთნაირად შეიძლება გამოცხადდეს, თუ მტკიცეთა და სწორეთ მინდა გამოცხადდეს. ამაზე ცხადი რომ არა იქნება რა!“.

ვინც სალიტერატურო ენასა და სალაპარაკო ენას შორის განსხვავებას ხედავს, ყიფიანი მათ საწინააღმდეგოდ აცხადებს: „ვლაპარაკობ თუ ვწერ, ერთსა და იმავე აზრს გამოვაცხადებ... რადგანაცა ჩვენცა და მდაბალი ხალხიც ერთსა და იმავე ენით ვლაპარაკობთ. მაშასადამე, სალიტერატურო ენაში და სახალხო ენაშიც განსხვავება არ იქნება რა, რაც კი გრამატიკას შეეხება. განსხვავება შეიძლება იყოს მარტო ზოგიერთ სიტყვაში, რომელთ აღსნითაც მთელი ფრაზის აზრი აღიხსნება, და მაშინ სახალხოდ, საზოგადოდ გასაგები შეიქმნება“.

რომელი ენა უნდა იყოს სამწერლო ენად დაკანონებული? დავ. ყიფიანის აზრით, ლიტერატურის ენა უნდა იყოს ის, რომელსაც „მდაბიურს“ უწოდებენ. მას არა მარტო ლაპარაკი სურს ამ ენაზე, არამედ წერაც. შესაძლებელია, მწერალმა ზოგჯერ გამოიყენოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ხალხისთვის ძნელი გასაგები იყოს, მაგრამ, მისი აზრით, უნდა „განიმარტოს ის სიტყვები სახალხო, საზოგადოდ გასაგების ენითა“. ის გრძნობს, რომ ახალი სიტყვები ბევრი შემოვა მწერლობაში, რადგანაც „აზრის გამოსათქმელად ბევრი სიტყვები გვაკლია“-ო.

დავ. ყიფიანი კატეგორიულად აცხადებს: „ლიტერატურის ენას უნდა ჰქონდეს დაარსებული კანონები, რომლებიც არიან განმასაზოგადოებლები ენისა. ლიტერატურის ენად უნდა შესდგეს მდაბიური ხალხის ენა, ჩვენ იმისი დაკანონება გვსურს, ამ ენის გრამატიკის დამუშავებასა ვშველით".

გარდა იმისა, რომ აქ სწორად არის მითითებული, თუ სამწერლო ენის შემუშავება რა პრინციპით უნდა მოხდეს, საყურადღებოა ისიც, თუ „საქართველოს მოამბე" რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრამატიკას და რატომ ისწრაფვის, რაც შეიძლება, მალე შეადგინოს იგი. როგორი უნდა იყოს ეს გრამატიკა?

დავ. ყიფიანი მოკლე მიმოხილვას უკეთებს ანტონ კათალიკოსის, გაიოზის, ს. დოდაშვილის, პლ. იოსელიანის, მ. ბროსეს და დავ. ჩუბინაშვილის გრამატიკებს. ამათ შორის უპირატესობას ჩუბინიშვილის გრამატიკას აძლევს, რადგანაც, მისი გაგებით, „ეს პირველია და ჯერ უკანასკნელი, რომელიც ჰეშმარიტი კანონების ამოპოვებაზე არის დამკვიდრებული, უფრო ცოცხალი ენის კანონების ამოპოვებაზე, თუმცა მაინც ეს ცოცხალი ენა ძველ ენასთან არის ისე გადარეული, რომ ცოცხალი ენის ბედისა აღარა გაგეგება რა არც ჩვენა და არც თვითონ უფ. ჩუბინოვსა". საერთოდ კი იგი ყველა დასახელებულ გრამატიკას იწუნებს, რადგანაც ისინი ზედმეტ-ნაკლებად ცოდავენ ცოცხალი სალაპარაკო ენის წინაშეო. მისი აზრით, „გრამატიკა თუ გვინდა — ძველ ენას თავი უნდა მივანებოთ და ახალი ენიდამ უნდა ამოვიპოვოთ კანონები. ძველ ენას უნდა მივსცეთ გრამატიკისათვის ისტორიული მნიშვნელობა. არც ერთი ჩვენი გრამატიკა არ არის საკმაყოფილო სწორეთ იმ მიზეზითა, რომა ახლისა და ძველი ენის გარჩევა არც ერთში არ იგრძნობა".

როდესაც ყიფიანი გრამატიკის შედგენის პრინციპებს ეხება, აღნიშნავს, რომ ანგარიშს გაუწევს საღვთო წერილის ენას, „ევეხისტყაოსნისას', ძველ მწერლობასა და არსებულ გრამატიკებს, მაგრამ „ხალხის ენას არ მოვშორდებით. ენის ერთობა იქნება ჩვენი გულის წადილიო", — დასძენს მტკიცედ. მისი შეხედულებით, „გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთიანობა უნდა იყოს ცოცხალი ხალხის ენა".

საინტერესო აზრს გამოთქვამს დავ. ყიფიანი გრამატიკის საგნის შესახებ. იგი წერს: „გრამატიკის საქმე არის თითონ სიტყვები კი არა, იმათი ფორმები, იმათი სხვა და სხვა ცვლილებაები და იმათი დაწყობილებაები".

რა სარგებლობის მოტანა შეუძლია რიგიანი გრამატიკის შექმნას? გრამატიკა, ეყრდნობა რა ცოცხალ ენას, აღმოაჩენს ამ ენის საზოგადო კანონებს, ნათელყოფს იმას, რაც მის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ეს კი აადვილებს ენის შესწავლას და ნიადაგს აცლის იმ ცრუ შეხედულებას, რომლის გამო ხელი ეშლება ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნას, ერთიანი ეროვნული ენის ჩამოყალიბებას. კარგად შედგენილი გრამატიკა არღვევს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობს სიტყვათა ხმარებაში, იგი დაადგენს ყველაზე სწორ ფორმას, გამოიძიებს ამ ფორმათა კანონებს, რაც, ყიფიანის აზრით, „შეადგენენ იმ საძირკველთა, რომელზედაც უნდა აეგოს ერთობა ენის ხმარებაში". მეცნიერული გრამატიკა არა მარტო „ჩვენს ენაში ენა — ღრმა მეტყველებისაგან შემოტანილი" უკუღმართობის გასწორებაში შეგვიწყობს ხელს, არამედ აღკვეთს იმ სიჭრელესაც, რასაც ხშირად იწვევს სხვადასხვა დიალექტური ფორმების ხმარება ჩვენს მწერლობაშიო, — აცხადებს ყიფიანი. იგი გაფრთხილებას იძლევა, რომ ქართულ გრამატიკაში საქართველოს არც ერთი მხარის გაცალკევება არ უნდა ჩავიდეს ქართული ენის საზოგადო კანონათა".

ასეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს „შვილებმა" გრამატიკას საერთო-სახალხო ენის შექმნისათვის, ერთიანი სამწერლო ენის აღდგენისა და განმტკიცებისათვის წარმოებული ბრძოლის პერიოდში.

წერილში დავ. ყიფიანი საინტერესო აზრებს გამოთქვამს ქართული ასოების შესახებ. მსგავსად ილ. ჭავჭავაძისა, ჳ, ჷ, ჯ, ჲ, ჭ, ჴ, ჯ, ჭ-ის ხმარება არც მას მიაჩნია მიზანშეწონილად, რასაც მტკიცედ ასაბუთებს.

ასეთი პოზიცია ეჭირა დავ. ყიფიანს მაშინ, როდესაც ჩვენს მწერლობაში მკაცრი ბრძოლა მიმდინარეობდა ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, საერთო-სახალხო ენის შექმნისა და მისი მოვლა-პატრონობისათვის.

ჩვენი აზრით, უაღრესად საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს დავ. ყიფიანის ამ მოწინავე შეხედულებებს თერგდალეულთა ნააზრევში ენის საკითხებზე, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში არ უპოვია ჯეროვანი ასახვა.

ალ. ჭულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ვ. სირბილაძე

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის მოტივები

(ა. ნ. ლეონტიევის სკოლის მიხედვით)

სწავლა-აღზრდის საქმისათვის ბავშვის ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანის სოციალური ბუნება და ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი ქცევაში ფორმირდება. სასკოლო სწავლებისათვის ბავშვის მომზადება მოითხოვს რიგი თვისებების აღზრდას, რისთვისაც საჭიროა ვიცოდეთ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის განვითარების ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი. ქცევის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მ ო ტ ი ვ ს. ადამიანის სპეციფიკური ბუნება კი ყველაზე მეტად იჩენს თავს მოტივაციის პროცესში. როგორი მოტივებითაც მოდის ბავშვი სკოლაში, ისეთივე იქნება მისი ქცევა, სანამ მას ახალი მოტივები გამოუმუშავდება. სწავლა-აღზრდის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, რა მოტივები გააჩნია სასკოლო ასაკის ბავშვს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის მოტივების კვლევას აწარმოებდნენ 1945—46 წლებში ა. ნ. ლეონტიევის საერთო ხელმძღვანელობით ლ. ს. სლავინა, ნ. გ. მოროზოვა, ზ. მ. ისტომინა, ზ. ვ. მანუილენკო, ა. ვ. ზაპრიჟეცი, ი. ზ. ნეეროვიჩი და ტ. ო. გინევსკაია. საბჭოურ ფსიქოლოგიაში ეს ავტორები ითვლებიან სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის მოტივების ყველაზე უფრო ავტორიტეტულ მკვლევარებად.

ამ ავტორების შრომები მიძღვნილია სასკოლო სწავლებისათვის ბავშვის ფსიქოლოგიური მზადყოფნის შესწავლისადმი. მათ გამოკვლევებს ურთიერთთან აკავშირებს ნებისმიერობის (произвольность) განვითარების პრობლემისადმი საერთო მიდგომა. მათი აზრით, ის ზოგადი ფსიქოლოგიური მოთხოვნები, რასაც სასკოლო სწავლება უყენებს ბავშვს, იმაში მდგომარეობს, რომ მას შეეძლოს თავისი მოქმედების შინაგანი და გარეგანი პროცესების შეგნებული

და მიზანდასახული მართვა. ასე მაგალითად, სწავლების პირველი დღეებიდანვე ბავშვს უნდა შეეძლოს აქტიური დახსომება და აქტიური რეპროდუქცია იმისა, რაც საჭიროა მოცემულ მომენტში. ასევე მას უნდა შეეძლოს მართოს თავისი აღქმა, ყურადღება და მოძრაობანი. ყველა ეს ფსიქოლოგიური თვისება წარმოადგენს არა „ბავშვის ასაკის ფუნქციებს", არამედ აღზრდის შედეგს. საჭიროა ვიცოდეთ, როგორ ყალიბდება და რომელი მოტივების ზეგავლენით ვითარდება ასეთი თვისებები.

ლ. ს. სლავინას აზრით, მოტივი არის ის, რაც სუბიექტს აღძრავს ქცევისათვის: „Характер протекания любой деятельности ребенка, стоит в непосредственной зависимости от того, чем эта деятельность побуждается, т. е. от её мотивов" [1]. მისი აზრით სასწავლო მოღვაწეობის მოტივები იცვლება მთელი სასკოლო ასაკის პერიოდში როგორც შინაარსის, ისე მისი როლის მიხედვით. არის მოტივები, რომლებიც თუმცა ადრე შეიცნობიან, მაგრამ თვითონ დამოუკიდებლად ვერ აღძრავენ ბავშვს სამოქმედოდ. შემდეგ ხდება „მხოლოდ ნაცნობი" მოტივების „რეალურად მოქმედ" მოტივებად გადაქცევა თვით მოღვაწეობის განვითარების საფუძველზე, მისი შედეგის მიხედვით. წარმოდგენა ორი სახის მოტივის შესახებ იწვევს საკითხს: რა არის „მხოლოდ ნაცნობი" მოტივი როგორ კონკრეტულ დამოკიდებულებაში უნდა იმყოფებოდეს ეს ნაცნობი მოტივი. მოღვაწეობის შედეგთან, რომ ამ უკანასკნელმა ის რეალურად მოქმედ" მოტივად გადააქციოს? ეს საკითხი გახდა საფუძველი სლავინას აქ დასახელებული გამოკვლევისა. მიუხედავად ამისა ავტორის მიერ უშუალო კვლევის საგნად აღებული იყო არა „учебная деятельность школьника, а игровая деятельность дошкольника". ასეთი არჩევანი ავტორის იმ აზრმა განაპირობა, რომ ბავშვის მოტივები და მათი ურთიერთობა უფრო ნათლად ჩანს თამაშში.

დასმული საკითხის გადასაჭრელად სლავინა მიმართავს სპეციალურად ორგანიზებულ საყოფაცხოვრებო თამაშზე დაკვირვების მონაცემების ანალიზს, რომლის საფუძველზე ავტორი ცდილობს უჩვენოს უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თამაშის მოტივაციის თავისებური აგებულება. ამ დაკვირვების მონაცემებიდან ჩანს, რომ ბავშვის თამაში განსაზღვრულ გარდამავალ ეტაპზე შეიძლება

[1] Л. С. Славина, „О развитии мотивов игровой деятельности в дошкольном возрасте", Известия АПН РСФСР, т. 14, стр. 11, 1948.

ხორციელდებოდეს ორ სამოტივაციო პლანში. ამასთან ორივე პლანის მოტივი ურთიერთთან იმყოფება გარკვეულ დამოკიდებულებაში, რაც გამოიხატება იმ წინააღმდეგობაში, რომელიც დამახასიათებელია ბავშვის თამაშისათვის მისი განვითარების ამ საფეხურზე. „რეალურად მოქმედი“ მოტივი კი, სლავინას აზრით, ამ წინააღმდეგობაშია. მეორე მხრით, ამ მოქმედებას თავისთავად არ შეუძლია ბავშვის დაკმაყოფილება, მაგრამ უმცროსი სკოლისწინარე ასაკში ბავშვის თამაშში არსებობს მეორე მოტივაციური პლანიც — მოტივების პლანი, რომელიც სხვა შემთხვევაში ნაჩვენები იყო, როგორც „ნაცნობი“ (=წარმოსახვითი სიტუაცია და როლი). ეს მოტივები მოლვაწეობას აძლევს მეტ აზრსა და შინაარსს, თუმცა ქცევას ფაქტიურად არ აღძრავს. განვითარების შემდეგ კი ეს მოტივები იწყებს ბავშვის თამაშის შინაარსის განსაზღვრასაც.

ამგვარად, ავტორი ვარაუდობს, რომ სკოლისწინარე ასაკის თამაშის განვითარებაში დაწყებითი საფეხურიდან გადასვლა უფრო მაღალზე მოითხოვს ამ მეორე მოტივაციური პლანის არსებობას, ე. ი. ისეთი მოტივების არსებობას, რომლებიც ადრე აზრს აძლევენ თამაშის შინაარსს და შემდეგ კი თამაშის თვით შინაარსის განვითარების საფუძველზე ხდებიან უშუალოდ მისი აღმძვრელი. სლავინას ამ გამომკვლევის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1) ავტორის მიერ მოპოვებული ექსპერიმენტული მასალის ინტერპრეტაცია არაა დამაჯერებელი. იგი ეწყარება მოტივის ცნების არასწორ გაგებას. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია მოტივის ცნების გაგება, რომლის მიხედვით იმპულსური ქცევის მოტივს გრძნობა წარმოადგენს, ხოლო „ნებისმიერი ქცევის მოტივია ნივთიერ და სულიერ ღირებულებათა შექმნის, დაცვის და შენახვის საჭიროება“ [1]. ამასთან მოტივი ფსიქოლოგიური ხასიათის ცნებაა. მას ფსიქიკური შინაარსი აქვს“ [2]. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ მცდარია სლავინას მიერ მოტივისათვის ქცევის აღმძვრელის ფუნქციის მიწერა, რადგან მოტივს არ შესწევს იმის ძალა, რომ ადამიანი სამოქმედოდ აღძრას; იგი ცნობიერების მოვლენაა, ცნობიერების მოვლენას კი თვითონ თავისთავად არ შეუძლია რაიმე მიზეზობრივი მოქმედება შეაპირობოს. ქცევის მეცნიერული ანალიზი ადასტურებს, რომ ქცევის უშუალო მიზეზს განწყობა

[1] შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1958, გვ. 317.

[2] იქვე, გვ. 63.

წარმოადგენს, ხოლო ქცევის აღმძვრელი ანუ წამყვანი ფაქტორი იმპულსური ქცევის შემთხვევაში მოთხოვნილებაა და ნებისმიერი ქცევის დროს — ნებისყოფა. სლავინას ასე არ ესმის ქცევის სტრუქტურა და ამიტომაა, რომ ის მოტივს მიაწერს მოთხოვნილების (თუ ნებისყოფის) ფუნქციას და აღიარებს, რომ მოტივი არის ქცევის წარმმართველი, აღმძვრელი ძალა. ჩვენთვის გაუგებარია, სლავინა რა ფუნქციას მიაწერდა მოთხოვნილებას (ან ნებისყოფას), რაკი აქ დასახელებულ შრომაში ამ საკითხზე არაფერს ამბობს. მოთხოვნილების (ან ნებისყოფის) ფუნქცია მისი მსჯელობის ლოგიკური განვითარების შემდეგ ანულირებული ხდება.

2) ავტორი ლაპარაკობს მოტივების ცვალებადობის შესახებ, რომ მოტივები იცვლებიან როგორც შინაარსის, ისე როლის მიხედვით[1]. დ. უზნაძის აზრით, მოტივთა ბრძოლა არ არსებობს, რადგან მოტივი იმდენივეა, რამდენიც ქცევა: ყოველ ქცევას თავისი მოტივი აქვს. იგი დასძენს: მოტივი „იმ როლს ასრულებს, რომ იგი ერთს ქცევას მეორით ცვლის — ნაკლებ მისაღებს უფრო მისაღებით — და, ამგვარად, გარკვეული მოქმედების შესაძლებლობას ქმნის. იგი ისეთნაირად ცვლის ქცევას, რომ იგი სუბიექტისათვის მისაღები ხდება“[2]. ნებისმიერი ქცევის მოტივის ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ იგი ნებისყოფის სუბიექტისაგან გარკვეული ქცევის განხორციელებას მოითხოვს. არსებითად ასეევე ითქმის ქცევის სხვა ფორმების მოტივების შესახებაც: მოტივი არ აღძრავს ქცევას; იგი სუბიექტისაგან მოითხოვს გარკვეული ქცევის აქტებს. მაგრამ ქცევის განხორციელების მოთხოვნა არ ნიშნავს ქცევის აქტების მიზეზობრივ შეპირობებას. ამისათვის საჭიროა მოთხოვნილება ან ნებისყოფა.

მაშასადამე, მოტივის ფუნქცია სუბიექტისაგან გარკვეული ქცევის განხორციელების მოთხოვნაა. თუ მოტივის ეს ფუნქცია შეიცვლება, მაშინ მოტივი კი არ შეიცვლება (გარდაქმნის აზრით), არამედ ეს შინაარსი — მოტივი დაკარგავს თავის მნიშვნელობას და სხვა შინაარსი გამოვა მოტივის როლში. ამდენად მოტივის ფუნქციის ცვალებადობის შესახებ ლაპარაკი მიუღებელი ჩანს. რადგან მოტივი მხოლოდ მაშინაა მოტივი, როცა იგი ფუნქციობს: სუბიექტისაგან მოითხოვს ქცევის განხორციელებას. შეიძლება

---

[1] Л. С. Славина, О развитии мотивов игровой деятельности в дошкольном возрасте, Известия АПН РСФСР, გვ. 11.

[2] დ. უზნაძე, „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940, გვ. 170.

ერთმა მოტივმა შეცვალოს მეორე, მაგრამ ამით ქცევაც შეიცვლება.

თუ ვილაპარაკებთ მოტივის შინაარსის ცვალებადობაზე განვითარების თვალსაზრისით, მაშინ უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოტივი ვითარდება — ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ მოტივს მეორე უფრო რთული და მაღალი ღირებულების ქცევის მოტივი ცვლის. ჩნდება ახალი, თეორიული თვალსაზრისით უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი ქცევის მოტივები.

3) ავტორი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ცდილობს დაასაბუთოს ბავშვის ქცევაში ორგვარი მოტივის (სამოტივაციო პლანის) არსებობა. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ერთ ქცევას მხოლოდ ერთი მოტივი აქვს. არ შეიძლება ერთ ქცევას ორი ან რამდენიმე მოტივი ჰქონდეს ისევე, როგორც არ არსებობს მოტივთა ბრძოლა (ერთი ქცევის შიგნით).

დავუშვათ, რომ სლავინას მიერ მოცემული მოტივის ცნება სწორია. ამ შემთხვევაშიაც კი ლოგიკური აუცილებლობა უფლებას არ გვაძლევს ვილაპარაკოთ ერთი და იმავე ქცევის ორი სახის („ნაცნობი" და „რეალურად მოქმედი") მოტივის შესახებ, რადგან ავტორის მიერ დაშვებულია, რომ მოტივი არის ის, რაც ქცევას აღძრავს, ე. ი. იგი რეალურად მოქმედია. თუ ამ დებულებას ძალაში დავტოვებთ, მაშინ დაუშვებელია სხვაგვარი შინაარსის მოტივად გამოცხადება.

ჩვენ ვფიქრობთ, იქ, სადაც სლავინა ერთი ქცევის ორ მოტივზე ლაპარაკობს, ნაწდვილად საქმე გვაქვს ორბუნებიან ქცევასთან, ისეთ ქცევასთან, რომელიც ორი წყაროთი და ორი მოტივითაა შეპირობებული. მაგრამ პრაქტიკულად ქცევის ერთი და იგივე აქტებით ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად, ერთდროულად ერთი და იმავე მოქმედებით მიმდინარე, ორ სულ სხვადასხვა ბუნების (იმპულსურ და ნებისმიერ) ქცევასთან გვაქვს საქმე.

4) ყოველივე ამის შემდეგ იბადება კითხვა: რასთან გვაქვს საქმე იქ, სადაც ავტორი ლაპარაკობს თამაშის ორი სახის მოტივებზე? ავტორი თამაშის ანალიზით ცდილობს უჩვენოს ორი სახის მოტივის არსებობა და მათი ურთიერთობის საფუძველზე გვიჩვენოს მოტივის განვითარება, მაგრამ მას მხედველობიდან რჩება, რომ თამაშთან ერთად, სწორედ ამ ასაკში, ქცევის ის ფორმა ვითარდება, რომელსაც უზნაძე „საქმეს" უწოდებს და აგრეთვე განვითარებას იწყებს ნებისმიერი ქცევა. ამდენად ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ

არა მარტო ქცევის ერთი სახის (თამაშის) კონკრეტული ქცევის ორი („მხოლოდ ნაცნობი" და „რეალურად მოქმედი") მოტივის შესახებ, არამედ იმის შესახებ, თუ თამაშთან ერთად როგორ ისახება ქცევის სხვა ფორმები და მათი შესატყვისი მოტივები. ამ ფონზე უნდა ვუჩვენოთ მოტივების ცვლა თუ განვითარება. „მომავალი განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქცევის ამ ახალ პირობებში ნებელობის მტკიცე საფუძვლები მზადდება, და მისი გამოვლენის ნიშნები იჩენს თავს" [1]. როგორც ჩანს, 2—3 წლის ბავშვის ცხოვრებაში ისეთი მოვლენები, როგორიცაა: თხრობა, საუბარი, დაკვირვება, ჰვრეტა, ილუზიის თამაში, საქმიანობა, კონსტრუქტული თამაში, ერთიმეორის გაგრძელებას კი არ წარმოადგენენ. ან დასრულებულის სახით ერთბაშად კი არ ჩნდებიან, არამედ (დაახლოებით) ურთიერთის გვერდით თანდათანობით პარალელურად ვითარდებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამათ წინ უსწრებს ფიზიკური თამაში, რომელიც ძირითადად ემსახურება „ფიზიკური სხეულის გაწვრთნას, გაძლიერებასა და განმტკიცებას, რაც მოტორიკის განვითარების სახით იჩენს თავს" [2]. უზნაძის მიხედვით, ეს ფუნქციონალურ თამაშს წარმოადგენს და იგი პირველ წელში შესრულებული ფუნქციონალური წვრთნის გაგრძელებაა.

მაგრამ ეს პერიოდი არ განისაზღვრება მარტო ასეთი სახის ქცევით. უკვე მეორე წლის ასაკში ბავშვი ასრულებს გარკვეული სახის დავალებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ბავშვი იძულებულია შეასრულოს არა გარკვეულ მოძრაობათა რიგი, მოძრაობა მოძრაობისათვის, არამედ მას, ასე ვთქვათ, სრულიად გარკვეული მიზნის შესრულება, რაღაცის გაკეთება ევალება. „ეს რაღაც ის ობიექტური აზრია, რომელიც მოძრაობათა კომპლექსს ნამდვილ საქმედ ან ნამდვილ მოქმედებად აქცევს" [3]. რა თქმა უნდა, იმ მოძრაობების დროს, რომელსაც საქმე ვუწოდეთ, მიზნის არსებობა იგრძნობა და ამიტომ იგი შრომას წააგავს. მაგრამ შრომის დროს მიზანი რაიმე პროდუქტის შექმნაა, ხოლო საქმე ასეთს არ ითვალისწინებს. „ფუნქციონალური მოძრაობა, საქმე და შრომა — აი, სამი თანმიმდევარი ეტაპი ბავშვის, როგორც შემოქმედი სუბიექ-

[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 190.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 154.

ტის განვითარებისა“ [1]. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვის ცხოვრებაში საქმიანობის ჩასახვის მომენტში ყველა ფუნქცია მომწიფებულია, მაშასადამე, ფუნქციონალური ტენდენცია და მისი შესატყვისი აქტიობანი არ არის მოსპობილი. შრომის ჩვევები განვითარებას იწყებს თამაშისა და საქმიანობის საფუძველზე, მათ გვერდით და მათთან ერთად, სწორედ ამიტომ თამაშის მოტივების გაბთვალისწინების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეს გარემოება.

5. ავტორი თამაშის განვითარებას ხედავს იმაში, რომ თამაშის განვითარებაში დაწყებითი საფეხურიდან გადასვლა უფრო მაღალზე მოითხოვს მეორე მოტივაციური პლანის — წარმოსახვითი სიტუაციისა და როლის არსებობას, უმცროსი ასაკის ბავშვის თამაშში არსებობს ორი მოტივი: ერთი აქტიურად მოქმედია, მეორე მის გვერდით უფრო მაღალი, უფრო რთული მოტივია. რომელსაც განვითარების ამ საფეხურზე, არ შეუძლია ქცევის აღძვრა, მაგრამ იგი ქმნის ფსიქოლოგიურად აუცილებელ ფონს, რომლის აღკვეთა იწვევს თვით თამაშის აღკვეთას, ე. ი, ეს ისეთი მოტივია, რომლის არსებობა ამ ასაკის ბავშვის თამაშისათვის აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა ქცევის აქტუალიზაციისათვის. ხოლო შემდეგ, უფროს ასაკში ეს, სხვა შემთხვევაში „მხოლოდ ნაცნობად“ აღიარებული მოტივი, „გარდაიქმნება „რეალურად მოქმედ“ მოტივად, ე. ი. ის აღძრავს ქცევას და პირველ შემთხვევაში „რეალურად მოქმედი“ — მოტივი ისპობა. როგორც დავინახეთ, ჯერ ნაცნობად წოდებული, ხოლო განვითარების შემდეგ (როგორც ავტორის მსჯელობიდან გამოდის) „რეალურად მოქმედი“ მოტივი არის წარმოსახვითი სიტუაცია და როლი, ე. ი. ცნობიერების ფაქტი. გამოდის, რომ ცნობიერების ფაქტი აღძრავს ქცევის აქტებს, რაც ჩვენ ზემოთ უკვე შეუძლებლათ მივიჩნიეთ.

6. ამის შემდეგ ჩვენთვის საინტერესოდ რჩება საკითხი, როგორ ავხსნათ სლავინას ექსპერიმენტებით მოპოვებული ის ფაქტი, რომ წარმოსახვითი სიტუაციის მოსპობა იწვევს ქცევის (თამაშის) მოსპობას?

წარმოსახვითი სიტუაციის მოსპობა იმიტომ კი არ იწვევს თამაშის მოსპობას, რომ წარმოსახვითი სიტუაცია („მხოლოდ ნაცნობი“ მოტივი) წარმოადგენს ისეთ მოტივს, რომლის არსებობა ქცევისათვის არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელია, არამედ თამა-

[1] დ. ელკონინი, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 154.

შის ასეთი ფორმა ამ ასაკის ბავშვისათვის „პირველ რიგში... წარმოსახვის აქტივაციაა და ამიტომ ავითარებს წარმოსახვას, რაც ბავშვს უშუალო მოცემულობის ტყვეობიდან განთავისუფლებაში ეხმარება“ [1].

ნ. გ. მოროზოვა მოტივის წარმოშობასა და განვითარებას ხედავს არა თვით მოღვაწეობაში, არამედ ბავშვის მიერ ინსტრუქციული მეტყველების გაგებაში. ბავშვს ინსტრუქციას აძლევენ სიტყვიერი დავალების შემდეგ. იგი პირველად ამჟღავნებს დავალებისადმი ფორმალური მიდგომის მსგავს დამოკიდებულებას. პირველ რიგში ბავშვები იღებენ იმას, რაც უნდა გაკეთდეს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ დამოკიდებულება ნაჩვენები ინსტრუქციისადმი. „Мотив к слушанию и усвойванию соответствующей инструкции рождается лишь в действий. Только само действие наталкиваясь на трудности, побуждает к проникновению в речь взрослого с этой новой стороны... Иначе говоря рождается мотив постичь в самой речи взрослого способ действия. это меняет отношение к заданию, меняет его смисл для ребенка“ [2].

როცა მოღვაწეობის განვითარების პროცესში ბავშვი დადგება ახსნის აღქმის [3] აუცილებლობის წინაშე, მაშინ მასში წარმოიშობა ამ ვითარების შესატყვისი მოტივი. ეს უკანასკნელი პირველად ნახტომის სახით გვეძლევა, ხოლო შემდეგ თანდათან ვითარდება და სიტყვიერი დავალებისადმი ახალი დამოკიდებულება მყარდება.

ამგვარად, ავტორის აზრით, ახსნის მოტივი წარმოიშობა მოქმედებაში მაშინ, როცა რაიმე დაბრკოლების გამო მოქმედება ფერხდება. დაბრკოლება აჩენს ამ ქცევის შეფერხების მიზეზის საგანგებოდ გაცნობიერების საჭიროებას, რასაც სუბიექტი მიჰყავს მიზნის მიღწევის საშუალების ძიებამდე (მოცემულ შემთხვევაში ასეთ საშუალებას ინსტრუქცია წარმოადგენს). ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა ახლა ახალ ქცევას უნდა მიმართოს, რადგან იგი წინა ქცევამ ვერ მიიყვანა მიზნამდე. ბავშვი იძულებულია, მიიღოს ის ქცევა, რომელსაც ინსტრუქცია ითვალისწინებს. მან ახლა დაინახა მიზნის მიღწევის საშუალების გაცნობიერების საჭიროება. ჩვენი გაგებით,

---

[1] ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია. 1950, გვ. 430.

[2] Развитие отношения детей дошкольного возраста к словесному заданию, Известия АПН РСФСР, 1948, стр. 42.

[3] „Мотив к восприятию объяснения возникает в самом процессе деятельности“ (იქვე, გვ. 41).

ეს უკანასკნელი არის მოტივი. ახლა საჭიროა გარკვეული მოქმედების — ინსტრუქციის (მიზნის მიღწევის საშუალების) გაგება (=ახალი დამოკიდებულება ინსტრუქციისადმი). მაგრამ რა აღრძავს ბავშვს ამისათვის?

ამ ავტორების მიერ გაგებული მოტივის ცნების თანახმად თვით მოტივმა უნდა აღძრას ბავშვი ამისათვის. მაგრამ ეს ასე არ შეიძლება მოხდეს. რადგან საჭიროების ცნობიერება ხომ ცნობიერების ფაქტია და ამ უკანასკნელს კი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, არ შეუძლია რაიმე მოვლენის მიზეზობრივი შეპირობება. მოტივმა აქ ის როლი შეასრულა, რომ გარკვეული მოქმედება მისაღები გახადა, მაგრამ ქცევის გარკვეული ფორმის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი განხორციელდეს. სუბიექტი რომ აღიძრას ქცევისათვის, საჭიროა ძალა, ასეთ ძალას ნებისყოფა ან მოთხოვნილება წარმოადგენს.

ზ. ნ. ისტომინა შრომაში: „Развитие произвольной памяти в дошкольном возрасте“ [1], მოტივის ცნების შესახებ ძირითადად ისეთივე აზრისაა, როგორისაც არიან ზემოთ დასახელებული ავტორები: მოტივი აღძრავს სუბიექტს სამოქმედოდ; მოტივი მოღვაწეობაში ყალიბდება. მაგრამ მათგან განსხვავებით ისტომინა არ ამბობს, რომ მოტივი არის ობიექტური სინამდვილე და არც იმას ამბობს, თუ სახელდობრ, რა არის მოტივი, მაგრამ მისი მსჯელობიდან გამოდის, რომ მოტივი არის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა, თუმცა იგი ამ ტერმინს (მოთხოვნილება) არ ხმარობს. ისტომინას მსჯელობის ლოგიკური განვითარება გვიჩვენებს, რომ საქმის ის ვითარება, რომელიც მას მოტივად მიაჩნია, სპეციალურ ლიტერატურაში მოთხოვნილების სახელწოდებითაა ცნობილი: „Поступая в школу, ребенок должен быть внутренне готовым к тому, чтобы занять новую для него самостоятельную позицию, принять на себя новый тип обязанностей, а для этого о н д о л ж е н прежде всего х о т е т ь у ч и т ь с я, т. е. у него д о л ж н ы б ы т ь в о с п и т а н ы о б щ и е м о т и в ы у ч е н и я“ [2] (ხაზი ჩვენია — პ. ს.), ე. ი. გინდრდეს რამე, ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილება გქონდეს მასზე.

ამგვარად, არიან ავტორები, რომლებიც ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორად მოთხოვნილებას მიიჩნევენ. ნაწილი ფსიქოლოგებისა

[1] Известия АПН РСФСР, 1948, 14, გვ. 54.

[2] იქვე.

სუბიექტის აღმძვრელის ფუნქციას მოთხოვნილების საგანს მიაწერს, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ის ფაქტიური ვითარება, რაც მოთხოვნილების საგანში იგულისხმება, თვითონ მოთხოვნილებაა. ჩვენი აზრით, ქცევისათვის მოთხოვნილებასა და მოთხოვნილების საგანთან ერთად მნიშვნელობა აქვს ცნობიერების ფაქტს — ღირებულებას, რასაც ჩვენ მოტივს ვუწოდებთ.

ღირებულება, როგორც მოტივი, შეიძლება ორ ფორმაში არსებობდეს. ღირებულების არსებობის სუბიექტური ფორმა გრძნობის სახით განიცდება, ხოლო ობიექტური აზრის ფორმაში გვეძლევა. ღირებულების, როგორც მოტივის, არსებობის ეს ორივე ფორმა ფსიქიკურია და ორივე ასახვაა, მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ გრძნობა ასახვის სუბიექტური ფორმაა: იგი სუბიექტის მდგომარეობას ასახავს და ეს ასახვა მისაწვდომია მხოლოდ განმცდელი სუბიექტისათვის. ღირებულების არსებობის მეორე ფორმა ლოგიკურია, იგი აზრის ფორმაშია ასახული და ამიტომ იგი სხვისთვისაც მისაწვდომი ხდება.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

К. КИЛАСОНИЯ

КРИТИКА САМОДЕРЖАВНОЙ РОССИИ В ТВОРЧЕСТВЕ А. И. ПОЛЕЖАЕВА*

Восстание декабристов, направленное против царизма потерпело поражение; несмотря на это, уничтожить как само движение, так и идею движения не удалось. Напротив, смертная казнь вождей, ссылка декабристов, реакционный режим и угнетение еще больше усилили ненависть к деспотизму и крепостничеству, как среди бывших декабристов, так и вообще среди передовых людей того времени.

К числу передовых людей эпохи принадлежит А. И. Полежаев. Его литературное наследство является одним из ярких доказательств того, что после подавления декабристского восстания передовая русская мысль, загнанная и замученная продолжала гореть, скрываясь до поры до времени. Несмотря на страшную реакцию, А. И. Полежаев продолжает борьбу против самодержавия и его служителей. В своих стихах и поэмах поэт смело критикует самодержавие и его правителей, включая Николая I. Именно, в произведениях, написанных в годы реакции, резко звучат мотивы политического характера. Можно сказать, что в каждом стихотворении и в каждой поэме Полежаева в явной или скрытой форме проведена идея осуждения самодержавно-крепостнической России[1].

Крепостное право поэт считает позорным пятном человечества и всеми силами борется против него. Все его творчество является протестом против политического устройства России. Полежаевская критика самодержавной России затрагивает почти

* В работе в основном показывается принцип полежаевской критики самодержавия.

[1] Назовем такое безобидное, на первый взгляд, в политическом отношении стихотворение, как „Кремлевский сад".

все области общественных явлений. Точнее, объектом критики поэт берет учреждения самодержавной России и служителей этих учреждений.

Поэт противопоставляет друг другу самодержавие и вольность. Самодержавие противопоставляется свободе, как уничтожающая сила, как ее ярый враг. Именно, как враги противопоставлены свободе чиновники крепостнической России, и сам каронованный чиновник Николай I. В произведениях Полежаева критикуются не личные недостатки царских чиновников и самого царя; они представлены как олицетворение самодержавной России и осуждены как злейшие, непримиримые враги свободы.

Одним из объектов критики Полежаева является Николай I, лучший выразитель желаний и воли царизма. Полежаев, не стесняясь, рисует бессмысленный, необузданный произвол Николая I; его пренебрежение и презрение к родному народу. Полежаев прямо говорит, что Николай I безжалостен, что он, как волк, душит и уничтожает людей миллионами. Поэт обращается к „особе русского царя" гневными вопросами

Поймешь ли ты, что твой народ
Есть пышный сад, а ты — Ленотр,
Что должен ты его беречь,
И ветви свежие не сечь...
Поймешь ли ты, что царский долг
Есть не душить, как лютый волк,
По алчной прихоти своей
Мильоны страждущих людей...[1]

В жестокости Николая I поэт видит не личную черту характера; говоря о ней, Полежаев характеризует вообще правящие круги, господствующие сословия, самодержавную Россию. Это еще с большей ясностью видно в стихотворении „Еще нечто". Стихотворение направлено не столько против личности царя, сколько против системы самодержавия. Николай I представлен как ее олицетворение. Все его черты одновременно являются чертами самодержавной России, хотя поэт и лично царя наделяет такими унизительными эпитетами, как „блинник сальный", „кривоногий штабс-солдат", с „черным сердцем подлеца" и др.

[1] А. Полежаев, Сочинения, М., 1955, стр. 77.

В данном стихотворении отчетливо противопоставлены самодержавная Россия со своим правителем, как воплощение всего косного, темного, грубого и понятие свободы. Поэт уверен в наличие непримиримой борьбы двух сил. С одной стороны — самодержавная Россия со всеми своими темными силами, и с другой — свободолюбивые силы. Темные силы подавляют свободу, хотят стереть с лица земли все ее призраки, свободолюбивые — ненавидят самодержавие, готовы сразиться с ним. Поэтом косвенно поставлен вопрос: кто победит, темные силы во главе с Николаем I, или свобода. На этот вопрос Полежаев решительно отвечает, что будущее принадлежит свободе. Свобода в данный момент притеснена „под спудом на минуту", тогда как Николай I, олицетворение самодержавия – „в болоте навсегда". Притеснение свободы также временное, как господство самодержавного режима, ненавистного царя. Как уже отметили, поэт уверен, что будущее принадлежит свободе, что деспоту не удастся стереть „имя вольного певца".

Девизом Полежаева, говоря его же словами, является мысль, что „...свободный человек свободно должен кончить век"... Итак, поэт предстает перед нами, как проповедник идеи свободы. Идею свободы проповедует он во всех областях жизни. Человек в любой жизненной сфере должен чувствовать себя свободным. „Свобода в мыслях и поступках" — естественное желание и состояние человека. Именно, это глубоко человеческое стремление („жажда вольности строптивой") является одной из основных черт характера Саши. Знаменательно выражение „свобода в мыслях и поступках". Оно ясно показывает, что поэт требует свободу не только в мыслях, или не только в поступках, взятых отдельно в жизни, а именно вместе, свободу в мыслях, и поступках одновременно. В противном случае она не может быть подлинной, полной.

Тут же должны отметить, что о свободе в области мысли и поступков своеобразное представление было у романтиков. И чтобы точнее определить взгляды Полежаева относительно данного вопроса, должны кратко остановиться и на романтиках. Это тем более важно, что Полежаев вышел на литературное поприще в период борьбы литературных направлений, в период отмирания романтизма и оформления реализма. Некоторые исследователи так и считают Полежаева романтиком.

Известно, что вопрос свободы, в частности свободы личности, был одним из основных вопросов для романтиков. Круто повернув в сторону субъективизма, романтизм выдвигает проблему личности, как одну из основных. Проблема выдвигается в аспекте индивидуализма. С точки зрения романтического индивидуализма в центре всего стоит личность. Для этой индивидуализированной личности нет никаких установленных норм. Чем независимее личность, тем лучше он может проявить свое „я". Именно, на основе максимального проявления индивидуализма, противостоят романтики обществу, народу. Правда у революционных романтиков проблема народа разрешается положительно, но все это постольку, поскольку они сближаются с реализмом, или непосредственно проявляют реалистические тенденции. Но по убеждению романтиков, окружающая действительность мешает развитию личности, действительность ограничивает личность; поэтому, и только поэтому, личности необходима свобода, свобода без всяких норм.

Полежаев совершенно иначе ставит вопрос свободы личности. Он не противопоставляет свободу личности свободе народа, а в последней находит и свободу личности. Вопрос свободы личности непосредственно связан с вопросом свободы русского народа. Поэтому „свобода в мыслях и поступках" вовсе не дана в узко-личном понимании. Этот вопрос поставлен поэтом в аспекте связи личности с обществом.

Проблема свободы личности поставлена с точки зрения освобождения человеческой мысли и поступков от самодержавно-крепостнических уз. Свобода человеческой мысли и действия понята в смысле улучшения положения русского народа, в смысле признания его прав. В этом видит поэт спасение России. Так существенно отличается полежаевское понимание свободы личности от романтического. Существенно отличается полежаевское понимание свободы личности и от такого понимания, которое на основе индивидуальной свободы оберегает только собственную свободу.

Поскольку Полежаев идею свободы человеческой мысли и поведения связывает с тем, как она подавлена в самодержавно-крепостнических условиях, постольку проблема свободы ставится не как самоцель, а в плане гражданско-политической борьбы.

Поэт уверен в том, что крепостнические отношения сковывают человеческую мысль, мешают ее развитию. Самодержавие является врагом свободы: оно отнимает у большей части людей право свободной жизни, действия. Угнетение же вызывает отсталость, одичалость и, чувствуя острую боль за страдания родного народа, Полежаев спрашивает:

Но ты, козлиными брадами
Лишь пресловутая земля,
Умы гнетущая цепями,
Отчизна глупая моя!
Когда тебе настанет время
Очнуться в дикости своей,
Когда ты свергнешь с себя бремя
Своих презренных палачей?[1]

В приведенных строках звучит не только мечта о том времени, когда родная страна свергнет „бремя своих презренных палачей", но и воинствующий протест против цепей, наложенных на русский народ самодержавием.

В таком явно политического характера стихотворении, как „Четыре нации", на почве различия общественных формаций, прекрасно представлено различие в понимании свободы. Названное стихотворение отчетливо говорит о том, что Полежаев имел достаточно определенное представление об истории развития человечества. Он прекрасно понимает какой общественный строй прогрессивнее, точнее, феодальный или капиталистический, и с каким из них больше связана свобода.

Характеризуя Англию, Полежаев высказывает уверенность в том, что английский парламентаризм более прогрессивен, нежели самодержавный крепостнический строй. Правда, поэт в этом уверен, но в то же время знает, что и там имеет место неравенство; что демократизм и свобода Англии не являются подлинным демократизмом и свободой. Известно, что как везде, так и в Англии, буржуазную цивилизацию сопровождали бесплатные придатки буржуазной культуры: идея демократизма, индивидуальной свободы. Но этот демократизм, эта свобода подразумевались для некоторых, но не для всех. Полежаев прекрасно понимал все это, замечая, что английский демократизм дает право „гордиться свободой" только лорду.

[1] А. Полежаев, Сочинения, М., 1955, стр. 192.

Однако в России нет и такого ограниченного демократизма. В стихотворении отчетливо говорится, что существуют две России: Россия крепостников и Россия многочисленного трудового народа. Неограниченный произвол царя с кнутом и полное бесправие народа, его униженное, запуганное, замученное лицо — вот, что так смело нарисовано поэтом в четвертой части стихотворения.

В России чтут
Царя и кнут,
. . . . . .
А без побои
Вся Русь хоть вой —
И упадет
И пропадет![1]

Бесспорно, что эти горькие слова продиктованы глубочайшей болью за свой народ, терпеливо переносивший страдания, неумевший восстать против тирана и смести его. Следует помнить, что стихотворение „Четыре нации" было написано в Рузаевке, где поэт непосредственно столкнулся с нищетой, непосильно трудившегося крестьянства.

Таким образом, творчество Полежаева заключает в себе самую резкую критику существующего режима; красной нитью проведено противопоставление самодержавия и свободы, как злейших, непримиримых врагов. Поэт не только признает необходимость борьбы с самодержавием, но и уверен в его гибели, хотя и не имеет „представления о том, как перестроить жизнь и разрушить самодержавие. Таков исторический удел борцов того времени. Но их великая заслуга в том, что они не молчали и бесстрашно осуждали самодержавие"[2].

Такой ненавистью к самодержавию пронизано все литературное наследство Полежаева. Следует подчеркнуть, что основным мотивом его лирики является, именно, политическое противопоставление самодержавия и свободы; обнажение неимоверной жестокости самодержавного режима, призыв к уничтожению этого режима и проповедь свободы. Во всем своем творчестве, в особенности лирике, Полежаев осуждает существующую политическую систему в России.

---

[1] А. Полежаев, Сочинения, М., 1955, стр. 65, 66.

[2] А. И. Полежаев, Стихотворения и поэмы, Сов. писатель, Л., 1957, стр. 20.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII, 1960.

თ. ნიჟარაძე

ესთეტიკური აღზრდა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა სწავლებისას*

ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომლის დანიშნულებაა გამოიმუშაოს მოსწავლე ახალგაზრდობაში მშვენიერებით დატკბობის, მხატვრული ნაწარმოების სათანადოდ გაგების, მისი შეფასების, მხატვრული შემოქმედების უნარი და ალღო. ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა სკოლებში მხატვრული აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებასა და წარმართვას.

ესთეტიკური აღზრდის წამყვან საშუალებას სკოლაში წარმოადგენს ლიტერატურის გაკვეთილი. ლიტერატურის გაკვეთილზე არსებობს ყველაზე მეტი შესაძლებლობა იმისათვის, რომ მხატვრული ნაწარმოებები არა მარტო განიცადონ მოსწავლეებმა, არამედ შეისწავლონ კიდეც და ამით გაცნობიერებულ იქნეს მათთვის ის ფსიქოლოგიური ფაქტი, რომელსაც ესთეტიკური ემოცია ეწოდება და რომელიც მხატვრული აღქმის აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურის გაკვეთილზე მხატვრული აღზრდის სათანადოდ გატარებისათვის საჭიროა, რომ მასწავლებელს ჰქონდეს როგორც ფართო ლიტერატურულ-ესთეტიკური განათლება, ისე მეტად ფაქიზი მხატვრული გემოვნება, რათა მხატვრული ნაწარმოები კიდეც განაცდევინოს და კიდეც აუხსნას მოსწავლეებს.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში ესთეტიკური განცდისა და ესთეტიკური აღზრდისათვის. მის უკვდავ მოთხრობებს, ღრმა შინაარსთან ერთად, აქვთ უდიდესი მხატვრული ძალა. რომელსაც, ადექვატური

* შრომა წარმოადგენს საკანდიდატო დისერტაციის ნაწილს.

განცდის შემთხვევაში, შეუძლია მძლავრად შეარხიოს ახალგაზრდობის გულის სიმები.

ალექსანდრე ყაზბეგი ილია ჭავჭავაძის რეალისტური მიმართულების ღირსეული გამგრძელებელია. მართალია, მას ესთეტიკის მწყობრი თეორიული სისტემა არ მოუცია, მაგრამ საყურადღებო ესთეტიკური შეხედულებანი ჩაქსოვილია მის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. მას, როგორც რეალისტ მხატვარს, სწამს, რომ იდეის გარეშე ხელოვნება არ არსებობს, მხატვრული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა ერთიანობაში უნდა იქნეს წარმოდგენილი.

იგი იცავს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს, უარყოფს უაზრო, უსულო სურათებს. ყოველგვარ მხატვრულ აღწერაში, მწერლის აზრით, საჭიროა იგრძნობოდეს მწერლის ტენდენცია და თვალსაზრისი. მას სჯერა, რომ ხელოვნება სურათისა და აზრის ერთიანობაა, უაზრო, უმიზნო საგანი მის გონებას არ იზიდავს. მისთვის მშვენიერია მხოლოდ ის საგანი, რომელიც სიცოცხლესა და ცხოვრებას განასახიერებს და რომელშიც იგრძნობა ადამიანით დაინტერესება[1].

ალექსანდრე ყაზბეგი გმობს უაზრო ლოზუნგებს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის", „ფორმა ფორმისათვის", „სილამაზე სილამაზისათვის" -- რომელთაც ფორმალისტები და იდეალისტური ესთეტიკის მიმდევრები აღიარებდნენ.

მწერლის აზრით, ანგელოზებრივი გვამი უსულოდ, უძრავად, უმცეცხლოდ, რომელიც ცხოვრებას აცხოველებს და ამშვენიერებს, იქნებოდა მხოლოდ გაყინული, უაზრო საგანი.

ალექსანდრე ყაზბეგის ამ მართებული თვალსაზრისის დადასტურებას წარმოადგენს მისი უკვდავი შედევრები, რომლებშიაც დიდი მხატვრული ტილოები ადამიანთა ცხოვრების ფონზეა გაშლილი. მის უკვდავ მოთხრობებს, ღრმა შინაარსთან ერთად, უდიდესი მხატვრული ღირსება, შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება აქვთ.

ჩვენ ვერ ვნახავთ ნწერლის ვერც ერთ ნაწარმოებს, რომელშიც დიდ აზრთან ერთად დიდი გრძნობაც არ იყოს მოცემული. ამ მხრივ ალ. ყაზბეგი ღრმა ფსიქოლოგია, ადამიანის სულის დიდი მკვლევარი და ოსტატია.

დიდ ფსიქოლოგიურ ღელვას იგი ძლიერ მხატვრულ განსხე-

[1] გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 1950 წ., გვ. 395–421.

ულებას აძლევს; იგი ემყარება ცნობილ ესთეტიკურ პრინციპს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება მოქმედებასა და ლაკონიურობას მოითხოვს.

ადამიანის სულის მესაიდუმლე ყაზბეგი ამავე დროს ბუნების მესაიდუმლეა. მას ისევე ოსტატურად შეუძლია ბუნების დიდი წიგნის გადაშლა და ამოკითხვა, როგორც ადამიანის სულისა. იგი განუმეორებელი მშვენიერებით გვიხატავს ბუნებას, მის სილამაზეს, მის სიდიადეს.

მიმზიდველი პოეტური საღებაეებით დახატული ბუნების სურათები მის ნაწარმოებში გამოყენებულია როგორც ფონი გმირთა სულიერი სამყაროს გადასაშლელად. ამიტომ მწერლის ცალკეული თხზულებების სკოლაში სწავლების დროს დიდი მნიშვნელობა მქონია მასწავლებლის მიერ იმ ადგილების შერჩევა, რომელთაც მწერალი იყენებს პერსონაჟების განცდების გადმოსაცემად. მასწავლებელი მოსწავლეთათვის გასაგებად უნდა ხდიდეს იმ სულიერ ტანჯვას, რომელსაც ალ. ყაზბეგის გმირი ონისე განიცდის. ონისე ისე შეუპყრია ძლიერ გრძნობას, რომ სულიერად აბორგებული ვაჟკაცის გულს დიდებული ბუნებაც ვერ ამშვიდებს. მას აღარაფერი ახარებს. ბუნების საერთო მეჯლისს მხოლოდ გარედან, უგრძნობლად შეჰყურებს. მის გულს, — გადმოგვცემს მწერალი, — „ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლმოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო.

ყველასათვის ტკბილი, გასახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები, მაგრამ ონისეს გულს მარტო ნაღველს აწვეთებდნენ და სიტკბოების მაგიერად ძირმწარეს. აჰკურებდნენ. ონისე ოხრავდა, ქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად“ [1].

ალექსანდრე ყაზბეგს პერსონაჟის განწყობილებაბუნების დიდებულ სანახაობასთან კავშირში აქეს გადმოცემული. „ცა ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესათვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ, სატრფოსთან დადარებით, თავდავიწყებამდის ეალერსებოდა“ [2].

მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს მხატვრულ ადგილს „ხევისბერი გოჩადან“: „გარიჟრაჟი იყო, თერგის ხეობაზე ხშირი

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, 1953 წ., გვ. 278.
[2] იქვე, გვ. 282.

და ბამბასავით გაპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, მოებურა მთელი მიდამო სოფლები. თითქოს შიგ გახვეულიყვნენ. რამდენიმე ადგილს ნისლი ამოეგლიჯა უმაღლეს მთის წვერებს და ისე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით ლატვარდოვანი ცა შეწითლებულიყო მზის მოახლებულის შუქით. ვარსკვლავებს ეგრძნოთ დღის მოახლოება და შემკრთალები ნაზის სხივით ძლიესღა ციმციმებდნენ. გათეთრებული მოხუცი კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რომელზედაც ამაყე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდილი, გამწვანებულს ყვავილიან ველზე წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო. ქვეშ მიმდგარს თანასწორ ნისლს წმინდა სახსოვარი ჩვენის წარსულისა თითქოს დედამიწისაგან განეშორებინა.

ამ ადგილიდგან ყველაფერი მედიდურად მოჩანდა, ყველას ეძინა, გაყუჩებულიყო და თვით ეს გაყუჩება რაღაცა სევდიანს დუმილს ჰბადავდა თვით დაუდგრომელს ნიავსაც კი სული გაენაბა და ცელქად აღარ შესთამაშებდა კეკლუც სურნელებს. ათასში ერთხელ დამკრთალი ჯიხვის ფეხით გადმოგორებულის ქვის ხმაურობა თუ დაარღვევდა საზოგადო სიჩუმეს და შეუერთდებოდა მთებიდგან გადმონადენის ჩანჩქარის ჩხრიალს, რომელიც დაძინებულს, ბუნებას მშობლიურს ნანას ეუბნებოდა...[1].

მასწავლებელი ამ ადგილის წაკითხვის შემდეგ დაასკვნის, რომ ალექსანდრე ყაზბეგი პეიზაჟს პატრიოტული მოტივის გასაძლიერებლად იყენებს. ლამაზად დახატული გარიჟრაჟის სურათი მკითხველს სამშობლოს აყვარებს და მის გულში აღანთებს თავისი ლამაზი ქვეყნის დაცვის სურვილს. ბუნება ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში მარტოდენ ესთეტიკური დატკბობის მიზნით არ არის დახატული, არამედ იგი (ბუნების დიადი სანახაობა) გარკვეულ გამოყენებითს ფუნქციასაც ასრულებს (პერსონაჟის დახასიათება, სამშობლოს სიყვარულის გაძლიერება და სხვ.).

ბუნების სილამაზეს ალ. ყაზბეგი ადამიანის განცდას უკავშირებს. ბუნებას იგი ადამიანთა ურთიერთობაში განიხილავს. დიდი რეალისტის ალ. ყაზბეგის აზრით, ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როცა შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ადამიანზე გავლენას ახდენს.

ბუნება მთის ტრაგედიას უერთდება მის უკვდავ ნაწარმოებებში. ბუნებაც გამძაფრებულია, აფორიაქებულია ისე, როგორც დევნილი მაყვალა, რომელსაც თავშესაფარი ვერ უპოვია. ამის ნათელსაყოფად მასწავლებელს გაკვეთილზე მოჰყავს შემდეგი ადგილი:

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II. 1955, გვ. 282—283.

„აქა-იქ გაჩნდებოდა ნისლი, რომელიც თითქოს მიწიდგან იზრდებოდა და ბოროტის ხელის მახვილსავით მთის წვერებზედ მიცურავდა, გამოჩნდებოდა მეორედგან და გაიძაბებოდა. შესამედგან მტევრსავით აღმა ავარდებოდა და ერთბაშად ტრიალს ღა რევას დაიწყებდა. ორპირი ქარი ერთმანერთს გრიალით შეეჯახებოდა და მედგრად ერთმანერთს მოხვედრილი ორს თავგადაგდებულს ფალავანსავით, მოუტრიალდებოდა ერთმანერთს. ისმოდა სტვენა, ზუზუნი, მოუსვენარი ქარისა და მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა. ძალდატანებული კლდე იშლებოდა და დაბლა გრიალით მოდიოდა; ავდრის წინამორბედი ჩქეფი და ყვავები ტრიალებდნენ და უსიამოვნო ჩხავილით სევდით გულსა ჰბურავდნენ. ტკბილი, სასიამოვნო, კაცის გულის დამყვავებელი ბუნება თითქოს სოდომად გადაქცეულიყო...“ [1]

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის მოხდენილად არის აგრეთვე მოცემული კლდისა და ჟერგის გამძაფრებული ბრძოლის სურათი „მამის მკვლელში“. ბუნებაც ბრძოლისათვის არის განწყობილი ალ. ყაზბეგის გმირებივით და მკითხველს ბრძოლისკენ მოუწოდებს: „კაცმა უნდა ნახოს ეს ორი ძალა, ჯვარედინად შეტაკებული ერთძანერთს, უნდა ნახოს იმათი ბრძოლა, აქაფება, იმათი ხრიალი, ჩქეფა და ტალღების ჰაერში სროლა, რომელიც ათას ნამქრევად რამდენიმე საჟენის სიმაღლეზედ იფანტება ჰაერში, რომ შესძლოს წესიერად დაფასება ამ დიდებული სურათისა, აქ თქვენა ხედავთ ძალას, ტირილს, კვნესას, მუქარას, ღრიალს, ბრძოლას ერთმანერთში არეულს, და იქამდისინ მიჰყევხართ, რომ რაღაცა გულისკანკალით თითქოს თქვენ გინდათ ჩაგრიოთ ამ უცნაურს ბრძოლაში“ [2].

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ბუნება ადამიანის ხასიათთან, განწყობილებასთან ჰარმონიულ ურთიერთობაშია. პეიზაჟი ადამიანთა განცდებს ააშკარავებს. მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს შესაფერი ადგილი. ასე მაგალითად, გრიგოლას ბოროტ არსებაში უწმინდური გრძნობები ბუდობს („მამის მკვლელი“). იგი მიდის არშის ციხეში ნუნუსთან, რათა თავისი ბოროტი განზრახვა სისრულეში მოიყვანოს. ამ დროს ბუნებაც შესაფერად ირთვება [3].

ლიტერატურის მასწავლებელმა უნდა ნათელყოს ის მართებული

---

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, 1955, გვ. 362—363.

[2] ალ. ყაზბეგი, ტ. I, 1955, გვ. 273.

[3] იქვე, გვ. 221

აზრი, რომ ალ. ყაზბეგი თავისი მხატვრული შემოქმედებით იდგა უტილიტარულ თვალსაზრისზე და იღაშქრებდა ხელოვნებაში იდეალიზმის წინააღმდეგ.

ეყრდნობოდა რა მოწინავე ესთეტიკურ შეხედულებებს, რომლებიც შეიმუშავეს და განამტკიცეს რუსმა „რაზნოჩინელებმა“ და ქართველმა „თერგდალეულებმა“, მართებულ მოსაზრებას გამოთქვამდა ლიტერატურის დანიშნულების შესახებ.

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი შემოქმედების უმთავრეს საგანს წარმოადგენს არა უსულო, უსიცოცხლო ბუნება, არამედ ადამიანი თავისი განცდებით, მისწრაფებებით და სურვილებით.

ალექსანდრე ყაზბეგი წერდა: „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს, ბრუნავს იმ სიტკბო-სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთავარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქაც გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გაელენა აქვს, ახარებს, თუ ჩამწყვიადებულს გულს ნუგეშს აძლევს. მე არ ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა, ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდება მკვდარს, მოქმედება მოკლებულს საგანს“ [1].

ამასთან დაკავშირებით მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას იმ გარემოებას, რომ ალ. ყაზბეგს ღრმად ჰქონდა შეგნებული: გარემო პირობები აყალიბებენ ადამიანის ცნობიერებას. გარემო კი ცოცხალი, მოქმედი და ცვალებადია. ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარი ამბისა და ბუნების ძალების მოქმედების ურთიერთმიმსგავსება, რომელსაც მოხდენილად იყენებს ალ. ყაზბეგი, საუკეთესო მხატვრული ხერხია იდეის მთელი სიმკვეთრით გადმოცემისათვის და არანაკლები ეფექტური საშუალებაა ესთეტიკური განცდის მისაღებად.

მხატვრული ნაწარმოები შეიჭრება რა მოსწავლის გონებაში, იქცევა მის განცდად. აი, მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას ამ (ესთეტიკური) ფუნქციის შესრულება. ამისთვის საჭიროა ნაწარმოების მხატვრულ ანალიზთან ერთად მისი მხატვრულად წაკითხვაც. ყოველივე ეს მასწავლებლის ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული. ესთეტიკური აღზრდის გზით მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა გამოუმუშაოს უნარი — აითვისოს ნაწარმოები ფორმისა და შინაარ-

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, 1950, გვ. 142.

სის მთლიანობაში, შეძლოს თავის შთაბეჭდილებათა დასაბუთება, ესთეტიკურ შეფასებათა მაღალი კრიტერიუმის შემუშავება. მან უნდა შეძლოს მშვენიერის აღქმა და განცდა მისი გამოვლინების ფორმათა მრავალსახეობაში, შეიცნოს ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც საბჭოთა სინამდვილესა და საბჭოთა ადამიანებს ახასიათებენ, რათა საკუთარი სულიერი სამყაროს უშინაგანეს ნაწილად აქციონ ისინი.

ალ. ყაზბეგის მხატვრულ სახეთა გახსნისას ლიტერატურის მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი მხატვრული ოსტატობის უდიდესი ძალა ბუნების გარეგან თუ შინაგან ძალთა დინამიკურს გადმოცემაშია და არა სტატიურობის პასიური ჟვრეტის დახატვაში. ამიტომ მხატვრული თვალსაზრისით მეტად ძლიერი ადგილები კლასში უნდა იქნას წაკითხული ესთეტიკური განცდის გამოსაწვევად მოსწავლეთა შორის. იგულისხმება, რომ მასწავლებელი აკმაყოფილებს მხატვრული გამომეტყველებითი კითხვის ძირითადს მოთხოვნებს.

შერჩეული ადგილების კითხვის სწორად დაყენებასთან ერთად, მასწავლებელი აძლევს დავალებას მოსწავლეებს — ეძიონ ნაწარმოებში მათთვის საინტერესო მხატვრული ადგილები, ამოწერონ ასეთი ადგილები და წაიკითხონ კლასში. ასეთი მუშაობის შედეგები ყოველთვის უნდა შეაჯამოს მასწავლებელმა და მისცეს შეფასება, თუ როგორი მხატვრული გემოვნება გამოიჩინა ამა თუ იმ მოსწავლემ ნაწარმოებიდან მხატვრული ადგილების შერჩევისა და ამოწერის საქმეში.

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების შესწავლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ მწერალი თავის უდიდეს მხატვრულ ნიჭს ამჟღავნებს სახე-პერსონაჟების კონტრასტულად დახატვის საშუალებით. დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების დაპირისპირების მეთოდი ყაზბეგის ცნობილი მეთოდია. ამ დაპირისპირებაში მჟღავნდება ჩვენი დიდი მწერლის ტიტანური პოეტური ძალა.

ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით, მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს დააჯგუფოს დადებითი და უარყოფითი სახე-პერსონაჟები. მაგალითად, საყვარელი გმირის გოჩას პორტრეტს ავტორი ასე აგვიწერს: „კედელზედ გამოჩნდა ქუდმოხდილი კაცი, გრძელის გაშლილის თეთრი თმით და წვერით. ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ქამრად შემოეჭირა, რაღაც საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. გაბრწყინ-

რების სორბციულ მოცულობის ზრდას ისე, რომ ამავე ტემპერატურაზე დამუშავებულ ბუნებრივ ნიმუშს აღემატება 5,5-ჯერ.

ჩუნეშის ბენტონიტურ თიხასთან შესადარებლად ჩვენ მოგვყავს სორბციული თვისებები გუმბრის თიხის.



ნახ. 4. გუმბრის ბუნებრივი და გააქტივებული თიხის ნიმუშის დიფერენციალურ-სტრუქტურული მრუდი[1].


№ 4 ნახაზიდან ჩანს, რომ გუმბრის თიხა ხასიათდება შერეულ ფორიანი სტრუქტურით, მაგრამ შერეული ფორიანობა ჩუნეშის თიხის ნიმუშში კიდევ მეტად არის მოცემული. ყოველივე ამის გამო ჩუნეშის ბენტონიტური თიხის ყველა ნიმუში, შედარებით გუმბრის ნიმუშთან, ხასიათდება გაცილებით დიდი სორბციული უნარიანობით, რაც ნათლად ჩანს ჩვენს მიერ ჩატარებულ გაუფერულების და შთანთქმით უნარიანობის შემოწმებიდან.

[1] შედეგები მოყვანილია გ. ვ. ციციშვილის გამოკვლევებიდან (7).

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ სორბენტში გარდამავალი ფორების ზრდა იწვევს გამაუფერულებელი თვისებების რამდენიმეჯერ გადიდებას.

ამის ნათელსაყოფად ჩვენს მიერ მომზადებული ნიმუშებით შევისწავლეთ მღებავი ნივთიერებების შთანთქმისა და გაუფერულების ხარისხი.

მღებავ ნივთიერებად აღებული იყო — სუდან (1) ბენზოლიანი ხსნარი, თიხები გააქტივებული იყო 25%-იან გოგირდმჟავით და თერმულად დამუშავებული 200°-ზე. გაუფერულების შედეგები მოცემულია მრუდეებზე ნახ. 5.



მიღებული მრუდიდან ჩანს, რომ ჩუნეშის თიხით გაუფერულების ხარისხი 25%-ით მეტია ჩვენს მიერ შესწავლილ გუმბრის თიხის გაუფერულების უნარზე. ეს უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახადა ნივთიერების პარალელურ გადატანის რეჟიმის გამოკვლევამ დინამიკური წეთოდით. დადგინდა, რომ, ჩუნეშის თიხის გააქტი-

ვებული ნიმუშით დინამიკური დაცვის უნარი უდრის 1,795. იმავე პირობებში გუმბრის დინამიკური დაცვის უნარი უდრის 1,368.

შესადარებლად აღებული თიხების ფორიანობის და ხვედრითი ზედაპირის სიდიდეები მოგვყავს № 3 ცხრილში.

ცხრილი № 3.

თიხის ნიმუშები	მიკროფორების სმ³/გ	გარდამავალი ფორების მოცულობა სმ³/გ	ჩონჩხის ზედაპირი მ²/გ
გუმბრინი ბუნებრივი . .	0,02	0,14	65
„ გააქტივებული	0,02	0,19	133
ჩუნეში ბუნებრივი . . .	0,0218	0,173	71,5
„ გააქტივებული . .	0,0627	0,3533	364,1

ცხრილში მოყვანილი მონაცემები მიუთითებენ ჩუნეშის ბენტონიტური თიხის, როგორც ბუნებრივ, ისე გააქტივებულ ნიმუშის გუმბრინთან შედარებით მეტ ფორიანობაზე და კუთრ ზედაპირზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ მას ახასიათებს მეტი სორბციული თვისებები. როგორც ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, ჩუნეშის ბენტონიტური თიხის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ახალ ბუნებრივ ადსორბენტთან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულებისათვის წინასწარი შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ჩუნეშის ბენტონიტური თიხის საბადოს სიმძლავრე 2 მეტრს აღემატება. ამ ახალი საბადოს გეოლოგიური მარაგის დადგენა და გაუფერულების ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესის შესწავლა უახლოეს მიზნად მიგვაჩნია.

Л. А. ЧЕЛИДЗЕ, В. А. БРЕГВАДЗЕ

ЧУНЕШСКАЯ БЕНТОНИТОВАЯ ГЛИНА — НОВЫЙ ПРИРОДНЫЙ АДСОРБЕНТ

Резюме

В разных отраслях народного хозяйства широко применяются как исскуственные, так и природные адсорбенты. Приготовление искусственных адсорбентов связано со значительными трудос-

тями и расходами, поэтому исследование и применение природных адсорбентов имеет большое значение. Среди природных адсорбентов значительное место занимают бентонитовые глины, широко распространенные на территории СССР.

Такими глинами особенно богата Грузинская ССР, где до сегодняшнего дня известны около 180 проявлений бентонитовых глин. На базе Гумбрского и Асканского месторождений создана совсем новая отрасль — производства Гумбрина и Асканглия, которые имеют большое народно-хозяйственное значение.

В результате исследования физико-химических свойств бентонитовых глин разных месторождений выяснилось, что Чунешская бентонитовая глина характеризуется повышенной адсорбционной способностью как в естественном виде, так и особенно после термической и кислотной активизации.

Многочисленные опыты показывают, что Чунешская бентонитовая глина в незначительной мере теряет адсорбционную способность при повышенной температуре. В отличие от других глин она выявляет хорошие отбеливающие свойства и при обычной температурс. Термическая и кислотная обработка меняет ее структуру, после чего поглощающая способность по отношению к парообразным веществам и растворам значительно повышается. Можно заключить, что в виде Чунешской бентонитовой глины мы имеем дело с природным адсорбентом нового типа.

ლიტერატურა

1. А. А. Твалчрелидзе, С. С. Филатов, М. Л. Рокка. Месторождения бентонитовых глин Грузии. Природные ресурсы Грузинской ССР. т. II, 1959 г.

2 А. А. Твалчрелидзе, Бентонитовые глины Грузинской ССР и ближайшие задачи их освоения. Бентонитовые глины Грузии и их применение в народном хозяйстве, Сборник статей. Тбилиси, 1953. Его же — Краткий очерк месторождений отбельных глин Грузинской ССР, Бентонитовые глины Грузинской ССР. вып. III, 1941.

3. ლ. ჭელიძე — წყალტუბოს რაიონის ბენტონიტური თიხები. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 1954 წ.

4. ლ. ჭელიძე, ვ. ბრეგვაძე — ჩუნეშის ბენტონიტური თიხის მჟავური და თერმული აქტივაციის საკითხისათვის. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1956 წ.

5. М. М. Дубинин, Вестник А. Н. СССР № 3, 1949, Успехи химии 21, 513. 1952.

6. А. В. Киселев, Журнал Ф. Х. 23, 452, 1949.

7. Г. В. Цицишвили, Труды института химии им. Меликишвили, т. XII, 1956.

8. Г. В. Цицишвили и Д. Н. Барнабишвили, ДАН СССР, 92, 1953.

ა.ლ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ი. სალინაძე

ქუთაისის მიდამოების ბარემული საშენი კირქვების გეოლოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათება

ქუთაისის მიდამოებში დიდი გავრცელება აქვს იურულ და ცარცულ ნალექებს. ცარცული ნალექები იწყება ქვედა ნეოკომური კვარციანი და არკოზული ქვიშაქვებით, რომლებიც ტრანსგრესიულად და კუთხური უთანხმოებით არის განლაგებული იურულ ნალექებზე.

კვარციანი და არკოზული ქვიშაქვები ზევით თანდათანობით გადადის შრეებრივ, ბზირად გადოლომიტებულ კირქვებში, რომლის სიმძლავრე რამდენიმე ათეულ მეტრს უდრის. ქვედა ნეოკომურ კირქვებზე თანხმობით არის განლაგებული ბარემული ასაკის კირქვები.

ბარემული ნალექები წარმოდგენილია ურგონული ფაციესის კირქვებით. ურგონული სქელშრეებრივი მასიურ-კრისტალური კირქვები იძლევა უწყვეტ გაშიშვლებებს და ქმნის მძლავრ კარნიზებს, რომლებიც კარგადაა წარმოდგენილი მდ. რიონისა და წყალწითელას ხეობებში. თვით ქუთაისის ფარგლებში იგი უწყვეტლივ გრძელდება აღმოსავლეთისაკენ ნაქერალას ქედის რკალამდე. ეს კირქვები გეხვდება კვახჭირისა და ჰოგნარის მიდამოებში, სამგურალის ქედზე, ბანოჯის, ხომულისა და წყალტუბოს ტერიტორიაზე.

ბარემული კირქვების სიმძლავრე ზოგ უბანში 300 მ აღემატება, მისი სისქე სამხრეთისაკენ თანდათანობით მცირდება და სოფ. კვახჭირის მიდამოებში რამდენიმე ათეულ მეტრს უდრის. ურგონულ კირქვებში შრეებრივობა სუსტად მჟღავნდება, შრეთა დაქანების კუთხე საშუალოდ 30°-ია (წყალწითელას ხეობაში). ცალკეული ფენის სიმძლავრე 0,3—5 მ აღწევს. საღი ქანი მტრედისფერია, ხოლო გამოფიტული — თეთრი. ქანი მკვრივია, საკმაოდ მაგარი და ფიცხი.

წყებისათვის დამახასიათებელი ნამარხებიდან გაბატონებულ როლს ასრულებს Reguenia, რომელთა შორის გავრცელებული ფორმებია:

Requenia ammonia Golt
Requenia Zlatarskü
Monopleura Sp. და სხვ.


ზევით გარდამავალ შრეებში კი გვხვდება ბელემნიტები და ამონიტები. ქუთაისის მახლობელ უბნებში გავრცელებულია, ტიპიური მასივური, „კაპროტინებიანი კირქვები", რომლებშიაც უხვადაა chamidae-ბი. ხსენებული ნამარხების მიხედვით დადგენილია წყების ბარემული ასაკი.

ქვედა ნაწილში ბარემული სართულის კირქვები ზოგან გადოლომიტებულია, ურგონული კირქვები მკვეთრად განსხვავდება როგორც მათ ქვემოთ მდებარე ქვიშიანი კირქვებისაგან, ისე ზემოთ მდებარე აპტური ასაკის თეთრი კირქვებისაგან. ბარემული კირქვები არ არის ერთგვაროვანი, არამედ მასში ზოგჯერ სხვადასხვა ჰორიზონტების გამოყოფა შეიძლება. ამ ქანებში ფაციესის ცვლა ჰორიზონტული მიმართულებითაც შესამჩნევია.

ურგონული კირქვები ზევით თანდათანობით იცვლება სქელშრეებრივი მონაცრისფერო 5—10 მ სიმძლავრის ოდნავ მერგელოვანი დასტით, რომელშიაც გავრცელებულია ეკზოგირების ბანკები, რის გამო ამ ჰორიზონტს ეკზოგირებიანს უწოდებენ. მ. ერისთავის (1) მიხედვით „ჰორიზონტის" ხმარება არ არის გამართლებული, რადგან ეკზოგირები ყველა ჭრილებში არ გვხვდება და ისინი გარკვეულ შრეებთანაც არ არიან დაკავშირებული. ამიტომ უმჯობესია მათ ეკზოგირებიანი შრეები ეწოდოს. ეს შრეები ფართედ არის გავრცელებული სოფ. გოდოგნის მიდამოებში. ხსენებული ავტორის მიხედვით იგი ზედა ბარემულს უნდა ეკუთვნოდეს. ურგონულ კირქვებში ხშირია კარსტული მოვლენები (სურ. 1).

დაკარსტვის ადგილებში ბანოჯის, ქვილიშორისა და წყალტუბოს მიდამოებში განვითარებულია ოხრას საბადოები. უკანასკნელის წარმოშობას ბოლო დრომდე კირქვების გამოტუტვის შედეგად წარმოქმნილ ე. წ. „Terra rossa"-ს მიაწერენ. გ. ძოწენიძის (7) აზრით, წყალტუბო-ბანოჯის მინერალური საღებავები წარმოშობილია არა Terra rossa-ს, არამედ „მთავარის" წყების ხარჯზე. ხომულისა და ბანოჯის მიდამოები, სადაც ამჟამად დაკარსტული კირქვებია გაშიშვლებული, დაფარული იყო შუა და ზედა ცარცული ნალექებით, მათ შორის „მთავარის წყების" ნა-

ლექებითაც. ისევე როგორც ეს არის მეზობლად მდებარე გუმბრინის საბადოს მიდამოებში. „მთავარის წყების“ განფენები და ძლიერ გამოფიტული ტუფები იძლეოდა რკინიანი თიხის საკმაო რაოდენობას, რომელიც დაღმავალ წყალს მიჰქონდა ქვემოთ და აგროვებდა ბარემული კირქვების კარსტულ გამოქვაბულებში და სიღრუეებში. წყლების შემდგომმა მოქმედებამ გამოიწვია თიხების გამდიდრება რკინის ჟანგით. უკანასკნელნი გაშიშვლდნენ რკინის ჟანგის საღებავების სახით, ზემოთ მდებარე შუა და ზედა ცარცული ნალექების გადარეცხვის შემდეგ.



სურ. 1. დაკარსტული ურგონული კირქვის კარიერი (ბანოჯა).

ზემოაღწერილ კირქვებში ხშირად შემოჭრილია მაგმური ქანები: ბაზალტები, ტეშენიტები, პორფირიტები და სხვ. ეს ქანები ყველაზე უფრო გავრცელებულია სოფ. გელათის, ქუთაისის, სოფ. გოდოგნის, სათაფლიას, წყალტუბოსა და მელაურის მიდამოებში. მათ გამოუწვევიათ კირქვების გადაკრისტალება, რის შედეგად ზოგიერთ უბანში წარმოშობილია მარმარილოს საბადოები.

ურგონული კირქვების ქვედა ნაწილი გამოიყენება სასაძირკვლე და საცალო ქვებად. მათი ტექნიკური თვისებები საერთოდ დამაკ-

მაყოფილებელია. სხვადასხვა ადგილზე ქანი სხვადასხვა თვისებისაა, რის გამოც საშენი კირქვების ექსპლოატაცია განსაზღვრულ პუნქტებში სწარმოებს.

ბარემული კირქვების გავრცელების ზოლში საშენად ვარგისი ქანების კარიერებია გელათში, მოწამეთაში, გოდოგანში, კვახჭირში, ქუთაისში, ბანოჯაში, წყალტუბოში, მელაურში, ქვილიშორში და სხვა პუნქტებში. სოფ. ქვილიშორის კარიერები ახალი გახსნილია; აქ, სოფელშივე, წყალტუბო-კარიობის გზატკეცილის გასწვრივ, ზედაპირზე შიშველდება საშენი კირქვების ორი სახესხვაობა: ნაცრისფერი და მოყვითალო-მოვარდისფრო. ქანები დაქანებულია SW 230° ∠ 10°. ცალკეული ფენის სისქე უდრის 0,5—1,20 მ; ქანი ზედაპირზე გამოდის 1,5 კმ² ფართობზე.

ნაცრისფერი წვრილმარცვლოვანი სახეობა წარმოადგენს ფორამინიფერებიან კირქვას. მიკროსკოპის ქვეშ — ქანის მთავარი შემადგენელი მასა წარმოდგენილი არის კალციტით, რომელიც შეიცავს აგრეთვე პელიტურ ნივთიერებასაც. დიდი რაოდენობით ვხვდებით მიკროორგანიზმების ნაშთებს, რომელიც ძირითადად ფორამინიფერების ნიჟარებით არის წარმოდგენილი (სურ. 2).

შლიფში ჩანს რამდენიმე ნატეხი თიხით მდიდარი კარბონატული ქანისაც (ნიმ. №№ 117, 129). ყველა ამ ნაწილებს სუფთა კრისტალური კალციტი აცემენტებს. კრისტალური კალციტით წარმოდგენილი მოზრდილი უბნები არ შეიცავს პელიტურ მასის ჩანართებს და ამიტომ გამჭვირვალე არიან. კირქვას ნაწილობრივ გადოლომიტება ემჩნევა. დოლომიტის წვრილი, რომბოედრული კრისტალები არათანაბრად არის განლაგებული ქანის მასაში. მადნეული მინერალები მაგნეტიტით და ლიმონიტით არის წარმოდგენილი.

კირქვის მოყვითალო ფერის სახეობა პელიტომორფულია (ნიმ. № 118). მიკროსკოპში — ქანის მთავარი მასა კარბონატით და შედარებით მცირე რაოდენობის პელიტური ნივთიერებისაგან არის შემდგარი. კალციუმის კარბონატი მეტ შემთხვევაში არაკრისტალურია. კრისტალური ნაწილი უმთავრესად ნაპრალებს უკავშირდება. აქ კალციტი სუფთაა და მსხვილკრისტალური. მიკროფაუნა, საერთოდ, მცირე რაოდენობითაა და აქა-იქ თუ ვხვდებით ფორამინიფერების და სპიკულების მსგავს ჩანართებს. შესამჩნევია აგრეთვე ორსაგდულიანთა ნიჟარების ნატეხები.

ურგონული კირქვების ზედა ჰორიზონტები უმთავრესად თეთრი ფერის, წვრილმარცვლოვანი, დაბზარული და ფიცხი ქანებით არის

წარმოდგენილი (ბანოჯა). მაგრამ მათი ძირითადი პეტროგრაფიული ბუნება მცირედ განსხვავდება ქვედა ჰორიზონტებისაგან.

ზედა დასტიდან აღებული ნიმუშები (89 და 91) მიკროსკოპულად თეთრი ფერის მკვრივი კირქვაა; შეიცავს რუხი ფერის თიხოვან ნივთიერებას და ამიტომ პარალელურ სხივებში ქანის მთავარ მასას ღია რუხი ფერი აქვს. კრისტალური კალციტი უსწორმასწორო უბნების სახითაა გამოყოფილი; აქ კალციტი გამჭვირვალეა და საღი. სუფთა კალციტით არის წარმოდგენილი აგრეთვე



სურ. 2. ფორამინიფერებიანი კირქვა. ჭვილიშორი.
ნიმ. 117. ნიკ. 11, გად. 80.

ნიჟარების ნატეხები. უკანასკნელნი გასტროპოდებისა და ფორამინიფერების სკელეტებს წარმოადგენენ. მადნეული მინერალი მაგნეტიტისა და მარკაზიტის წვრილი მარცვლების სახით გვხვდება. ფორამინიფერებიანი კირქვა ნაპრალიანია, ზოგიერთი ნაპრალი სუფთა კალციტით არის ამოვსილი.

ურგონული კირქვების ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია პირველ ცხრილში (საანალიზო ნიმუშები აღებულია მოწამეთის კარიერებიდან).

ანალიტიკოსი მელქაძე ცხრილი 1.

№ ნიმ	წყალ-მშთან-თქმე-ლობა	დანა-კარგი გახუ-რებით	SiO_2	Fe_2O_3	Al_2O_3	CaO	MgO
3	13,0	43,11	2,86	0,91	0,18	51,60	1,30
6	9,10	41,10	3,32	2,00	0,25	51,70	1,40
5	—	—	—	—	—	52-52	—
8	8,77	40,30	4,35	1,51	0,38	52,65	1,58
9	20,90	41,85	1,64	0,77	0,16	52,87	1,90
1	—	—	—	—	—	54,01	—
2	—	—	—	—	—	54,33	—
3	—	—	—	—	—	53,71	—
12	24,50	41,90	1,23	0,70	0,35	54,00	1,74
8	—	—	—	—	—	53,00	—
10	15,00	41,66	1,46	1,71	0,30	49,49	1,20
10	—	—	—	—	—	53,35	—

ანალიზები გვიჩვენებს, რომ ურგონული კირქვები საკმაოდ სუფთაა. იმავე ქანების ტექნიკური გამოცდის (3) შედეგები გვიჩვენებს (ცხრ. № 2):

ცხრილი 2.

ნიმ. №	ხვედრითი წონა	მოცულობითი წონა	წყალ-მშთან-თქმე-ლობა	სიმკვრივე	ხილული პორიანობა	ნამდვილი პორიანობა
3	2,62	2,54	0,38	0,96	0,04	0,96
5	2,64	2,65	0,43	0,96	0,04	1,20
7	2,62	2,54	0,44	0,96	0,04	1,11
3	2,61	2,46	1,54	0,93	0,07	3,78
7	2,64	2,43	2,08	0,92	0,08	5,10

ე. კაკაბაძის (2) მონაცემებით, ურგონული კირქვის დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისადმი მშრალ მდგომარეობაში უდრის 1,890 კგ/სმ².

უნდა აღინიშნოს, რომ საშენი ქვების ერთი მტკიცედ დადგენილი კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული. უფრო გავრცელებული კლასიფიკაცია დამყარებული კუმშვისადმი დროებით წინააღმდეგობაზე, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი მათი ტექნიკური თვისებისა.

ამ თვისების საფუძველზე საშენ ქვებს ახარისხებენ შემდეგნაირად (8):

დამაკმაყოფილებელი საშენი ქვა . .	700—1,050	კგ/სმ²		
კარგი	„ „ . .	1,050—1,260	„	
ძლიერ კარგი	„ „ . .	1,26 —1,400	„	
საუკეთესო	„ „ . .	1,400	„	მეტი

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ჭუთაისის რაიონის კირქვები ეკუთვნის საუკეთესოთა ჯგუფს.

პროფ. ა ბ რ ა მ ო ვ ი, რომელიც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისზე დგას, საშენ ქვებს ჰყოფს სამ კლასად, თითოეულ კლასს კი — სამ რიგად. ამ კლასიფიკაციის მიხედვითაც, აღნიშნული კირქვები ეკუთვნის მაგართა კლასს (მაღალი ხარისხის საშენ ქვას).

ამრიგად, ურგონული კირქვების ქვედა ჰორიზონტები სავსებით ვარგისია საშენ მასალად. ზედა ჰორიზონტები კი გამოიყენება მაღალხარისხოვანი კირის მისაღებად: ამ ჭანის ბაზაზე რაიონში რამდენიმე ათეული კირის დიდი და მცირე ქარხანა მუშაობს, საიდანაც ყველაზე უფრო ცნობილია მოწამეთის და ბანოჯის ქარხნები.

ამავე ჭანების გამოყენება შეიძლება ცემენტის ნედლეულად, რაც მე-3 ცხრილში მოყვანილი ქიმიური ანალიზების შედეგებიდან ჩანს (5).

ცხრილი 3.

ნიმუშის დასახელება	სინესტე	დანაკარგი გახურებით	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	CaO	MgO	SO_3
გოჭოურის კირქვა .	1,95	40,11	3,16	2,38	0,44	46,00	6,01	0,39
ხომულის კირქვა .	0.25	41,42	2,31	1.11	0,35	53,74	1,50	0,53
იქედანვე	0,23	42,12	2,71	0,70	0,31	52,96	1,10	0,48
წყალტუბოს კირქვა	0,28	41,64	2,01	0,81	0,79	52,90	0,60	0,34
ყუმისთავის კირქვა	—	42,65	1,64	0,78	0,20	52,72	1,18	0,11

ქიმიური ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ურგონული კირქვებიდან აღებული ხუთი ნიმუშიდან 4 ნიმუში მეტად მცირე რაოდენობით შეიცავს MgO-ს და SO_3-ს, რაც საფუძველს გვაძლევს ზემოხსენებული ჭანი ცემენტის წარმოებისათვის ვარგისად ჩავთვალოთ (ანალოგიური კირქვების ბაზაზე მუშაობს პორტლანდცემენტის ქარხანა სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში).

ბარემული სართულის კირქვებიდან ცალკე უნდა დავახასიათოთ გოდოგნის საშენი და საქანდაკო კირქვები, რადგან ისინი მკაფიოდ განსხვავდებიან აღწერილი ურგონული ფაციესის კირქვებისაგან. გოდოგნის ჭანი დაკავშირებულია ბარემული სართულის ზედა ნაწილთან.

გოდოგნის საშენი და საქანდაკო კირქვები


გოდოგნის საშენი და საქანდაკო კირქვების საბადო მდებარეობს ქუთაისის აღმოსავლეთით 7—8 კმ მანძილზე, სოფ. გოდოგანში. აქ ქანის ძირითადი გამოსავალი იწყება მდ. ქაჯიხევის მარცხენა ნაპირზე გოდოგან-გელათის საურმე გზასთან, სადაც კირქვების სიმძლავრე 2 მ აღწევს. თეთრი ფერის პროდუქტული ფენის ქვეშ განლაგებულია ოდნავ მოვარდისფრო მცირედ გადოლომიტებული კირქვები. უკანასკნელის ზემოთ სახურავი ქანი 1 მ სისქისაა და ძლიერ დამსხვრეული. თეთრი კირქვის ზემოხსენებული ფენა გრძელდება დასავლეთისაკენ და პირველ გაშიშვლებაში ორი პროდუქტული ფენაა 6 მ საერთო სიმძლავრით. შრეები დაქანებულია NO 60—70°, ∠ 10—15°. მოხსენებული გაშიშვლების დასაელეთით თეთრი კირქვის პროდუქტული ფენები უფრო სქელშრეებრივი და მასივური ხდება, ცალკეული შრის სიმძლავრე 3 მ აღწევს. ეს შრეები ჰიფსომეტრულად თანდათანობით ზევით იწევენ და გორაკის მწვერვალზე, ზედაპირზე, შიშვლდებიან. ქანი დაუბზარავია და სავსებით საღი. იგი დასავლეთისაკენ მდ. წყალწითელამდე ვრცელდება. ამ ზოლში გახსნილია რამდენიმე ქვისატეხი კარიერი.

1942 წ. ჩატარებული ძიების შედეგად ი. ასათიანის (4) მიერ გამოთვლილი საპირნაკეთო და საქანდაკო კირქვების მარაგი უდრის 27.000 მ³. მარაგის გაზრდა შეიძლება ახალი უბნების გამოვლინების გზით, რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან პროდუქტული ფენა გრძელდება დასავლეთისაკენ თითქმის მდ. წყალწითელამდე.

ქანის თვისობრივი დახასიათება. კირქვა თეთრი ფერის წვრილმარცვლოვანი და რბილია, შეხებით ხელს სერის, ახასიათებს მიკროპორები. ადვილად იშლება და იპობა სასურველი მიმართულებით. ძლიერ იშვიათად შეიცავს კვარცის ცალკეულ მარცვლებს. ჰაერზე გამშრალი ქანი დარტყმით ლითონისებრ ჟღერს, ზედაპირი ხორკლიანი აქვს. ატმოსფერული აგენტების გავლენით ადვილად იფიტება, რის გამო შავდება, გახეხის შემდეგ ისევ იბრუნებს თავის ფერს.

ქანის გაშავებას, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს მისი პორიანობაც, რისთვისაც საჭიროა შესაფერი მასალით პორების ხელოვნურად დახშვა, რის შედეგადაც მოსალოდნელია, რომ კირქვამ დიდი ხნის განმავლობაში გაუძლოს ატმოსფერული აგენტების მავნე გავლენას. დაკვირვებით დადასტურებულია, რომ დახურულ შენობაში ქანი არ იცვლის თავის ფერს.

საბადოდან შეიძლება დიდი ზომის ბლოკების (3×3×4 მ) ამოღება. ამ საბადოდან ამოღებული მონოლითისაგან (5,0×2,0×2,0 მ)



სურ. 3. ბარელიეფი გაკეთებულია გოდოგნის ზოოგენური რბილი კირქვისაგან.

არის გამოკვეთილი შოთა რუსთაველის ძეგლი ქ. თბილისში. ამავე კირქვისაგან არის გაკეთებული ნარკვ-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის ბარელიეფები (სურ. 3).

გოდოგნის ქანისაგან არის აგებული და მოპირკეთებული მრავალი დეკორაციული შენობა თბილისში, ქუთაისში, სოჭაში და სხვაგან.

მოხსენებული საპირკეთო და საქანდაკო კირქვის ერთი ნიმუშის მიკროსკოპული აღწერა პირველად გ. სმირნოვმა (4) ჩაატარა, რომლის მიხედვითაც, კირქვა შედგება ღია პელიტური მასისაგან, გამჭვირვალე სხვადასხვა ზომის მარცვლებისაგან. კრისტალური კალციტისა და მცირე რაოდენობის ადიაგნოსტიკური მარცვლებისაგან. მაგრამ ქვისატეხებში ძირითადად სამი სახესხვაობის ქანია წარმოდგენილი და ერთი ნიმუშის და ისიც არასრული აღწერა, ცხადია, ნათელ სურათს ვერ მოგვცემს საბადოს შემადგენელი ქანების პეტროგრაფიულ ხასიათზე.

ჩვენ მიერ მიკროსკოპულად შესწავლილია კირქვის სამივე სახესხვაობა; კარიერების ჭრილებში სულ ქვედა ფენა 2,6 მ სისქისაა. იგი ყვითელი ფერის ტლანქშრეებრივ კირქვებზეა განლაგებული, ოდნავ გადაკრისტალებულია, ცარცისებრ თეთრი ფერისაა, სუფთა და საკმაოდ რბილი. მიკროსკოპში — თითქმის კრისტალური კირქვა; ქანის მთავარი მასა ფირფიტოვან-კრისტალური კალციტით არის წარმოდგენილი (ნიმ. №№ 59, 60). ფირფიტების ზომა 0,1 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. კრისტალურ კალციტთან ერთად აქვე გვხვდება პელიტომორფული მასებიც. უკანასკნელი კრისტალური კალციტის ცემენტის როლსაც ასრულებს და შეიცავს რუხი ფერის თიხოვან მასებს. მადნეული მინერალი აქა-იქ არის გაბნეული წერტილების სახით. ნამარხები და უცხო კლასტური მასა არ ჩანს.

შემდეგი დასტა წარმოდგენილია აგრეთვე თეთრი ფერის კირქვით, იგი რბილია, ფრჩხილით იხაზება. შეხებით ხელებს სვრის, სუფთაა და არ შეიცავს რაიმე ჩანართებს. სიმძლავრე ამ დასტისა 1—4 მ ფარგლებში მერყეობს მიკროსკოპში — ქანი წარმოადგენს წვრილ კრისტალურ კირქვას. შემადგენელი მასა ფირფიტებრივ, არასწორი მოხაზულობის სუფთა კალციტით არის წარმოდგენილი. ფირფიტებრივი ან ქერცლისებური ფორმის მარცვლები ერთმანეთში ჩაზრდილი არიან დაბრილული კიდეებით. კარბონატის მეორე ნაწილი პელიტომორფულია და ამავე დროს თიხოვანი ნივთიერებითაც გამდიდრებული (ნიმ. № 66). მადნეული მინერალი და ორგანიზმების ნაშთები კირქვაში არ ჩანს.

ქანის მესამე სახესხვაობა, რომელიც სულ ზედა ჰორიზონტშია განლაგებული, წარმოადგენს ნაწილობრივ ბრექჩიულ კირ-

ცხრილი 4.

ნიმუშის №№	საშუალო დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისას მი კგრ/სმ²				წონის დაკარგვა %-ში პირველ მდგომარეობასთან შედარებით					საშუალო წყალშთანმთქმელობა %-ში		საშუალო მოცულობითი წონა ტ/მ³	
	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყლით გაჯერებულ მდგომარეობაში	ჰაეროვან გამშრალ მდგომარეობაში	25-ჯერ გაყინვის შემდეგ	2-ჯერ გაყინვის შემდეგ	4-ჯერ გაყინვის შემდეგ	12-ჯერ გაყინვის შემდეგ	24-ჯერ გაყინვის შემდეგ	წონით	მოცულობა	ბუნებრივ მდგომარეობაში	წყლით გაჯერებულ მდგომარეობაში	ჰაეროვან გამშრალ მდგომარეობაში
1	505	119	402	340	0	0,018	0,042	0,097	9,5	20,3	2,14	2,35	2,28
2	439	295	334	229	0	0,002	0,027	0,073	10,4	21,4	2,06	2,27	2.07
3	768	650	650	510	0	0,022	0,059	0,109	7,6	17,0	2,22	2,42	2,27
4	669	512	498	442	0	0,005	0,049	0,118	8,7	18,8	2,17	2,36	2,21

ქვას. უკანასკნელის სიმძლავრე 0,5—4 მ ფარგლებში ცვალებადობს. მაკროსკოპულად ქანი მოთეთრო ფერისაა, საშუალო მარცვლოვანი, შეიცავს სხვადასხვა ჩანართს. ახასიათებს კალციტით ამოვსილი ბზარები.

მ ი კ რ ო ს კ ო პ შ ი — კირქვის ერთი ნაწილი ბრექჩიული აგებულებისაა (ნიმ. № 67). შემდგარია პელიტომორფული კირქვის ნატეხებისაგან, რომლებშიც მინდვრის შპატისა და კვარცის მცირეოდენი მარცვლები ჩანს. კირქვის ნატეხები პელიტომორფული ნივთიერებისა და თავისუფალი კალციტით არის შეცემენტებული. ქანის მეორე, შედარებით მცირე ნაწილი სუფთა კრისტალურ კალციტისაგან შედგება. კალციტის მარცვლები იზომეტრულია და ერთმანეთს მჭიდროდ ეხება. ეს ნაწილი პელიტური ნივთიერებისაგან თითქმის თავისუფალია.

პირველი ორი ფენა ვარგისია საპირკეთოდ და საჭანდაკოდ, მესამე კი უვარგისია ამ დანიშნულებისათვის.

ამჟამად უმთავრესად ამუშავებენ მეორე ფენას, ამზადებენ სვეტებს, კიბის საფეხურებს (თუმცა უკანასკნელი დანიშნულებისათვის ეს ქანი უვარგისია დაბალი სიმაგრის გამო), საკედლე საცალო ქვებს, მოსაპირკეთებელსა და საფლავის ქვებს, როფებსა და სხვ.

თეთრი რბილი კირქვების ოთხ ნიმუშზე ჩატარებული ტექნიკური გამოცდის შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

ქვის ხილული პორიანობა საშუალოდ უდრის 16,50%, ნამდვილი პორიანობა — 17,60%, ხვედრითი წონა — 2,55, სიმკვრივე — 0,84.

ზემოაღნიშნული ტექნიკური გამოცდების შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ კირქვის სხვადასხვა ნიმუშის გამძლეობა წნევისადმი, სხვადასხვაა.

ყინვაგამძლეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გოდოგნის თეთრი ფერის კირქვა სავსებით ვარგისია საშენად, მოსაპირკეთებლად და საჭანდაკო დანიშნულებისათვის.

И. А. САГИНАДЗЕ

ГЕОЛОГО-ПЕТРОГРАФИЧЕСКАЯ ХАРАКТЕРИСТИКА БАРРЕМСКИХ СТРОИТЕЛЬНЫХ ИЗВЕСТНЯКОВ КУТАИССКОГО РАЙОНА

Резюме

В Кутаисском районе к барремскому ярусу приурочены месторождения строительных известняков (в окрестностях сел. Гелати, Модамета, Баноджа, Хомули и др.), годных для скульптурных работ и в качестве облицовочного камня.

Основная масса известняков состоит из кальцита и пелитового вещества. Они содержат в большом количестве раковины фораминифер. Известняки являются достаточно чистыми, в них содержание MgO в среднем равно 1,5%. Временное сопротивление сжатию в сухом состоянии достигает 1,890 кг/см^2.

Известняки являются неоднородными, они изменяются как в вертикальном, так и в горизонтальном направлениях. Верхние горизонты представлены главным образом белыми мелкозернистыми трещиноватыми породами. Нижние горизонты пачки дают хороший строительный материал (для кладки фундамента, стеновой камень), а верхние являются сырьем для обжига высококачественной извести.

Использование этих пород возможно и в производстве цемента.

Скульптурный и облицовочный известняк встречается в окрестностях сел. Годогани. Порода мелкокристаллическая и состоит из пластинчатых зерен кальцита, имеющих неправильные, иногда зубчатые очертания. Порода равномерно зернистая и свежая; легко поддается обработке. Технические качества камня являются удовлетворительными, возможна добыча блоков больших размеров. Этот известняк годен для облицовки, для монументов, барельефов и других сложных архитектурных деталей. Запасы значительны.

ლიტერატურა

1. ერისთავი შ., ჭუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის სტრატიგრაფია. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 27, 1946 წ.

2. ქაქაბაძე ვ., სამშენებლო მასალების ტექნოლოგია, ნაწ. I, თბილისი, 1946 წ.

3. Асатиани Ю. К., Отчет Моцаметской геолого-разведочной партии о работах произведенных в 1940 г., Фонды Грузгеолуправления, 1941.

4. Асатиани Ю. К., Отчет о результатах разведки Годоганского месторождения скульптурного камня. Фонды Грузгеолуправления, 1941.

5. Вачнадзе Н. Д., Цементное сырье Западной Грузии (Кутаисский район) Тр. Груз. отд. ВИМС, вып. 1. 1938.

6. Джанелидзе А. И., Геологическое наблюдение в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума. Изд. Груз. фил. Ак. Наук СССР, 1940.

7. Дзоценидзе Г. С., Домиоценовый эфузивный вулканизм в Грузии, Изд. Ак. Н. Грузинской ССР, Тбилиси, 1948.

8. Малюков Н. П., Граниты и другие изверженные породы. Годовой обзор минеральных ресурсов СССР за 1926-27 г. стр. 257, изд. Геолком-та, 1928.

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

ნ. მანგალაძე

მიკროელემენტების გავლენა სიმინდის სხვადასხვა ჯიშში C ვიტამინის შემცველობაზე და ზოგიერთი ფერმენტის აქტივობაზე

მცენარეთა მინერალური კვების საკითხში მიკროელემენტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მრავალი ცდის საფუძველზე დადგენილია, რომ მიკროელემენტების გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და უმჯობესდება მიღებული პროდუქციის ხარისხი. მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ იმ ნიადაგებში, რომლებიც უზრუნველყოფილია მიკროელემენტებით, უკეთესად მიმდინარეობს მცენარეებისათვის საჭირო ძირითადი საკვები ნივთიერების შეთვისება, იცვლება ფოტოსინთეზი, ფერმენტთა აქტივობა, სუნთქვა, ქლოროფილის სინთეზი და სხვ. (7).

ნივთიერებათა ცვლაში მიკროელემენტებს დიდი როლი აქვთ, ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული ენზიმატური რეაქციების მსვლელობასთან და მთელი რიგი მიკროელემენტები აჩქარებენ ან ანელებენ განსაზღვრულ ფერმენტთა აქტივობას (8).

მიკროელემენტებით განოყიერებისას მატულობს შაქრები, აგრეთვე უმჯობესდება პარკოსან მცენარეთა სათესლე თვისებები, მცენარე უკეთესად ითვისებს აზოტოვან, ფოსფოროვან და კალიუმიან სასუქებს.

სიმინდზე B და Cu მოქმედებისას დიდდება მარცვლის მოსავლიანობა, ასევე ჩქარდება სიმინდის დამწიფება. თუ მცენარეს B აკლია, იგი უარყოფითად მოქმედებს რეპროდუქტიულ ორგანოებზე, ეცემა ნაყოფიერება, ცვივა ფოთლები და მცირდება მოსავალი.

პეიველს (5) მიხედვით მინდვრის პირობებში ბორი ადიდებს კომბოსტოს მოსავალს 43%-ით, სპილენძი 24%-ით. ასევე ამ მიკროელემენტების გავლენით კომბოსტოში დიდდება C ვიტამინის, ცილებისა და შაქრების შემცველობა.

მიკროელემენტები შეიძლება შეტანილი იქნეს ნიადაგში და ასევე სათესლე მასალა წინასწარ (თესვის წინ) დამუშავებული იქნას მიკროელემენტების ხსნარში.

მთელი რიგი ცდებით დადგენილია, რომ მიკროელემენტებით თესვის წინადამუშავება ფეფრო ეფექტიური აღმოჩნდა, რადგან მიკროელემენტები ნიადაგში შეტანისას ხშირად გადადიან შეუთვისებელ ფორმაში (5).

დობრუნოვის (1) მიხედვით, კატალაზის აქტივობა განსხვავებულია სხვადასხვა იარუსის ფოთლებში და ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში. კატალაზის აქტივობა ხორბლოვანთა ფოთლებში ყველაზე მეტი რაოდენობითაა ყვავილობისას, დათავთავების შემდეგ კი ეცემა. ეს მოვლენა შეიძლება ახსნილ იქნას მოსამწიფებელი მცენარის სიცოცხლის უნარიანობის შემცირებით და ნივთიერებათა ცვლის ენერგიის შეუსტებით.

ელიზაროვას მიერ კატალაზი განსაზღვრული იყო როგორც ჯიშური თვისება. სხვა მკვლევარების მიერ დადგენილ იქნა კავშირი კატალაზისა და სუნთქვას შორის.

კონოვალოვას (1) მიერ დადგენილია, რომ ხორბლის სხვადასხვა იარუსის ფოთლებში განსხვავებულია C ვიტამინის შემცველობა და ფერმენტთა სინთეზირება. კატალაზის აქტივობა ზედა ორი იარუსის ფოთლებში დიდია, ვიდრე ქვედა იარუსის ფოთლებში.

გორტიჯოვას (2) მონაცემებით პეროქსიდაზის აქტივობაზე გავლენას ახდენს მცენარის განვითარების ფაზა.

ექსპერიმენტარული ნაწილი

სიმინდის სხვადასხვა ჯიშის ფოთლებში და ნაყოფებში C ვიტამინი ისაზღვრებოდა ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში: როდესაც გამოღებული ჰქონდა მკვდი ფოთოლი, ყვავილედების გამოღებისას და რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში (1955 წ. ცდებიდან), ხოლო კატალაზი და პეროქსიდაზი ორ უკანასკნელ ფაზაში (1956 წლის ცდებიდან).

ცდები წარმოებდა ინსტიტუტის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილებაში. ცდის ობიექტად აღებული იყო სიმინდის 4 ჯიში: ქუთაისის თეთრი, გეგუთის ყვითელი, აჯამეთის თეთრი და აბაშის თეთრი.

თესვის წინ სათესლე მასალა 24 საათის განმავლობაში მოთავსებული იყო კალიუმპერმანგანატის, ბორის მჟავას, ქლორიანი

კობალტის და შაბიამნის 0,02%-იან ხსნარში. თესვას ვაწარმოებდით თესლების ოდნავ შეშრობის შემდეგ. ყოველი ჯიშიდან ცდის ქვეშ იყო 50—50 მცენარე, რომლებიდანაც იღებოდა საშუალო ნიმუში. მასალის აღება საანალიზოდ ხდებოდა შუა ზონის ფოთლებიდან, დღის 12 საათზე.

C ვიტამინის განსაზღვრას ვაწარმოებდით საკავშირო სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ვიტამინების საკონტროლო სადგურის მიერ შემუშავებული მეთოდით (4).

კატალაზი და პეროქსიდაზი ისაზღვრებოდა ერმაკოვისა და სხვ... სახელმძღვანელოს მიხედვით (3).

სიმინდის ფოთლებსა და ნაყოფებში C ვიტამინის შემცველობის, კატალაზისა და პეროქსიდაზის აქტივობის განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილებში.

№ 1 ცხრილიდან ჩანს, რომ C ვიტამინის შემცველობა სიმინდის ფოთლებსა და ნაყოფებში ჯიშურ განსხვავებას ამჟღავნებს და ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში დინამიკურია. პირველ ვადაში (როდესაც გამოღებული აქვს 7 ფოთოლი) C ვიტამინის შემცველობა ნაკლებია, ხოლო მომდევნო ფაზებში მატულობს და რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში ყველაზე მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი.

შესწავლილ ჯიშებიდან რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფისას ჩვენს პირობებში C ვიტამინის ყველაზე მეტი შემცველობით ხასიათდება ქუთაისის თეთრი.

მიკროელემენტებმა მანგანუმმა და ბორმა C ვიტამინის შემცველობა გაადიდა, შედარებით საკონტროლოსთან, მაგრამ მანგანუმის გავლენა უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ბორის.

სიმინდის ნაყოფებში რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ფაზაში C ვიტამინის განსაზღვრის შედეგები იმავე ცხრილშია მოცემული. ნაყოფებში C ვიტამინის შემცველობა ყველაზე მეტია ქუთაისის თეთრში, ხოლო გეგუთის ყვითელში ნაკლებია, მაშასადამე, სიმინდის ფოთლებში C ვიტამინის მეტ შემცველობას, ნაყოფებშიც ამ ვიტამინის მეტი შემცველობა შეესაბამება.

№ 2 ცხრილში ნაჩვენებია კატალაზის აქტივობა სიმინდის ფოთლებში. ცხრილიდან ჩანს, რომ კატალაზის აქტივობა ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში სხვადასხვანაირია. ყვავილედების გამოღებისას კატალაზის აქტივობა ნაკლებია, ვიდრე რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. კატალაზის აქტივობა ჯიშურ სხვაობას ამჟღავნებს. რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში კატალაზის ყველაზე მეტი

C ვიტამინის შემცველობა სიმინდის სხვადასხვა ჯიშის ფოთლებში და ნაყოფებში მგ %-ით

ცხრილი № 1.

ჯიშის დასახელება	მასალის აღების დრო	ფოთლებში			ნაყოფებში		
		Mn	B	საკონტროლო	Mn	B	საკონტროლო
1. ჭუთაისის თეთრი							
გამოღებული აქვს 7 ფოთოლი	26/VI	66,16	63,45	40,04			
მამრობითი ყვავილედის გამოღებისას	5/VIII	69,46	63,55	60,59			
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში		181,96	168,04	155,16	73,69	76,03	69,92
2. გეგუთის ყვითელი							
გამოღებული აქვს 7 ფოთოლი	26/VII	60,69	55 74	54,71			
მამრობითი ყვავილედის გამოღებისას	5/VIII	65,70	53,20	58,77			
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში		165,72	139.42	165,60	65,47	97,15	63,36
3. აჯამეთის თეთრი							
გამოღებული აქვს 7 ფოთოლი	26/X	95.81	75,27	55.92			
მამრობითი ყვავილედის გამოღებისას	5/VII	68,55	65,50	57,16			
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში		168,96	168,54	125,16	80,25	90,81	69,52

აქტივობით აჯამეთის თეთრი ხასიათდება (საკონტროლო). აღსანიშნავია, რომ ფაზების მიხედვით, კატალაზის აქტივობის მატება სხვადასხვა ჯიშში ერთნაირად არ არის გამოხატული ზოგიერთ ჯიშში (აჯამეთის თეთრი) ფაზების მიხედვით სხვაობა მეტია, ზოგიერთ ჯიშში (გეგუთის ყვითელი) კი შედარებით ნაკლებია.

მიკროელემენტების Mn, B, Cu, Co-ის გავლენა კატალაზის აქტივობაზე განსხვავებული აღმოჩნდა. როგორც ამავე ცხრილიდან ჩანს ბორისა და სპილენძის გავლენით კატალაზის აქტივობა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ფაზაში გაიზარდა. აბაშის თეთრში ბორის და მანგანუმის მოქმედება უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

№ 3 ცხრილში ნაჩვენებია კატალაზის აქტივობა სიმინდის ნაყოფებში. ცხრილიდან ჩანს, რომ კატალაზის აქტივობა სხვადასხვა

კატალაზის აქტივობა სიმინდის ზოგიერთი ჯიშის ფოთლებში (გამოყოფილა O_2 კუბურ სანტიმეტრებში)

ცხრილი № 2.

ჯიშის დასახელება	მასალის აღების დრო	ვეგეტაციის პერიოდი	Mn	B	Cu	Co
1. ქუთაისის თეთრი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17 VII	4. 3	4,33	5.66	5,23	5,53
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	23 IX	4.53	4.70	5,20	5,40	5.03
2. აჭამეთის თეთრი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17 VIII	4.12	4,37	4,62	5.40	4.50
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20 IX	5,01	5,53	5, 0	5,80	5,53
3. გეგუთის ყვითელი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17 VIII	4,55	5,12	4.22	4.60	4.22
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20 IX	4,46	5,71	5,00	6.40	4,46
4. აბაშის თეთრი						
ყვავილედების გაძოღებისას . .	17 VIII	4.43	4,23	5,00	4.63	4,83
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20 IX	4,80	5,45	5,73	3,33	5,00

კატალაზის აქტივობა სიმინდის ზოგიერთი ჯიშის ნაყოფებში (გამოყოფილი O_2 კუბიკურ სანტიმეტრებში)

ცხრილი № 3.

ჯიშის დასახელება	მასალის აღების დრო	ვეგეტაციის პერიოდი	Mn	B	Cu	Co
ქუთაისის თეთრი	23 IX	5.3	4,8	6,53	5,86	4,73
აჭამეთის თეთრი	20 IX	4,73	4.4	5,33	4,80	4,78
გეგუთის ყვითელი	20 IX	5.63	4,13	6,66	5,53	5,40
აბაშის თეთრი	20 IX	5,46	4,40	6,90	5,60	5,33

პეროქსიდაზის აქტივობა სიმინდის ზოგიერთი ჯიშის ფოთლებში

ცხრილი № 4.

ჯიშის დასახელება	მასალის აღების დრო	საკონტროლო	Mn	B	Cu	Co
1. ქუთაისის თეთრი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17|VII	17.0	22,6	15,2	23.5	7,7
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	23|IX	20,0	20,0	15.8	21.0	25,4
2. აჯამეთის თეთრი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17|VIII	19.0	16.0	16,4	20,4	6,2
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20|IX	6.8	7,5	9,0	6.0	11,5
3. გეგუთის ყვითელი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17|VIII	19.0	21.6	17.4	19,2	8,8
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20|IX	3.8	6.1	6,1	10,8	12,0
4. აბაშის თეთრი						
ყვავილედების გამოღებისას . .	17|VIII	12.6	11.8	11,0	16,2	10,8
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში	20|IX	16,0	11.8	10,2	14,0	20,6

კატალაზისა და პეროქსიდაზის აქტივობა სიმინდის სხვადასხვა ზონის ფოთლებში

ცხრილი № 5.

ჯიშის დასახელება	მასალის აღების დრო	ქვედა ზონა		შუა ზონა		ზედა ზონა	
		კატალაზი	პეროქსიდაზი	კატალაზი	პეროქსიდაზი	კატალაზი	პეროქსიდაზი
აჯამეთის თეთრი							
7 ფოთლის გამოღებისას .	13|VIII	4.3	12.9	4,77	18,0	4,47	16,0
რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში		4,71		5,47		5,10	

ჯიშის სიმინდის ნაყოფებში განსხვავებულია. კატალაზის ყველაზე მეტი აქტივობით ხასიათდება აჯამეთის თეთრი (5,63), ხოლო გეგუთის ყვითელში ამ ფერმენტის აქტივობა ყველაზე ნაკლებია (4,73).

ფოთლებსა და ნაყოფებში კატალაზის აქტივობის შედარებისას ირკვევა, რომ ფოთლებში კატალაზის მეტ აქტივობას ნაყოფებშიც კატალაზის მეტი აქტივობა შეესაბამება და პირიქით, ფოთლებში ნაკლებ აქტივობას — ნაყოფებშიც ნაკლები აქტივობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიკროელემენტებიდან ბორის გავლენა უფრო ეფექტური აღმოჩნდა. სპილენძის გავლენით დასახელებულ ფერმენტის გადიდების ტენდენციაა.

პეროქსიდაზი განსაზღვრული იყო სიმინდის იმავე ჯიშების ფოთლებში, შედეგები წარმოდგენილია № 4 ცხრილში. ციფრობრივი მასალის შედარებისას ირკვევა, რომ პეროქსიდაზის აქტივობა ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში განსხვავებულია: ყვავილედების გამოღებისას უფრო მეტია, ხოლო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფისას კლებულობს, პეროქსიდაზის აქტივობაშიც სხვაობა ამ ორ ვადაში სხვადასხვა ჯიშში არ არის ერთნაირი: აჯამეთის თეთრში და გეგუთის ყვითელში ეს სხვაობა მეტადაა წარმოდგენილი (ამ უკანასკნელში თითქმის ხუთჯერ შემცირდა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში), ვიდრე ქუთაისის თეთრსა და აბაშის თეთრში.

მიკროელემენტებიდან სპილენძის გავლენა ყვავილედების გამოღებისას მეტი აღმოჩნდა და ყველა ჯიშში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი. რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში ზოგ ჯიშში (აჯამეთის თეთრი, აბაშის თეთრი), ამ ფერმენტის აქტივობა შემცირდა. ამ უკანასკნელ ვადაში კობალტის გავლენა უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე სპილენძისა.

კატალაზისა და პეროქსიდაზის აქტივობა განსაზღვრული იყო სხვადასხვა ზონის ფოთლებში, როგორც № 5 ცხრილიდან ჩანს, სხვადასხვა ზონის ფოთლებში დასახელებულ ფერმენტთა აქტივობა განსხვავებულია: ქვედა ზონის ფოთლებში ყველაზე ნაკლებია შუა ზონაში მეტია, ზედა ზონის ფოთლებში ისევ კლებულობს, მაგრამ ქვედა ზონის ფოთლებთან შედარებით მაინც მეტადაა წარმოდგენილი.

ჩატარებული მუშაობის საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნები:

1) სიმინდის ფოთლებში ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში C ვიტამინის შემცველობა დინამიკურია. ადრეულ ფაზაში ნაკლები რა-

ოდენობითაა, შემდეგ მატულობს და რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ფაზაში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი.

2) შესწავლილ ჯიშებიდან (ჩვენს პირობებში) C ვიტამინის მეტი შემცველობით ქუთაისის თეთრი ხასიათდება, ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობით გეგუთის ყვითელშია.

3) თესლების თესვის წინ კალიუმპერმანგანატის და ბორის მჟავას 0,02%-იან ხსნარში დამუშავებით სიმინდში გადიდდა C ვიტამინის შემცველობა Mn-ის გავლენა უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

4) სიმინდის ფოთლებში ადრეულ ფაზაში — ყვავილედების გამოღებისას კატალაზის აქტივობა ნაკლებია, ხოლო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში მეტია, პეროქსიდაზის აქტივობა კი პირიქით: ადრეულ ფაზაში მეტია, ხოლო მომდევნო ფაზაში კლებულობს.

5) ბორისა და სპილენძის გავლენით კატალაზის აქტივობა მატულობს, რაც ზოგ ჯიშში მეტად აღინიშნება (აჯამეთის თეთრი, გეგუთის ყვითელი). სპილენძის გავლენით პეროქსიდაზის აქტივობა ადრეულ ფაზაში მატულობს.

6) სიმინდის შესწავლილ ჯიშებიდან, კატალაზისა და პეროქსიდაზის მეტი აქტივობით ხასიათდება აჯამეთის თეთრი, ხოლო გეგუთის ყვითელში დასახელებულ ფერმენტთა აქტივობა ნაკლებია.

ლიტერატურა

1. А. Г. Добрунов. Физиологические изменения в онтогенезе растений, 1956.
2. Н. Н. Гортикова. Активность ферментов и содержание пигментов пластид у растении заполярья. Экспериментальная ботаника, т. 7, 1950.
3. А. И. Ермаков, В. В. Арасимович, М. И. Смирнова-Иконникова, И. К. Мурри. Методы биохимического исследования растений, 1952.
4. Министерство здравоохранения СССР. Методическое руководство по определению витаминов С, В, Д, А и картина в пищевых продуктах и витаминных препаратах, 1950.
5. Я. В. Пеиве. Роль микроэлементов в питании растений и животных. Биохимия, т. 20, вып. 3, 1955.

6. М. Я. Школьник, Н. А. Макарова. О предпосевной обработке семян и внекорневом питании микроэлементами. Земледелие, № 11, 1954.

7. М. Я. Школьник, Н. Я. Макарова, М. М. Стеклова. Влияние микроэлементов на углеводный обмен растений. Ботанический журнал СССР, т. XXXII, № 6.

8. П. Б. Раскатов. Физиология растений с основами микробиологии, 1954.

ა. ც. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XXII, 1960.

დ. ხეცურიანი

კოლხური ხოხბის ბიოეკოლოგიის ზოგიერთი საკითხისათვის

1. გამრავლება. ცხოველთა გამრავლების პროცესის პერიოდების ზუსტი თარიღების დადგენა ძნელია, რადგან იგი დიდად დამოკიდებულია გარემო პირობებზე. მიუხედავად ამისა, წლის ერთნაირ სეზონებში დაკვირვების რამდენიმეჯერ განმეორებით შესაძლებელია მიახლოებითი დრო მაინც იქნეს დადგენილი.

დაგროვილი მასალის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხოხობი კოლხეთის დაბლობში გამრავლებისათვის მზადებას ჯერ კიდევ მარტის ბოლოდან იწყებს. ამ დროისათვის დედალს მეტად თვალსაჩინოდ აქვს გადიდებული საკვერცხე, კვერცხგამტარი და განსაკუთრებით კლოაკა. საკვერცხეში ჩვენ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი 24 ცალი კვერცხი დავითვალეთ. ზოგი მათგანის სისხო ლობიოს მარცვალზე ბევრად დიდი იყო. შეუღლების ან ეგრეთწოდებული „ტიხტიხის" დროს დედალ ინდივიდებში გამრავლებისათვის მზადება თითქმის სხვა მორფოლოგიური ნიშნით არ მეღავნდება. ერთი გარეგნული ნიშანია ის, რომ დედალი უფრო მოძრავია და გამუდმებით ეძებს მამალს. ამ პერიოდში დედალს ხშირად შევხვდებით ღია, გაშლილ ადგილებში, რაც სხვა პერიოდებისათვის იშვიათია. მამალ ინდივიდებში 10—15 დღით უფრო ადრე, ვიდრე დედალში, მეღავნდება ქცევის ზოგიერთი ნიშანი: მარტის მეორე ნახევრიდან მამლები ჯგუფდებიან და იკუთვნებენ ტერიტორიებს. დილა ადრიანად ისმის მამლის ყივილი, რომელსაც შინაური ყვინჩილის ყივილს ამსგავსებენ (2). მამალი ხოხბის ყივილი ერთი კილომეტრის მანძილზე შეგვიძლია გავიგონოთ. ყივილს თან ახლავს ფრთების შერხევა. მამალ ხოხობს ახასიათებს აგრეთვე კოსკოსი. კოსკოსი წყვეტილი ბგერებისაგან წარმოიშობა და ადამიანის მიერ წარმოთქმულ „კოკო-კოკოს" მოგვაგონებს. იგი დიდად განსხვავდება ყივილისაგან. საზოგადოდ ასეთი

კოსკოსი ისმის მამლის აფრენის დროსაც. გამრავლების დასაწყისში მამლის სათესლეები ძლიერ მსხვილდება. ამ პერიოდში მამალი დედლებთან ტიხტიხში ატარებს დროს. ხშირად ხდება, რომ ნახულ საკვებს დედალს შესთავაზებს. ტიხტიხის პერიოდი ინტენსიურად 10—15 აპრილამდე გრძელდება. ამ პერიოდიდან იწყება მამლის შეუღლება დედლებთან, დედლის მიერ საბუდარი ადგილის გამოძებნა და ზრუნვა ბუდის აგებისათვის. ზოგიერთი ავტორი (3) გადმოგვცემს, რომ ხოხობი თითქოს ღამითაც ტიხტიხობდეს და ახდენდეს შეუღლებას, რაც ჩვენს მიერ არ ყოფილა შემჩნეული და, საერთოდ, საეჭვოდაც მიგვაჩნია. კოლხური მამალი ხოხობი რამდენიმე დედალთან იჭერს კავშირს (პოლიგამია). ერთ მამალს, უმეტეს შემთხვევაში ერთი, ორი და, იშვიათად, სამი დედალი ახლავს. ამას აღნიშნავენ სხვა ავტორებიც (4, 5). ამ პერიოდში მამალ ხოხობს ემჩნევა თვალის ხავერდოვანი მიდამოს ოდნავ გამუქება.

ხოხობის საბუდარი ადგილი ვანსაზღვრულია. გაზაფხულზე გამრავლების პერიოდში მამლის კოსკოსი და ყივილი, ერთი მხრივ, არის ნიშანი დედლისათვის, რომ მას დაუკავშირდეს, მეორეს მხრივ, ამ ხმიანობას აქვს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა სხვა მამლისათვის, რომ ეს არე უკვე დაკავებულია; მის კუთვნილ ტერიტორიაზე თუ მეორე მამალი შემოიჭრება, მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება. იგი შინაური მამლების ბრძოლას მოგვაგონებს და საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ამ დროს ისინი ჰკარგავენ ჩვეულებრივ სიფხიზლეს, რადგან დაღლილ-დაქანცული არიან. სწორედ ამით აიხსნება, რომ სოფელ ოტობაიაში (გალის რაიონი) მძღოლმა კ. ზამთარაიამ 1935 წელს (მანქანით მიმავალმა) მოჰხუბარი ორი მამალი ხოხობი ცოცხლად დაიჭირა. ჩხუბის დროს ასეთი თავდავიწყება მურგაბის ხოხობის მიმართაც არის შემჩნეული (5).

ბუდე. ხოხობი განსაკუთრებული გულმოდგინებით ეძებს და ირჩევს თავის საბუდარ ადგილს. ხოხობი ბუდეს ყოველთვის მშრალ და ამაღლებულ ადგილზე იკეთებს. ბუდე, ჩვეულებრივ, ძნელად მისასვლელ ადგილებშია გაკეთებული; გზის და ბილიკის ახლოს ის საერთოდ ნაკლებად გვხვდება, მაგრამ დამდგარ ან გამდინარე პატარა წყლებს ყოველთვის ახლოს ესაზღვრება.

ხოხობი ბუდეს მიწის ზედაპირზე იკეთებს. ბუდისათვის აუცილებლად არჩევს ჯაგნარს, ეკლიან ბუჩქნარს, რომელიც დაცულია წყლისაგან.

ბუდე, რომელსაც საერთოდ მხოლოდ დედალი აშენებს, ძალიან მარტივი აგებულებისაა. მამალი არა თუ მონაწილეობას იღებს ბუდის კეთებაში, და ახალგაზრდების აღზრდაში, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს (3), არამედ, პირიქით, თუ კი მიაგნებს, ბუდეს ფეხებით გაქექავს, ანგრევს და კვერცხებსაც ამტვრევს ხოლმე; ეს შემჩნეულია ზოოპარკის პირობებში (1). ამიტომ ამ დროისათვის დედალი ყოველთვის ერიდება მამალს. დედალი ბუდის აგებას 3—5 დღეს ანდომებს; ის ბუდეს აგებს წინა წლის გამხმარი ბალახებითა და ხმელი ფოთლებით. ხოხბის ბუდობა ყოველთვის ზუსტ და გარკვეულ რიცხვებს შეიძლება არ დაემთხვეს და კლიმატური ფაქტორების გამო ერთგვარი მერყეობა განიცადოს. ბუდის აგების დრომ შეიძლება 10—15 დღით დაიგვიანოს, თუ აპრილის დღეები თბილია და ტყეც შეთოთლილი, კვერცხის დება შეიძლება პირველ ნახევარშიც დაიწყოს. საერთოდ კი ეს პროცესი აპრილის თვის მეორე ნახევრიდან იწყება.

ბუდის აგება, წიწილების გამოჩეკა და მათზე მზრუნველობა ევალება მხოლოდ დედალს, მამალი კი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ბუდის აგებასა და პატარების მოვლის საქმეში.

ჯ. კვერცხის დება. ხოხბის კვერცხის დების დასაწყისად თითქმის ყველა ავტორი აპრილს თვლის, თუმცა კოლხური ხოხბის შესახებ ამ მხრივაც არაფერია ზუსტად ნათქვამი; ჩვენი მონაცემით დადგინდა, რომ ის კვერცხის დებას სწორედ ამ თვიდან იწყებს. უფრო ზუსტად: კოლხური ხოხობი კვერცხს დებს აპრილის 10—15 რიცხვიდან და 15 მაისისათვის ამთავრებს. ზოგჯერ ეს პროცესი მაისის ბოლომდეც გრძელდება. იგი საშუალოდ 12—16 კვერცხს დებს. არის შემთხვევები, როდესაც კვერცხების რაოდენობა 18—20 ცალს აღწევს, მაგრამ არასოდეს არის 12-ზე ნაკლები და 20-ზე მეტი.

ზოგიერთი ხოხბის კვერცხის დების მინიმუმად 8 ცალსაც ასახელებს (3). აზრი იმის შესახებ, რომ ხოხობი კვერცხის დებას მაისის ბოლოდან ანდა ივლისის პირველი დღეებიდან იწყებდეს, არ მართლდება კოლხური ხოხბის მიმართ. არც ჩვენ, არც რომელიმე მონადირეს არ გვქონია შემთხვევა, რომ ივლისში ხოხობი კვერცხებზე გვენახოს.

როგორც ვთქვით, კოლხური ხოხობი კვერცხს დებს აპრილის მეორესა და მაისის პირველ ნახევარში. ივნისის პირველ რიცხვებში ჩვენ ხოხბის პატარა წიწილების გუნდები გვინახავს. ადგილობრივი მცხოვრებლები, საერთოდ, და ზოგიერთი მონადირე, კერძოდ,

ფიქრობენ. თითქოს ზაფხულის პერიოდში კოლხური ხოხობი ორჯერ დებდეს კვერცხს. ამას იმით ადასტურებენ, რომ ზოგჯერ გვიან, შემოდგომაზე, ნახულობენ ხოხბის ახალგაზრდა წიწილებს. ამას ჩვენი დაკვირვებაც ადასტურებს: ოქტომბრის თვეში სოფელ ოტობაიაში (გალის რაიონი) ვნახეთ ხოხბის წიწილი, რომელიც 2,5—3 თვის ასაკისა თუ იყო. ეს ფაქტი უსათუოდ საყურადღებოა, მაგრამ ამით არ შეიძლება — დადგინდეს, რომ ვითომ დედალი ხოხობი საერთოდ ორჯერ ჩეკდეს წიწილებს. სინამდვილეში ეს იშვიათი შემთხვევა, ჩვენი აზრით, ასე უნდა აიხსნას: თუ დედალს რაიმე შემთხვევის გამო დაეღუპა პირველი კვერცხები, შეიძლება მეორედ დადოს (4—6 ცალი) ივნისის ბოლოს ან იშვიათად ივლისის თვეში. „დაგვიანებული“ წიწილი მხოლოდ ასეთი შემთხვევის შედეგი უნდა იყოს. ეს ფაქტი შემჩნეულია სხვა ავტორების მიერაც (3).

4. კვერცხი. ხოხბის კვერცხი მუქი მოლურჯო ფერისა და ქათმის კვერცხზე დიდად პატარაა. კვერცხის თავი ფუძესთან შედარებით საგრძნობლად წვრილია. მისთვის არ არის დამახასიათებელი არც წინწკლები და არც რაიმე ლაქები; მოლიპული ზედაპირი აქვს; წონით 26—28 გრამია. კვერცხის ნაჭუჭი ქათმის კვერცხის ნაჭუჭზე ოდნავ სქელია. კვერცხის სიგრძე უდრის 5,6 სანტიმეტრს, სიგანე კი — 4,4 სანტიმეტრს.

5. კრუხობა. ბუდეში კვერცხზე მხოლოდ დედალი ხოხობი ზის როგორც დღისით, ისე ღამით. კრუხობა 23—25 დღე გრძელდება. კრუხი მთელი 24 საათის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ტოვებს ბუდეს და ისიც ორი-სამი საათით. პირველად გამოდის დილით 11 საათიდან, ხოლო მეორედ — მეტ შემთხვევაში ნაშუადღევის 4 საათიდან. ბუდიდან გადმოდის წყლისა და საკვების მისაღებად და ფიზიკური მოდუნების დასაძლევად.

ხოხობი, როგორც აღვნიშნეთ, წყლის ახლოს ბუდობს. ზოგჯერ იგი წყურვილს ცვრიანი ბალახითაც იკლავს. დედალი კრუხობისას ბევრ ენერგიას ხარჯავს და ხარბადაც იკვებება, მაგრამ მაინც გამხდარია, ზოგჯერ მისი წონა 500—600 გრამს უდრის. კვერცხების მოვლას კრუხი ძლიერ ყურადღებით ეპყრობა და ამიტომ კვერცხის დების პერიოდში რამდენჯერმე მოინახულებს ბუდეს. ხანჯდება კიდეც შიგ. დედალი კვერცხებს გამოსაჩეკად აჯდება მხოლოდ მაშინ, როცა კვერცხის დებას დაამთავრებს. ამიტომ არის, რომ მისი ერთი ნაჩეკი წიწილები თითქმის ყველა ერთი ზომისაა. იშვიათია კვერცხის გაფუჭების შემთხვევა. ხოხობი ბუდიდან აფრენით არ

გადმოდის, არამედ გადმოხტომით. ძლიერი სქელი ეკლიანი ჯაგებიდან გადის ბალახიან ველში, ის ბუდეს არ შეიძლება გასცილდეს 30—50 მეტრზე მეტი მანძილით.

როგორც ბევრი სხვა ფრინველებისათვის, ისე ხოხბისათვის დამახასიათებელია მუცელზე ე. წ. კრუხობის ნაჯდომი ლაქა (наседные пятно) — მუცლის მიდამოში ორ ადგილზე სრული სიშიშვლე. შეფერილობის თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია და მიზანშეწონილია დედალი ხოხბის ჯდომა ბუდეში, მამალი რომ ცვლიდეს დედალს, მტრისათვის იგი ალბად უფრო შესამჩნევი იქნებოდა და ამით მთელი ოჯახი ადვილად დაიღუპებოდა.

6. წიწილები. კვერცხებზე ჯდომა 23—25 დღე გრძელდება. 3—4 დღეში წიწილების გამოჩეკა მთავრდება. გამოჩეკიდან ორი-სამი დღის შემდეგ კრუხი წიწილებთან ერთად სტოვებს ბუდეს და აღარ უბრუნდება მას. დედა წინამძღოლობს და ურჩევს წიწილებს საკვებს.

ხოხბის წიწილი მოძრაობით, ხმიანობითა და მოქმედებით ძლიერ ჰგავს შინაური ქათმის წიწილს. მისთვის დაახასიათებელია ჰკურგის მთელ სიგრძეზე სამი შავი ზოლი, რითაც ძლიერ განსხვავდება შინაური ქათმის წიწილისაგან. გარდა ამისა, ხოხბის წიწილები უფრო მეტ ველურობასა და შიშს ამჟღავნებენ საშიშროების შემთხვევაში. თუ ადამიანი ნაჩქარს წააწყდება, წიწილი კი არ გარბის, არამედ მიიმალება, გაძვრება, გაეხვევა ბალახებში ისეთი მოხერხებით, რომ ერთსაც ვერ იპოვით. ხალხმა ხოხბის წიწილის ეს თავისებურება შემდეგნაირად გამოთქვა: „ის ხოხობივით გაძვრაო".

ხოხბის წიწილები 20—25 დღემდე (სქესის მიხედვით) გარეგნობით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან; 30—40 დღის შემდეგ მამალი შეფერადებით ადვილად განსხვავდება დედლისაგან. ყვინჩილისათვის სხეულის უკანა ნაწილზე დამახასიათებელია გრძელი, მოშვითალო ფერის ბუმბული, რომელიც განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ მას მზის სინათლეზე დავხედავთ.

წიწილები გუნდად დაჰყვებიან დედას. პირველ თვეში 4—6 მეტრზე მეტი მანძილით არ შორდებიან მას. მეორე-მესამე თვეში (აგვისტოს დასაწყისში) ოჯახი შეიძლება გაიშალოს 10—16 მეტრი და კიდევ მეტი რადიუსით. მათი სამყოფელი ადგილები არის ჯაგნართა ვიწრო სივრცეები, თავ-თავიანი ბალახები, სათესი ფართობები.

წიწილების პირველი საკვები მეტ შემთხვევაში ცხოველურია, განსაკუთრებით ისინი იკვებებიან პატარა და რბილ სხეულიანი

მწერებით, ჭიანჭველის კვერცხებითა და მატლებით. 6—8 დღის შემდეგ ხეშეშფრთიან მწერებსაც ღებულობენ, ხოლო 8—10 დღის შემდეგ მცენარეულ საკვებსაც ეტანებიან და ბეჯითად ეძებენ სარეველა მცენარეთა თესლებს. ცხოველების განავალს ინტერესით ქექავენ. ხშირად დედისაგან ღებულობენ დანაწილებულ ცხოველურ და მცენარეულ საკვებს. ამგვარი განწყობილება დედასა და შვილებს შორის გრძელდება მანამ, სანამ წიწილები დედასთან იმყოფებიან.

წიწილები ნამდვილი ბუმბულით შემოსვას იწყებენ გამოჩეკიდან 30—35 დღის შემდეგ; პირველად ბუმბული უჩნდებათ ფრთებზე, შემდეგ სხეულის უკანა ნაწილებზე, კუდის მიდამოზე. 60—70 დღის წიწილა თითქმის სავსებით იმოსება ბუმბულით; დაახლოებით აგვისტოს თვეში საბოლოო სამოსით შეიმოსება, თუმცა ბუმბული ჯერ კიდევ მეჩხერია აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის პირველ ნახევარში ზრდას ამთავრებენ. ივლისის შუა რიცხვებიდან წიწილები უკვე გადაფრენას ახერხებენ 100—150 მეტრის მანძილზე, თუ კი ამისი საჭიროება შეექმნებათ. აგვისტოში წიწილები ჯერ კიდევ დედასთან იმყოფებიან. ამ დროისათვის მათი წონა 400—500 გრამამდე აღწევს.

ასე რომ, სამი თვე და უფრო მეტიც ნაჩეკი დედასთან იმყოფება, თუმცა მეორე-მესამე თვეში წიწილებს ემჩნევათ დედისაგან თანდათან დაშორება და ივლისის ბოლოს და აგვისტოს პირველ რიცხვებში ხოხბის ნაჩეკებს საკმაო ფართობი უჭირავთ, ხოლო აგვისტოს მეორე ნახევრიდან დედას შორდებიან და დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ.

35—40 დღე წიწილის დედასთან ყოფნა აუცილებელია. თუ ამ პერიოდში დედას წიწილი დაეკარგა, ის დაიღუპება, ორი-ორნახევარი თვის წიწილა დედას დაჰყვება, მაგრამ კიდეც რომ დაშორდეს დედას (ხშირად ასეც ხდება), ის არ იღუპება. მესამე-მეოთხე თვის დასაწყისში წიწილი დედასთან კავშირს წყვეტს. შემჩნეულია, რომ დედას პირველად სცილდებიან მამლები, უფრო გვიან კი — დედლები.

ამგვარად, დედასთან წიწილის დამოკიდებულებაში განირჩევა სამი პერიოდი: ა) აუცილებელი (1—1,5 თვე), ბ) დაშორების (2—3 თვე) და გ) მთლიანი დაცილების (3—4 თვე).

ახლო მანძილიდან წიწილების სქესთა შორის განსხვავება 30—40 დღის შემდეგ ადვილად შესამჩნევია, ხოლო შორი მანძილიდან დედალ-მამალი მეოთხე-მეხუთე თვეზე შეიძლება გაირჩეს ადვილად.

სქესობრივ მომწიფებას მეშვიდე-მერვე თვეზე აღწევენ და მეორე წლის ზაფხულზე შეუღლებასაც ახდენენ. ერთწლიანი მამალისაგან ძველი მამალი განსხვავდება დეზის სიგრძით (6—8 მილიმეტრი), სიმახვილითა და აგრეთვე მუცელქვედა მუქი შავი სამოსელით.

7. განგური. ხოხობი თავისი სამოსლის ცვლის ან განგურის მიხედვით ეკუთვნის ფრინველთა იმ ჯგუფს, რომელიც თავის სამოსელს თანდათანობით მთელი წლის განმავლობაში იცვლის, როგორც ეს დამახასიათებელია მთელი რიგი ფრინველისათვის. ხოხობი ინტენსიურ განგურს იწყებს გაზაფხულის ბოლოს. ამ დროს ადვილი შესამჩნევია, როგორც საქნევი, ისე საკონტურო ნაკრტენების ახალი წყება.

განგური თუმცა მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, მაგრამ გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში, შედარებით უფრო ინტენსიურია. შემოდგომისათვის გასქელებულია სამოსელი, რომელიც ხოხობს იცავს ზამთრის სიცივისაგან. თუ გაზაფხულზე (მაისში) ხოხობს (უფრო მეტად მამალს) ხელში ავიყვანთ და ფრთებს დავუთვალიერებთ, ძველ ნაკრტენებს შორის დავინახავთ ამოჩრილ, ახალ 2—3 სანტიმეტრის სიგრძის პატარა და სათუთ ბუმბულს. ეს ბუმბული შემოდგომისათვის უკვე ზრდადამთავრებულია. სწორედ გაზაფხულზე, უფრო მეტად ზაფხულის პერიოდში, როგორც მამალს, ისე დედალს ხშირად ემჩნევა მოძველებული და ბოლომოცვეთილი საკონტურო ნაკრტენები, რაც თანდათანობით იცვლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს შეეხება საჭის ნაკრტენებსაც. ზამთრის სამოსი უფრო მჭიდროა. ამ დროს ნაკრტენის ცვლა ნაკლებია. ძველ მამალს მუცლის და კუდის ქვედა ზღარეზე ნაკრტენები მოელვარე შავი აქვს. სხეულის წინა ნაწილის განგური თავის და მკერდის მიდამოდან იწყება, ყველაზე გვიან საჭის ნაკრტენები განიცდიან განგურს.

შემჩნეულია, რომ მამალ ინდივიდში განგური შედარებით ინტენსურად მიმდინარეობს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, ხოლო დედლისა კი — ბუდობის დამთავრების შემდეგ (ზაფხულში).

ამგვარად, განგური მიმდინარეობს შეუმჩნეველად, არა ერთბაშად, მაგრამ წლის სეზონებში არათანაბრად. მაგალითად, უფრო მეტად შესამჩნევია გაზაფხულ-ზაფხულზე და უფრო ნაკლებად — შემოდგომა-ზამთარში.

8. მიგრაცია. ამა თუ იმ ფრინველის ბიოეკოლოგიის შესწავლისას მიგრაციის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფრინველის მიგრაცია სხვადასხვანაირია. ზოგი

აწარმოებს შორეულ მიგრაციას, ზოგიც მხოლოდ მაღლობიდან დაბლობში ჩამოდის ან, როგორც იტყვიან, მომთაბარეობს; ზოგიც ზამთარ-ზაფხულს ერთსა და იმავე ადგილზე გვხვდება და სხვ. რაც შეეხება კოლხურ ხოხობს, იგიც ეკუთვნის იმ ფრინველთა ჯგუფს, რომელსაც მობინადრეებს უწოდებენ. კოლხური ხოხობი მიუხედავად იმისა, რომ ზღვის დონიდან რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება, მომთაბარეობას მაინც არ ეწევა, ამის მიზეზი შემდეგშია: კოლხეთის დაბლობის გორაკ-ბორცვიანი ბიოტოპი, სადაც ხოხობი მეტი რაოდენობით გვხვდება, დაფარულია ეკლიანი ჯაგნარით და ლეშამპოს ტიპის მცენარეულობით. მცენარეული საფარის ეს თავისებურება შესაძლებლობას არ იძლევა თოვლით დაიფაროს მიწის მთელი ზედაპირი და ამიტომ ასეთ პირობებში ხოხობი საკვებსაც პოულობს და საიმედო თავშესაფარსაც. ზეგანი ბიოტოპი ზღვის-პირა ბიოტოპთან შედარებით, ბევრად უკეთესია ნიადაგის სიმშრალისა და საკვების მოპოვების მხრივ. სწორედ ამიტომაა, რომ ხოხობი — ზეგანის ჯაგნარში უფრო მეტი რაოდენობით იმყოფება. ის მაღლობიდან დაბლობში არ ეშვება; მომთაბარეობას არ ეწევა.

ლიტერატურა

1. მებუკე გ. მ., მასალები ოქროს ფერი ხოხბის ბიოლოგიის შესწავლისათვის, თბილისი, ზოოპარკის შრომები, ტომი I, 1948 წ.

2. Мензбир М. А., Охотничьи и промысловые птицы Европейской России и Кавказа, два тома, Москва, 1900—1902 г.г.

3. Мекленбурцев Р. Н., Новые данные по распространению и экологии зеравшанского фазана. Бюллетень Московского общества испытателей природы XVIX, вып. 5—6.

4. Деметьев Г. П., Гладков Н. А. и др., Птицы Советского Союза, том IV, Москва, 1952.

5. Зарудный Н. А., Орнитологическая фауна Закаспийского края. 1896 г.

6. Строганов С. У., Материалы по размножению таджикского черно-золотого фазана. Бюллетень Московского общества испыт. природы, том 21, вып. 1, 1907 г.

7. Тугаринов А. Я. и Козлова, Е. В., Таджикский фазан. Известия таджикского филиала Академии Наук СССР № 6, 1945.

8. Холодковский И. Т., Силантиев А. А., Птицы Европы, С.-Петербург, 1901 г.

9. Шульпин А. М., Промысловые, охотничье и хищные птицы Приморья. Владивосток, 1936 г.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

პ. ძ ა შ ი ბ ა ძ ე

მოვალეობის შეგნების განვითარება წინარესასკოლო ასაკში

სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება მოვალეობას აიგივებს მოვალეობის გრძნობასთან, ამიტომ მოვალეობის განცდა გადააქვთ ემოციის სფეროში და მას მოქმედების ემოციურ წყაროდ თვლიან. ამ კუთხით უდგებიან მოვალეობის განცდას ა. ვედენოვი, ნ. ლევიტოვი, ტეპლოვი, კორნილოვი, შევარიევი და სხვა ავტორები.

ა. ვ. ვედენოვი ადამიანის მოქმედების წყაროს ჰყოფს 4 ჯგუფად. ერთ-ერთად ის ასახელებს ზნეობრივ გრძნობებს (მოვალეობის გრძნობა, პატიოსნების გრძნობა) და სხვ.[1].

ნ. დ. ლევიტოვის აზრით „მოვალეობის გრძნობის პირველი ოდნავ შესამჩნევი ჩანასახები შეიმჩნევა ბავშვის ცხოვრების მესამე-მეოთხე წელზე, მეხუთე-მეექვსე წელზე ეს ემოციონალური მდგომარეობა განიცდება უკვე ბავშვის მოქმედებისა და ქცევის პროცესში. შემდეგ იქცევა ბავშვის ქცევის მოტივად“[2].

როგორც ცნობილია, გრძნობა მარტივი განცდაა. ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას რაღაც გრძნობა ახლავს თან. გრძნობა, მეტი ან ნაკლები ინტენსიობით, აღმოცენდება სინამდვილის ყოველგვარი მოვლენის განცდის დროს. ის, რა თქმა უნდა, აღმოცენდება მოვალეობის განცდის, გაცნობიერების დროსაც. მაგრამ „გრძნობა მოვალეობის მიღებისა და გაცნობიერების შედეგია და არა მისი მიზეზი, საფუძველი“[3].

ამიტომ არასწორია მოვალეობის განცდის მოთავსება ემოციის სფეროში. ისმება კითხვა — მაშ, სად უნდა მოინახოს ადგილი მო-

[1] Личность как предмет психологической науки. Вопросы психологии, 1936 г., № 1.

[2] Н. Д. Левитов, Детская и педагогическая психология, 1958, стр. 61.

[3] Ш. Н. Чхартишвили, Вопросы психологии, Место потребности и воли в психологии личности, 1958 г. № 2.

ვალეობის განცდისათვის. რა არის მოვალეობით შეპირობებული ქცევის აქტების წყარო, საფუძველი?

როდესაც ადამიანი აწმყოში, ამ წუთში მიმდინარე მოთხოვნებსა და მისწრაფებებს იკმაყოფილებს, იგი ქცევის ისეთ აქტებს აწარმოებს, რომელთა მიზანდასახულება ცხოვრების მიმდინარე პროცესების პასიურ გაცნობიერებას წარმოადგენს. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის გამოთქმით: „ადამიანი იმით განსხვავდება აქ ცხვრისაგან, რომ მის ინსტიქტს ცნობიერება ცვლის, ანუ მისი ინსტიქტი ცნობიერდებაა". იმპულსურ ქცევის სუბიექტს არ აინტერესებს მოთხოვნილებით (აწმყოს მდგომარეობით) შეპირობებული ქცევის აქტების შედეგს რა ღირებულება აქვს პიროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მაგრამ ადამიანი ხომ მთელ თავის ცხოვრებას საკუთარი, პირადი სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად ვერ წარმართავს? ის ამით ხომ ადამიანობას დაკარგავდა. საზოგადოება ხომ პიროვნებას, როგორც კოლექტივის, განსაზღვრული საზოგადოების წევრს, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს. საზოგადოების მოთხოვნილება და პიროვნების ვალდებულება შინაარსობლივად ემთხვევა ერთმანეთს.

საზოგადოება, მართალია, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს პიროვნებას, მაგრამ საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირად როდი ღებულობს მას. ერთნი მხოლოდ საკუთარი ინდივიდუალური მისწრაფებებით ისაზღვრებიან, ზოგისთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებს ეძლევა სასიცოცხლო მნიშვნელობა, — საზოგადოების მოთხოვნებს ღებულობს, როგორც აუცილებელ შესასრულებელს: ზოგიც ნაკლებად ცდილობს ვალის მოხდას საზოგადოების წინაშე.

მოვალეობის მიღება და მისი შესრულება ნებისყოფის სუბიექტს შეუძლია, ნებისყოფა მოვალეობით შეპირობებულ ქცევას მართავს. „იგი ინდივიდს ამორთავს ცხოვრების ახლანდელი მიმდინარეობიდან, აყენებს მას მომენტალურ აწმყოს ინტერესებზე მაღლა და ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ მიმართული აქტიურობის სუბიექტად აქცევს. ამ გზით მომენტის არსება სოციალურ პიროვნებამდე მაღლდება" [1].

მოვალეობით განპირობებული ქცევის მიმდინარეობა შეიძლება პიროვნებისათვის მეტად არასასიამოვნო იყოს, დიდ ფიზიკურ და

[1] შ. ნ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1958, გვ. 268.

სულიერ დაძაბვას მოითხოვდეს მისგან, მაგრამ ქცევის შედეგს გარკვეული ობიექტური ღირებულება გააჩნდეს. ეს შედეგი რომ აინტერესებს, ამ შედეგს რომ დიდი ფასი აქვს, ამიტომ ერთვება პიროვნება ამ ქცევის მიმდინარეობაში.

მოვალეობით განპირობებულ ქცევაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო საკითხებმა — რომელ ასაკში შეიმჩნევა მოვალეობის შეგნების პირველი ჩანასახები? როგორია მისი შეგნების განვითარების დონე წინარესასკოლო ასაკში? ამ საკითხთა გარკვევას გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში — პედაგოგიური პრაქტიკისათვის.

მ ე თ ო დ ი

საკითხის გამოსარკვევად ვამოვიყენეთ ბუნებრივი ექსპერიმენტი. ეს მეთოდი, როგორც ცნობილია, საშუალებას იძლევა დაცულ იქნას ექსპერიმენტის არსიც და განცდის ბუნებრივი მიმდინარეობაც. ცდებს ვატარებდით საბავშვო ბაღებში ისე, რომ ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ მათ ვამოწმებდით, მათ ქცევაზე ვაკვირდებოდით, ამიტომ ისინი ბუნებრივად მოქმედებდნენ.

ცდების ჩატარება დავიწყეთ 2 წლის ასაკის ბავშვებიდან, მაგრამ, რადგანაც აღნიშნული საკითხისათვის ისინი საჭირო მასალას ვერ იძლეოდნენ, ძირითადი ცდები ჩავატარეთ 3—6 წლის ასაკის ბავშვებზე. ცდის ობიექტად გამოვიყენეთ ქუთაისის I და VIII საბავშვო ბაღების 180 ბავშვი.

ცდები ჩატარებულ იქნა ორ რიგად. პირველი რიგის ცდები ჩატარებულ იქნა ორ სერიად. პირველ სერიაში ბავშვებს ეძლეოდათ ისეთი დავალებები, რომელიც მათ რომელიმე მოქმედების შესრულებას უკრძალავდა.

ცნობისმოყვარეობა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დიდია 3—6 წლების ასაკში. 3 წლის ბავშვი ყოველთვის ცდილობს გაიგოს, რა აროის ყუთში, სათამაშოს შიგნით, ახლობლების ჯიბეებში. ვსარგებლობდით რა ბავშვების ამ თავისებურებით, მათ ვუქმნიდით პირობებს, რომელშიაც ცნობისმოყვარეობას განსაკუთრებული ინტერესით უნდა ეჩინა თავი. ამავე დროს ვაძლევდით მოვალეობის შემცველ დავალებას, რომლის შესრულება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ერთდროულად შეუძლებელი იყო. ამიტომ, ბუნებრივია, ან ერთ გზას გაყვებოდნენ ისინი და ან მეორეს: ან მოვალეობის შესრულებას იკისრებდნენ ან კიდევ ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებდნენ. ვფიქრობდით, რომ ასეთ

სიტუაციაში დაკვირვება ჩვენი საკითხის გადაჭრისთვის საჭირო მასალას მოგვცემდა.

პირველი რიგის მეორე სერიის ცდებში ბავშვებს ევალებოდათ აუცილებლად შეესრულებინათ დაკისრებული მოქმედება. ბავშვისაგან, რომელიც გართული იყო თამაშით, მისთვის სასიამოვნო მოქმედებით, მოვითხოვდით ამ მოქმედების შეწყვეტას და ისეთი დავალების შესრულებას, რომელიც მას ამ წუთში სრულიად არ აინტერესებდა.

რა თქმა უნდა ადვილი არაა, რომ ბავშვმა მიატოვოს თამაში და იმოქმედოს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენის გარეშე, რამდენადაც საჭირო და აუცილებელი არ უნდა იყოს ეს მოქმედება სხვებისთვის. ასაკის წინსვლამ გარკვეული ცვლილება უნდა გვიჩვენოს ამ მიმართულებით.

მეორე რიგის ცდებში ბავშვს არჩევანი ეძლეოდა — სურდა შეესრულებინა მიცემული დავალება, სურდა — არა. ამ რიგის ცდებს კი, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად შეუძლია გამოავლინოს მოვალეობის განვითარების დონე ბავშვებში და გვიჩვენოს როდის და რამდენად შესძლებს ბავშვი სხვისი კეთილდღეობისათვის საჭირო მოქმედება მოვალეობად განიცადოს.

ცდებისათვის საჭირო პირობების შექმნაში მონაწილეობდნენ როგორც საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ასევე მშობლებიც. ცდას, რომელსაც ვატარებდით 3 წლის ასაკის ბავშვებზე, ვიმეორებდით ზედა ასაკის ცდისპირებზეც. თუ დავალებას ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებდა, მას მომდევნო ასაკის ბავშვებს აღარ ვაძლევდით.

ცდის მიმდინარეობა დაწვრილებით შეგვქონდა ოქმში.

ცდის შედეგები

ცდის შედეგების გასათვალისწინებლად გავეცნოთ ამონაწერს რამდენიმე ოქმიდან.

პირველი რიგის პირველი სერიის ცდებში 3 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფში შევიტანეთ სათამაშოებით სავსე ლამაზი ყუთი. ყუთი, დავდევით მაგიდაზე და ვუთხარით ბავშვებს: ყუთში ლამაზი სათამაშოებია. ყუთს გავხსნით სადილის შემდეგ, მანამ მას ხელი არავინ ახლოს, არ გახსნათ. ბავშვები დავტოვეთ ოთახში მარტო, ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მათ მოქმედებას, მათდა შეუმჩნევლად. ჩემი ოთახიდან გასვლისთანავე ბავშვების უმრავლესობა მივიდა ყუთთან, გახსნეს ყუთი და დაერივნენ სათამაშოებს. როცა

მათთან შევედი, ისინი უკვე ერთობოდნენ სათამაშოებით. ცალკე იდგა ლია (3 წ.) და თამაზი (3, 11). ყუთთან მე არ მივსულვარ,— ამბობს თამაზი. ლიას შესახებ კი მასწავლებელმა მითხრა, მაგას სათამაშო ხელშიაც რომ მისცე, მაინც არ დაინტერესდება თამაშით, თორემ ყუთთან თვითონ როგორ მივიდოდაო.

როგორც ჩანს, 3 წლის ბავშვების უმრავლესობა ვერ ახერხებს დავალების წინააღმდეგ მიმართული ძლიერი ინტერესის შეკავებას.

საყურადღებო იყო თამაზის (3, 11) მოქმედება. მას მივუტანე პატარა ლამაზი ძანჭანა და ვუთხარი. აიღე, კარგი სათამაშოა, არ გინდა? ბავშვს გაეღიმა და სათამაშო გამომართვა. იგი იქვე ჩაჯდა და მანჭანის თამაშით გაერთო. როგორც ჩანს მას ყვარებია სათამაშოები, მაგრამ მაინც შესძლო თამაშის ინტერესის შეკავება და ინსტრუქციისადმი დამორჩილება. შემდეგშიც ვუკვირდებოდი ამ ბავშვს. იგი ყოველთვის ცდილობდა მიცემული დავალების შესრულებას და როცა ამას აქტუალური იმპულსის ზეგავლენით ვერ ახერხებდა, ტიროდა კიდეც.

იგივე ცდა 4 წლის ბავშვებზე გავიმეორეთ... ყუთი მაგიდაზე დევს. მას მიუახლოვდა თამაზი (4, 1), გაჩერდა მასთან, ხელი მოკიდა, მაგრამ არ გახსნა, დააცქერდა და ჩუმად დაჯდა. გია (4, 3) მიუახლოვდა ყუთს, გახსნა მოინდომა, მაგრამ დანარჩენებმა არ დაანებეს. როცა შევედი, ბავშვებმა ერთხმად შემომჩივლეს, რომ გია და თამაზი მივიდნენ ყუთთან, მაგრამ არ გაუხსნიათო და მეკითხებოდნენ, „ხომ გავხსნით ყუთს სადილის შემდეგ?“

ცდა გავიმეორე 5 წლის ბავშვებზე. ამ ასაკის მხოლოდ ერთმა ბავშვმა, 5 წლის გიამ, ცადა ყუთის გახსნა. იგი თავისებური ბავშვია. გარდა თავისთავისა, სხვაზე არაფერზე ფიქრობს. მისი ჩვეულებრივი დამახასიათებელი გამოთქმებია: „მე მინდა“, „მე მომეცით“. დარწმუნებულია, რაც სხვისთვის აკრძალულია, მისთვის ნებადართულია. იგი საკუთარი სურვილების შესრულებას კატეგორიულად მოითხოვს, ყოველთვის, ყველა პირობებში.

როგორც აღნიშნული იყო ბავშვებს ვპირდებოდით ყუთის გახსნას სადილის შემდეგ. საინტერესო იყო, როგორ მოიქცეოდნენ ისინი ასეთი დაპირების გარეშე?

3 წლის ბავშვებთან ამგვარი ცდის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი ასეთი დაპირების შემთხვევაშიაც ვერ იკავებდნენ თავს. ამიტომ ცდა ჩავატარეთ 4 წლის ბავშვებთან. სადილობამდე რამდენიმე ბავშვმა ყუთის აბლო-მაბლო გაიარ-გამოიარა, თუმც არ უცდიათ გაეხსნათ იგი. როცა სადილის შემდეგ მასწავლებელმა

ბავშვები ხალიჩაზე დასხა და მათ თოჯინებით თამაში დაიწყეს, ბავშვებმა ყუთიც ხალიჩაზე დადვეს, ამოიღეს სათამაშოები და მალე თამაშით გაერთვნენ ისე, რომ მათგან არავის გახსენებია, ყუთის გახსნა რომ არ შეიძლებოდა. ორი ბავშვი თინა (4, 8) და ნუგზარი (4, 9) ერთხანს ბავშვებს, რომელნიც ყუთით თამაშობდნენ, არ შეუერთდა, მათ, თითქოს, რაღაც აწუხებდათ, მაგრამ მალე ისინიც შეუერთდნენ სხვებს.

ცდა 5 წლის ბავშვებზეც ჩავატარეთ. აქ მკვეთრმა განსხვავებამ იჩინა თავი, წინა ასაკთან შედარებით. ნაწილი ბავშვებისა კარგა ხნის შემდეგ მივიდა ყუთთან, მაგრამ მათ არ გაუხსნიათ იგი, ისე გაშორდნენ მას. მერე რამდენჯერმე კიდევ მივიდნენ ყუთთან, მაგრამ ხელი არ უხლიათ მისთვის. ბოლოს სამიოდე ბავშვმა მოინდომა ყუთის გახსნა, მაგრამ სხვებმა მათ „ჩხუბი" აუტეხეს, არ დაანებეს ყუთის გახსნა.

ამგვარად, პირველი რიგის პირველი სერიის ცდებში 3 წლის ბავშვები თითქმის ვერ ახერხებენ ისეთი დავალებების შესრულებას, რომელიც მოთხოვნილების იძპულსებს უპირისპირდება და აქტივობის საშუალებას ართმევს. 4 წლის ბავშვებს ამ მხრივ ერთგვარი წინსვლა ემჩნევათ, ისინი გარკვეული ხნის მანძილზე ახერხებენ ყუთის გახსნისკენ მიმართულ შინაგანი იმპულსისებისადმი წინააღმდეგობის გაწევას, რომელიც მათ ყუთისკენ უბიძგებს, მაგრამ ბოლომდე ვერ ახერხებენ მის შეჩერებას.

5-დან 6 წლამდე ბავშვები მასიურად ახერხებენ ჩვენი დავალების შესრულებას. ისინი სხვა, ასაკით უცროს ბავშვებსაც არ აძლევენ დავალების დარღვევის უფლებას.

პირველი რიგის მეორე სერიის ცდებში ასეთ დავალებას ვიძლევით: ნინელის (3, 2), რომელიც დედოფლების თამაშითაა გართული, ვავალებ მასწავლებლის ოთახში შემოყვანას. მან ამომხედა, თითქოს წამოდგომა უნდოდა, მაგრამ კვლავ განაგრძო თამაში.

3 ბავშვს — რუსიკოს (3, 2), ლიას (3), ნინელის (3, 3) დავავალე მეორე დღეს, დილით მორწყონ ბუნების კუთხეში მოთავსებული ყვავილები. ბავშვები სიხარულით დამეთანხმნენ, მაგრამ მეორე დილით არც ერთს არ შეუსრულებია დავალება. როცა დავალების შეუსრულებლობის მიზეზი ვიკითხე, გამოირკვა, რომ მიცემული დავალება არ გახსენებიათ.

ვერც 4 წლის ბავშვები ასრულებდნენ ამ სახის დავალებას. 5 წლის ბავშვებში კი შესრულების შემთხვევები მეტია, ვიდრე შეუსრულებლობისა.

4 წლის ბავშვების ჯგუფში ყველას დავავალეთ მეორე დღისათვის რვეულის ფურცლის ან ფანქრის მოტანა. 30 ბავშვიდან ეს დავალება მხოლოდ ექვსმა შეასრულა.

5 წლიანი ბავშვების ჯგუფში 23-დან 14 ბავშმა შეასრულა ეს დავალება. ბავშვები გაბრწყინვებული სახით მოაფრიალებდნენ ფურცლებს.

ერთ ბავშს, ბერძენაძე შალვას, დედა მოყვა. ბავშმა, რომ დაინახა, ატირდა, როცა მივუახლოვდით, უფრო უძატა ტირილს. ვეკითხები ტირილის მიზეზს — დამავიწყდა ფურცელი, მასწავლებელო — ამბობს თვალცრემლიანი. ამ ჯგუფში იყვნენ ისეთი ბავშვებიც: სარა (5, 4), მანანა (5, 6), რომელთაც დავალება არ შეუსრულებიათ, მაგრამ ამის გამო არც შეწუხებულან, „არ გაგვახსენდა და რა ვქნათ მერეო" — ამბობდნენ ისინი.

ბავშვების უმრავლესობა მეორე დღეს წუხდა დავალების დავიწყების გამო. საინტერესო იყო, გაგვერკვია, მართლა ავიწყდებოდათ ბავშვებს მიცემული დავალება, თუ დავიწყებას იგონებდნენ თავის გასამართლებლად. ამის შესამოწმებლად ბავშვებს დავალების მიცემასთან ერთად ვპირდებოდი, რომ დავალების შესრულების შემთხვევაში ის მიიღებდა მის საყვარელ ხილს ან ტკბილეულს; მეორე დღეს ირკვეოდა, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვებს დავალებასთან ერთად დავიწყებული ჰქონდათ ეს დაპირებაც. ხოლოდ შეხსენების შემდეგ აგონდებოდათ დავალებაც და მასთან ერთად მიცემული დაპირებაც ტკბილეულის შესახებ.

თუ დავალება შედარებით მოკლე დროშია შესასრულებელი, მას 4—5 წლის ბავშვები, უმეტეს შემთხვევაში, ახერხებენ, მაგრამ თუ ის ორი-სამი დღის შემდეგ უნდა შესრულდეს, მაშინ დავალებას ჩვეულებრივ, თითო-ოროლა თუ ასრულებს.

მეორე რიგის დავალებები უფრო თავისებური იყო. აქ ბავშს ეძლეოდა არჩევანი — სურდათ შეასრულებდნენ დავალებას, სურდათ — არა. ამასთანავე ეუცნობიერებდით ბავშს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დავალების შესრულებას. საინტერესო იყო ამ მიმართულებით რა შედეგებს მოგვცემდნენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები.

ბავშს, მართალია, არჩევანი ეძლეოდა, მაგრამ მან იცოდა, რომ თუ შეასრულებს დავალებას, ეს კარგია სხვისთვის, მისი ახლობლისათვის, დისთვის, ძმისთვის, დედისთვის, მამისთვის ან მასწავლებლისთვის.

შედეგი რომ უფრო ნათელი იყოს, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სადილის შემდეგ ნუგზარს (3, 2) და რუსუდანს (3) (ცალ-

ცალკე) ვაძლევ თითო ვაშლს და ვეუბნები: თქვენ გიყვართ შუშანა მასწავლებელი? ბავშვებმა ღიმილით დამიდასტურეს. ის ავადაა. ეს ვაშლი მოარჩენს; გინდ შეჭამეთ, გინდ მასწავლებელს შეუნახეთ. გადის რამდენიმე წუთი. რუსიკოს მოუსვენრობა ემჩნევა, თითქოს მოწყენილიცაა. შემდეგ ნელა იწყებს ვაშლის ჭამას. ნუგზარმა ვაშლი ხალათის ჯიბეში ჩაიდო, ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გავიდა და იქ დაიწყო ვაშლის ჭამა. როცა მასწავლებელი შემოვიდა. ბავშვები ძალიან შეწუხდნენ, მასწავლებლისაკენ არ იხედებოდნენ, ისე იქცეოდნენ თითქოს რაღაც დანაშაულს გრძნობდნენ მის წინაშე.

თუ მასწავლებელი ბავშვებთანაა და მაშინ ეძლევათ ასეთი დავალება, ბავშვები მას ასრულებენ.

დარეჯანის (5, 2) დედა ავადაა. ვაძლევ მას მსხალს და ვეუბნები, რომ თუ უნდა შეჭამოს, თუ უნდა დედას წაუღოს სახლში. დედას თუ წაუღებს, დედა შეჭამს მას და გახდება კარგად. სადილამდე ბავშვს მსხლისთვის ყურადღება არ მიუქცევია. სადილობის წინ ამოიღო მსხალი, დახედა, შეინახა, კიდევ ამოიღო, ისევ შეინახა. სახლში წასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი. დარეჯანმა უკბიჩა მსხალს და ისევ შეინახა. სახლში რომ მისულა, ტირილი დაუწყია. მსხალი დედისთვის მიუცია და უთქვამს „მსხლისთვის ცოტა მომეკბიჩაო".

4—6 წლის ასაკის ბავშვებს ეძლეოდა ისეთი სახის დავალებებიც, რომელთა შესრულება მათ პირად ინიციატივაზე იყო დამოკიდებული. ისინი ხედავენ რისი გაკეთებაა საჭირო, მაგრამ შეასრულებენ თუ არა ამას, ეს უკვე მათი საქმეა. ბავშვთა დიდი ნაწილი, როცა თამაშითაა გართული, თუ მეორე ამხანაგი ტირის, უთმობს მისთვის სასურველ სათამაშოს მას, ეხმარება ამხანაგს დასვრილი ხალათის გასუფთავებაში, ბაღში მორიგეობის შესრულებაში, მითითების გარეშე ალაგებს სათამაშო კუთხეს, რწყავს ყვავილებს და ა. შ., მაგრამ გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც სათამაშოს, ტანსაცმელეულს და სხვ. აოასგზით არ დაუთმობენ სხვას: თუ დაჟინებით მოთხოვ, ტირიან, გაიძახიან: „მე მინდა, მას რომ მივსცე. მე არ მინდა, თუ?" შეიმჩნევა, რომ ასეთი ბავშვი უფრო ხშირად, ოჯახში ერთაა, იგი განებივრებულია და პირადი სურვილების შეკავებას თავიდანვე შეუჩვეველი.

ასეთი აღზრდილი ბავშვი, რა თქმა უნდა, ვერ შესძლებს საჭიროების შემთხვევაში პირადი სურვილების შეკავებას, აწმყოს მდგომარეობაზე ამაღლებას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 4—6 წლის ასაკის ბავშვების

აბსოლუტური უმრავლესობა ყოველთვის ინსტრუქციის მხარეზეა, ცდილობს დავალების შესრულებას, მაგრამ ხშირად ძალა არ შესწევს, შინაგანი იმპულსები ეწინააღმდეგება მას. საინტერესოა ასეთი ცდები:

ქეთინოს (4, 6) ვეუბნები: შოკოლადი წაუღე დედას, აუცილებლად მიუტანე. მან შოკოლადი ხალათის ჯიბეში ჩაიდო. რამდენიმე ხნის შემდეგ დახედა მას და მითხრა: „შემინახე მასწავლებელო, სახლში რომ წავალ, მაშინ მომეცი". ვეუბნები — „შენ ვერ შეინახავ?". ის ხმას არ იღებს ისე მიდის ბავშვებთან. სადილის დროს, როცა ხელების დასაბანად წავიდა, იქ შეჭამა შოკოლადი. როცა მივედი მასთან, დარცხვენით მითხრა: „შემეჭამა მასწავლებელო".

მარიწეს (5, 11) ვაძლევ იგივე დავალებას. მან შოკოლადი რომ დაინახა, გაიცინა, სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. რამდენიმე ხნის შემდეგ მარინე ტირილს იწყებს. ვეკითხები — მიზეზს. თვალცრემლიანი მეუბნება: „წაიღე მასწავლებელო, შოკოლადი, სახლში რომ წავალ, მაშინ მომეცი". „რატომ მარინე, შენ ვერ შეინახავ?" ამას თქმაზე ბავშვმა თითქოს რაღაც მოიფიქრა, ცხვირსახოცი დააფარა შოკოლადს და მითხრა: „აწი აღარ შემეხედება, მასწავლებელო". მას საღამომდე ხელი არ უხლია შოკოლადისათვის. როცა დედა მის წასაყვანად მოვიდა, მას გადასცა შოკოლადი და ერთბაშად ისე გამხიარულდა, რომ თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიცილა.

აღნიშნული ცდებიდან ასეთი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია: ბავშვები, ჩვეულებრივ, ჩვენს მხარეზე, დავალების მხარეზე არიან; ისინი დავალებას ვალდებულების სახით განიცდიან (თამაზის ძალიან უნდა სათამაშო, მაგრამ ყუთთან არ მიდის, დავალებას იცავს). საბავშვო ბაღში ყოფნის განმავლობაში (3 თვის მანძილზე) არ შემინიშნავს, რომ ბავშვებს ინსტრუქცია, რომელიც რაიმე დავალებას შეიცავდა, ძალდატანებით განეცადოთ, ანდა ეკითხოთ, რისთვის ან ვისთვის იყო საჭირო ამა თუ იმ დავალების შესრულება. ბავშვებს ახარებთ დავალების შესრულება, შეუსრულებლობის შემთხვევაში დარდობენ, ტირიან კიდეც.

პირველი რიგის ცდები ბავშვებისაგან გარკვეული მოქმედების შესრულებას მოითხოვდა; ასაკის განსხვავებულობის მიხედვით, შედეგებიც განსხვავებული აღმოჩნდა. მეხსიერების განვითარების დონეც, უნდა ახდენდეს ერთგვარ გავლენას დავალების შესრულებაზე: 3—4 წლის ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში მეორე დღისათვის მიცემული დავალება ავიწყდებოდათ.

მოვალეობის შეგნების განვითარება და საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩანასახები 3 წლის ასაკის ბავშვებშიც გვხვდება. წინა ასაკში ასეთ რამეზე ლაპარაკი თითქმის არ შეიძლება.

ჩვენი ცდების მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

წინარესასკოლო ასაკის ბავშვი ძირითადად აწმყოში მიმდინარე ცხოვრებით ცხოვრობს, აწმყოს სიამოვნებანი იტაცებს, ძლიერია მასში შინაგანი იმპულსები, რომელიც ქცევის აქტებს ემოციური შთაბეჭდილებისაკენ წარმართავს. პიროვნება, რომელიც წინ უნდა აღუდგეს ამ იმპულსებს, ჯერ არაა მომაგრებული. ბავშვი განიცდის, რომ შინაგანი ძალა ეწინააღმდეგება მას დავალების შესრულებაში: „შემეჭამა“-ო რომ ამბობს იგი, ამით მას იმის თქმა უნდა, რომ შოკოლადი, რომელიც დედისთვის უნდოდა მიეტანა, მისდა უნებლიედ შემოეჭამა, შეჭმის მიზეზად თვითონ თავისთავს არ თვლის.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, 1960.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XXII, 1960.

რ. ბერიშვილი

KONJUNKTIV-ი გერმანულ ენაში და მისი შესატყვისი ფორმები ქართულში

კონიუნქტივს, როგორც მოდალობის გრამატიკულ კატეგორიას, ფართო გამოყენება აქვს თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში. გერმანული ზმნის კონიუნქტივის ხშირ გამოყენებას თანამედროვე გერმანულ ენაში განაპირობებს თვით მისი როლი; მხოლოდ მას შესწევს უნარი გადმოგვცეს ლოგიკური აზროვნების ყველა ის ნიუანსი, რისი ვადმოცემაც ინდიკატივს (Indikativ — თხრობითი კილო) არ შეუძლია.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად გააცნოს საკითხით დაინტერესებულთ გერმანული ზმნის კონიუნქტივის შესატყვისი ქართული ფორმები; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომის მოცულობის სიმცირის გამო შეუძლებელია გათვალისწინებულ იქნეს Konjunktiv-ის ყველა ფორმა და ფუნქცია.

როგორც ცნობილია, თანამედროვე გერმანულ ენაში კონიუნქტივი გამოხატავს მოდალობის სხვადასხვა ნიუანსს: ვარაუდს, ეჭვს, არარეალურ პირობასა და მის შესატყვის შედეგს, დაშვებას, სურვილსა და შესაძლებლობას (შეუსრულებელს ან შეუსრულებადს). კონიუნქტივის განსაზღვრულ ფორმებს შეუძლიათ გადმოსცენ სხვათა სიტყვის მოდალობაც.

თანამედროვე გერმანულ ენაში განასხვავებენ კონიუნქტივის ფორმათა ორ ჯგუფს: პირველ ჯგუფს, ანუ პრეტერიტალური კონიუნქტივის ჯგუფს (präteritaler Konjunktiv) მიეკუთვნებიან კონიუნქტივის შემდეგი ფორმები: Präteritum (ანუ Imperfekt) Konjunktiv, Plusquamperfekt Konjunktiv, Konditionalis I და Konditionalis II. მეორე ჯგუფს, ანუ პრეზენტული კონიუნქტივის ჯგუფს (präsentischer Konjunktiv) შეადგენენ: Präsens Konjunktiv, Perfekt Konjunktiv და Futurum Konjunktiv.

პრეტერიტალური კონიუნქტივის ჯგუფში შემავალი კონიუნქტივის ფორმები გამოიყენება ძირითადად არარეალურ პირობით კილოში, შეუსრულებელი ან შეუსრულებადი სურვილის ან ნატვრის გადმოცემის დროს, არარეალური შედარებისა და განუხორციელებელი შესაძლებლობის შემთხვევაში და სხვა.

პრეზენტული კონიუნქტივის ჯგუფის ფორმები კი გამოიყენება როგორც ირიბ კითხვაში, ასევე სუბიექტურ ზმნებთან; თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში მათ შეუძლიათ შეცვალონ პრეტერიტალური კონიუნქტივის ფორმები არარეალური შედარების დროს.

პრეტერიტალური კონიუნქტივის ფორმები მოიცავენ მოდალური მნიშვნელობის თითქმის ყველა ნიუანსს. უმეტეს შემთხვევაში ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, რომ იგი არ განხორციელებულა და არც შეიძლება განხორციელდეს; ამიტომ კონიუნქტივის პრეტერიტალური ფორმების ეს მოდალური მნიშვნელობა ატარებს სახელწოდებას „Modus irrealis“ ან „Irrealis“ [1]. ასეთ მოდალობას ძირითადად გადმოსცემს Plusquamperfekt Konjunktiv-ი და Konditionalis II. კონიუნქტივის ეს ფორმები გამოიყენებიან მხოლოდ და მხოლოდ წარსული დროის მნიშვნელობით და ასეთ შემთხვევაში მათ მიერ გადმოცემული მოქმედება არარეალურ შესაძლებლობას ატარებს: გარკვეულ პირობებში შეიძლებოდა მოქმედება განხორციელებულიყო, მაგრამ არ განხორციელებულა წარსულში და არც შესაძლებლობაა მისი განხორციელებისა; მაგალითად: Er wachte spät über Büchern, die, wenn man sie bei ihm entdeckt hätte, ihn ins Gefängnis gebracht haben würden (H. Mann. Fulvia). — ის გვიანობამდე კითხულობდა ისეთ წიგნებს, რომელთა გამოც მას დააპატიმრებდნენ, რომ ისინი მასთან აღმოეჩინათ. ამ წინადადებაში ჩანს, რომ ის არ დაუპატიმრებიათ, რადგან ისინი (წიგნები) მასთან არ აღმოუჩენიათ. მოცემულ მაგალითში დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია Plusquamperfekt Konjunktiv-ი, მთავარში კი — Konditionalis II.

კონიუნქტივის ფორმების ხმარების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა კონიუნქტივის გრამატიკულ დროით ფორმებს, არამედ ამ დროითი ფორმების ფუნქციას, ე. ი. კონიუნქტი-

[1] О. Н. Москальская, Грамматика немецкого языка, теоретический курс, Москва, 1956, გვ. 298.

ვის ამა თუ იმ დროით ფორმას რა აკისრია, რის გადმოცემა შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში Imperfekt Konjunktiv-ი უნდა გვეხმარა Imperfekt — დროითი ფორმისათვის და არა აწმყოს ან მყოფადის მნიშვნელობით, ისე როგორც Plusquamperfekt Konjunktiv-ს ეხმარობთ საერთოდ ნამყო დროისათვის და არა მარტო Plusquamperfekt-ის გრამატიკული დროითი ფორმისათვის.

გერმანული ზმნის კონიუნქტივის ქართული შესატყვისების დადგენისას ჩვენთვის ამოსავალია კონიუნქტივის ფუნქციები გერმანულ ენაში და არა მისი ფორმები. ვინაიდან თანამედროვე გერმანულ ენაში პრეტერიტალური კონიუნქტივის ფორმების გამოყენების ვაკილებით მეტი საჭიროებაა, ვიდრე პრეზენტული კონიუნქტივის ფორმებისა, ამიტომ გერმანული ზმნის კონიუნქტივის შესატყვისი ქართული ფორმების შერჩევას დავიწყებთ პრეტერიტალური კონიუნქტივის ფუნქციების განხილვით.

კონიუნქტივის პრეტერიტალური ფორმები გამოხატავენ სხვადასხვა მოდალურ მნიშვნელობას; ამ მოდალობათაგან შევეხებით ძირითადს, ესენია: შეუსრულებელი ან შეუსრულებადი სურვილი (ან ნატვრა), არარეალური პირობა და მისი შესატყვისი შედეგი, არარეალური შედარება და შესაძლებლობა და სხვა.

საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითები, სადაც Imperfekt Konjunktiv-ი და Plusquamperfekt Konjunktv-ი შეუსრულებელ ან შეუსრულებად სურვილს ან ნატვრას გადმოსცემენ: Käme er bald! ნეტავი მოდიოდეს (ან მოვიდოდეს) ის მალე! Läse ich diesen Roman! ნეტავი ვკითხულობდე (ან წავიკითხავდე) ამ რომანს! Wenn er uns hälfe! ის რომ გვეხმარებოდეს (ან დეგვეხმარებოდეს). Wenn du mit mir führest! რომ ჩემთან ერთად მოემგზავრებოდე (ან გამოემგზავრებოდე)!

ამრიგად, Imperfekt Konjunktiv-ი დამოუკიდებელ წინადადებაში, როცა ის გადმოსცემს შეუსრულებელ ან შეუსრულებად სურვილს ან ნატვრას, როგორც წესი, ქართულ ენაზე ითარგმნება აწმყოს კავშირებითის ან მყოფადის კავშირებითის მწკრივით (აწმყო დროისათვის — აწმყოს კავშირებითის მწკრივით, მყოფადი დროისათვის კი — მყოფადის კავშირებითის მწკრივით): käme — მოდიოდეს (აწმყოს კავშირებითი) ან მოვიდოდეს (მყოფადის კავშირებითი), läse — ვკითხულობდე (აწმყოს კავშირებითი) ან წავიკითხავდე (მყოფადის კავშირებითი); ამასთან Imperfekt Konjunktiv-ის ზემოაღნიშნული მოდალობის სრულყოფილად გადმოცემისათვის ქართულ ენაში, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება მივმართოთ ლექსი-

კურ საშუალებას. სახელდობრ, უკავშირო წინადადებაში ვიხმაროთ კორელატი „ნეტავ", wenn — კავშირიან წინადადებაში კი — რომ კავშირი[1] (მაგალითები იხილეთ ზემოთ, გვ. 263). ამავე მოდალობით გამოდის Plusquamperfekt Konjunktiv-ი. კონიუნქტივის ეს ფორმა გამოიყენება წარსული დროისათვის. ზემოთ მოყვანილი მაგალითები Plusquamperfekt Konjunktiv-ში ასე გადმოიცემა: Wäre er bald gekommen! ნეტავ ის მალე მოსულიყო! Hätte ich diesen Roman gelesen! ნეტავ წამეკითხა ეს რომანი! Wenn er uns geholfen hätte! რომ დაგვხმარებოდა და ა. შ.

ამგვარად, Plusquamperfekt Konjunktiv-ს უნდა შეესატყვისებოდეს ქართულ ენაში II თურმეობითის მწკრივი; მოდალობის სრულყოფილად გადმოცემისათვის ქართული ზმნის II თურმეობითის მწკრივს უნდა დაემატოს უკავშირო წინადადებაში ლექსიკური საშუალება „ნეტავ", ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოცემული მოდალური მნიშვნელობის ქართულ ენაზე გადმოტანისას Imperfekt Konjunktiv-ის დროს.

Imperfekt Konjunktiv-ი და Plusquamperfekt Konjunktiv-ი გამოიყენება აგრეთვე არარეალური პირობა — შედეგის შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; მაგალითად: ..., freilich, wäre der Berg nicht da, so wäre der Weg viel bequemer und kürzer (J. W. Goethe).... რასაკვირველია, აქ რომ მთა არ იყოს[2] (ან იქნებოდეს), გზა იქნებოდა (ან იქნება) ბევრად უფრო მისადგომი და მოკლე. Ich wünsche nichts, verlange nichts. Mir wäre Besser, ich ginge (J. W. Goethe). მე არც არაფერი მსურს და არც არაფერს მოვითხოვ. რომ მივდიოდე (ან წავიდოდე), უკეთესი იქნებოდა (ან იქნება) ჩემთვის. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გამოყენებულია Imperfekt Konjunktiv-ი როგორც მთავარ ისე დამოკიდებულ წინადადებაში და აქვს მნიშვნელობა როგორც აწმყო დროისათვის, ასევე მყოფადისათვის. არარეალური პირობა გვეძლევა დამოკიდებულ წინადადებაში, შედეგი კი — მთავარში.

ამგვარად, არარეალური პირობის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებაში ხმარებული Imperfekt Konjunktiv-ი ითარგმნება ქართულად I სერიის კავშირებითის ორივე მწკრივით, აწმყოს კავშირებით და მყოფადის კავშირებით: wäre — იყოს (II კავშირე-

[1] კავშირი „wenn" არარეალური სურვილის, ნატერის ან პირობის შემთხვევაში ითარგმნება როგორც „რომ".

[2] აქ აწმყოს კავშირებითის ნაცვლად ქართულში გამოყენებულია II კავშირებითი „იყოს (ის)", რადგან ზმნას „არის" აწმყოს კავშირებითი ხერა აქვს.

ბითი)[1], იქნებოდეს (მყოფადის კავშირებითი). ginge — მივდიოდე აწმყოს კავშირებითი), წავიდოდე (მყოფადის კავშირებითი) და სხვა. მთავარ წინადადებაში არარეალური პირობის შესატყვისი შედეგის მნიშვნელობით ხმარებულ Imperfekt Konjunktiv-ს შესატყვისება ქართულში ახლანდელი დროისათვის I ხოლმეობითი, მომავალი დროისათვის კი — მყოფადის მწკრივი[2]: wäre — იქნებოდა (I ხოლმეობითი), იქნება (მყოფადი).

როგორც ზემოთ ითქვა, არარეალური პირობა — შედეგის შინაარსის გადმოცემის დროს წარსულ დროში გამოიყენება Plusquamperfekt Konjunktiv-ი: მაგალითად: Ich hätte ihn gern beim Kopfe genommen und geküsst, wenn ich mich nicht geschämt hätte (J. W. Goethe) მე მას სიამოვნებით შემოვეხვეოდი და ვაკოცებდი, რომ არ შემრცხვენოდა.

მოცემული მოდალობის შემთხვევაში დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულ Plusquamperfekt Konjunktiv-ს, რომელიც არარეალურ პირობას გვაძლევს, გადმოითარგმნება ქართულ ენაზე II თურმეობითით; მთავარ წინადადებაში ხმარებული კონიუნქტივის იგივე ფორმა კი, რომელიც შედეგს გადმოსცემს, ითარგმნება I ხოლმეობითით: genommen und geküsst hätte შემოვეხვეოდი და ვაკოცებდი (II თურმეობითი); geschämt hätte — შემრცხვენოდა (I ხოლმეობითი).

Imperfekt Konjunktiv-ი და Plusquamperfekt Konjunktiv-ი იხმარება იმ შემთხვევაშიაც, როცა საქმე გვაქვს არარეალურ შესაძლებლობასთან; ეს შესაძლებლობა კი შეიძლება განხორციელებულიყო, თუ საამისოდ პირობა იქნებოდა მოცემული; მოდალობის ამ ნიუანსის გამოსახატავად გამოიყენება ახლანდელი და მომავალი დროისათვის Imperfekt Konjunktiv-ი წარსული დროისათვის კი — Plusquamperfekt Konjunktiv-ი; მაგალითად: Mit deiner Hilfe stände ich auf შენი დახმარებით ავდგებოდი. Bei solcher Kälte bliebe er zu Hause ასეთი სიცივის დროს დარჩებოდა ის სახლში. ამ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების საფუძველზე დასაშვებად მიგვაჩნია Imperfekt Konjunktiv-ი ითარგმნოს ქართულად I ხოლმეობითის მწკრივით: stände auf — ავდგებოდი (I ხოლმეობითი), bliebe — დავრჩებოდი (I ხოლმეობითი) და ა. შ. ზემოაღნიშნული

[1] აქ აწმყოს კავშირებითის ნაცვლად ქართულში გამოყენებულია II კავშირებითი „იყოს (ის)". რადგან ხშირად „აოის" აწმყოს კავშირებითი აოა აქვს.

[2] თუმცა ზემოაღნიშნული მწკრივების (მყოფადის და I ხოლმეობითის) ურთიერთ შეცვლით შინაარსი არ დაირღვევა.

მოდალობის გადმოცემის შემთხვევაში Plusquamperfekt Konjunktiv-საც იგივე მუკრივი უნდა შეესატყვისებოდეს ქართულში; მაგალითად: Mit deiner Hilfe wäre ich aufgestanden. შენი დახმარებით ავდგებოდი. Bei solcher Kälte wäre er zu Hause geblieben. ასეთი სიცივის დროს დარჩებოდა ის სახლში.

როგორც ვხედავთ, არარეალური შესაძლებლობის გადმოცემის შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებლობა შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუ საამისო პირობა იქნებოდა მოცემული Imperfekt და Plusquamperfekt Konjunktiv-ს შეესატყვისება ქართულში I ხოლმეობითი.

არარეალური შედარების გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენებიან Imperfekt და Plusquamperfekt Konjunktiv-ის ფორმები (Imperfekt Konjunktiv-ი ახლანდელი დროის გაგებით, Plusquamperfekt Konjunktiv-ი წარსული დროის გაგებით) მომავალი დროისათვის იხმარება Konditionalis I; თუმცა კონიუნქტივის ამ ფორმების გვერდით არარეალური შედარების შემთხვევაში ადგილი აქვს თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში პრეზენტული კონიუნქტივის ფორმების გამოყენებასაც; ახლანდელი დროისათვის — Präsens Konjunktiv, წარსული დროისათვის Perfekt Konjunktiv და მომავალი დროისათვის Futurum Konjunktiv[1].

მაშასადამე, არარეალური შედარების გამოსახატავად პრეტერიტალური და პრეზენტული კონიუნქტივის ფორმები სინონიმიურნი არიან: Bató richtete seine Augen auf Steiners Gesicht, als sähe er dieses kluge Gesicht zum arstenmal (A. Seghers) ბატომ თვალები მტაინერს მიაპყრო, თითქოს მის ჭკუიანურ სახეს პირველად ხედავდეს (ან ხედავს). თუ სხვა დანარჩენ შემთხვევაში Imperfekt Konjunktiv-ი გამოიყენება ძირითადად აწმყოსა და მყოფადის მნიშვნელობით, არარეალური შედარების შემთხვევაში კონიუნქტივის ამ ფორმას მნიშვნელობა აქვს ხოლოდ ახლანდელი დროისათვის. აღნიშნული მოდალობის დროს Imperfekt Konjunktiv-ს შეესატყვისება ქართულ ენაში აწმყოს კავშირებითი ან აწმყო; sähe — ხედავდეს (აწმყოს კავშირებითი), ან ხედავს (აწმყო). ზემოაღნიშნული მოდალური მნიშვნელობის გადმოსაცემად Plusquamperfekt Konjunktiv-ს შეესატყვისება ქართულში II თურმეობითი ან წყვეტილის აწკრივი; მაგალითად: Das Kind rannte mit ihm

[1] О. Н. Москальская, Грамматика немецкого языка. Теоретический курс, Москва, 1956 г., გვ. 309, § 121.

weg, als ob es alles sofort verstanden hätte (A. Seghers) ბავშვმა მასთან ერთად მოჰკურცხლა იქედან, თითქოს მან ყველაფერი გაიგო მაშინვე (ან თითქოს მას მაშინვე ყველაფერი გაეგო).

როგორც ითქვა, არარეალურ შედარებას მომავალ დროში Konditionalis I გადმოსცემს, რომელსაც ქართულში შეესატყვისება მყოფადის მწკრივი; მაგალითად: Es ist kalt, als ob es schneien würde[1], ისე ცივა, თითქოს მოთოვს. Er tat, als würde er bald gehen[2], ის ისე მოიქცა, თითქოს მალე წავა. Es würde schneien — მოთოვს (მყოფადი), würde gehen — წავა (მყოფადი).

ამგვარად, საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრეტერიტალური კონიუნქტივის სამი ფორმა Imperfekt Konjunktiv-ი, Plusquamperfekt Konjunktiv-ი და Konditionalis I ზემოაღნიშნული მოდალური ნიუანსების (შეუსრულებელი ან შეუსრულებადი სურვილი ან ნატერა, არარეალური პირობა და მისი შესატყვისი შედეგი, არარეალური შესაძლებლობა, როცა ეს უკანასკნელი სათანადო პირობებში განხორციელდებოდა, არარეალური შედარება) გადმოცემის დროს გადმოითარგმნება ქართულ ენაზე ძირითადად შიდი მწკრივის დახმარებით (აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი, II თურმეობითი, I ხოლმეობითი, აწმყო, წყვეტილი, მყოფადი). ქართული ენის ეს მწკრივები შეესაბამებიან პრეტერიტალური კონიუნქტივის ამ სამ ფორმას როგორც დამოუკიდებელ, ისე დამოკიდებულ წინადადებებში, როცა კონიუნქტივის ეს ფორმები უკვე აღნიშნული მოდალური მნიშვნელობით გვევლინებიან. გერმანული ზმნის Konjunktiv-ის დასახელებული ფორმების და მათი შესაბამისი ქართული მწკრივების შეპირისპირება შეიძლება სქემის სახითაც იქნეს წარმოდგენილი: (იხ. სქემა 263—269 გვ.).

პრეტერიტალური კონიუნქტივის Konditionalis I-ის ფორმა იხმარება მეტნაწილად იქ, სადაც სუსტი ზმნების კონიუნქტივისა და ინდიკატივის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა: იგი გვხვდება როგორც მარტივ (ე. ი. დამოუკიდებელ) წინადადებაში, ასევე არარეალურ პირობით — შედეგობით კვეწყობილ წინადადებაში; კერძოდ, იგი ამ შემთხვევაში დგას მთავარ წინადადებაში, რომელშიაც შედეგი გვეძლევა. არარეალური პირობის შესატყვისი შედე-

[1] მოყვანილი მაგალითი ამოღებულია სახელმძღვანელოდან Е. В. Гулыга, М. Д. Натанзон. Грамматика немецкого языка, Москва, 1957 გვ. 326.

[2] ეს მაგალითიც ამოღებულია სახელმძღვანელოდან Е. И. Шендельс. Грамматика немецкого языка, Москва, 1952, გვ. 143.

№ №	Konjunktiv-ის პრეტერიტალური ფორმების მოდალობა	კონიუნქტივის ფორმა	წინადადების სახე	შესატყვისი ქართული დროები	მწკრივები
1	შეუსრულებელი ან შეუსრულებადი სურვილი ან ნატვრა	Imperfekt Konjunktiv (läse)	მარტივი	ახლანდელი	აწმყოს კავშირებითი (ვკითხულობდე)
	" "	"	"	მომავალი	მყოფადის კავშირებითი (წავიკითხავდე)
	" "	Plusquamperfekt Konjunktiv (gelesen hätte)	"	წარსული	II თურმეობითი (წაეკითხა)
2	არარეალური პირობა — შედეგი	Imperfekt Konjunktiv (läse)	რთული ქვეწყობილი	ახლანდელი	აწმყოს კავშირებითი (ვკითხულობდე) I ხოლმეობითი (წავიკითხავდი)
	" "	"	"	მომავალი	მყოფადის კავშირებითი (წავიკითხავდე) მყოფადი (წავიკითხავ)
	" "	Plusquamperfekt Konjunktiv (gelesen hätte)	"	წარსული	II თურმეობითი (წაეკითხა) I ხოლმეობითი (წავიკითხავდი)

3	არარეალური შესაძლებლობა, რომელიც სათანადო პირობებში განხორციელდებოდა	Imperfekt Konjunktiv (läse)	მარტივი	ახლანდელი	I ხოლმეობითი (წავიკითხავდი)
	" "	"	"	მომავალი	I ხოლმეობითი (წავიკითხავდი)
	" "	Plusquamperfekt Konjunktiv (hätte gelesen)	"	წარსული	I ხოლმეობითი (წავიკითხავდი)
4	არარეალური შედარება	Imperfekt Konjunktiv (sähe)	რთული ქვეწყობილი	ახლანდელი	აწმყოს კავშირებითი (ვხედავდე) აწმყო (ვხედავ)
	" "	Plusquamperfekt Konjunktiv (verstanden hätte)	"	წარსული	II თურმეობითი (გაეგო) წყვეტილი (გაიგო)
	" "	Konditionalis I (gehen würde)	"	მომავალი	მყოფადი (წავა)

გის გამომხატველ Konditionalis I-ის ფორმას შეიძლება დავუპირისპიროთ ქართულში იგივე მწკრივები, რომლებიც უკვე აღნიშნეთ Imperfekt Konjunktiv-ის მიმართ, როცა ეს უკანასკნელი გადმოსცემდა არარეალური პირობის შესატყვის შედეგს; ეს მწკრივებია I სერიის ხოლმეობითისა და ამავე სერიის მყოფადის მწკრივი (იხილეთ სქემაზე არარეალური პირობა — შედეგი გვ. 268). მსგავსად Imperfekt Konjunktiv-ისა Konditionalis I იხმარება როგორც ახლანდელის ისე მომავლის მნიშვნელობით; მაგალითად: Wenn du bei mir bliebest, würde ich dir von meinem Studium erzählen. შენ რომ ჩემთან რჩებოდე (ან დარჩებოდე), მოგიყვებოდი (ან მოგიყვები) ჩემი სწავლის შესახებ. Würde erzählen — მოგიყვებოდი (I ხოლმეობითი) ან მოგიყვები (მყოფადის მწკრივი).

სუსტი ზმნების ინდიკატივისა და კონიუნქტივის ფორმების დამთხვევას ადგილი აქვს არა მარტო შედეგის გამომხატველ მთავარ წინადადებაში, არამედ არარეალური პირობის შემცველ დამოკიდებულ წინადადებაშიაც; თუმცა Konditionalis I-ის გამოყენებას ასეთ შემთხვევაში ნაკლებად ვხვდებით ან არ ვხვდებით[1]. მაგალითად: Wenn du unweit meiner Wohnung wohntest, würde ich mich freuen. ჩემი ბინის ახლოს რომ ცხოვრობდე (ან იცხოვრებდე), გამიხარდებოდა (ან გამიხარდება). არარეალური პირობის შემცველ დამოკიდებულ წინადადებაში სუსტი ზმნის „wohnen" ინდიკატივი დაემთხვა კონიუნქტივს — wohntest (Konjunktiv), wohntest (Indikativ).

